# კვირის პალიტრა

№ 37 (448) ◆ 15 – 21 სექტემბერი. 2003 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## არჩევნებში დამარცხებულ პოლიტიკოსებს პოლიტიკური სიკვდილი ელით...



გვ.3

...პარტიებს შორის ურთიერთობები და პოლიტიკოსთა ამა თუ იმ გაერთიანებაში გადასვლა მხოლოდ პირად გამორჩენაზეა აგებული...

...ვერაფრით წარმოვიდგენ, რომ შევარდნაძე საპრეზიდენტო უფლებამოსილების ამოწურვის შემდეგ პენსიაზე გავა და შვილიშვილებს დაუწყებს დევნას...

## სისხლიანი ვენდეტა ვაკეში

მკვლელობის შემდეგ ჯორდანა მიიმალა. არაფრის გულისთვის მოკლული ტატოს მეგობრები გაგიჟებულები იყვნენ. მესამე დღეს წინამძღვრიშვილის ქუჩაზე, №98 ნომერში, იტალიური ტიპის კერძო სახლში ჯორდანა მკვდარი იპოვეს. ის სავარძელში იჯდა. ერთადერთი ტყვია ჰქონდა ნასროლი თავის არეში.

ქვეყანაში არსებული დაუსჯელობისა და განუკითხაობის ფონზე, ჩანს სისხლის აღების წესმა სვანეთიდან ვაკეში გადმოინაცვლა. გვ.5




## ნარკოტიკები უკვე სუპერმარკეტებშიც იყიდება

„მეცხრე-მეათეკლასელებმა დაიწყეს წამლის გაკეთება."

გვ.13




ბოლო ორ-სამ თვეში უხმაუროდ და აშკარად დაიკავა დახლზე ადგილი კაიფის დაჭერის ლეგალურმა და იაფმა საშუალებამ... ბაზრობებზე და პრესტიჟულ სუპერმარკეტებშიც კი ლამაზად შეფუთული შხამი იყიდება. თურმე აკრძალვა-არაკრძალვა პარლამენტის გადასაწყვეტია. პარლამენტს ახლა მხოლოდ საკუთარი თავისთვის სცხელა, ამასობაში ხელიდან მიდის ახალგაზრდობა, გვეღუპება თაობა – დღემდე აკრძალული ხილი ცხვირწინ უწყვიათ და ცდუნება დიდია... ნუთუ ასე უმნიშვნელოა ჩვენი მომავლის ბედი, რომ ერთხელ მაინც, ამ გამოუვალი ლაბირინთიდან – **არა, მე არ მევალება, არა, ამისთვის სხვა აგებს პასუხსო**, დავიძრათ, და თუ მაინცდამაინც პრეზიდენტის გადასაწყვეტია (რადგან პარლამენტმა ჯერ ვერ მოიცალა), მივაწვდინოთ ხმა და ვიყიჟინოთ – აღვკვეთოთ საქართველოში ნარკოტიკებით ასე ღია ვაჭრობა მაინც, ისიც კმარა, რასაც ჩვენი თვალი ვერ სწვდება... საფრთხე დიდია და არ ეგების მიჩუმათება.

*„კვირის პალიტრა"*

**თბილისი შეიძლება სულ მალე ნარკოქალაქად იქცეს**

## ბლოკები ქართულ პოლიტიკაში



გვ.11

ამბობენ, 20 სექტემბრამდე ოპოზიცია სიურპრიზს გვიმზადებს და ბლოკის შექმნის მოულოდნელად გამოცხადებით ხელისუფლების ნოკაუტში ჩაგდებას აპირებს. ხოლო ოპოზიციის ლიდერების ხელების სავსავი – არა, აღარ ვერთიანდებითო, მხოლოდ თამაშია, ხელისუფლებისთვის თავგზის ასაბნევადო.

### სამხედრო თემაზე:

## ვინ გაყიდის პისტოლეტ-ტყვიამფრქვევებს

გვ.9

**იარაღის ახალი კანონი საფრთხეს უქმნის მოქალაქეების სიცოცხლეს**



**რესპონდენტთა კეთილგანწყობას ყველაზე მეტად, ჯერჯერობით, „ლეიბორისტები", „ნაციონალები" და „ბურჯანაძე-დემოკრატები" იმსახურებენ.**

გვ.35

*მკითხველის ოლიცინე*

### სპორტი:

## ვიპოვით თუ არა „სულიკოს" ქართული ფეხბურთისთვის

ახლა გამოსავალი უცხოელი სპეციალისტია. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ერიც და ბერიც.

მერაბ ჟორდანია აცხადებს, კონკრეტულ სახელს ქართული საზოგადოება წლის ბოლოსთვის შეიტყობსო. გვ.34

## ყველაზე უღირსმა პარლამენტმა არსებობა სამარცხვინოდ დაასრულა

მინდა მკითხველსა და ქართველ საზოგადოებრიობას გულწრფელად მოვუხადო ბოდიში და ვთხოვო პატიება, როგორც ზემოთ აღნიშნული სამარცხვინო ორგანოს ჯერ კიდევ წევრმა.

გვ.11 *თედო პაატაშვილი*

### რას წერენ ჩვენზე:

## შევარდნაძე პუტინს იალტაში შეუტევს

...ეტყობა, საქართველოს პრეზიდენტი რუსეთის ბაზების შენარჩუნების სანაცვლოდ აფხაზეთის დაბრუნებას მოითხოვს...

გვ.14

## როგორ დაიპყრო რუსეთმა საქართველო

ახლა, როცა ქართულ ენერგეტიკაზე კონტროლი რუსეთის ხელში აღმოჩნდა, საინტერესოა, რამდენ ხანს იქნება საქართველო დასავლეთის მოკავშირე. შეძლებს კი ამას სინათლისა და სითბოს გარეშე?..

WSJ.com THE WALL STREET JOURNAL.

**რას იყენებდნენ კრემლში „იუკოსის" საწინააღმდეგოდ**

## ფოსფალუგელი

**„კრემლის ანტაციდი"**

გვ.24

## რომელი ქმარი, ბატონო გოგი?

### კახის ცოლი ასე „უშოვეს"...



„პირველი მერცხლის" გახმოვანებიდან ვბრუნდები. კინოსტუდიის ეზოში რეჟისორი ვალიკო კვაჭაძე მხვდება, შეწუხებული ხელებს შლის და მეხვეწება, მიშველე, თუ ღმერთი გწამს, კახის „ცოლი" ვერ ვუშოვე, გადაღება მეშლება და ხელცარიელი რომ მივბრუნდე, მომკლავს, შენც ბევრი არაფერი საქმე გაქვს, ერთ-ორ წინადადებას იტყვი, სულ ეს არისო. გადავირიე, ახლა „კახის" ცოლიც უნდა გავხდე, თან გვერდით უნდა მივუწვე? რა იყო, ვალიკო, მთლად კი არ ამიღია ხელი თავზე, რას ჰქვია ნიფხავ-პერანგიან კაცთან დავწვე-მეთქი? გვ.20

**თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!**

## პარლამენტმა სესიის დახურვა ვერ მოახერხა

კვორუმის უქონლობის გამო, საქართველოს პარლამენტმა საშემოდგომო სესიის დახურვა ვერ მოახერხა. პლენარულ სხდომაზე რეგისტრაცია მხოლოდ 75-მა დეპუტატმა გაიარა. პარლამენტის თავმჯდომარის, ბურჯანაძის თქმით, მომავალი კვირის ხუთშაბათისთვის პარლამენტმა აუცილებლად უნდა განიხილოს ე. წ. „ატსტუპნიკების“ საკითხი და „თურქეთის ავიახაზებთან“ ურთიერთობის სარატიფიკაციოდ გამზადებული დოკუმენტი.

სხდომის წამყვანის, ვიცე-სპიკერ გიგი წერეთლის განცხადებით, ხუთშაბათამდე პარლამენტში ფრაქციათა ლიდერები შეიკრიბებიან და საკუთარი ფრაქციების მობილიზებას შეეცდებიან, რათა მომავალი კვირის ხუთშაბათს საშემოდგომო სესიის დახურვა მოხერხდეს.

## „თელასი“ ზამთრისათვის ემზადება

თბილისის მოსახლეობის ელექტრომომარაგების უზრუნველსაყოფად „თელასმა“ ზამთრისათვის მზადება დაიწყო. თბილისის ელექტროქსელის სარემონტო სამუშაოებისა და „ეი-იეს მტკვრის“ მე-9 ენერგობლოკის ზამთრისთვის მომზადების მიზნით, კომპანიამ 2 მილიონ ლარზე მეტი გამოყო.

უკანასკნელი დღეების განმავლობაში თბილისის ელექტრომომარაგება განსაკუთრებული რეჟიმით ხორციელდება — მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის, „კავკასიონის“ ერთ-ერთი საყრდენი ანძა დაზიანებულია, გამორთულია ენგურჰესის მე-3 აგრეგატიც. ამჟამად ჰესში მხოლოდ ორი აგრეგატი მუშაობს.

თავის მხრივ, საბითუმო ბაზარმა ჰიდროელექტროსადგურების ტექნიკურად მომზადების მიზნით შეიძლება 4,5 მლნ ლარი გამოყოს. ამის შესახებ გადაწყვეტილებას ბაზრის აღმასრულებელი საბჭო 18 სექტემბერს დაგეგმილ სხდომაზე მიიღებს. როგორც ენერგოგენერაციის გენერალურმა დირექტორმა, გიგა ჩოგოვაძემ განაცხადა, ბაზრის მიერ გამოყოფილი თანხა ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული და გაყიდული ელექტროენერგიის საფასურია, რომელიც ბაზარს ჰესებისთვის ისედაც უნდა მიეცა.

## საქართველო დაწინაურდა

ამერიკის ადმინისტრაციის განცხადებით, საქართველოში ტრეფიკინგის აღმოფხვრის სფეროში მიღწეული სერიოზული წარმატებების გამო, საქართველო მესამე კატეგორიიდან მეორე კატეგორიის ქვეყნებშია გადაყვანილი. „თეთრი სახლის მიერ 10 სექტემბერს გამოქვეყნებულ აშშ-ის პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის ტრეფიკინგის საკითხთან დაკავშირებულ მემორანდუმში აღნიშნულია, რომ საქართველო ე. წ. მესამე კატეგორიის ქვეყნებიდან მეორე კატეგორიის ქვეყნებშია გადაყვანილი, ამიტომ საქართველოს მიმართ სანქციები არ გატარდება“, — ნათქვამია პრეზიდენტის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## იმერეთში ყალბი ფულის დამამზადებელი დააკავეს

შინაგან საქმეთა იმერეთის სამხარეო სამმართველოს კორუფციასთან ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა ზესტაფონის პოლიციასთან ერთად ყალბი ფულის დამამზადებელი დააკავეს. 29 წლის ქუთაისელი გიზო მხეიძე ზესტაფონში ყალბ ფულს ასაღებდა. იგი 50-თეთრიან მონეტებს კუსტარული წესით შინ ამზადებდა. დაკავების დროს მას 35 ცალი 50-თეთრიანი აღმოაჩნდა. ხოლო მისი საცხოვრებელი სახლიდან ის ხელსაწყო ამოიღეს, რითაც იგი ყალბ ფულს ამზადებდა. პოლიციის ინფორმაციით, გიზო მხეიძემ 1.000 ლარამდე მონეტა მოჭრა და გაასაღა ზესტაფონში.

## ჯანჯღავას გენერლების პარლამენტარობა სურს

სახმელეთო ძალების ყოფილი სარდალი, ამჟამად კი სამხედრო ექსპერტი ნიკა ჯანჯღავა მიესალმება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს რამდენიმე გენერლის გადაწყვეტილებას მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

„პირადად მე ხმას მივცემ ყველა იმ გენერალს, რომელიც ბოლოს და ბოლოს დატოვებს თავდაცვის სამინისტროს და პარლამენტში გადაბარგდება. შესაძლოა, თავდაცვის სამინისტროს მათი წასვლის შემდეგ მაინც ეშველოს რამე“, — განაცხადა ნიკა ჯანჯღავამ. იგი არ ადასტურებს მის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს პოლიტიკაში მოსვლას აპირებს და აცხადებს, რომ ჯერჯერობით სამხედრო სფეროს დატოვებას არ გეგმავს.

## ბექაური პატიმრობას გადაურჩა

მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ უარით უპასუხა გამომძიებელ მალხაზ ბოხუას შუამდგომლობას „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლისთვის, თბილისის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარისთვის, კობა ბექაურისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების თაობაზე. ბოხუა, აღმკვეთი ღონისძიების სახით, ბექაურის საცხოვრებელი ადგილიდან გაუსვლელობასა და სათანადო ქცევის შესახებ ხელწერილის დაწერას ითხოვდა. მოსამართლე ვაჟა ხუხაშვილმა აღნიშნულ შუამდგომლობაში ფაქტობრივი და სამართლებრივი მტკიცებულებები ვერ აღმოაჩინა. საქმე 27 აგვისტოს ინციდენტს ეხება, რომელიც პირველკლასელთა სასკოლო სახელმძღვანელოებისთვის საჭირო თანხის გადარიცხვას უკავშირდება. შსს-ს თანამშრომლებმა ბექაური თანხის გადარიცხვისას საქართველოს ბანკის მთაწმინდის ფილიალში დააკავეს. მას ბრალად განათლების სამინისტროს ბიბლკოლექტორის უფროსის, თინა ქერაშვილის გატაცება და დოკუმენტებზე იძულებით ხელმოწერა ედებოდა.

## „სახალისო“ სტატისტიკა

საქართველოს საზოგადოებრივი აზრისა და მარკეტინგული კვლევის ასოციაცია „გორბის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვით ირკვევა, რომ კორუფცია ყველაზე ინტენსიურად პოლიციის თანამშრომლებში ვლინდება, თუმცა გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, კორუფცია ყველაზე მეტად საბაჟოების მოხელეებში ყვავის.

საგულისხმოა, რომ რესპონდენტები ყველაზე ნაკლებკორუმპირებულებად კონტროლის პალატის თანამშრომლებს (2%) და პარლამენტის წევრებს (6%) მიიჩნევენ. ექსპერტთა აზრით, ამგვარი მაჩვენებელი კონტროლის პალატის თანამშრომლებისა და პარლამენტარების ზედმიწევნითი კეთილსინდისიერებით კი არ არის განპირობებული, არამედ იმით აიხსნება, რომ მოსახლეობას ნაკლებად უწევს ურთიერთობა მათთან, ვიდრე პოლიციასთან, საგადასახადო და საბაჟო სამსახურებთან.

## ჩეჩნები ფულად კომპენსაციას მოითხოვენ

„სტრასბურგის სასამართლო 2002 წლის 4 აგვისტოს, გირევის საგუშაგოზე საქართველოს სახელმწიფო საზღვრისა და იარაღის უკანონო გადმოტანის ბრალდებით დაკავებული 13 ჩეჩენის სარჩელის მიღება-არმიღების საკითხს ორ დღეში გადაწყვეტს“, — განაცხადა ჩეჩენი პატიმრების ერთ-ერთმა ადვოკატმა, მაკა ძამუკაშვილმა. მისივე თქმით, პროცესს დაესწრება საქართველოს წარმომადგენელი — ლაშა ჭელიძე.

ადვოკატის განმარტებით, დაკავებული 13 ჩეჩენი მოქალაქის დაკავების ოქმები, რუსეთიდან მოსული ექსტრადიციის შესახებ საბუთები და სხვა დოკუმენტები უკანონოდ იყო მოპოვებული. მისივე თქმით, თუ სტრასბურგის სასამართლომ, ამ და სხვა საკითხების გათვალისწინებით, ჩეჩენთა სარჩელი დააკმაყოფილა, განსასჯელები მატერიალური და მორალური ზარალის ანაზღაურებისთვის სახელმწიფოსგან ფულად კომპენსაციას მოითხოვენ.

## პოლიციამ გაქცეული 129 პატიმრიდან 61 დააკავა

უკანასკნელი მონაცემებით, რუსთავის მკაცრი რეჟიმის დაწესებულებიდან გაქცეული 129 პატიმრიდან სამართალდამცველებმა 61 დააკავეს. მათგან 7 ნებაყოფლობით გამოცხადდა. საქართველოს გენერალური პროკურორის, ნუგზარ გაბრიჩიძის თქმით, საპყრობილეში ნებაყოფლობით გამოცხადებული 5 პატიმარი გაქცევისათვის გათვალისწინებული 8-წლიანი პატიმრობისგან გათავისუფლდა, რადგან მათ ამ პერიოდში დანაშაული არ ჩაუდენიათ, დანარჩენი ორის შესახებ კი მოკვლევა მიმდინარეობს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, კობა ნარჩემაშვილის თქმით, სამართალდამცველები საგანგებო რეჟიმით მუშაობენ და ყველაფერს აკეთებენ გაქცეულთა კოლონიაში დასაბრუნებლად. „დაფინანსების შემთხვევაში, შს სამინისტრო მზად არის, სასჯელაღსრულებითი დაწესებულებები დაიბრუნოს და 3 კვირის განმავლობაში იქ შინაგანი ჯარების დანაყოფები განალაგოს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მთავრობასთან სერიოზული მოლაპარაკებები მიმდინარეობს“, — აღნიშნა შს მინისტრმა. რუსთავის მკაცრი რეჟიმის დაწესებულებიდან პატიმართა მასობრივი გაქცევა 10 სექტემბერს, დაახლოებით 20.00 საათზე მოხდა.

## აღდგება თუ არა დედაქალაქის გაზმომარაგება?

„თბილგაზი“ აგვისტოში მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურს — 279 ათას დოლარს საერთაშორისო ენერგეტიკულ კომპანია „იტერას“ მალე გადაურიცხავს, აცხადებენ „თბილგაზის“ ხელმძღვანელები. კომპანიაში ირწმუნებიან, რომ მერიის დახმარებით 279 ათასი დოლარი უკვე მოძიებულია და გაზის მომწოდებელ კომპანიას თანხა დაუბრკოლებლად გადაერიცხება. „თბილგაზს“ აგვისტოში მოხმარებული ბუნებრივი აირის საფაურის გადახდის ვადა 15 სექტემბერს ეწურება. თუ კომპანიამ დავალიანება არ დაფარა, შესაძლოა დედაქალაქი ისევ გაზმომარაგების გარეშე დარჩეს. უკანასკნელი ინფორმაციით, „იტერა“ „თბილგაზისგან“ სექტემბრის თვის დავალიანების დაფარვასაც მოითხოვს.

„იტერამ“ თბილისს გაზმომარაგება 1-ელ სექტემბერს შეუწყვიტა, ზეპირი შეთანხმების საფუძველზე კი რამდენიმე დღის წინ განუახლა, თუმცა ამ დროისათვის აბონენტთა უმრავლესობას ბუნებრივი აირი არ მიუღია.

## მართლმადიდებლებმა ახალი წელი აღნიშნეს

მართლმადიდებლურმა სამყარომ 14 სექტემბერს ეკლესიური ახალი წელიწადი აღნიშნა.

ეკლესიური ახალი წელიწადი ქრისტეს შობიდან 313 წელს დადგინდა, მას შემდეგ, როცა რომის იმპერატორმა, კონსტანტინე დიდმა გამოსცა ედიქტი ქრისტიანობის უფლებამოსილ რელიგიად გამოცხადების შესახებ და ქრისტიანებს სარწმუნოების აღსარების სრული თავისუფლება მიენიჭა.

„ამ მოვლენის აღსანიშნავად, უძველესი დროიდან ეკლესიაში წელიწადის ათვლა 1-ელი სექტემბრიდან იწყება (ძველი სტილით — 14 სექტემბრიდან). ამ დღეს წმინდა ეკლესია ქვეყნის შემოქმედს შესთხოვს, „აკურთხოს გვირგვინი წელიწადისა“, — აღნიშნეს საპატრიარქოში.

## ქუთაისში პოლიციელი მოკლეს

ქუთაისში ოთხი შეიარაღებული ნიღბიანი პირი სავალუტო პუნქტის მეპატრონეს, ომარ ფხაკაძეს დაესხა თავს, 1.500 ამერიკული დოლარი წაართვა და დაუნდობლად სცემა. იქვე მყოფი საგუშაგო-საპატრულო სამსახურის თანამშრომელი ზაურ ცირეკიძე შეეცადა ფხაკაძეს გამოსარჩლებოდა და ბოროტმოქმედებს წინააღმდეგობა გაუწია. ერთ-ერთმა 32 წლის ზაურ ცირეკიძე ცეცხლსასროლი იარაღით ადგილზე მოკლა.

მომხდარ ფაქტზე ქუთაისის პოლიციამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. ნაცემი ომარ ფხაკაძე ტვინის შერყევით ქუთაისის სამხარეო-კლინიკურ საავადმყოფოში მოათავსეს.

## დამნაშავე უცნობია...

14 სექტემბერს, ღამის 3 საათზე ვაკის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე „შევროლეს“ მარკის ავტომობილში ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს 26 წლის არჩილ ბერუაშვილი, რომელიც ბიზნესმენ ლევან შარაშენიძის დაცვის წევრი იყო. ეს უკანასკნელი „ტოტო-ლოტოს“ მფლობელი და ტოტალიზატორ „აჭარას“ მოწილეა. სამართალდამცველები ვარაუდობენ, რომ მკვლელობა დაქირავებულმა პროფესიონალმა ჩაიდინა. შესაძლოა, კილერს ლევან შარაშენიძის ლიკვიდირება ჰქონდა განზრახული და შეცდომით მისი მცველი მოკლა.

შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია „აკაესის“ სისტემის ავტომატის 26 ტყვიის მასრა. ჯერჯერობით, უცნობი რჩება, უკავშირდება თუ არა მკვლელობა შარაშენიძის ბიზნესს. მიმდინარეობს გამოძიება.

## აშშ-მა 2001 წლის 11 სექტემბრის მე-2 წლისთავი აღნიშნა




აშშ-მა 2001 წლის 11 სექტემბრის ტრაგიკული მოვლენების მეორე წლისთავი აღნიშნა. ორი წლის წინ განხორციელებული ტერაქტის შედეგად ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში 3.000-მდე კაცი დაიღუპა. პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა და მისმა მეუღლემ თეთრი სახლის წინ შეკრებილ ხალხთან ერთად წუთიერი დუმილით მიაგეს პატივი დაღუპულთა ხსოვნას. ნიუ-იორკში, იმ ადგილას, სადაც მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ორი ცათამბჯენი იდგა, სამგლოვიარო ცერემონია გაიმართა, რომელშიც დაღუპულთა ნათესავებმა და ოფიციალურმა პირებმა მიიღეს მონაწილეობა. მოგვიანებით, ამავე ადგილას პროჟექტორები აინთო. ღამის ნიუ-იორკის თავზე ცათამბჯენების სიმბოლო — სინათლის ორი სვეტი აღიმართა.

11 სექტემბრის ტრაგიკულ მოვლენებს მიეძღვნება ცნობილი ქართველი მოქანდაკის, ზურაბ წერეთლის ნამუშევარი, ბრინჯაოს ქანდაკება, რომელსაც ხელოვანი რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმირ პუტინის დაკვეთით ქმნის. მონუმენტს „ბრძოლა მსოფლიო ტერორიზმის წინააღმდეგ“ ჰქვია და იგი ნიუ-ჯერსის შტატში, ჯერსი-სიტიში დაიდგმება.

## მორიგი ინციდენტი ერაყში მსხვერპლით დასრულდა

10 ერაყელი პოლიციელი დაიღუპა და 5 დაიჭრა მას შემდეგ, რაც ამერიკელმა ჯარისკაცებმა მათ ავტომანქანას შეცდომით გაუხსნეს ცეცხლი. ინციდენტი ქალაქ ელ-ფალუჯის მახლობლად მოხდა. წინასწარი ინფორმაციით, პოლიციელები რამდენიმე ჯიპით მისდევდნენ ავტომანქანას, რომელშიც ბანდიტები იმყოფებოდნენ. ამერიკელი სამხედროები ვერ გაერკვნენ მომხდარში და როცა დაინახეს, საკონტროლო-გამშვებ პუნქტთან არც ერთი ავტომანქანა გაჩერებას არ აპირებდა, მათ ცეცხლი გაუხსნეს. სროლის შედეგად ასევე ახლომდებარე ჰოსპიტლის შენობა დაინგრა. ელ-ფალუჯასა და მის გარეუბნებში ვითარება კვლავ დაძაბულია.

ბაღდადიდან დასავლეთით, გზატკეცილის პირას დამონტაჟებულ ნაღმზე ამერიკული ჯიპი აფეთქდა, რის შედეგადაც 3 ჯარისკაცი დაიჭრა. ელ-ფალუჯა ბაღდადიდან ჩრდილო-დასავლეთით, ე. წ. „სუნიტურ სამკუთხედში“ მდებარეობს, რომელიც ერაყის ერთ-ერთ ყველაზე არასტაბილურ რაიონად ითვლება. აქ სადამ ჰუსეინის დამხობილ რეჟიმს ყველაზე მეტი მხარდამჭერი ჰყავს.

## ერაყის დოსიე დაიხურა

ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის უმაღლესმა ხელისუფლებმა გადაწყვიტეს, „ერაყის დოსიეს“ სახელით ცნობილი საქმე დახურულად გამოაცხადონ.

როგორც აღმოჩნდა, დევიდ კეის ხელმძღვანელობით წარმოებული გამოძიება, რომელშიც ორივე ქვეყნის 1.400 სპეციალისტი მონაწილეობდა, უშედეგოდ დასრულდა.

მათ ერაყის ტერიტორიაზე ხანგრძლივი და დეტალური ძებნის მიუხედავად, მასობრივი განადგურების ბირთვული იარაღის საწარმოს კვალიც ვერ აღმოაჩინეს. დასავლური მედია ვარაუდობს, რომ ერაყის დოსიეს გაცნობისა და შესწავლის საშუალება საგანგებო საპარლამენტო კომისიასაც სწორედ ამიტომ არ მიეცა.

## ომი მეშახტეებსა და პოლიციას შორის

პოლონეთის დედაქალაქის ცენტრში მეშახტეებსა და პოლიციას შორის გააფთრებული შეტაკებები გაიმართა. რამდენიმე ათასმა მაღაროელმა ეკონომიკის სამინისტროზე იერიში მიიტანა. დემონსტრანტებმა შენობას და მის ირგვლივ განლაგებულ პოლიციის კორდონებს პეტარდები, ცეცხლგამჩენი ნარევით სავსე ბოთლები და ქვები დაუშინეს. პოლიციამ ცრემლსადენი გაზი და წყლის ჭავლი გამოიყენა.

პოლონეთის ერთ-ერთი რადიოსადგურის ცნობით, დემონსტრანტებმა წყალმტყორცნის გადაბრუნება მოახერხეს. პოლიციელებს შორის არიან დაშავებულები. მეშახტეთა საპროტესტო გამოსვლებში 2.000-მა კაცმა მიიღო მონაწილეობა. დემონსტრანტებმა დემოკრატიული მემარცხენე ძალების კავშირის შენობას საღებავის ქილები დაუშინეს და ფანჯრების მინები ჩაამსხვრიეს.

დემონსტრაციები კვლავაც გრძელდება — უკანასკნელი მონაცემებით, აქციის მონაწილეთა რიცხვი 5.000-ს აღწევს. მეშახტეები პოლონეთის სხვადასხვა რაიონიდან ვარშავაში ავტობუსებით ჩადიან.

## სამხრეთ კორეაში ტაიფუნი მძვინვარებს

სამხრეთ კორეას თავს ძლიერი ტაიფუნი დაატყდა, რის შედეგად 30 კაცი დაიღუპა., 31 კი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება. როგორც იუწყებიან, სტიქიის მსხვერპლთა რაოდენობა გამუდმებით იზრდება.

ტაიფუნმა „მაემმა“, რომელიც სამხრეთ კორეას იაპონიიდან ეწვია, ათასობით შენობა ელექტროენერგიის გარეშე დატოვა. დანგრეულია 32 საცხოვრებელი სახლი. ტაიფუნის მოქმედების ზონაში ქარის სიჩქარე საათში 216 კილომეტრს აღწევდა.

კორეის რესპუბლიკის სამხრეთ რაიონებში შეჩერებულია მატარებლების მოძრაობა, შეწყვეტილია სამრეწველო საწარმოების მუშაობა. ტაიფუნის გამო 18 თევზსაჭერი გემი ჩაიძირა. მოგვიანებით, სტიქიის ეპიცენტრმა ნახევარკუნძულიდან ზღვაში გადაინაცვლა.

## ავტოავარია მსხვერპლით დასრულდა

ირანის ჩრდილო-დასავლეთში, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად, 30-ზე მეტი კაცი დაიღუპა. სახელმწიფო რადიოს ინფორმაციით, სატვირთო ავტომანქანა სამგზავრო ავტობუსს შეეჯახა, რის შემდეგაც ავტობუსის სალონში ბენზინის ავზი აფეთქდა. რამდენიმე წამში ავტობუსი ცეცხლის ალში გაეხვია. ყველა მგზავრი, ასევე სატვირთო ავტომანქანის მძღოლი, დაიღუპა.

ირანის ოფიციალური სააგენტოს, „ირნას“ მონაცემებით, მხოლოდ შარშან საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად ქვეყანაში 22 ათასი კაცი დაიღუპა და 170 ათასი დაშავდა. ეს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

„კვირის პალიტრის“ 35-ე ნომერში (1-7 სექტემბერი) მკითხველის ფოსტის მიმოხილვის („ჩიტის მოტანილი ამბები“) შესავალ ნაწილში, „ჯემალ ჭკუასელის „გამარჯობა, მამას“ ნაცვლად, უნდა ეწეროს: „თემურ ჭკუასელის „გამარჯობა, მამა“.

„კვირის პალიტრის“ ფურცლებზე დაბეჭდილი ეს შესანიშნავი მოთხრობა კარგად ახსოვს ჩვენს მკითხველს, მის შესახებ არაერთი გულთბილი გამოხმაურება მივიღეთ თავის დროზე და მკითხველის პრემიაც სწორედ მისმა ავტორმა, ცნობილმა მომღერალმა, ბატონმა თემურ ჭკუასელმა დაიმსახურა. ავტორი უნებლიე შეცდომისათვის ბოდიშს უხდის ბატონ თემურ ჭკუასელს.

# არჩევნებში დამარცხებულ პოლიტიკოსებს პოლიტიკური სიკვდილი ელით...

უკანასკნელ პერიოდში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, საქართველო შტორმში მოხვედრილ, კურსდაკარგულ და აფრებდალეწილ პატარა გემს ჰგავს. ჯერ-ჯერობით, ეკიპაჟის წევრები მხოლოდ იმაზე დავას სჯერდებიან, თუ ვინ უნდა ებრძოლოს პრეზიდენტს საჭის ხელში ჩასაგდებად. თავის მხრივ, „კაპიტანი" და მისი ამფსონები გემის მართვაზე გაცილებით მეტ დროს და ენერგიას ეკიპაჟში შუღლის გაღვივებას ანდომებენ. ის კიდევ მეორე საკითხია — ასეთ მძიმე მდგომარეობაში გემი „ბუნებრივი კატაკლიზმების" გამო ჩავარდა, თუ მართვის დროს კაპიტანმა დაუშვა საბედისწერო შეცდომები. ამასთან დაკავშირებით ორივე მხარეს საკუთარი ვერსია აქვს. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნები კარზეა მომდგარი, ალბათ ნაკლებ დასაჯერებელია, რომ საქართველოში ხელისუფლებისთვის ბრძოლის გარდა სხვა რამ ხდებოდეს. წინასაარჩევნო კამპანიის იდეა და არსი იმის დამტკიცებაში მდგომარეობს, თუ ვინ არის ღირსეული მოწინააღმდეგე ან მომხრე პრეზიდენტისა, რომელიც აგერ უკვე მერამდენე ათწლეულია, მშვიდად მართავს ქვეყანას და კვლავაც ქართული პოლიტიკის ღერძად რჩება. როგორც ჩანს, სანამ სურვილი ექნება, ასეც გაგრძელდება. ყოველ შემთხვევაში, ოპოზიციას ჯერ მისთვის არ სცალია — აქ ჯერ იმის დადგენა ხდება, ვინ „ფსევდოა" და ვინ „პრო"...

როგორც იტყვიან, „რაც ერი, ის ბერიო". როგორც იტყვიან, თორემ ბერთან პრეტენზიები არა გვაქვს. ქართული ფეხბურთის უახლესი ისტორიაც ტრაგიკული სერიალი გახლავთ, სახელად — „5 მილიონი ჭირისუფალი და 11 მკვდარი", მისი მომდევნო სერიის ფინალის ჩვენება ალბანეთში განსაკუთრებით საინტერესოდ წარიმართა — გაოცებული მსაჯის სასტვენის აკომპანიმენტზე დამარცხებული ქართველები ერთმანეთს დაერივნენ... საქართველოს ხელისუფლება 2 ნოემბრის მოახლოებასთან ერთად სულ უფრო და უფრო ურცხვად ლაპარაკობს ჩვენი ქვეყნის წინსვლასა და განვითარებაზე, სტაბილიზაციაზე, რომელიც უკვე კაცმა არ იცის, რაში მდგომარეობს. ალბათ ამ მხრივ ერთ-ერთ „საუკეთესო მიღწევად" პატიმრების მასობრივი გაქცევა შეიძლება ჩაითვალოს — სამართალდამცველებს ისღა დარჩენიათ, გაქცეულებს ყელგამოწევით ეხვეწონ, ოღონდ დაბრუნდით და ვითომც არაფერი მომხდარა, არაფერს დაგიშავებთო...

**ქართველ პოლიტიკოსებში განათლების დონე დემაგოგიის ხარჯზე იფარება. შედეგად, ვერც ერთი პოლიტიკოსი ვერ დაგისაბუთებთ და ვერ მოგიყვანთ თავისი პარტიის დოქტრინას — შესაბამისად, პარტიებს შორის ურთიერთობები და პოლიტიკოსთა ამა თუ იმ გაერთიანებაში გადასვლა მხოლოდ პირად გამორჩენაზეა აგებული...**

დემოკრატიის შენების გზაზე თანამედროვეობის უდიდესი მიღწევა საქართველოში ორპარლამენტიანი სისტემის დამკვიდრება გახლავთ — უფლებამოსილების ამოწურვის მიუხედავად, საქართველოს პარლამენტი სხდომის დახურვას ვერ ახერხებს... მასობრივი გაცდენების გამო! თუ გავითვალისწინებთ, რომ ცაში ვარსკვლავების კრეფას არც ახალი მოწვევის პარლამენტი დაიწყებს, ალბათ ეს მიღწევა პერმანენტულად გაიზრდება და დროთა განმავლობაში საქართველოს სამი, ოთხი და ხუთპარლამენტიანი სისტემა შეიძლება ჰქონდეს. ასე რომ, თუ აქამდე ჩვენი ქვეყანა გენერლებისა და უმაღლესდამთავრებულების რიცხვით გამოირჩეოდა, უახლოეს მომავალში ყოველი მესამე მოქალაქე დეპუტატი იქნება. შესაბამისად, ყოველ მესამეს დაიცავს იმუნიტეტი, ექნება მაღალი ხელფასი, ბიზნესშემოსავლები და ა.შ. მოკლედ, შვეიცარიასაც დავეწევით და ამერიკასაც გავუსწრებთ.

თუ როგორ და რანაირად — ამის დეტალებზე **სოსო ცინცაძეს** ვესაუბრებით.

**— პარტიებს შორის სასტიკი და დაუნდობელი დაპირისპირების გამო, არჩევნების მოახლოებას საზოგადოება შიშით უყურებს. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ზოგიერთ ქართველ პოლიტიკოსს ეს დაპირისპირება არასოდეს ჰქონია — პარლამენტისკენ მიმავალ გზაზე უკან არაფერზე იხევენ და აღარც მთავრობისა თუ კონკურენტი პარტიის მიმართ საკუთარი, ამაღელვებელი გამოსვლები ახსოვთ...**

— ჩვენი პოლიტიკური სპექტრის ყველაზე დიდი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ მკვეთრად გამიჯნული ფლანგები არ არსებობს. ჩვენი, თუ შეიძლება ითქვას, „პოლიტიკური უბედურება" მაშინ დაიწყო, როდესაც წარსულის შიშით ქართველმა პოლიტიკოსებმა უარი თქვეს თავის მოღვაწეობაში სიტყვა „იდეოლოგიის" ხმარებაზე. არადა იდეოლოგია არანაირად არ შეიძლება მხოლოდ მარქსიზმს ნიშნავდეს. იდეოლოგია არც ეროვნული მოძრაობის დროს არსებულ პარტიებს ჰქონდათ. ის, რაც მათ ამოძრავებდათ — კომუნისტური რეჟიმის მოშორება და ქვეყნის თავისუფლება — მიზანი უფრო იყო, ვიდრე პოლიტიკური პლატფორმა, ანუ იდეოლოგია. როგორც კი საქართველო პირველმავე სახელმწიფომ საერთაშორისო სუბიექტად აღიარა, ამ მიზანმა არსებობის საფუძველი დაკარგა და გაჩნდა საჭიროება უფრო მეტისა — თეორიულად მომზადებული, ქვეყნის განვითარების საფუძვლიანი დოქტრინისა — რაც დღემდე არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ მოუმზადებია. სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ პრესას ყურადღებით ვადევნებ თვალყურს და მკითხველიც დამეთანხმება, რომ მიუხედავად აქტიური წინასაარჩევნო პერიოდისა, პრაქტიკულად არ შემხვედრია არავითარი პოლიტიკური დოქტრინა. პირადად მე, უკვე ათი წელია, ჟურნალ „პოლიტიკის" რედაქტორი გახლავართ. როდესაც ჟურნალს ვაფუძნებდი, განზრახული მქონდა, იგი საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიების დოქტრინებისა და სტრატეგიის ასპარეზად მექცია. პრაქტიკულად, ჟურნალი დაიხურა, რადგან ყველა პოლიტიკოსი უარს ამბობდა დოქტრინის გამოქვეყნებაზე და ინტერვიუს მოცემას მთავაზობდა. ამის მიზეზი ის არის, რომ ჩვენს პოლიტიკოსებს დოქტრინა, უბრალოდ, არ გააჩნიათ.



ცნობილია, რომ ჰუმანიტარულ მეცნიერებაში ვუნდერკინდები არ არსებობენ — ასეთი მხოლოდ ერთი, პიტი, მახსენდება, რომელიც 23 წლის ასაკში დიდი ბრიტანეთის პრემიერი გახდა. მის წინაპრებში მთელი თაობები იყვნენ გამორჩეული პოლიტიკოსებისა თუ ლიდერებისა და პოლიტიკურ მეცნიერებას ბავშვობიდან ეზიარა. პოლიტიკას, როგორც ყველა ჰუმანიტარულ მეცნიერებას, საბაზისო განათლება სჭირდება და გონების წამიერი განათებით (როგორც ეს ქიმიური ფორმულის აღმოჩენისას ხდება ხოლმე) რუსოს თუ ტალეირანის სტრატეგიას ვერ გააცნობიერებ. ქართველ პოლიტიკოსებში სწორედ განათლების დონე დემაგოგიის ხარჯზე იფარება. შედეგად, ვერც ერთი პოლიტიკოსი ვერ დაგისაბუთებთ და ვერ მოგიყვანთ თავისი პარტიის დოქტრინას — შესაბამისად, პარტიებს შორის ურთიერთობები და პოლიტიკოსთა ამა თუ იმ გაერთიანებაში გადასვლა მხოლოდ პირად გამორჩენაზეა აგებული... ცივილიზებულ ქვეყნებში თეორიული პოლიტიკის გარეშე არ არსებობს პრაქტიკული პოლიტიკა. ასეთ შემთხვევაში ის ინტრიგების მსხვერპლი ხდება, რადგან ზურგს ვერაფერი უმაგრებს.

**— იქნებ, ამიტომაც, თუ საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას გადავხედავთ, „უთანასწორო კონკურენციის" შთაბეჭდილება დაგვრჩება. დაბალი თუ უკვე არარსებული რეიტინგის, გატეხილი სახელის, აშკარა კორუფციის ფონზეც კი, ჭარმაგი პრეზიდენტი კვლავაც ყველას ჯაბნის — როდესაც ყველა დარწმუნებულია, რომ არსებული ხელისუფლება უკანასკნელ დღეებს ითვლის, სწორედ მაშინ მოიკრებს ხოლმე ძალებს...**

— დღევანდელი ოპოზიციის ძირითადი სპექტრის უმთავრესი შეცდომა ის არის, რომ 6-7 წლის წინ შევარდნაძის ანკესზე წამოეგნენ და „ხელმწიფის ნავში" ჩასხდნენ — შედეგად, სათავე დაუდეს იმ მონსტრს, რომელსაც „მოქალაქეთა კავშირი" ჰქვია. ისე გამოვიდა, რომ მათ პოლიტიკაში ეს 6-7 წელი უბრალოდ, დაკარგეს — პოლიტიკაში ეს უმნიშვნელო შუალედი არ გახლავთ. იმის ნაცვლად, რომ ამ პერიოდში იდეოლოგიურად, დამოუკიდებლად ჩამოყალიბებულიყვნენ, რეალურად ეს დრო იმის გარკვევას მოანდომეს, რომ შევარდნაძის ხელისუფლება უვარგისი ყოფილა. ასე რომ არ ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ, გასულ საპარლამენტო არჩევნებს დღევანდელი ოპოზიცია გადამწყვეტი უპირატესობით მოიგებდა. დღეს კი, დაუკვირდით, რა ხდება — მიუხედავად იმისა, რომ არსებული ხელისუფლების რეიტინგი „პლინტუსზე დაბლა" დგას, მიუხედავად იმისა, რომ არსებული რეჟიმისა და სისტემის გაუმართაობასა და კორუფციაზე შინ და გარეთ ყველა ლაპარაკობს, მოსახლეობაში და, სხვათა შორის, ქვეყნის გარეთაც, „შეჩვეული ჭირის პრინციპი" მოქმედებს — ოპოზიციიდან ზოგი რადიკალია, ზოგს არცთუ ნათელი წარსული აქვს, ზოგმა თვითონ არ იცის, რა უნდა და რას მოიმოქმედებს, ხელისუფლებაში რომ მოვა. ამიტომაც, როგორც ჩანს, ხალხს ურჩევნია, საქმე თუნდაც ცუდად, მაგრამ მაინც იმან აკეთოს, ვისაც ეს ხელეწიფება... წინააღმდეგ შემთხვევაში, დღეს შექმნილ ფონზე მთავრობის გადადგომის მოთხოვნით მასობრივი გამოსვლები უნდა გამართულიყო — რაც, დამეთანხმებით, არ ხდება. ხელისუფლების ძლიერება დღეს მისი ოპოზიციის უსუსურობაში და, უფრო მეტიც, უბრალოდ, არარსებობაში მდგომარეობს. დღეს ბევრს ლაპარაკობენ ოპოზიციის გაერთიანებაზე — გადავხედოთ, რა ნიშნით და რა ატმოსფეროში მიმდინარეობდა მსჯელობები და შეხვედრები ოპოზიციური კოალიციის, ასოციაციისა თუ მეჯლისის შექმნის თაობაზე — დღისით ერთმანეთის გვერდით მაგიდასთან ისხდნენ მწვავედ დაპირისპირებული ძალები და მთავრობას ლანძღავდნენ, საღამოს კი ეს ყველაფერი რომელიმე ტელევიზიის ღამის ეთერში ახლა უკვე ერთმანეთის ლანძღვით მთავრდებოდა. პრობლემა კი ზოგადად, სახელმწიფოს მოდელისა და კვლავ იდეოლოგიის არარსებობაა — ამა თუ იმ პარტიამ პოლიტიკოსი ან მეორე პარტია შეთანთქმისა და გაერთიანების მიზნით კი არ უნდა შეიერთოს, არამედ კოალიციურ, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე. გერმანიას, მაგალითად, დღესაც კოალიციური ძალები მართავენ — საგარეო საქმეთა მინისტრი ერთი პარტიის წარმომადგენელი და ლიდერია, კანცლერი კი მეორესი. ორივე მათგანი იძულებულია, ქვეყანა კომპრომისულად მართოს; წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელისუფლებო კრიზისი წარმოიშვება, რადგან როგორც ერთის, ისე მეორის უკან სერიოზული პოლიტიკური ძალა დგას...

**— მაგრამ, ჩვენს შემთხვევაში, ცოტა არ იყოს, ძნელი წარმოსადგენია, პრეზიდენტი და საგარეო საქმეთა მინისტრი სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები იყვნენ და ქვეყანას კომპრომისებით მართავდნენ...**

— დღევანდელი სახელმწიფოებრივი მოწყობის თანახმად, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი პრეზიდენტის ნდობით აღჭურვილი კურიერი გახლავთ, რომელსაც მხოლოდ ზემდგომი პირის მოსაზრებისა თუ წერილის ამა თუ იმ ქვეყნის ხელმძღვანელისთვის გადაცემა ევალება. ცივილიზებული სამყაროსგან განსხვავებით, საქართველოში პოლიტიკური პოზიცია სამუდამო იმიჯი გახლავთ. წეღან გერმანიის მაგალითი ვახსენე. კვლავ მის გამოცდილებას დავესესხები — იქ ოპოზიციას ხელისუფლება, ხაზინა აფინანსებს. რატომ? იმიტომ, რომ ხვალ შესაძლებელია, მთავრობაში არსებული ძალა აღმოჩნდეს ოპოზიციაში. ჩვენთან კი ოპოზიცია ოპოზიციად არის დაბადებული (ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე ამტკიცებენ) და ოპოზიციადვე მოკვდება. ხელისუფლება კი უფრო მემკვიდრეობითი ცნებაა, ვიდრე არჩევითი — პირადად ჩემთვის, მაგალითად, ძალიან ძნელი წარმოსადგენია, რა უნდა აკეთონ დღეს სახელისუფლებო ბლოკში მოღვაწე პოლიტიკოსებმა, თუ არჩევნებში დამარცხდებიან — ლექციებს წაიკითხავენ პოლიტოლოგიაში? წიგნებსა და შრომებს დაწერენ სახელმწიფოებრივი მოწყობის შესახებ? რასაკვირველია, არა. მათთვის თავის რჩენის ერთადერთი საშუალება ისევ არალეგალურ ბიზნესში მონაწილეობაა, რასაც ხელისუფლებაში მოსვლისთანავე უკვე ოპოზიცია დაეპატრონება. მოკლედ რომ ვთქვათ, მათ არ აქვთ ის, რისი წართმევაც არ შეიძლება — პოლიტიკური განათლება. ჩერჩილი ამბობდა, — კარგი პოლიტიკოსისთვის მთავარი მომავალ თაობაზე ზრუნვაა, ცუდი პოლიტიკოსისთვის — მომავალ არჩევნებში გამარჯვებაო. ქართველი პოლიტიკოსებისთვის მთავარი პარლამენტში მოხვედრაა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, პოლიტიკური სიკვდილი ელით...

**— ახალი საპარლამენტო არჩევნებისთვის გაცხოველებული ბრძოლა მიმდინარეობს, ძველი დახურვას ვერ ახერხებს... გამოდის, რომ საქართველოში რამდენი საპარლამენტო არჩევნებიც გაიმართება, იმდენი პარლამენტი შეგვემატება?**

— სხვათა შორის, დაუჯერებელია, მაგრამ მსოფლიოს ისტორიაში არსებობს პრეცედენტები, როდესაც ქვეყანაში ერთდროულად რამდენიმე პარლამენტი არსებობდა... დღეს ხშირად ამბობენ, რომ საქმე საპარლამენტო კრიზისთან გვაქვს — რეალობაში კი ეს ზოგადად, ქართული პარლამენტარიზმის კრიზისია და თუ შესაბამისი დასკვნები დღესვე არ გაკეთდა, ვშიშობ, რომ მომავალი ოთხი წელი ფუჭად დაკარგული იქნება — რატომღაც, მოდად იქცა პოლიტიკაში „ახალი სახეების" შემოყვანა. პარტიებმა, უბრალოდ, ნადირობა გამოაცხადეს სპორტსმენებზე, მწერლებზე, მსახიობებზე... ამის ერთადერთი შედეგი კი ის იქნება, რომ პარლამენტში მოხვედრის შემდეგ ხალხის ნდობას საზოგადოების ის მცირე ნაწილიც დაკარგავს, ვისაც შეურყვნელი იმიჯი ჰქონდა. ვერავინ დამაჯერებს, რომ სპორტსმენი, რომელიც მთელი ცხოვრება ფეხბურთს თამაშობდა, ერთ მშვენიერ დღეს იურიდიულ ლიტერატურას ჩაუჯდება, ან ფინანსებს და კრედიტებს შეისწავლის. ან, რა უნდა გააკეთოს მოკრივემ პარლამენტში, გარდა იმისა, რომ შედარებით დახვეწილად იჩხუბოს? ქართული პარლამენტარიზმის, და მთლიანად, ქვეყნის პრობლემა დღეს პროფესიონალიზმის ნაკლებობაა. უფრო სწორად რომ ვთქვათ, რესურსები არსებობს, მაგრამ მას არადანიშნულებისამებრ იყენებენ — ეს კი სახელმწიფოებრივი დანაშაულის ტოლფასად მიმაჩნია...

კი ბატონო, შესაძლოა, ვინმემ თქვას, რომ შვარცენეგერიც იყრის კენჭს გუბერნატორობაზე, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ კალიფორნია ამერიკის უმდიდრესი შტატია და მათ შეუძლიათ, თავს ამის უფლება მისცენ. შვარცენეგერი კი არა, ასი წლის მოხუცმაც შეიძლება იყაროს კენჭი, რა ვქნათ, იგივე გავიმეოროთ? ამერიკის კონსტიტუციაში მისი მიღების დღიდან სულ 25 შესწორება შეიტანეს, ჩვენი კონსტიტუცია რამდენიმე წლისაა და სამი ამდენი უკვე ჩასწორებულია; მაგრამ უბედურება ის არის, რომ კიდევ მრავალი ჩასწორებაა საჭირო...

**მოდად იქცა პოლიტიკაში „ახალი სახეების" შემოყვანა. პარტიებმა, უბრალოდ, ნადირობა გამოაცხადეს სპორტსმენებზე, მწერლებზე, მსახიობებზე... ამის ერთადერთი შედეგი კი ის იქნება, რომ პარლამენტში მოხვედრის შემდეგ ხალხის ნდობას საზოგადოების ის მცირე ნაწილიც დაკარგავს, ვისაც შეურყვნელი იმიჯი ჰქონდა...**

დღეს პარლამენტში კენჭისყრას ისეთი ადამიანები აპირებენ, რომლებმაც საქართველოს სახელი მთელ მსოფლიოში გაუთქვეს, მაგრამ ამ კონსტიტუციას თავისი ცოდნითა და გამოცდილებით თუ არ ავნეს, ხეირს ვერ დააყრიან... კიდევ ერთი დიდი საფრთხე: თუ წინასაარჩევნო კამპანია და პოლიტიკურ ძალთა გადანაწილება ასე გაგრძელდა, დიდი შანსია, რომ სახელისუფლებო ბლოკს პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა ჰყავდეს, რომლის დახმარებითაც ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება იქნება შესაძლებელი. ვერაფრით წარმომიდგენია, შევარდნაძე ოპოზიციონერი გახდეს. ვერც იმას წარმოვიდგენ, რომ იგი საპრეზიდენტო უფლებამოსილების ამოწურვის შემდეგ პენსიაზე გავა და შვილიშვილებს დაუწყებს დევნას. ამიტომ, გამორიცხული არ არის, საპარლამენტო უმრავლესობის ყოლის შემთხვევაში, ქვეყანაში პრემიერ-მინისტრის პოსტი შემოვიდეს, რომელსაც კვლავაც განუსაზღვრელი უფლებები ექნება — ასეთ შემთხვევაში კი შევარდნაძე ოპოზიციას ამბიციებს დაუკმაყოფილებს და მეორეხარისხოვნად ქცეულ პრეზიდენტის სავარძელს დაუთმობს. მაგრამ ქვეყანას ეს ნამდვილად არ წაადგება, რადგან სისტემა, ფაქტობრივად, უცვლელი დარჩება.

***დაჩი გრძელიშვილი***

# კიდევ ერთი ფიროსმანი



მიუხედავად იმისა, რომ მკაცრი რეალობა ხშირად ყველაზე ლამაზ დღეებსაც კი გვიფერმკრთალებს და ყოველდღიური პრობლემები ამოსუნთქვის საშუალებას არ გვაძლევს, მაინც ყოველთვის არსებობს რაღაც, რაც დღესასწაულს გვიქმნის და გულწრფელი სიხარულის საბაბს გვაძლევს. დღესასწაული არ ჰქვია იმას, რომ ბოლო წლებში ფიროსმანის ამდენი უცნობი სურათი აღმოჩნდა! აი ერთ-ერთიც, იქნებ მხოლოდ ჯერჯერობით უკანასკნელი...

ეს არაჩვეულებრივი სურათი ცნობილ „სააღდგომო ნატურმორტთან“ ერთად აღმოჩნდა. როგორც ჩანს, ტილოები ერთ პირობებში ინახებოდა, ამიტომ ეს პორტრეტიც, როგორც „სააღდგომო ნატურმორტი“ (რომელიც ტელეეკრანიდან იხილეთ), ძალიან არის დაზიანებული და აღდგენას საჭიროებს.

როგორც მხატვარმა თენგიზ მირზაშვილმა გვითხრა, უცნობია, თუ ვინ არის გამოსახული ამ პორტრეტზე. ფიროსმანის ეს სურათი უახლოვდება მის ცნობილ ალექსანდრე გარანოვის პორტრეტს. მარჯვენა კუთხეში სურათს ახლავს მხატვრის ხელმოწერა ქართულად.

ვბეჭდავთ ფიროსმანის აქამდე უცნობ სურათს — ეს კიდევ ერთი საჩუქარია ჩვენი მკითხველისათვის.




# გიგა ლორთქიფანიძე ისევ გააცოცხლებს ნოდარ დუმბაძის გმირებს...

## რეპორტაჟი გადასაღები მოედნიდან

კარგა ხნის იძულებითი დუმილის შემდეგ, ისევ ახმაურდა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ პავილიონები. გამოჩნდნენ ადამიანები, რომელთა შემწეობით ჩვენმა რეჟისორებმა თაროზე შემოდებულ სცენარებს მტვერი მოაცილეს და სატელევიზიო თუ სრულმეტრაჟიანი ფილმების გადაღებები დაიწყეს.

ბ-ნი გიგა ლორთქიფანიძე კიდევ ერთხელ დაუბრუნდა მისთვის (და მთელი საქართველოსთვის) საყვარელ მწერალს, ნოდარ დუმბაძეს და გადაწყვიტა იმ ერთგვარი ჯაჭვის გაგრძელება, რასაც ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებების სცენური და ეკრანული სიცოცხლე ჰქვია.

ახალი ფილმის გადამღები ჯგუფი ამჟამად წინამძღვრიშვილის ქუჩაზე მდებარე ერთი ძველებური, თბილისური, აივნებიანი სახლისა და ეზოს „სტუმარია“. ჩვენც იქ შევხვდით დამდგმელ რეჟისორსა და სცენარის ავტორს, ბატონ გიგა ლორთქიფანიძეს, მხატვრებსა და მსახიობებს...

**— ბ-ნო გიგა, თქვენ პირველმა „აჩუქეთ“ სცენური სიცოცხლე ნოდარ დუმბაძის გმირებს. ახლა რას სთავაზობთ მაყურებელს?**

— ნოდარ დუმბაძის პიროვნებასთან და შემოქმედებასთან არის დაკავშირებული მთელი ჩემი ცხოვრება. ბავშვობიდან ვიცნობდით ერთმანეთს. ორივე ვერელები ვიყავით და ორივეს რეპრესირებული ოჯახის შვილები გვერქვა. ერთად გავიარეთ მძიმე ბავშვობა და მძიმე ახალგაზრდობა... ნოდარი რომ დიდი იუმორის და ნათელი გონების კაცი იყო, ყველამ კარგად იცოდა, მაგრამ როგორც მწერალი, მაშინ გაიცნო საზოგადოებამ, როცა ჟურნალ „ნიანგში“ ჯვებე დუმბავას სახელით დაიწყო იუმორისტული ფელეტონების გამოქვეყნება. მე წილად მხვდა ბედნიერება, ერთ-ერთ პირველს წამეკითხა არა სადმე დაბეჭდილი, არამედ რემინგტონზე გადაბეჭდილი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. მაშინ ახალი შერთული მყავდა ქეთინო და დედაჩემი საძინებელში ვერ შემოსულა, არადა, დარდით კვდებოდა თურმე, ხომ არ გაგიჟდაო, ვერაფრით გაეგო, რატომ ვტიროდი და რატომ ვიცინოდი მთელი ღამე. ცხადი იყო, რომ ქართულ მწერლობაში ნიჭიერი კაცი მოვიდა და სრულიად ახალი სიტყვა მოიტანა. იმ პერიოდში რამდენიმე ახალი, საინტერესო სახელი გამოჩნდა ერთდროულად მერაბ ელიოზიშვილის, ოთარ იოსელიანისა და ნოდარ დუმბაძის სახით, რომელთაც ქართულ მწერლობაში უბრალო ადამიანი შემოიყვანეს და ამით ლიტერატურა თავის ძველ ტრადიციას დაუბრუნეს, თუმცა იგი ყველამ ერთსულოვნად როდი მიიღო.





**— ამჯერად რომელი ნაწარმოებების გადაღება გაქვთ განზრახული?**

— ისინი ფართო მკითხველისთვის შესაძლოა ნაკლებად იყოს ცნობილი, მაგრამ თითოეული ძალზე ღრმა და საინტერესოა. ამჯერად ვმუშაობთ მოთხრობებზე: „უმადური“, „ნუ გააღვიძებ“ და „რისი გულისთვის, ღმერთო“. ფილმის ერთი ნაწილი გადაღებულია. ვფიქრობთ, ამ თვეში დავასრულოთ დანარჩენი მასალის გადაღება.

ისე როგორც ყველა შემოქმედი, მუშაობის დროს ბ-ნი გიგაც საკმაოდ მკაცრია, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც მოგვცა საშუალება ორიოდე სიტყვით გავსაუბრებოდით მსახიობებს.

**ქეთევან კიკნაძე:**

— თუმცა მანამდეც მქონდა რამდენიმე საინტერესო როლი სტუდენტურ სცენაზე, მაგრამ ვთვლი, რომ ჩემი შემოქმედებითი ცხოვრება დაიწყო ხატიას როლით გიგა ლორთქიფანიძის „მე ვხედავ მზეში“. სოსოიას გოგი ქავთარაძე თამაშობდა და თუ იქ შეყვარებულები ვიყავით, აქ, ამდენი წლის შემდეგ, როგორც ცოლ-ქმარი, ისე „შეგვყარა“ ლორთქიფანიძე-დუმბაძის შემოქმედებითმა კავშირმა. გოგი არაჩვეულებრივი პარტნიორი იყო იმთავიდან, ასეა დღესაც. გვინდა მაყურებლამდე მივიტანოთ ის მადლიანი ქართული ცხოვრებისეული სიბრძნე, რომელიც ჩვეულებისამებრ დევს უბრალო, რიგით ადამიანებში.

**გოგი ქავთარაძე:**

— სოსოიამ პირველი დიდი წარმატება და აღიარება მომიტანა. ქეთინოს „ერთ პატარა ქალაქშიც“ შევხვდი, მაგრამ იქ უშუალო პარტნიორები არ ვყოფილვართ. აქ კი სავსებით სერიოზული სამუშაო გვაქვს. მიყვარს ნიჭიერ რეჟისორთან და მწერალთან შეხვედრა, საქმეც კარგად გამოდის მაშინ. ისე, ქეთინო მეხუმრება ხოლმე, ჩვენ ახლა ლუარსაბის და დარეჯანის როლი უფრო მოგვიხდებაო და თუ ამის პერსპექტივა გამოჩნდება, მაგისთვისაც მზად ვართ.

**თენგიზ არჩვაძე:**

— „უმადურის“ გადაღება კუს ტბაზე, ეთნოგრაფიულ მუზეუმის ტერიტორიაზე, „გურიის“ ფონზე მიმდინარეობდა. თუმცა „უმადური“ მცირე მოცულობის ნოველაა, გუდული ბერეჟიანის სახე საკმაოდ შთამბეჭდავი და ღრმააზროვანია. როგორც წესი, ქართველი გლეხი ბრძენია, ჭკვიანი და ასეთია გუდულიც. მაგრამ მას ასეთივე ჭკვიანი პატარა მეგობარიც ჰყავს... უჩა, სკოლა-სტუდია „ბერიკების“ მოსწავლემ, პატარა მსახიობმა ნიკა კახელმა განასახიერა. ისე ბუნებრივად თამაშობდა, გული გაგინათდებოდა კაცს.

**ნიკა კახელი:**

მე უჩაც ძალიან მიყვარს, გუდუ ბაბუაც და ბ-ნი გიგაც. ყველა მენატრება ხოლმე და მეჩქარება, მალე გაგრძელდეს გადაღებები, რომ სულ მათთან ერთად ვიყო. მეკითხებიან ხოლმე, არ იღლებიო? მე კი სულაც არ მესმის, რატომ უნდა დავიღალო, ყველაფერი ძალიან საინტერესოა და ყველაფერი მომწონს.

ფილმის მხატვრები მამა-შვილი ხუციშვილები გახლავან.

**კახი ხუციშვილი:**

— საოცარი დამთხვევის წყალობით, მე და ნოდარ დუმბაძე ზუსტად ტოლები ვართ. ორივენი 1928 წლის 14 ივლისის დილას ვართ დაბადებულნი. ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი და კარგი ურთიერთობაც გვქონდა. რაც შეეხება ჩემი და ბ-ნი გიგას შემოქმედებით კავშირს, ჩვენ ერთად შვიდი ფილმი გვაქვს გადაღებული. სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ გიორგიც შემოგვიერთდა ჯერ ასისტენტად, მერე — დამდგმელ მხატვრად.

**გიორგი ხუციშვილი:**

— „თუთაშხიას“ გადაღებაზე მამას სულ თან დავდევდი და ყველაფრის შემსწრე ვარ... „თეთრ ბაირაღებზე“ უკვე სერიოზულად ვიმუშავე. აქ კოსტიუმების მხატვარი ვარ, მამა — დამდგმელი მხატვარი. თუმცა ახალ ფილმში დეკორაციების დადგმა არ გვჭირდება, — გარემო პირობებს ვიყენებთ, მაგრამ სამუშაო მაინც თავზესაყრელად გვაქვს.

P.S. ბუნებრივია, გადასაღებ მოედანს ჟურნალისტები არ აკლია, მაგრამ „კვირის პალიტრის“ გამოჩენამ ნამდვილად სასიამოვნო განწყობა შექმნა. — ეს ის გაზეთია, რომლის ყველა ნომერს ბოლომდე გულდასმით ვკითხულობთო, — აღნიშნავდნენ „დუმბაძის გმირები“.

***რეპორტაჟი მიჰყავდა თამარ კაპანაძეს***

## მკითხველის პრემია ✱ მკითხველის პრემია

**ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.** *რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე.*

## წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **ვაჟა გავაშელი** — „ნაჩუქარი სიცოცხლის სამაგიერო“ — 124 ხმა
2. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „როდემდე ვიქნებით წყვდიადში“ — 74
3. **ინგა ჯაყელი** — „ბასარას დარდიანი თვალები“ — 44
4. **ეკა ლომიძე** — „კრიმანჭულმა“, მუნჯურმაც კი გააოგნა უცხოელები“ — 25
5. **ლელა ჯიყაშვილი** — „ისევ დმანისელი ევროპეიდი“ — 23
6. **ირაკლი ალადაშვილი** — „სამხედრო თემაზე“ — 15
7. **ლელა ჯიყაშვილი** — „მსახიობობაზე ვოცნებობდი, მაგრამ თქმას ვერ ვბედავდი...“ — 13
8. **იზო რიკაძე** — „საქართველოს გერბი და ჰიმნი მწვანე დოლარი იქნება“ — 12
9. **დაჩი გრძელიშვილი** — „ყველაფერი ისევ და ისევ ქართველი ძალოვნების უსუსურობის ბრალია“ — 11

მკითხველის პრემიას **ვაჟა გავაშელი** მიიღებს.

***„მკითხველის პრემიის“ მფლობელი 376-მა რესპონდენტმა გამოავლინა***

# სისხლიანი ვენდეტა ვაკეში

ვაკე ისევ რისკის ზონაა. ერთი შეხედვით გავრცელებული აზრი, რომ 90-იანი წლების „საძმოები“ წარსულს ჩაჰბარდა, დროებითი მირაჟი აღმოჩნდა. გასულ კვირას ვაკეში, კაფე-ბარ „ლაბიგასთან“, მომხდარმა მკვლელობამ გამოკვეთა, რომ დღეს ვაკის რაიონი პირტიტველა ბიჭების ე.წ. „სასტავებად“ არის დაყოფილი, რომელთა შორის დაპირისპირება ცემით, დაჭრით ან სულაც მკვლელობით მთავრდება. „კავსაძის სასტავი“, „ზემო ვაკე“, „ბარნოვის სასტავი“, „მოსაშვილის ბიჭები“, „ყიფშიძის სასტავი“, — ამათ შორის ყველაზე ძლიერად მოსაშვილის „სასტავს“ ასახელებენ. ითქვა, რომ ჩამოთვლილებში ყველაზე „დამთბარი“ ურთიერთობა მოსაშვილისა და კავსაძის საძმოებს აქვთ. დანარჩენებისთვის უმიზეზო შეკამათება და საქმის „გარჩევა“ არცთუ იშვიათია. ამას გასული კვირის მკვლელობათა სერიაც ადასტურებს. სამწუხაროდ, არ არის გამორიცხული, იგი კიდევ გაგრძელდეს. ქვეყანაში არსებული დაუსჯელობისა და განუკითხაობის ფონზე კი, ჩანს, სისხლის აღების წესმა სვანეთიდან ვაკეში გადმოინაცვლა.

... „ლაბიგაში“ ტატო და „ჯორდანა“ შემთხვევით შეხვედრიან ერთმანეთს, შელაპარაკებულან. ჯორდანა წასულა და ცოტა ხანში იარაღით მობრუნებულა ძმაკაცთან ერთად. გარეთ გამოუხმია ტატო. ჯორდანას უთქვამს: ქურიძის მისაღებს მიიღებო? ტატოს წარბიც არ შეუხრია: „რაზეა ლაპარაკი, ის ჩემი ძმაკაცია...“ ამის შემდეგ ჯორდანას ტატოსათვის ფეხებში უსროლია. წაქცეულ ტატოს მეორე ტყვია ზურგში ესროლეს, იგი ჯერ ისევ ცოცხალი იყო. ჯორდანასთან მყოფ პირს უთქვამს: რას შვრები, ცოცხალს ტოვებ?! ხომ დაგვხოცეს ყველა!.. ამის შემდეგ ჯორდანამ ტატოს „კანტროლკა“ თავში ესროლა. ვინ ახლდა ჯორდანას, ცნობილი არ არის...“ — ასე აღწერა მომხდარი ტრაგედია მოკლულის ახლობელმა, რომელმაც ვინაობა, ბუნებრივია, არ გაამჟღავნა. მკვლელობის შემდეგ ჯორდანა მიიმალა. არაფრის გულისთვის მოკლული ტატოს მეგობრები გაგიჟებულები იყვნენ. მესამე დღეს წინამძღვრიშვილის ქუჩაზე, №98 ნომერში, იტალიური ტიპის კერძო სახლში ჯორდანა მკვდარი იპოვეს. ის სავარძელში იჯდა. ერთადერთი ტყვია ჰქონდა ნასროლი თავის არეში. ოფიციალური, სამართალდამცველთა ვერსიით, მკვლელობა დაახლოებით ღამის 11 სთ-ზე მოხდა. რა თქმა უნდა, როგორც ხდება ხოლმე, არავის დაუნახავს, ვინ შევიდა იმ საღამოს წინამძღვრიშვილის ქუჩაზე მდებარე სახლში.

ვესაუბრეთ ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურის გამომძიებელს ილო დვალიშვილს. „კვირის პალიტრასთან“ საუბარში მან განაცხადა, რომ შალვა გოგოძე (ტატო) ორ მეგობარ გოგონასთან და ორ ბიჭთან ერთად კაფე-ბარ „ლაბიგაში“ გიორგი ჯიქიას (ჯორდანა) შემთხვევით შეხვდა. თუმცა, ჩვენს ხელთ არსებული არაოფიციალური ინფორმაციებისგან განსხვავებით, ის მოვლენებს სხვაგვარად ჰყვება.

**ილო დვალიშვილი:** — მკვლელობა 6 სექტემბერს, საღამოს საათებში, დაახლოებით 8 სთ-სა და 15 წუთზე მოხდა. დადგენილია, რომ შალვა გოგოძე გიორგი ჯიქიამ PSM-ის ტიპის იარაღით მოკლა. მას 6 ჭრილობა აქვს, მათ შორის, მკერდისა და თავის არეში.

— **არსებობენ თუ არა თვითმხილველები?**

— ფაქტის შემსწრენი კი, მაგრამ რაზე იყო შელაპარაკება, ჩვენთვის ცნობილი არ არის. გადმოცემით



იმ საბედისწერო დღეს ტატო და ჯორდანა აქ ერთმანეთს შემთხვევით შეხვდნენ



გიორგი ჯიქია (ჯორდანა)



შალვა გოგოძე (ტატო)

ირკვევა, რომ მათ შორის დაპირისპირება არსებობდა.

— **ჩხუბი რამდენ ხანს გრძელდებოდა?**

— როგორც ირკვევა, იქ ჩხუბი არ იყო. წამებში განვითარდა მოვლენები და მოჰყვა გასროლა. ფიზიკური შეხება, ჯგუფური ჩხუბი და რაღაც ამდაგვარი არ იკვეთება. გამოძიებით ირკვევა, რომ ტატო იქ შემთხვევით მოხვდა. ის მეგობრებთან ერთად ჯერ „გირჩაში“ მისულა, იქ ადგილი არ იყო და „ლაბიგაში“ გადასულან.

— **მასთან ერთად მყოფი გოგონები რას ამბობენ?**

— მათი თქმით, არანაირი დაძაბულობა არ ყოფილა. როგორც ჩანს, ჯიქია გოგოძეს გაესაუბრა და გარეთ გავიდნენ.

— **როგორ გაარკვიეთ, რომ მკვლელი ჯორდანაა?**

— „ლაბიგას“ უკან მდებარე ბაღში, გასროლის დროს ეზოში გავიდა ორი პიროვნება, რომელთაც, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, არ დავასახელებ. მათ დაინახეს ჯორდანა, იგივე გიორგი ჯიქია, რომელსაც ცეცხლსასროლი იარაღი ეჭირა ხელში და გარბოდა. გარდა ამისა, არსებობენ იმის მოწმეებიც, რომლებმაც დაინახეს, რომ გოგოძე ჯიქიასთან ერთად გავიდა კაფე-ბარიდან. ჯორდანას ბინაში ჩავატარეთ ჩხრეკა, საიდანაც იმავე სისტემის იარაღის ვაზნები ამოვიღეთ, რა ტიპის იარაღითაც გოგოძე იყო მოკლული. ძებნის გამოცხადება ვერ მოვასწარით, რადგან, მესამე დღეს ჯორდანაც მოკლეს.

— **კაფე-ბარში რა მოხდა მკვლელობის შემდეგ?**

— წარმოიდგინეთ, მკვლელობა ისე სწრაფად მოხდა, რომ მეგობრებმა, რომლებიც კაფე-ბარში ისხდნენ, ვერაფერი გაიგეს. როცა მათთან რამდენიმე წუთში პოლიცია შევიდა და უთხრა: „წამობრძანდით ჩვენთან ერთად საკითხის გასარკვევადო“ — აზრზე ვერ მოვიდნენ — რა ხდებოდა. მათ არც სროლის ხმა გაუგიათ. კაფეში არც იარაღი უნახავთ. იქ არც კონფლიქტი ყოფილა.

— **მითხარით, რომ ორი მოწმე არსებობსო...**

— ისინი გოგოძესთან ერთად არ იყვნენ „ლაბიგაში“. ამ პირებმა აიღეს სამწვადე ხორცი და მზარეულს მისცეს შესაწვავად. სამზარეულოში თამაშობდნენ დომინოს. კაფეს კარი უკანა ეზოში გადის, სადაც დანაშაული მოხდა. გასროლის ხმა რომ გაიგეს, გავიდნენ. სწორედ მათ ამოიცნეს ჯორდანა, რომელიც იარაღით ხელში გარბოდა. სხვათა შორის, ერთ-ერთი გაეკიდა კიდეც, მაგრამ ვერ დაეწია. პოლიციასაც მათ აცნობეს.

*ამ დაუნდობელი მკვლელობის უკან წლების წინანდელი დაპირისპირება იმალება, რომელიც ჯორდანასა და ტატოს მეგობარ სანდრო ქურიძეს შორის მოხდა. ეს, სხვათა შორის, ტატოს დედამ, ქალბატონმა ნანული გოგოძემაც დაგვიდასტურა, თუმცა მას არ დაუზუსტებია რომელ ძმაკაცზე იყო საუბარი: „მე ვიცი, რომ ხუთი-ექვსი წლის წინ გამოესარჩლა ჩემი შვილი თავის მეგობარს. როგორც მითხრეს, ჯორდანა უსამართლოდ მოექცა ჩემი შვილის მეგობარს. აი, ეს ღვარძლი ხუთი თუ ექვსი წელი ატარა. მე ვიცოდი, რომ შეარიგეს. მეტი არაფერი ვიცი...“*

**პიროვნება, რომელმაც ასევე არ ისურვა ვინაობის დასახელება:** — ჯორდანა „ბეზპრიძელნი მასტი“ იყო. ეს იცით რას ნიშნავს? არავის რომ პატივს არ სცემს. თვითონ წყვეტდა ყველაფერს — ვინ იყო მართალი, ვინ — მტყუანი. ტატო რომ მოკლა, ორი დღის შემდეგ ტატოს ერთ-ერთ მეგობარს „ბატკანას“ დაურეკა და უთხრა: ახლა მე პოლიციელი შევუშვი ტატოს პანაშვიდზე, მისი მეგობრების სია უნდა გავაკეთო და იმ სიის მიხედვით უნდა გავაგრძელო თქვენი დახოცვაო. პირველი სიაში „ბატკანა“ მოყოლილა, მეორე — პაპუნა. ბიჭები სერიოზულად იყვნენ შეშინებულები, რადგან ჯორდანას უკვე ძალიან გარეკილი ჰქონდა... მაგრამ ვინ მოკლა ჯორდანა, მართლა არ ვიცით.

— **ტატოს ძმაკაცს და ჯორდანას მართლა ჰქონდათ წლების წინ უსიამოვნება? რაზე მოუვიდათ ჩხუბი?**

— ეს არის ქურიძე. არ ვიცი, ჩხუბი რაზე მოუვიდათ. ვიცი, რომ ერთხელ ამან სცემა, მეორედ — იმან. ტატო ქურიძის ძმაკაცი იყო და, რა თქმა უნდა, მის მხარეს დაიჭერდა. ტატო ძლიერი იყო ფიზიკურად და ჯორდანას ერეოდა.

— **ერთი უბნელები იყვნენ?**

— უბნელები, როგორ... ჯორდანა საბურთალოელიც იყო. ვაკეში, ჯერ ყიფშიძეზე ცხოვრობდა, შემდეგ — ფალიაშვილზე, დიღომშიც ცხოვრობდა. ზოგი ინფორმაციით, ჯორდანა სამართალდამცველებთან იყო ახლოს.

— **ითქვა, რომ რამდენიმე წლის წინ ტატომ დაჭრა ჯორდანა, მართალია?**

— ჰო, დაუჭრია, მაგრამ შერიგდნენ... ბოლო ჩხუბი სანდრო ქურიძესთან დაახლოებით ექვსი თვის წინ ისევ მოუვიდა. „თბილისობაზეც“ იჩხუბეს.

— **მართლა ასე უთხრა, ქურიძის მისაღებს მიიღებო?**

— „ქურიძის ტყვიას მიიღებო,“ — ასე უთქვამს.

— **რა უსწრებდა ამ სიტყვებს?**

— „ლაბიგაში“ შელაპარაკება.

— **აკი არ ყოფილა შელაპარაკება „ლაბიგაშიო“...**

— როგორ არ ყოფილა, იყო. მერე გავიდნენ, უკან ბაღში და იქ ესროლა.

*ვაკეში, სანაცნობო წრეში დაგვიდასტურეს, რომ დაპირისპირება სამი თვის წინ განახლდა. სხვათა შორის, ითქვა ისიც, რომ ჯორდანა ზემოთ ნახსენები ე.წ. „სასტავების“ მხრიდან მორჩილებას მოითხოვდა, რაც ხშირად დაჭრით მთავრდებოდა.*

**სანაცნობო წრე:** გულახდილად რომ გითხრათ, პირველი ჩხუბი ყიფშიძეზე მოხდა სამი თვის წინ ტატოსა და ჯორდანას მეგობრებს შორის.

— **ქურიძეს გულისხმობთ?**

— კი.

— **რატომ?**

— ეგ აღარ ვიცი. ჩვეულებრივი შელაპარაკება იყო. არანაირი დაზიანება, დაჭრა არ ყოფილა. ამის შემდეგ გავიდა სამი თვე. მათ ერთმანეთი არ უნახავთ. ერიდებოდნენ. ამ საბედისწერო დღეს შემთხვევით შეხვდნენ. ჯორდანამ უთხრა ტატოს — „შენ ხომ სანდრო ქურიძის მეგობარი ხარო“, მიიღე შენი მეგობრის მაგივრადო, ამოიღო იარაღი და ესროლა: ექვსი ტყვია ჰქონდა სხეულში.

— **აკი ხუთი-ექვსი წლის წინ იყო დაპირისპირებაო...**

— ამ ამბავთან ადრინდელი წყენა არაფერ შუაშია. საშინელი ბიჭი იყო ჯორდანა, არავის ინდობდა. დაისვენა თბილისმა.

— **ჯორდანა ბინაში იმალებოდა. გამოდის, რომ ვიღაცამ დაასმინა, სადაც იყო...**

— მაგას ვერ გავიგებთ, ვინ ჩაუშვა. ეგ ინფორმაცია ორ დღეში არ გამჟღავნდებოდა. მე ოპერატიული სამსახურის მიწოდებული მგონია, თუ შურისძიება იყო. თუ შურისძიება არ იყო, გამორიცხული არ არის, თავზეხელაღებული ჯორდანა, თვითონ სამართალდამცველებს მოეკლათ.

*ჯორდანას, იმავე გიორგი ჯიქიას მკვლელობის საქმეს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პროკურატურა იძიებს. ვესაუბრებით დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პროკურორს* **ირაკლი წერეთელს.**

— **ბატონო ირაკლი, გიორგი ჯიქიას თავში აქვს ნასროლი ტყვია. თვითმკვლელობა ხომ არ არის?**

— არა, არ არის თვითმკვლელობა.

— **გამოდის, რომ გოგოძის საახლობლოს მხრიდან არის შურისძიება?**

— ერთ-ერთი ვერსია ეს არის, თუმცა არ გამოვრიცხავთ, რომ სხვას გამოეყენებინა ეს შემთხვევა. ამიტომ სხვა ვერსიებზეც ვმუშაობთ.

— **რომელ ვერსიებზე?**

— გამოძიების საიდუმლოებას ნამდვილად ვერ მოგაწვდით.

— **სულ რამდენ ვერსიაზე მუშაობთ?**

— ოთხზე.

— **თუ არსებობენ თვითმხილველები, ვინ შევიდა იმ ბინაში, სადაც ჯორდანა იმალებოდა?**

— ამის თქმა არ შეიძლება.

P.S. **ტატოც დ ჯორდანაც სულ რაღაც 22 წლისანი იყვნენ. ტატოს რამდენიმე წლის წინ ავარიაში ძმა დაეღუპა. შვილზე ნერვიულობამ მამაც იმსხვერპლა. დღეს ტატოს დედა მარტოდმარტო დარჩა.**

**არადა, თბილისში ქუჩური გარჩევები კვლავ გრძელდება, კვლავ იცვამენ დედები შავებს, კვლავ მიდიან ქართველი ბიჭები ამ ქვეყნიდან, ტრაგედიას ახალი ტრაგედია მოაქვს... საქმე მარტო ის არ არის, დამნაშავეს, მკვლელს მივაგოთ სამაგიერო, მთავარია, აღარ გვყავდეს მკვლელი.**

***მარინა მამისაშვილი***

# „ასეთი არაკაცების სიკვდილით დასჯის მომხრე ვარ...“

**ძნელი მისახვედრი არ არის, მსგავსი სოციოლოგიური გამოკვლევის სურვილს რაც გაუჩენდა კვლევით ცენტრს...**

პრეზიდენტის აღშფოთებული და სასოწარკვეთილი „წამონაცდენი“, სიკვდილით დასჯა ცოტა ნაადრევად ხომ არ გავაუქმეთო, ხელზე დაიხვია ოპოზიციამ და თავის სასარგებლოდ დაატრიალა: „ეს რა თქვაო... თავისი სასტიკი ბუნება საბოლოოდ გამოამჟღავნაო... მაგას „თვითმფრინავის ბიჭების“ ცოდვაც არ მოკითხვიაო ჯერ!“ და ა.შ.

„ჩვენ ქრისტეს მიმდევარი ხალხი ვართ და ბიბლიაში გვიწერიაო, — „არა კაც კლაო!“ — ესეც შეგვახსენეს, მაგრამ ცალმხრივად?!

რატომღაც სიკვდილით დასჯის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის ერთ განსხვავებას ვხედავ მხოლოდ: „გამწარებულები“ და „ჯერ კიდევ გაუმწარებლები“... სამწუხაროდ, დღევანდელ საქართველოში „გამწარებულთა“ კატეგორია ბევრად მეტია და ამიტომ გამოვიდა სიკვდილით დასჯის აღდგენის მომხრე 87% (კვლევა დასავლეთ საქართველოში ჩატარდა)...

ისინი უბრალო ადამიანები არიან, ჩვენ გვერდით ცხოვრობენ და სიხარულზე მეტს დარდს ატარებენ მოხრილი მხრებით: მათ ძარცვავენ, აყაჩაღებენ, ბოლოს და ბოლოს, ხოცავენ და ამაოდ დაეძებენ მერე სამართალს უკანონობით დაქცეულ ქვეყანაში:

**ვაჟა** (58 წლის): „ძმისშვილი მომიკლეს, 23 წლის უდანაშაულო ბიჭი, მანქანის წართმევა დაუპირეს და წინააღმდეგობა გაუწია, ტყვიით დაცხრილეს. ორი წელია მისი მკვლელი ვერ იპოვეს და თავისუფალი დადის. ლაშას ფეხმძიმე, 20 წლის ცოლი დარჩა... მე ასეთი არაკაცების სიკვდილით დასჯის მომხრე ვარ!..“

**ლილი** (48 წლის): „ჩემი დედამთილ-მამამთილი ყაჩაღებმა „დააუთოეს“, ჩვენ რუსეთში ვცხოვრობდით და ეგონათ, მილიონებს ვაგზავნიდით... დედამთილი მაშინვე დაიღუპა, მამამთილი — ორიოდე თვეში. იმ ყაჩაღების მსგავსი არაკაცები აუცილებლად უნდა დაისაჯონ სიკვდილით!..“

**ლეილა** (53 წლის): „ჩემს მეზობელს ისე დაუცალეს სახლი, თითზე გადასახვევი არაფერი დაუტოვეს, არადა პატიოსანი შრომით და წვალებით ჰქონდა ყველაფერი შეძენილი, განა ყაჩაღობით და ქურდობით?! დაარტყა გულმა და მოკვდა ჯავრით. მე მის გამამწარებლებს აუცილებლად დავსჯიდი სიკვდილით!..“

**რეზო** (32 წლის): „იარაღი მაქვს და ყაჩაღად მოსულს დაუფიქრებლად მოვკლავ. ამ მთავრობის იმედი არა მაქვს და იმიტომაც, რომც დაიჭირონ, ცოტა ხანში სხვა სახელით და გვარით გამოუშვებენ კაცის მკვლელსაც კი. პოლიციელები ქურდებთან და კრიმინალებთან არიან შეკრულები, თორემ პატარა ბავშვის გამაუპატიურებელს ან ადამიანის გამტაცებელს როგორ დავტოვებ ცოცხალს?!“

**მიშა** (41 წლის): „რას გეტყვით, იცი?! მსოფლიოს დიდ ქვეყნებშია სიკვდილით დასჯა და როგორ ფიქრობთ, ქართველებზე ნაკლებად ჰუმანურები არიან ვითომ ისინი?! — ერთის სიკვდილით დასჯა სხვა პოტენციურ დამნაშავეს დააფიქრებს, შეაშინებს და ცოდვასაც გადაურჩება... ღმერთის კანონის მიხედვით, ქურდი და მკვლელი მაინც არ ცხონდება და ცოდვილი მკვდარია მაინც... არავის რომ არ ეშინია, იმიტომაა ამდენი ახალგაზრდა რომ ასცდა კაცობისა და ღმერთის გზას!..“

...დაუსრულებლად შეიძლებოდა გამოკითხულთა ვერსიების მოყვანა, მაგრამ აზრი საერთოა უკვე და ისიც გასაგებია, რამ გამოიწვია მოსახლეობის ასეთი განწყობა — ხალხი დაიღალა გართულებული კრიმინოგენული ვითარების და მუდმივი სტრესის ქვეშ ცხოვრების გამო და დაგროვდა აგრესია, გაჩნდა შურისძიების სურვილი. თანაც შედეგის დანახვა სასწრაფოდ გვინდა, გვავიწყდება ჩვენი ქრისტიანობაც და ჰუმანიზმიც, მაგრამ განა ასე ადვილია შვილმკვდარ დედას მოთმინებაზე ელაპარაკო, ახლობლის დაკარგვით გამწარებულს მკვლელი შეაბრალო და მისი წაწყმედილი სულისთვის ლოცვაც დაავალო?!

ერთხელ მეც ისე გავმწარდი, დაუფიქრებლად ჩავქოლავდი მკვლელს, რომ მეპოვა. ერთი წელიც არ არის გასული, რაც წყალტუბოს რაიონის სოფელ ჯიმასტაროში ალალ გლეხს, რომელსაც გაყიდული ხარის საფასურის წართმევა მოუნდომეს და ფული უკვე დახარჯული აღმოაჩნდა, მომხდურებმა ხელყუმბარა შეუგდეს სახლში. შედეგად 12 წლის გოგონა ვერონიკა ადგილზე გარდაიცვალა, 14 წლის დიდ ფეხბურთზე მეოცნებე და საკმაოდ პერსპექტიულ ბიჭს კი მარჯვენა ფეხი ბარძაყში მოჰკვეთეს...

შემთხვევის ადგილზე მისული მწარედ ავტირდი და ალბათ ცხოვრებაში პირველად ვიგრძენი, რომ შურისძიების სურვილით ანთებულს შემეძლო მომეკლა...

80 წლის მოხუცმა, საოცრად მორწმუნე ვანო პაპამ გამიყვანა გვერდზე და მითხრა: „უფალი ყველას მიაგებს, რაც დაიმსახურა და ვაი მას, ვინც ცოდვილი წარდგება მის წინაშე. ადამიანები სულსწრაფები ვართ და უცებ გვწყურია შურისძიება, მოთმინებას ვკარგავთ, წარმოუდგენლად ბევრად გვეჩვენება მოლოდინში გატარებული ერთი, ორი... ათი წელი, არადა — უფალი სამართალს არ გაამრუდებს, ადრე თუ გვიან ყველას მიეწევა დამსახურებული ბედისწერა... მოეშვი და გებრალებოდეს მკვლელი!..“

ახლა მეც იგივე მინდა ვუთხრა სიკვდილით დასჯის აღდგენის მსურველ 87%-ს და ერთი შემთხვევაც მოვუყვანო იგავად, რომელმაც მე სრულიად შემძრა და მივხვდი, რასაც ნიშნავს უფლისმიერი — „არა კაც კლა!..“

...ორიოდე თვის წინ ახალგაზრდა კაცი დაიღუპა...

(გაგრძელება იხ. გვ. 11)

# ენერგომამეებმა ელექტროსადგურებს ენერგიის გამომუშავება წამგებიანი გაუხადეს





როგორც „კვირის პალიტრის“ წინა ნომერში დაგპირდით, ვაგრძელებთ საქართველოში დაუსრულებელი ენერგოკრიზისის მიზეზების შესახებ საუბარს. ასევე შევეცდებით იმ გასაიდუმლოებული მექანიზმის გაშიფვრასაც, რომელსაც სახელად „ენერგეტიკაში ფულის გათეთრება“ ჰქვია. ჩვენი აზრით, სწორედ ეს არის უმთავრესი თუ არა, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ დღესაც ჩაბნელებულ სახლებში ვსხედვართ და ამ სტრიქონების ავტორს ცხონებული ბებიაჩემის ნაქონი ლამპის მკრთალ შუქზე უწევს 21-ე საუკუნეში სტატიის წერა.

წინა სტატიის გამოქვეყნების შემდეგ, გულის სიღრმეში მაინც მჯეროდა, რომ საქართველოს ენერგომამეები იმ სტატიას წაიკითხავდნენ, სინდისი შეაწუხებდათ და ელექტროენერგიას უწყვეტად თუ არა, მცოცავ-მხოხავი გრაფიკით მაინც მოგვაწვდიდნენ. ნურას უკაცრავად! მცოცავი გრაფიკიც სანატრელი გაგვიხადეს. მე და თქვენ ვინ დაგვეძებს, როცა ელექტროენერგია სასიცოცხლო ობიექტებსაც კი არ მიეწოდება...

სანამდე უნდა ვიყოთ წყვდიადში?

— ვკითხე „შაორჰესის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრს, ბატონ **ბუხუტი ორჯონიკიძეს**: — ერთმნიშვნელოვნად პასუხის გაცემა ამ რთულ კითხვაზე არავის შეუძლია... ჰესების ტექნიკური და ეკონომიკური მდგომარეობა ყოველდღიურად უარესდება. სანამ საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი ელექტროენერგიის გამომმუშავებელ ობიექტებს არ დაუბრუნებს წარმოებული ელექტროენერგიის საფასურს, მდგომარეობა არ გამოსწორდება. შესაძლოა, დაუჯერებელი გეჩვენოთ, მაგრამ, რაც უფრო უკეთესად მუშაობს ჰიდროელექტროსადგური და მეტ ელექტროენერგიას აწვდის საქართველოს ენერგოსისტემას, მით უფრო უარესდება მისი ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ჩქარდება მისი გაკოტრების პროცესი. ამ მოდელის უკუღმართობაში ციფრებით დაგარწმუნებთ. 2002 წლის მონაცემებით, საბითუმო ბაზარმა ენერგოკომპანიებსა და პირდაპირ მომხმარებლებს მიაწოდა ჩვენ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია, რომლის ღირებულება 635 მილიონ ლარს აჭარბებს. ელექტროსადგურებმა სანაცვლოდ ნაღდი ფულით მხოლოდ 93 მილიონი ლარი მიიღეს. ელექტროენერგიის მწარმოებლამდე ვერ აღწევს მომხმარებლის მიერ გადახდილი ელექტროენერგიის ღირებულების უდიდესი ნაწილი და ამის მიზეზი საბითუმო ბაზარია, რომელიც ზოგიერთ მომხმარებელს გაუმართლებლად იაფად აწვდის ელექტროენერგიას.

— **იქნებ დააკონკრეტოთ?**

— მაგალითად, ფოთის პორტსა და ლუდის ქარხანა „კასტელი საქართველოს“, ელექტროენერგიის შესასყიდ ფასად რატომღაც 2,5 თეთრი აქვთ დადგენილი. ასე იაფად ელექტროენერგიას სხვა ვერც ერთი საწარმო ვერ იღებს. მე არაერთხელ შევხვედრივარ საბითუმო ბაზრის ხელმძღვანელობას, მის გენერალურ დირექტორს, ბატონ ალბერტო სოლისს და მოადგილეს, ჯონ სვინსკოუს. კითხვაზე, თუ იცნობენ ისეთ ქვეყანას, სადაც მწარმოებელი ვერ ღებულობდეს თავისი პროდუქციის საფასურს და უკეთეს შემთხვევაში, 10%-ს აძლევენ-მეთქი, მიპასუხეს — ჩვენ რა შუაში ვართ, თქვენს მთავრობას მიაკითხეთო. მთავრობა კი, რასაც უთმენს ამ ვაჟბატონებს, საკმარისზე მეტია.

— **მაინც რას უთმენს?**

— რაც გითხარით, იმის გარდა, „საქრუსენერგოს“ 2002 წელს საბითუმო ბაზრისათვის იმპორტის რეჟიმით მიუწოდებია რუსეთიდან 87 მილიონი კვტ/სთ, იმერეთის ჰესებთან შედარებით 17-ჯერ ნაკლები. ფაქტობრივად კი, საბითუმო ბაზრიდან 150 პროცენტით აქვს ანაზღაურებული შემოტანილი ელექტროენერგიის ღირებულება. ამიტომ ზედმეტად გადახდილი პროცენტის გამო, შემოტანილი ელექტროენერგია ნაცვლად 5,68 თეთრისა, 8,51 თეთრი დაჯდა. ჩვენთვის კი თითოეული კვტ/სთ-ის ანაზღაურება ერთ თეთრსაც არ შეადგენს. 2002 წელს მომხმარებლისგან ნაღდი ფულის ამოღებამ 43%-ს მიაღწია. საინტერესოა, სად მიაქვს საბითუმო ბაზარს ჩვენი კუთვნილი ფული?

— **საქართველოს ჰიდროელექტროსადგურების ხელმძღვანელები უკმაყოფილებას გამოთქვამთ სადისტრიბუციო კომპანიების მისამართითაც, რატომ?**

— კარგა ხანია აშკარად ლაპარაკობენ ამ კომპანიებში გამეფებულ კორუფციაზე. ლაპარაკი ლაპარაკად რჩება, ხოლო ფულის გაკეთების მექანიზმი თანდათანობით იხვეწება. მათ ერთპიროვნული მონოპოლია მოიპოვეს. საბითუმო ბაზარი დაახლოებით 3 თეთრად ყიდის ელექტროენერგიას სადისტრიბუციო ენერგოკომპანიებზე. ისინი კი თავის მხრივ თითოეულ კვტ/საათს ორ-სამჯერ მეტად ყიდიან მომხმარებელზე. სად მიდის ეს უზარმაზარი მოგება? რას იღებს იქიდან სახელმწიფო ბიუჯეტი? თითქმის — არაფერს.

ფინანსურ მაქინაციებს არც საქართველოს ჰიდროელექტროსადგურების ხელმძღვანელობა ერიდება. ჩვენ ხელთ ჩაგვივარდა საქართველოს კონტროლის პალატის 2002 წლის 8 აგვისტოთი დათარიღებული შპს „ევროპის“ საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შემოწმების აქტი. მასში ვკითხულობთ: „2000 წლის 8 მარტს შპს „ევროპას“ და ს/ს „ლაჯანურჰესს“ შორის გაფორმდა დავალიანების გადაცემის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმად, „ლაჯანურჰესი“ ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციიდან კუთვნილი დავალიანებიდან მილიონ 200 ათასი ლარის ამოღების უფლებას გადასცემდა „ევროპას“. სხვადასხვა ფინანსური მაქინაციის განხორციელების შემდეგ, შპს „ევროპამ“ თანხა სრულად მიიღო, მაგრამ „ლაჯანურჰესი“ არც კი გახსენებია. მიუხედავად ამისა, „ლაჯანურჰესი“ კვლავ აგრძელებს პარტნიორულ ურთიერთობას და შპს „ევროპასთან“ ახალ ხელშეკრულებას აფორმებს ავარიულ-აღდგენით სამუშაოებზე. კერძოდ, „ევროპა“ იღებს ვალდებულებას „ლაჯანურჰესის“ დამბის დაზიანებული კედლის აღდგენითი სამუშაოების შესრულებაზე. სამუშაოების ღირებულება განისაზღვრა 200 ათასი ლარით. მიუხედავად იმისა, რომ „ევროპას“ წესდებით სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების განხორციელება განსაზღვრული არ ჰქონდა და არც სათანადო ლიცენზია გააჩნდა, „ლაჯანურჰესის“ დირექტორმა მაინც გააფორმა მასთან ხელშეკრულება. ავანსის სახით „ევროპამ“ მიიღო 97 ათასი ლარი და აღდგენითი სამუშაოები დღესაც არ ჩაუტარებია... „ლაჯანურჰესის“ ხელმძღვანელობა მაინც აგრძელებს თანამშრომლობას „ევროპასთან“ და საბითუმო ბაზრისგან ახლა უკვე ვალის — 190 ათასი ლარის მოთხოვნის უფლებას უთმობს „ევროპას“.

ჩვენ დავუკავშირდით საქართველოს პარლამენტის ენერგოკრიზისის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელს, ბატონ **გივი მთვარელაძეს**. მან ფულის გათეთრების მექანიზმი აგვიხსნა: — არსებობს კონკრეტული სახელმწიფო საბიუჯეტო ორგანიზაცია, რომელსაც მეორე, ასევე საბიუჯეტო ორგანიზაციის ვალი აქვს. ხშირად ვალი საბუთების გაყალბების ხარჯზეა შექმნილი. პირველი ვალს მიზერულ თანხად კერძო კომერციულ ორგანიზაციას უთმობს. სამივე სუბიექტი წინასწარ არის შეთანხმებული, რომ კომერციული ფირმა, რომელმაც ვალი გადაიბარა, უჩივლებს საბიუჯეტო მოვალე ორგანიზაციას და იგიც შეგნებულად წააგებს სასამართლოში პროცესს — მას დაეკისრება ვალის გადახდა. თავის მხრივ, ვალის მიმღები ამ მაქინაციაში ჩართულ ყველა სუბიექტს (რომელიც შეიძლება სამზე მეტიც იყოს) აძლევს თავ-თავის წილს, რომელიც შეიძლება რამდენიმე ასეული ათასი ლარიდან ათ და მეტ მილიონ ლარსაც შეადგენდეს.

— **ასეთი ფინანსური მაქინაციების შესრულებას უბრალო მოკვდავი ვერ გაბედავს. ვინ დგას მათ უკან?**

— აქ უფრო მაღალი რანგის ჩინოვნიკების ხელი ურევია...

ჩვენ საქართველოს პარლამენტის ენერგოკრიზისის შემსწავლელ დროებით საგამოძიებო კომისიაში ენერგეტიკაში ფულის გათეთრების რამდენიმე დაფიქსირებულ ფაქტს გავეცანით. მაგალითად, ს/ს „იბერია პრაიმ კაპიტალი“ სწორედ ის კომერციული ორგანიზაციაა, რომლის ძირითად საქმიანობას ვალების გადაბარების გზით ფულის გათეთრება წარმოადგენს (მოვიპოვეთ საბუთები, საიდანაც შევიტყვეთ „იბერია პრაიმ კაპიტალის“ დამფუძნებელთა ვინაობა. ესენი არიან: ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი დავით ზუბიტაშვილი, „საქენერგოს“ ყოფილი გენერალური დირექტორი ვაჟა მეტრეველი, „საქენერგოგენერაციის“ გენერალური დირექტორი ნოდარ ბადურაშვილი, „საქნავთობის“ გენერალური დირექტორი რევაზ თევზაძე. „რემერენერგოდანადგარის“ დირექტორი ბეგლარ მახარაშვილი და სხვები. — ზ. ჩ.). ორგანიზაცია სისტემატურად აწარმოებდა სხვადასხვა ფინანსურ ოპერაციას, თუმცა დღემდე არ არის რეგისტრირებული როგორც დღგ-ის გადამხდელი. 1999 წელს „საქენერგო“ ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ელექტროენერგიის დავალიანების, 1,6 მილიონი ლარის მოთხოვნის უფლებას უთმობს „იბერია პრაიმ კაპიტალს“. თავის მხრივ, მან ივალდებულა „საქენერგოს“ „თბილსრესისადმი“ დავალიანების გასტუმრება. თუმცა ხელშეკრულების მიხედვით, „იბერია პრაიმ კაპიტალი“ „თბილსრესს“ ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარებიდან ამოღებული მთლიანი თანხიდან მხოლოდ 1 მილიონ 125 ათას ლარს მისცემდა, ხოლო თვითონ 375 ათას ლარს დაიტოვებდა. იმავე წელს ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ხელმძღვანელობას, „ეი-ი-ეს თელასს“, საბითუმო ბაზარსა და „თბილსრესს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, ამიერკავკასიაში რუსეთის არმია თავის ვალს „ეი-ი-ეს თელასისადმი“, 2,5 მილიონ ლარს, გადაუხდიდა „თბილსრესს“. თავის მხრივ, „ეი-ი-ეს თელასს“ „თბილსრესის“ ამავე ოდენობის თანხა ემართა, ანუ „ეი-ი-ეს თელასი“ თავის ვალს უთმობდა „თბილსრესს“. ბუნებრივია, ყველაფერი შეთანხმებისამებრ უნდა გაკეთებულიყო, მაგრამ ერთ დღეს „ეი-ი-ეს თელასი“ ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ხელმძღვანელობას მიმართავს წერილით და სთხოვს, 2,5 მილიონიდან 1,5 გადაურიცხოს „იბერია პრაიმ კაპიტალს“ და კიდევ 1 მილიონი კი „ორლანდო ჰოლდინგს“. ამას იმით ასაბუთებს, რომ „იბერია პრაიმ კაპიტალმა“ „თელასისადმი“ ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების დავალიანება გაისტუმრა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ორივე ფირმის ხელმძღვანელი ერთი და იგივე პირი, მირიან ცხვარაძე იყო. ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ხელმძღვანელობა ანგარიშსწორებას აწარმოებს მითითებულ ფირმებთან, მაგრამ შემდეგ „ეი-ი-ეს თელასმა“ ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარებს ვალი არ ჩამოაწერა. გამოძიებამ დაადგინა, რომ „ეი-ი-ეს თელასიდან“ გაგზავნილი წერილები ყალბი იყო. სწორედ ამ მაქინაციას უკავშირებს თბილისის პროკურატურა „ეი-ი-ეს თელასის“ ფინანსური დირექტორის, ნიკა ლომინაძის მკვლელობას (ამ საქმის ზოგიერთი დეტალის შესახებ „კვირის პალიტრა“ ა.წ. 24-ე ნომერში წერდა სტატიაში „შესაძლოა, ნიკა ლომინაძის მკვლელობა გაიხსნას?!“)...

**ენერგომამეები ენერგეტიკული აფერით ათი მილიონი ლარის მოხსნასაც კი ახერხებენ. არადა, ეს ფული საქართველოში მდებარე ჰიდროელექტროსადგურებს და თბოელექტროსადგურებს ეკუთვნით. ისინი კი მიულებელი ვალების გამო სულს ღაფავენ. ამის გამოა, რომ საქართველო წელს ზამთარს სრულიად მოუმზადებელი შეხვდა.**

ჩვენ კომენტარი ვთხოვეთ „საქენერგო-2000“-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს **კახა ჯაფარიძეს**: — ჩვენი ძირითადი ფუნქცია ვალების ამოღება და იმ ვალების გასტუმრებაა, რომლებიც სხვადასხვა საწარმოსი გვმართებს. ვალების ამოღების მხრივ ძალზე ცუდი მდგომარეობაა — დაახლოებით 500 მილიონი გვაქვს მისაღები. ჩვენი ყველაზე დიდი ვალი, 170 მილიონი ლარი, აქვს გაერთიანებულ სადისტრიბუციო კომპანიას, მაგრამ ვალის გადახდას არ ფიქრობენ. სასამართლოებიც მოვიგეთ და მათ ანგარიშს ყადაღა დავადეთ, მაგრამ ზემოდან გვიბრძანეს, ეგენი ამერიკელები არიან და თავი დაანებეთო. ისინიც აქეთ დაგვემუქრნენ, თუ ვალს მოგვთხოვთ, ჩვენი ელჩი პრეზიდენტთან შევა და თქვენს ამ საქციელს საბოტაჟს უწოდებსო.

— **თქვენ ვალებს ვერ იბრუნებთ, სამაგიეროდ, ამ ვალებს მიზერულ ფასად გადასცემთ სხვა კერძო კომპანიებს, რომლებიც სახელმწიფოს კუთვნილი მილიონების დაბრუნებას ახერხებენ და თვითონვე იჯიბავენ თქვენივე ხელშეწყობით.**

— ვიცი საიდან გაქვთ ეგ ინფორმაცია. ჩვენთან, „საქენერგოში“, მუშაობდა ჩვენივე სარევიზიო ჯგუფი, მაგრამ მისი წევრები, როგორც მექრთამეები და არაპროფესიონალები სამსახურიდან დავითხოვეთ. მათ მიაწოდეს მცდარი ინფორმაცია პარლამენტის კომისიას — თითქოს „საქენერგო-2000“-ის ხელმძღვანელობა ძველი თარიღებით აფორმებს კომერციულ დაწესებულებებზე ვალების გადაბარების ხელშეკრულებას. თითქოს ჩვენ ხელს ვუწყობდეთ მათ ფულის გათეთრებაში. სარევიზიო ჯგუფის წევრებმა ეს საგანგებოდ შეთითხნეს ჩვენთვის ფულის გამოძალვის მიზნით...

გვესაუბრება „საქრუსენერგოს“ გენერალური დირექტორი **შოთა მაისურაძე**: „თქვენი რესპონდენტი, ბუხუტი ორჯონიკიძე დილეტანტია ენერგეტიკის სფეროში. მან უნდა იცოდეს, რომ რუსეთიდან თბოელექტროსადგურებიდან გამომუშავებული ელექტროენერგია შემოგვაქვს და ამიტომ მისი ტარიფიც მეტია საქართველოს ჰიდროელექტროსადგურების გამომუშავებულ ენერგიაზე. ისინი ხომ წყალზე მუშაობენ. მე სულაც არ მსიამოვნებს, რომ საქართველოს ენერგეტიკის საკვანძო ობიექტებს უცხოელები ეპატრონებიან, მნიშვნელობა არა აქვს, ამერიკელი იქნება იგი თუ რუსი — კოლონიზატორი ყველა ერთია. ამიტომ ახლა რუსულ ჩექმას რბილი ფაჩუჩი უნდა ჩამოვაცვათ, რათა თუ ჩაგვწიხლა, არ გვეტკინოს მაინც და იქნებ ელექტროენერგია მოგვაწოდოს“.

დამოუკიდებელ ენერგეტიკოსთა ასოციაციის ერთ-ერთმა წევრმა, ანონიმურობის გარანტიის მიღების შემდეგ, გვიამბო: „თქვენ გცოდნიათ, ვინ არიან „იბერია პრაიმ კაპიტალის“ დამაარსებლები. სწორედ მათი მითითებით გააყალბა „ეი-ი-ეს თელასის“ წერილები ფირმის დირექტორმა, მირიან ცხვარაძემ. ფირმის დამფუძნებლებმა იცოდნენ, რომ „ეი-ი-ეს თელასის“ საქართველოდან წასვლა და რუსული კომპანიის ჩამოსვლა გადაწყვეტილი იყო. ამიტომ ყალბი საბუთებით მითვისებულ 2,5 მილიონ ლარს სწორედ რუსებს დააწერდნენ. შესაძლებელია, რუსები ამ გარიგებას დასთანხმებოდნენ კიდეც, მაგრამ ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ხელმძღვანელობამ განგაში ატეხა. ერთი სიტყვით, რაღაც ვერ გათვალეს ქართველმა ენერგომამეებმა. ეს ამბავი „ეი-ი-ეს თელასის“ ფინანსურმა დირექტორმა შეიტყო და სანამ ამ აფერის რეალურ შემსრულებლებს ხელს დაადებდა, მანამდე თავიდან მოიშორეს“.

აქ მიზანშეწონილად მიგვაჩნია კომენტარი კვლავ **გივი მთვარელაძეს** ვთხოვოთ: „როცა ლომინაძემ ეს აფერა გამოააშკარავა, ბუღალტერს უბრძანა, რუსეთის ჯარების ხელმძღვანელობის ეგ საბუთები შეინახე და ქსეროასლებიც გადაიღეო. სწორედ ამის შემდეგ მოკლეს. მის სამუშაო მაგიდაზე სწორედ აფერის დამადასტურებელი დოკუმენტები ნახეს. თუმცა არც იმას გამოვრიცხავ, რომ „ეი-ი-ეს თელასმა“ ყველაფერი წინასწარ იცოდა“. ახლა კვლავ ჩვენს ანონიმურ რესპონდენტს დავუბრუნდეთ: „სავალდებულო არ არის ენერგომაფიოზებს ენერგეტიკულ კომპანიებში ან საწარმოებში მაღალი თანამდებობა ჰქონდეთ. ისინი შეიძლება მხოლოდ რომელიმე შპს-ის დამფუძნებლები იყვნენ, როგორც ეს „იბერია პრაიმ კაპიტალის“ შემთხვევაშია. ამ ფირმის დამფუძნებლების სიაში პრეზიდენტის ძმისშვილი ნუგზარ შევარდნაძე არ ფიგურირებს, სინამდვილეში კი იგი არის ამ ფირმის „კრიშა“. „იბერია პრაიმ კაპიტალის“ ფიქტიურმა ხელმძღვანელმა მირიან ცხვარაძემ პროკურატურაში დაკითხვისას მხოლოდ თავის თავზე აიღო დანაშაულის მთელი სიმძიმე (პროკურატურაში ეს დაგვიდასტურეს. — ზ. ჩ.), მაგრამ საინტერესოა, სად გააქრო ასე უცბად 2,5 მილიონი ლარი ცხვარაძემ? ალბათ, მიხვდებით, ვის ჯიბეში ჩავიდა. თუმცა რამდენიმე მილიონი რა სალაპარაკოა, როცა მაღალი რანგის ენერგომამეები ყოველწლიურად ერთი ენერგეტიკული აფერით ათი მილიონი ლარის მოხსნასაც კი ახერხებენ. ამაში მათ „საქენერგო-2000“ უწყობს ხელს. მას სხვადასხვა საწარმოდან დაახლოებით ნახევარი მილიარდი ვალი აქვს მისაღები. ამ კომპანიის ხელმძღვანელობა მისაღებ ვალებს სხვადასხვა კომერციულ სტრუქტურას უთმობს მიზერულ ფასად და მათ ფულის გათეთრებას და ლეგალიზაციაში ეხმარება. არადა, ეს ფული საქართველოში მდებარე ჰიდროელექტროსადგურებს და თბოელექტროსადგურებს ეკუთვნით. ისინი კი მიუღებელი ვალების გამო სულს ღაფავენ. ამის გამოა, რომ საქართველო წელს ზამთარს სრულიად მოუმზადებელი შეხვდა. შეუკეთებელი ენერგოტურბინები ერთიმეორის მიყოლებით გამოდიან მწყობრიდან. ამის დასტურია ენგურის ჰიდროელექტროსადგურზე გაუთავებელი ავარიები. შესაძლოა, თვითონ ქართველ ენერგომამეებსაც ჰყავთ დაქირავებული შეიარაღებული ხალხი და მაღალი ძაბვის გადამცემ ხაზებს შეგნებულად აზიანებინებენ, რათა შემდეგ მოსახლეობისა და ხელისუფლების წინაშე თავი იმართლონ. ერთი სიტყვით, „რაო ეესს“ ამ ზამთარში ქართველებმა სანთელი უნდა დავუნთოთ.

P. S. სტატია მზად იყო, როცა ტელევიზიით საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის ახალმა მინისტრმა, მამუკა ნიკოლეიშვილმა დედაქალაქში უშუქობის უმთავრეს მიზეზად მეცხრე ენერგობლოკზე მაზუთის მიმწოდებელი მილების გადაჭრა დაასახელა. „თბილსრესის“ თანამშრომლებს კი აღარც ახსოვთ კარგად, ბოლოს როდის გამოიყენეს მაზუთი საწვავად მეცხრე ენერგობლოკზე. ის მხოლოდ ბუნებრივ აირზე მუშაობს (ამის შესახებ ჩვენი გაზეთის წინა ნომერში დაწვრილებით ვწერდით. — ზ. ჩ.). საინტერესოა, რატომ ცრუობს ენერგეტიკის მინისტრი და რატომ იმიზეზებს ხელოვნურად მოწყობილ დივერსიას, რომელსაც ენერგობლოკის მუშაობაზე გავლენა არ მოუხდენია.

*ზვიად ჩაკვეტაძე*

CMYK

# კრიმინალების „შავი“ ფულის დიდი ნაწილი ქართულ პოლიტიკაში მოედინება...



*ყველას ეგონა, ოპოზიციის ლიდერების შეხვედრები და თათბირები ერთიანი ოპოზიციური ბლოკის შექმნით დასრულდებოდა, რომელიც სერიოზულ კონკურენციას გაუწევდა სახელისუფლებო კოალიციას, მაგრამ ოპოზიციის ლიდერების დამთბარი ურთიერთობები მოულოდნელად გაცივდა — გასული კვირის მცდელობებმაც ფუჭად ჩაიარა. ოპოზიცია ვერ გამთლიანდა, თუმც ამ მხრივ ერთი ნაბიჯი მაინც გადაიდგა. „ტრადიციონალისტებმა“ ბურჯანაძე-დემოკრატების ბლოკთან მოლაპარაკება წარმატებით დაასრულეს. ისინი მალე „გადემოკრატდებიან“. თუმც ოპოზიცია მაინც მიდის კონსენსუსამდე და აღთქმას დებს, ერთმანეთს ლაფი და ტალახი აღარ ესროლონ. ვესაუბრებით „გაერთიანებული დემოკრატების“ ერთ-ერთ ლიდერს, პარლამენტის ვიცე-სპიკერს,* **ᲒᲘᲒᲘ ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲡ,** *რომელსაც უპირველეს ყოვლისა ამ მოწვევის პარლამენტის მუშაობის შეფასება ვთხოვეთ.*

— პარლამენტს ჯერ არ დაუსრულებია მუშაობა და იმედი მაქვს, რამდენიმე საჭირბოროტო საკითხს კიდევ გადაწყვეტს. დასანანია, რომ მან ამ 4 წლის განმავლობაში ვერ მოახერხა მოსახლეობის ნდობის მოპოვება. ამაში ბრალი ჩვენს დეპუტატებსაც მიუძღვით, რადგან მოსახლეობა ხშირად გამხდარა მათი არაეთიკური საქციელის, არაპროფესიონალიზმისა და კონფორმიზმის მოწმე. თუმცა არც აღმასრულებელ ხელისუფლებას დაუკლია ხელი — მას შემდეგ, რაც უმრავლესობა დაიშალა, ის ყოველნაირად ცდილობდა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დისკრედიტაციას, რომ პარლამენტი ყველაზე უვარგის სახელისუფლებო შტოდ წარმოდგენილიყო და ყველაფერი მას დაჰბრალებოდა. ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში აღმასრულებელი ხელისულების მაკონტროლებელი პარლამენტია, მაგრამ საქართველოს მთავრობა ამას ვერ ეგუება. რაკი აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი პრეზიდენტია, ამიტომაც ხშირად გაისმის, როგორ შეიძლება რომელიმე ორგანო მასზე ზემოთ დადგესო?! ვწუხვარ, რომ პარლამენტარი ღირსეული ადამიანის სინონიმად ვერ იქცა. გული მწყდება, რომ ვერ განხორციელდა საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმა. ეს რომ მომხდარიყო, საარჩევნო კომისიებში ზოგიერთ პოლიტიკურ ძალასა და ხელისუფლებას ხმების 2/3 არ ექნებოდა...

ხელისუფლება არჩევნების ერთპიროვნული გაკონტროლებისთვის იბრძვის და ეს პროცესი არ შეიძლება ჩვენს ქვეყანას სასიკეთოდ წაადგეს. თუ დემოკრატიულ და სამართლიან არჩევნებს მშვიდობიანად ჩავატარებთ და პოლიტიკურ პარტიებს შორის დაპირისპირება დასრულდება, საქართველოს ექნება მომავალი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ევროპაც ზურგს შეგვაქცევს და შეერთებული შტატებიც. ხელგაშლით მხოლოდ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი შეგვეგებება — საქართველო ისევ რუსეთის კერძი გახდება. ისე არ გამიგოთ, თითქოს ამას რუსეთისადმი ანტაგონიზმი მალაპარაკებს. რუსეთი პარტნიორად, კეთილ მეზობლად გვინდა და არა — მტრად...

— **სახელისუფლებო ბლოკიდან ხშირად გაისმის, რაც პარლამენტის თავმჯდომარედ ნინო ბურჯანაძე მოვიდა, საკანონმდებლო ორგანო, ფაქტობრივად, უუნარო გახდაო.**

— ამაში არის სიმართლის მარცვალი... ზურაბ ჟვანია მართლაც კარგი პარლამენტის თავმჯდომარე იყო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნინო ბურჯანაძეა ცუდი სპიკერი. უბრალოდ, მათ პარლამენტის თავმჯდომარეობა სხვადასხვა დროს მოუწიათ.

ზურაბ ჟვანიას წასვლა „მოქალაქეთა კავშირის“, ანუ უმრავლესობის დაშლას დაემთხვა. ნინოს დაქუცმაცებული, ფრაგმენტული პარლამენტი დახვდა, სადაც მეტისმეტად გართულებული იყო გადაწყვეტილებების მიღება და პოლიტიკურ ძალებს შორის ძლიერი ანტაგონიზმი სუფევდა. დღესაც მიმდინარეობს სპიკერატთან ბრძოლა, არაერთხელ გაისმა მუქარა და მოთხოვნა ჩემი და ნინო ბურჯანაძის გადაყენებისა. ჩვენი ზოგიერთი კოლეგა თავს მოვალედ მიიჩნევს, პრეზიდენტსა და ხელისუფლებას დაანახვოს, როგორ უპირისპირდებიან მისი გულისთვის სპიკერატს...

— **პარლამენტართა რაოდენობის შემცირების იდეას თუ იზიარებთ?**

— ამ იდეის „შემოგდებით“ ხელისუფლება ისევ პარლამენტის დისკრედიტაციას ცდილობს — თითქოს რაკი 230 დეპუტატი გვყავს და არა — 150, იმიტომ არის ქვეყანაში უპენსიობა, უშუქობა და სხვა პრობლემა. ვერ ვიტყვი, რომ დღევანდელ პარლამენტში ყველა ღირსეული დეპუტატია. დეპუტატების რიცხვის შემცირებამ უფრო ხარისხიანი პარლამენტი უნდა მოგვცეს. ამასთან, დეპუტატების რაოდენობა იმდენად არ უნდა შემცირდეს, რომ პარლამენტში მოხვედრის შანსი მხოლოდ ფულიან ხალხს ჰქონდეს.

— **მომავალი პარლამენტის შემადგენლობაზე უკვე საგანგაშო პროგნოზი კეთდება — იმდენი დამნაშავე აპირებს გაპარლამენტარებას, ახლანდელი სანატრელი გახდებაო.**

— მეც ვხედავ ამ საშიშროებას. კრიმინალური სამყარო ძალზე გააქტიურებულია, ქვეყანაში დიდი „შავი“ ფული ტრიალებს. საქართველო ამ „ჩრდილში“ ქაოსურად ვითარდება. შემოსავლების დიდი ნაწილი ისევ ჩრდილში რჩება, ბიუჯეტი კი ცარიელია. „შავი“ ფული 3-4-ჯერ სჭარბობს იმ ლეგალურ თანხებს, რომელიც ქვეყანაში ტრიალებს. ცხადია, ამ თანხების დიდი ნაწილი პოლიტიკაში მიედინება. შესაძლოა, პარლამენტში მოხვდნენ ისეთი პირები, რომლებიც დეპუტატის მანდატს ფულის საშუალებით დაეპატრონებიან.

— **გასულ კვირას ოპოზიციური პარტიების ლიდერები მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდნენ. ხომ არ გახდება მათი დიალოგი დიდი ოპოზიციური ბლოკის შექმნის საფუძველი?**

— გაერთიანების იდეას დღევანდელი ვითარების ანალიზი გვკარნახობს. იმ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც ერთად მოვედით პოლიტიკაში, ბევრი საერთო გვაქვს, თითქოს გაერთიანებასაც წინ არაფერი უნდა ედგას, მაგრამ არის ხელისშემშლელი გარემოებები, ძირითადად კი ცალკეულ ლიდერთა ამბიციურობა და მათი ზედმეტი თვითდაჯერებაც. მერკანტილურმა ინტერესებმა მთავარ იდეას არ უნდა აჯობოს. ეს ხელისუფლება უნდა შეიცვალოს.

მივესალმები დიდი ოპოზიციური გაერთიანების შექმნას, მაგრამ ეს არ ხერხდება. თუმცა ტრადიციონალისტების შემოერთება ბურჯანაძე-დემოკრატების ბლოკთან აუცილებლად მოხდება. ოპოზიციური პარტიები ერთმანეთს ეუბნებიან, — ჩემი კარი შენთვის ღიააო,

**მივესალმები დიდი ოპოზიციური გაერთიანების შექმნას, მაგრამ ეს არ ხერხდება. ოპოზიციური პარტიები ერთმანეთს ეუბნებიან, — ჩემი კარი შენთვის ღიააო, მაგრამ როგორც კი მიუახლოვდები იმ „ღია კარს“, უმალ პრობლემები იჩენს თავს.**

მაგრამ როგორც კი მიუახლოვდები იმ „ღია კარს“, უმალ პრობლემები იჩენს თავს.

— **რამდენადაც ვიცი, თქვენ მთაწმინდაზე „ნაციონალი“ კონკურენტი გყავთ. ვინ აპირებს თქვენთან დაპირისპირებას?**

— ჯერჯერობით, არ მიმიღია გადაწყვეტილება, ვიყრი თუ არა კენჭს მთაწმინდაზე. „ნაციონალებმა“ იქ მაჟორიტარობის კანდიდატად ჩემი მეგობარი ლადო ჭიპაშვილი დაასახელეს. ვისი კანდიდატურაც უნდა დასახელდეს, მათგან 80% მაინც ჩემი მეგობარი იქნება. ვფიქრობ, ეს საკითხი შესათანხმებელია, რათა ერთმანეთს ხელი არ შევუშალოთ. ჩვენი დაპირისპირებით ხელისუფლება იხეირებს.

— **კულუარებში ამბობენ, შესაძლოა პრეზიდენტმა სახელისუფლებო ბლოკის გარდა, ოპოზიციაშიც მოიძიოს დასაყრდენი ძალაო.**

— ნებისმიერი ქვეყნის პრეზიდენტი უნდა ცდილობდეს ყველა პოლიტიკურ ძალასთან თანამშრომლობას. ის, რაც დღეს ხდება, — ძალაუფლების შესანარჩუნებლად ურთიერთდაპირისპირება — ძალზე ცუდად მოუტრიალდება ჩვენს ქვეყანას. პრეზიდენტი და პოლიტიკური ელიტა ნაცვლად იმისა, ერის გამთლიანებაზე ფიქრობდნენ, დაპირისპირების მორევში არიან ჩაძირულნი. პრეზიდენტის პრინციპი — „დაშალე და იბატონე“, „გააერთიანე და იხელმძღვანელეს“ პრინციპმა უნდა შეცვალოს. ამას ალბათ მომავალი პრეზიდენტი გააკეთებს; შევარდნაძეს რომც ჰქონდეს ამის სურვილი, ამას მისი გარემოცვა არ დაუშვებს.

# ჩვენ და ჟვანია ერთნი არა ვართ...

**ჩვენ მაზოხისტები არ ვართ, მათ გამუდმებით ვთავაზობდეთ რაღაცას და პასუხად კი ლანძღვის კორიანტელს ვიღებდეთ. ზოგიერთი პარტიისთვის ჩვენ რადიკალები ვართ, იმიტომ, რომ სათქმელს ბოლომდე ვამბობთ. ცხადია, ისეთი პარტიებისთვის, რომლებიც ზომიერებაზე აკეთებენ აქცენტს, ჩვენი რადიკალიზმი მიუღებელი იქნება. ეს ხალხი ფიქრობს, თუკი რადიკალურ ძალას დაუკავშირდებიან, დაეკარგებათ ის „სავაჭრო ნიშანი“, რაც სხვებისგან განასხვავებთ და ამის გამო მოსახლეობის მხარდაჭერას დაკარგავენ.**

ყველამ შენიშნა, რომ ბოლო დროს მიხეილ სააკაშვილი ყოფილი თანამებრძოლის, ზურაბ ჟვანიას მისამართით ძალზე აგრესიულად ალაპარაკდა. მთავარმა „ნაციონალმა“ დემოკრატთა ლიდერს პრეზიდენტისკენ ცქერა დასწამა... სწორედ ამან აფიქრებინა მის ძველ მეგობარს და ალბათ დანარჩენ ოპოზიციონერ ლიდერებს, რომ ეს უკვე მიჯნა იყო, სიტუაციის მეტი გამწვავება აღარ შეიძლებოდა, რომ ერთმანეთის ჩაძირვით სახელისუფლებო ბლოკის სასარგებლოდ ირჯებოდნენ და ურთიერთლანძღვას დიალოგი არჩიეს. აქედან გამომდინარე, სააკაშვილმაც უკან დაიხია და თქვა, — ჟვანია ჭკვიანი კაციაო.

მართალია, ოპოზიციონერები ერთმანეთისთვის ცუდი რამეების თქმას აღარ აპირებენ, მაგრამ მაჟორიტარულ ოლქებში ჭიდილი მაინც მოუწევთ.

უქმნით თუ არა მათ ძველ მეგობრებთან დაპირისპირება დისკომფორტს, რატომ ჩაიშალა ოპოზიციის გაერთიანება და კიდევ სხვა საინტერესო საკითხებზე „ნაციონალი“ **ᲙᲝᲑᲐ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ** გვესაუბრება.



— **ოპოზიციური გაერთიანების ჩაშლა რატომღაც სააკაშვილს დაჰბრალდა, რატომ?**

— სააკაშვილმა განაცხადა, პირველობაზე უარს ვამბობ და არც კვოტებზე შევქმნი პრობლემას — პარიტეტის პრინციპს დავიცავო... მეტს ვეღარაფერს გეტყვით იმიტომ, რომ ოპოზიციურ პარტიებს შეხვედრა გვქონდა და შევთანხმდით, რომ ერთმანეთზე არაკორექტულ გამოთქმებს მოვერიდებოდით და ჩვენ შორის მხოლოდ ჯანსაღი კონკურენცია იქნებოდა...

— **ანუ ოპოზიციის გაერთიანებაზე უკვე აღარც ლაპარაკობთ?**

— გაერთიანება საერთო პრინციპების საფუძველზე შეიძლება მოხდეს. ჩვენთვის პრინციპულია დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევისა და მისი ხალხისთვის დაბრუნების საკითხი; ანუ არ შეიძლება გაერთიანება „სკამების თემაზე“ ან კიდევ ვინმეს წინააღმდეგ მოხდეს. ჩვენ ნამდვილად შევთავაზეთ გაერთიანება ლეიბორისტებს, მაგრამ მათ უარს ლანძღვა-გინებაც მოაყოლეს და რაღას ვიზამდით?! ჩვენ მაზოხისტები არ ვართ, მათ გამუდმებით ვთავაზობდეთ რაღაცას და პასუხად კი ლანძღვის კორიანტელს ვიღებდეთ. ზოგიერთი პარტიისთვის ჩვენ რადიკალები ვართ, იმიტომ, რომ სათქმელს ბოლომდე ვამბობთ. ცხადია, ისეთი პარტიებისთვის, რომლებიც ზომიერებაზე აკეთებენ აქცენტს, ჩვენი რადიკალიზმი მიუღებელი იქნება. ეს ხალხი ფიქრობს, თუკი რადიკალურ ძალას დაუკავშირდებიან, დაეკარგებათ ის „სავაჭრო ნიშანი“, რაც სხვებისგან განასხვავებთ და ამის გამო მოსახლეობის მხარდაჭერას დაკარგავენ. საერთოდ, ყველა გაერთიანება რაღაცაზე უარის თქმას ნიშნავს და თუკი ისეთ რამეზე გიწევს ხელის აღება, რაც მოსახლეობის მხარდაჭერას განაპირობებს, ცხადია, არ იჩქარებ ასეთი ნაბიჯის გადადგმას. ამასთან, გარკვეულწილად ვეთანხმები შალვა ნათელაშვილის არგუმენტს, — ოპოზიციური პარტიები ცალ-ცალკე გაცილებით მეტ ხმას აიღებენ, ვიდრე გაერთიანების შემთხვევაშიო.

ჟვანია ცალკე რომ დარჩენილიყო, 7%-იანი ბარიერის გადალახვა გაუჭირდებოდა, მაგრამ ბურჯანაძესთან ერთად მას ეს პრობლემა აღარ ექნება... ბარიერს ბურჯანაძე-დემოკრატებიც გადალახავენ, ლეიბორისტებიც, ჩვენც და „ახლებიც“, ამიტომ არჩევნებზეც ცალ-ცალკე მისვლა გადავწყვიტეთ, რადგან ასე გაცილებით მეტ ხმას წავართმევთ ხელისუფლებას. ჩემთვის მიუღებელია პარტიების გათქვეფა და „აჯაფსანდალიზაცია“, ისეთი როგორიც ამ მოწვევის პარლამენტშიც იყო „აღორძინებისა“ და „მოქალაქეთა კავშირის“ სახით.

— **ხომ არ ფიქრობთ, რომ გაერთიანებას საერთო პრინციპების უქონლობამ კი არა, ოპოზიციის ლიდერების ურთიერთშუღლმა შეუშალა ხელი. სააკაშვილმა ჟვანიას სერიოზული ბრალდება წაუყენა, — თუკი შევარდნაძე დაგიძახებს, მასთან გაიქცევიო.**

— სააკაშვილის ნათქვამს წინ არაერთი საგაზეთო პუბლიკაცია და არაეთიკური განცხადება უძღოდა. სამწუხარო ისაა, რომ ზოგიერთი პოლიტიკური ლიდერი თავად არ ჩნდებოდა და „ახლობელ“ ჟურნალისტებს ალაპარაკებდა. ჩემთვის ასეთი საქციელი უფრო მიუღებელია, ვიდრე გაცხადებულად რაიმის თქმა. ყველას მინდა შევახსენო, რომ ჩვენ და ჟვანია ერთნი არა ვართ. არ არსებობს ჟვანია-სააკაშვილის გუნდი და მას არც არასოდეს უარსებია. იყო რეფორმატორთა ერთიანი გუნდი, შემდეგ მათ შორის წარმოიშვა აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ კონფლიქტი არ გვქონია. მაგალითად, მე რადიკალიზმის მომხრე ვარ, „დემოკრატები“ კი ასე არ ფიქრობენ. „ნაციონალები“ და „დემოკრატები“ ერთ ჭკუაზე არა ვართ. თუმც აუცილებლად ვითანამშრომლებთ, რათა ხელისუფლებამ არ გააყალბოს არჩევნები.

— **გლდანში ელენე თევდორაძის კონკურენტობა უხერხულობას არ გიქმნით?**

— ზოგიერთი ჟურნალისტის წყალობით გავრცელდა ხმა, — კობა დავითაშვილი ელენე თევდორაძეს დაუპირისპირდაო. ეს ასე არ არის. მარტში „დემოკრატებთან“ გვქონდა შეხვედრა და გადავწყვიტეთ, მაჟორიტარულ ოლქებში ერთმანეთს არ დავპირისპირებოდით. აქედან გამომდინარე, დიდუბეში კენჭისყრაზე უარი ვთქვი. არ იფიქროთ, გია ბარამიძეს ამას ვამადლიდე. მაშინ ვთქვი, — თუ ასეა, გლდანის რაიონში ვიყრი კენჭსმეთქი. ეს რაიონი მომწონს, გლდანელები არ არიან დაავადებულები „დამდუღრული ხოხბის ორდენის“ სინდრომით, აქედან გამომდინარე, უფრო მიადვილდება მათთან ურთიერთობა. „დემოკრატებმა“ იცოდნენ, რომ გლდანში კენჭისყრას ვაპირებდი, მაგრამ ამის მიუხედავად მაინც დაასახელეს ქალბატონი ელენეს კანდიდატურა.

— **გურამ შარაძეს რამდენად ანგარიშგასაწევ კონკურენტად მიიჩნევთ?**

— მოდით შარაძეზე ლექსად გეტყვით:

„გავიხედე სერზედაო, შევარდნაძე ცხენზედაო,
წინაც შარაძე მიუძღვის დაგეშილი ჩემზედაო...“

შარაძე ჩემზე ხელისუფლებამ დაგეშა, მაგრამ არაფერი გამოუვათ. შარაძეს ჰგონია, რომ მკალავიშვილის მრევლი დაუჭერს მხარს. მაგრამ დანამდვილებით ვიცი, ეს ხალხი შევარდნაძის კანდიდატს ნდობას არ გამოუცხადებს. ბასილ მკალავიშვილის მრევლიდან ბ-ნი გურამი ერთ ხმასაც ვერ წამოიღებს. ასე რომ, შარაძეს და მის მფარველს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ.

— **ვაჟა ლორთქიფანიძის ბოლოდროინდელმა ნაბიჯმა ზოგი ხუმრობის ხასიათზე დააყენა — ეტყობა, დემარშისტებმა მაშინ ძალით გაიყვანეს დარბაზიდანო.**

— როდესაც ვმსჯელობდით, როგორ მოვქცეულიყავით პარლამენტში პრეზიდენტის მოსვლისას, განვაცხადე, — ჯობს შევარდნაძეს ყველაფერი პირისპირ ვუთხრათ-მეთქი. დემარშის პერსპექტივა თავიდანვე ბუნდოვნად მომეჩვენა იმიტომ, რომ მასში მონაწილეობის სურვილი ლორთქიფანიძემ გამოთქვა. ახლა ეს გაუგებრობა გამოსწორდა და ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. ვაჟა ლორთქიფანიძის ოპოზიციონერობა არ დამინახავს, არც მიგრძნია და არც დამიჯერებია. ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ოპოზიციასთან ურთიერთობით ვიღაც ვიღაცის გახელებას და ქულების ჩაწერას ცდილობს. პრეზიდენტიც შეშინდა: არიქა, ეს ერთგული კაციც არ გამექცესო და უძღებ შვილს უხმო. სამწუხაროდ, ქართულ პოლიტიკაში გადაწყვეტილებებს იღებენ არა სინდისის კარნახით, არამედ პოლიტიკურ ბაზარზე მაზანდის ასაწევად, რათა უფრო ძვირად გაყიდონ საკუთარი თავი.

*გვერდი მოამზადა*
*იზო რკაძემ*

CMYK

# ვინ ვერ იყოფს სვანეთს?!

## სპეცოპერაცია სვანეთში აქტიურ ფაზაში შედის

რუსთავის კოლონიიდან 129 მსჯავრდებულის გაქცევამ და მათ საძებრად დაწყებულმა ოპერაციამ შსს-ს გეგმები კი აურია, მაგრამ სვანეთში სპეცოპერაცია მაინც გრძელდება.

შაბათს შსს-ს სპეცჯგუფმა პირველი, მოულოდნელი ოპერაცია განახორციელა. ჩვენ დავუკავშირდით სვანეთში, სოფელ ეცერში მყოფ „კვირის პალიტრის“ კორესპონდენტს **ნინო ბურჭულაძეს**, რომელიც კარგად ცნობილი აფრასიძეების ოჯახს სტუმრობს.

„გასულ კვირას მესტიის რაიონში პოლიციელთა მოზრდილი ჯგუფი ამოვიდა. ჯგუფში შედიან თბილისელი და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს ოპერმუშაკები. აქ არის გულუას სახელობის სპეცდანიშნულების რაზმიც. სამშაბათს ჩამოფრენილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ძირითადი დრო გირგვლიანებისა და ჯაფარიძეების ოჯახების დაპირისპირების მოგვარების მცდელობას დაუთმო. სოფელ ბეჩოში იმყოფება ეროვნული გვარდიის სამთო ბატალიონი „სვანეთი“, რომელიც იქ მომზადებას გადის. თავდაპირველად, ნავარაუდევი იყო ამ ბატალიონის აქტიური ჩართვა ანტიკრიმინალურ ოპერაციაში, მაგრამ მას შემდეგ, რაც გასულ ორშაბათს, პრეზიდენტმა შევარდნაძემ ეს საქმე შსს-ს დაავალა, ბატალიონი უფუნქციოდ დარჩა. ისე, ადგილობრივი მოსახლეობის ერთი ნაწილიც წინააღმდეგია, რომ კოდორის ხეობაში პრეზიდენტის რწმუნებულმა ემზარ კვიციანმა უხელმძღვანელოს ანტიკრიმინალურ სპეცოპერაციას. თავად დამნაშავეთა დიდი ნაწილი ახლომახლო ტყეებშია გახიზნული. ისინი რომ ყაბარდო-ბალყარეთში გადასულიყვნენ, აქაურებს აუცილებლად ეცოდინებოდათ. სვანეთში, როგორც იტყვიან, ქარიშხლისწინა სიმშვიდეა. შაბათს, შსს-ს სპეცჯგუფმა, სოფელ ცხუმარში მოულოდნელი იერიში მიიტანა იმ ოჯახზე, რომლის წევრებიც ექვმიტანილნი არიან ამას წინათ ამ რაიონში „მაგთის“ თანამშრომლებზე თავდასხმაში. სოფლის მოსახლეობა უკმაყოფილოა ამ ფაქტით“, — გვითხრა ჩვენმა კორესპონდენტმა.

ასე რომ, როგორც ჩანს, სვანეთს შეფარებულ დამნაშავეთა უმრავლესობას აქაურობა ჯერ არ დაუტოვებია და თავშესაფარი ჩრდილოეთ კავკასიაში არ უძებნია, როგორც ამას იტყობინებოდნენ და რაც მოსალოდნელიც გახლდათ, რადგან სვანეთში სპეცოპერაციის დაწყებაზე მეორე თვეა ლაპარაკობენ.

სვანეთის სპეცოპერაციის წინ კიდევ ერთხელ იჩინა თავი ორი ძალოვანი სტრუქტურის — შსს-სა და თავდაცვის სამინისტროს — ხელმძღვანელობებს შორის დაპირისპირებამ. მისი ნიშნები თითქმის ყოველდღიურად მჟღავნდება. პირველი სიმპტომები ჯერ კიდევ პანკისის ხეობაში, ერთობლივი ოპერაციის დროს დაფიქსირდა, როდესაც ამ ორი უწყების გაერთიანებულ შეიარაღებულ ჯგუფს პანკისის ტყეში გზა აებნა და საბრძოლო დავალება ჩაიშალა. მაშინ ეს ძალოვანი სტრუქტურები ერთმანეთს აბრალებდნენ წარუმატებლობას.



კრიმინალებმა თავი სვანეთის ტყეებს შეაფარეს

ეს ქიშპობა მარტო მაღალჩინოსნებს შორის არსებული პირადი არც-თუ ისე კარგი (რბილად რომ ვთქვათ) ურთიერთობების ბრალი როდია. ნებისმიერი ახალი ოპერაციის ჩატარება საქართველოს ამა თუ იმ რეგიონში საკმაო სახსრებს მოითხოვს, ხოლო რომელი ძალოვანი სტრუქტურაც ჩაუდგება სათავეში ოპერაციას, ბუნებრივია, სახსრებსაც ის განკარგავს. ეს ყველაფერი კი საიდუმლოების საფარით ხორციელდება, რაც აადვილებს სპეცსახსრებიდან მსხვილი თანხების უკანონოდ „მოხსნას“.

სწორედ ამიტომ მიდის დაუნდობელი ბრძოლა ძალოვან სამინისტროებს შორის ამა თუ იმ ოპერაციის სათავეში მოსაქცევად. გარდა ამისა, ძალოვანი მინისტრებიდან თითოეული განსაკუთრებით ცდილობს, თავი მოაწონოს პრეზიდენტს და დაანახვოს, ჩემი სამინისტრო რომ არა, უბედურება გარდაუვალი იქნებოდაო. ამ იწილო-ბიწილოს კი საქართველოს სახელმწიფო ინტერესები ეწირება. არ არის გამორიცხული, რომ შს და თავდაცვის სამინისტროებმა ერთმანეთის ჯიბრზე ისე არივ-დარიონ სიტუაცია სვანეთში, რომ მის მოსაწესრიგებლად მთელი ქვეყნის ჩარევა გახდეს საჭირო.

# ერაყში ჯერჯერობით სიმშვიდეა... ქართველებისთვის

## ისე კი, პარტიზანული ომი ზენიტისკენ მიიწევს

ერაყში, ქართულ სამხედრო კონტინგენტში, ბოლო მონაცემებით, სიმშვიდეა. ახალი ინციდენტები, საბედნიეროდ, არ მომხდარა. ოთხი დაშავებული ქართველი მენაღმე-ოფიცერი აშშ-ში აგრძელებს მკურნალობას. ერაყში დარჩენილი მათი კოლეგები კი ჯერჯერობით, უსაქმოდ არიან — ეტყობა, ამერიკული სამხედრო ხელმძღვანელობა მათ უფრთხილდება.

ქართველ სამხედროებს ერაყიდან საქართველოში ახლობლებთან დაკავშირება ძალზე უჭირთ — მათთვის თვეში მხოლოდ 5 წუთია გამოყოფილი უფასო თანამგზავრული სატელეფონო კავშირისთვის, რომელსაც ამერიკელები უზრუნველყოფენ.

მიუხედავად გარკვეული პრობლემებისა, თავდაცვის სამინისტრომ ერაყში მივლინებულ 70-მდე სამხედროს პირველი ხელფასები გადაურიცხა, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ ერაყში ბანკომატები ფაქტობრივად არ მოქმედებს. შეიძლება ბაღდადში სადმე იყოს, მაგრამ თიქრიტიდან (სადაც ქართველი მენაღმეები იმყოფებიან) იქ ფულის ასაღებად ჩასვლა საბრძოლო ოპერაციის ჩატარების ტოლფასია და სახიფათოც, რადგან ერაყის გზებსა და ქალაქების ქუჩებში ნამდვილი პარტიზანული ომია გაჩაღებული.

ქალაქ ეს-სუვაირთან ააფეთქეს მანქანა, რომელშიც უკრაინული კონტინგენტის პატრული იჯდა. ყველა გადარჩა.

სამაგიეროდ, დაიღუპნენ ერაყელი პოლიციელები, რომლებიც ამერიკელ სამხედროებს ერაყელი პარტიზანები ეგონათ. ქალაქ ელ-ფალუჯასთან, საგუშაგოზე, ამერიკულმა დანაყოფმა დაცხრილა ერაყელ პოლიციელთა ჯგუფი, 11 პოლიციელი დაიღუპა. მანამდე, ორი დღით ადრე კი, ამერიკელებმა მოკლეს ერთი ერაყელი პოლიციელი, რომელიც აფეთქებულ ამერიკულ ჯიპს მიუახლოვდა — იგი დივერსანტი ეგონათ.

ერაყში კიდევ ერთმა პოსტსაბჭოურმა რესპუბლიკამ — მოლდავეთმა — გაგზავნა სამხედრო კონტინგენტი — 34-კაციანი მოტოქვეითი ოცეული, 3 სამხედრო ექიმი და 5 მენაღმე.

# სომხეთის არმია ძლიერდება

სომხეთი თავისი სამხედრო ბიუჯეტის მკვეთრად გაზრდას აპირებს. მიმდინარე წელს ეს მაჩვენებელი ისედაც აღწევდა 79 მლნ დოლარს (შედარებისთვის: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი 67 მლნ ლარს(!) არ აღემატება), რაც ქვეყნის მთლიანი შიდაპროდუქტის 4%-ზე მეტია. ეს მაჩვენებელი ყველაზე დიდია პოსტსაბჭოურ ქვეყნებში. მოკლედ რომ ვთქვათ, სომხეთი ყველაზე მილიტარიზებული ქვეყანაა.

ერევანი, რუსეთთან ტრადიციული კარგი სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების ფონზე, აძლიერებს თანამშრომლობას NATO-ს წევრ საბერძნეთთან (სხვა თუ არაფერი, თურქეთი ისტორიულად არც ათენს „უყვარს“ და არც ერევანს, რაც მათ საერთო ინტერესებს აძლიერებს) და თვით აშშ-თანაც.

დღეისათვის სომხეთის არმიის პირადი შემადგენლობა 60 ათასი კაცია. აქედან 52 ათასი — სახმელეთო ჯარებშია, დანარჩენი კი სამხედრო-საჰაერო ძალებსა და საზენიტო დანაყოფებში. სახმელეთო ჯარებში გაერთიანებულია 4 მოტომსროლელი ბრიგადა, 10 ცალკეული ქვეითი პოლკი, 1 საარტილერიო ბრიგადა, 2 საზენიტო-სარაკეტო ბრიგადა. ოფიციალურ ერევანს გადაწყვეტილი აქვს, გაზრდილი სამხედრო ბიუჯეტი პირველ რიგში დახარჯოს XXI საუკუნის არმიის შესაქმნელად, რომელსაც შეეძლება მოიგერიოს შემოტევები, რომლებიც, ახალი პრეზიდენტის ხელში, რევანშის მიზნით შეიძლება წამოიწყოს ტერიტორიებწართმეულმა აზერბაიჯანმა.


# რათა ცხოვრება სიხარულად გექცეთ ! ! !

პირველი ხარისხის სიმსუქნე იწვევს შურს, მეორე – ღიმილს, მესამე– დაცინვას, ხოლო მეოთხე – სინანულს. მსუქანი ადამიანები ყველგან არიან, მაგრამ ყველას როდი ესმის, რომ სრულ და მით უმეტეს მსუქან ხალხს საკმაოდ მძიმე ყოფა აქვთ, როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობით. ჭარბი წონა ხომ მრავალი დაავადების საწინდარია.



ვინაიდან ჭარბი წონის წარმოქმნის ძირითად მიზეზს წარმოადგენს არასწორი კვება, ამიტომ მასთან ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ პრინციპს წარმოადგენს კალორიების შემცირება.

ამავე დროს უნდა გახსოვდეთ, რომ გასახდომად არ არის საკმარისი მხოლოდ საკვებით მიღებული ენერგიის შემცირება, არამედ საჭიროა მისი ხარჯვის ზრდა – ანუ ფიზიკური დატვირთვა. ყველაზე მარტივი და ეფექტური ფორმა კი გახლავთ ჩვენი დროის სიახლე – გასახდომი ქამარი მიოსტიმულატორი **Abtronic Pro.**

**Abtronic Pro** საქართველოში სიახლეა, ევროპასა და ამერიკაში კი სრული ბუმია. ბუმია ქამარზე, რომელიც 21-ე საუკუნის ადამიანების ცხოვრების მეგზურად იქცა.

აბტრონიკის უამრავი ღირსებებიდან გაგაცნობთ სულ რამდენიმეს:

- იწვევს ღრმა კუნთურ შეკუმშვებს, ამაგრებს მოდუნებულ კუნთებს და აუმჯობესებს მათ ტონუსს;
- ამცირებს და შლის ცელულიტს;
- მართავს გახდომის პროცესს: პირველ რიგში მოქმედებს სხეულის იმ ნაწილებზე, რომლებიც უფრო მეტად საჭიროებენ გახდომას;
- აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას;
- აუმჯობესებს კანის სტრუქტურას;
- ეფექტურად ებრძვის ოსტეოქონდროზსა და სქოლიოზს.



ძვირად ღირებულ დარბაზებში სიარული მიუწვდომელია თქვენთვის? – მოირგეთ
არა გაქვთ დრო ვარჯიშისათვის? – მოირგეთ
გეზარებათ ვარჯიში? – მოირგეთ

**Abtronic Pro!**

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: ☎ (995 32) 33 30 63; (995 32) 36 49 45 ან დაგვიკვეთეთ ინტერნეტ მაღაზიაში: www.shopge.com.
ჩვენი კურიერი მოგაწვდით შეკვეთას თქვენთვის სასურველ მისამართზე თბილისში. კურიერის მომსახურება უფასოა.




# ისინი ქართული ცის დაცვას შეეწირნენ



**19 სექტემბერს ქართული სამხედრო ავიაცია 11 წლის თავს აღნიშნავს**

**ჩვენი დოსიე: აფხაზეთის ომში საქართველომ დაკარგა 8 შვეულმფრენი (მათ შორის 3 საბრძოლო Ми-24, 3 სამხედრო-სატრანსპორტო Ми-8МТВ, 2 სატრანსპორტო Ми-8Т. ერთი Ми-8Т-ც 1991 წელს დაცხრილული დაჯდა ცხინვალთან), დაიღუპნენ ეკიპაჟების წევრები: ჯიმშერ მაისურაძე, აბაქარ მაგამედოვი, გიორგი კვესაძე, გიორგი ნოზაძე, გიორგი გელაშვილი, მერაბ გელაშვილი, გიორგი ქეიშვილი, ბეჟან გაბრიჭიძე, ვლადიმერ კერდიკოვი, იგორ ბახტაძე, ლევან ჩაგოშვილი, როლანდ სენაშვილი, ტარიელ ჯალაღონია, ილიკო ეფრემიძე, სერგეი პლატოვსკი და ზეზვა ქავთარაძე. დღემდე უგზოუკვლოდ დაკარგულებად ითვლებიან: ომარ ქორთოშიძე, ზებური ბოლქვაძე და ვიტალი არეშინი.**

**აფხაზეთის ომში ასევე დაიღუპა Су-25 მოიერიშეების 3 პილოტი — სლავა ჯაბუა, ზურაბ იარაჯული და იზანი ცერცვაძე.**

ავიაცია და, მით უმეტეს, სამხედრო ავიაცია, ძალიან ძვირი ფუფუნებაა და მისი შენახვა ბევრ მდიდარ ქვეყანასაც კი უჭირს. განსაკუთრებით უნდა გავუფრთხილდეთ პილოტებსა და ეკიპაჟის წევრებს, რადგან მათი პროფესიონალურად მომზადების ხარჯები აღემატება თვით საბრძოლო თვითმფრინავისა და შვეულმფრენის ღირებულებას.

საქართველომ აფხაზეთის ომში ორ ათეულზე მეტი მფრინავი და ბორტ-ინჟინერი დაკარგა, რომლებიც მართლაც საგმირო საქმეებს უშიშრად აკეთებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგე მხარეს შედარებით თანამედროვე და ეფექტიანი საზენიტო საშუალებები გააჩნდა და, საუბედუროდ, არ არსებობდა საძიებო-სამაშველო სამსახური ჩამოგდებული პილოტის მოსაძებნად და გადასარჩენად...

19 სექტემბერს საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების შექმნის 11 წლისთავი აღინიშნება. 1992 წელს, სწორედ ამ დღეს, სამხედრო-საჰაერო ძალების მაშინდელმა სარდალმა, პოლკოვნიკმა იზანი ცერცვაძემ Су-25 მოერიშე თბილისის საავიაციო ქარხნიდან სოხუმში, ბაბუშერას აეროპორტში გადააფრინა, საიდანაც დაიწყო ქართული სამხედრო ავიაციის მოქმედება აფხაზეთის ომში.

თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საჰაერო ძალების გარდა, აფხაზეთის ომში ასევე აქტიურად მონაწილეობდა ამავე სამინისტროს სწრაფი რეაგირების კორპუსის (გვარდიის) შვეულმფრენთა პოლკი პოლკოვნიკ ჯიმშერ (ჯიმი) მაისურაძის მეთაურობით.

როგორც თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საჰაერო ძალების შვეულმფრენების საავიაციო ბაზის შტაბის უფროსი, ვიცე-პოლკოვნიკი ფრიდონ ფალიანი იხსენებს, აფხაზეთის ქარცეცხლიან დღეებს შვეულმფრენების 19 პილოტი და ბორტტექნიკოსი შეეწირა, რომელთაც 19 სექტემბერს ალექსეევკის ბაზაში მემორიალს დაუდგამენ.

მაგრამ, საბედნიეროდ, ცხოვრება გრძელდება ისევე, როგორც აგრძელებენ ინტენსიურ ფრენებს ამერიკულ UH-1H „იროკეზებზე“ ქართველი პილოტები. ეს მანქანები ყოველდღე უჩვეულო ხმიანობით იჭრებიან ცაში.

შვეულმფრენების საავიაციო ბაზის მეთაურის მოადგილე საფრენოსნო მომზადების დარგში, ვიცე-პოლკოვნიკი გია ტალაბაძე, იმ 12 მფრინავთაგანია, ვინც სპეციალური მომზადება ამერიკაში, ალაბამის შტატში, აშშ-ის სახმელეთო ჯარების საარმიო ავიაციის ცენტრში გაიარა და ინსტრუქტორის მოწმობაც მიიღო (სხვათა შორის, მაშინ უფროსი ლეიტენანტი გია ტალაბაძე, თავის დროზე საბჭოთა სტრატეგიული მზვერავი თვითმფრინავით, Ту-95МЦ-თი, წყნარ ოკეანეში ამერიკულ ავიამზიდებს „დასდევდა“). მისი თქმით, მიუხედავად „სიბერისა“, „იროკეზი“ მაინც მშვენიერ შვეულმფრენად რჩება და ბევრად სჯობს ნაქებ რუსულ Ми-8-ს. „მე ძრავაგამორთული მანქანით ავტოროტაციის რეჟიმში 700 დაჯდომა მაქვს განხორციელებული და არც მთებში ფრენის მეშინია, თავისუფლად ვჯდები 4,2 კმ-ის სიმაღლეზე და მთათუშეთშიც უფრო მეტი ტვირთი მიმაქვს, ვიდრე Ми-8Т-ს“, — გვითხრა პილოტმა-ინსტრუქტორმა გია ტალაბაძემ.

ახალგაზრდა ახმეტელმა პილოტმა, კაპიტანმა ზურა ოქროცვარიძემ ამას წინათ წალკის სიახლოვეს ჩამოვარდნილი „იროკეზის“ დამტვრეული ფიუზელაჟი მიჩვენა (კომისიამ, როგორც ვვარაუდობდით, ავარიის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ამერიკელი პილოტის დაშვებული შეცდომა დაასახელა) და ამიხსნა, — „იროკეზში“ არც მე და არც სხვა პილოტებს პარაშუტები არ გვაქვს, რადგან ძრავაგათიშული შვეულმფრენითაც შეიძლება მიწაზე მშვიდობიანად დაშვებაო. დამტვრეული „იროკეზის“ სანაცვლოს ალბათ მალე გერმანიიდან გამოგზავნიან.

სამხედრო-საჰაერო ძალების შვეულმფრენების ბაზის მეთაურის, ვიცე-პოლკოვნიკ ბესიკ მაისურაძის აზრით, „იროკეზების“ ესკადრილია თავისუფლად ასრულებს დაკისრებულ ამოცანებს. ამაში ამერიკული მხარის მიერ გამოყოფილი სათადარიგო ნაწილები და, რაც მთავარია, საჭირო რაოდენობის საწვავიც ეხმარებათ. სულ ახლახან ამერიკიდან ჩამოიტანეს გასაშლელი მობილური ლაბორატორია, რომელიც ადგილზევე შეამოწმებს „იროკეზების“ რადიოელექტრონულ აპარატურას და აღარ იქნება საჭირო შვეულმფრენების გასარემონტებლად (გარდა კაპიტალური რემონტისა) გერმანიაში გაგზავნა.

ბესიკ მაისურაძეს მხოლოდ იმაზე ეთანაღრება გული, რომ ქართული სამხედრო ავიაცია დღემდე საბრძოლო შვეულმფრენების გარეშეა დარჩენილი — მთებში, საზღვრის სიახლოვეს ფრენისას ყოველ წუთს შეიძლება მოხვდე საბრძოლო სიტუაციაში, მაგრამ ამ დროს სრულიად უმწეო ხარ, რადგან შეუიარაღებელი და უჯავშნო შვეულმფრენით ბევრს ვერაფერს გახდები. ჩვენი 3 საბრძოლო Ми-24 კი მესამე წელია, ისევ სევასტოპოლში დგას, — გულისტკივილით ამბობს ბაზის მეთაური.

# ვინ გაყიდის ავტომატურ პისტოლეტებს?!

## იარაღის ახალი კანონი საფრთხეს უქმნის მოქალაქეების სიცოცხლეს

რამდენიმე წლის წინ ოფიციალურად დაუშვეს სამოქალაქო იარაღის თავისუფლად გაყიდვა (შინ შენახვის უფლებით), რამაც დიდი დარტყმა მიაყენა იარაღის შავ ბაზარს. ეს, რა თქმა უნდა, წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, რადგან მოქალაქეები ჩუმად მაინც ყიდულობდნენ იარაღს; ამ იარაღით ჩადენილი დანაშაულის გახსნა კი საკმაოდ ძნელი გახლდათ. იარაღის მაღაზიაში ოფიციალურად შეძენილი, რეგისტრირებული და, რაც მთავარია, ბალისტიკურ ექსპერტიზაგავლილი იარაღი და მისი პატრონი იოლი მისაგნები გახდა.

მაგრამ წელს, 8 მაისს ძალაში შევიდა საქართველოს ახალი კანონი „იარაღის შესახებ“, სადაც არაერთი შესწორება იქნა შეტანილი. პირველ რიგში, გაფართოვდა იმ სახელმწიფო პირთა სია, ვისაც სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება მიეცა. ამით, გასაგებია, რომ ხელისუფლებამ გარკვეულწილად გაზარდა თავისი პრიორიტეტები ჩვეულებრივ მოკვდავთაგან უფრო გამოსაკვეთად.

მაგრამ ჩვენ სულ სხვა გარემოება გვაშფოთებს. ახალი კანონის თანახმად, ფიზიკურ პირთა მიერ შენახვის უფლებით, თავდაცვის მიზნით, შეიძლება შესყიდულ იქნეს სამოქალაქო იარაღის სახეობა — მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღი. კანონის მე-5 თავის მე-12 მუხლის ბოლო ქვეპუნქტში კი წერია, რომ შეზღუდულია გრძელლულიანი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის ფიზიკური პირებისთვის მიყიდვა.

ასე რომ, ყოველ სრულწლოვანს შეუძლია იარაღის მაღაზიაში შეიძინოს თვითდამტენი პისტოლეტი, რევოლვერი, სანადირო შაშხანა, მაგრამ ვერ იყიდის ავტომატს. ეს ერთი შეხედვით, მაგრამ ვფიქრობთ, აშკარად დაუხვეწავია კანონი, რადგან არსად არ არის მითითებული მოკლელულიანი ავტომატური იარაღის გაყიდვის აკრძალვა. ე.ი. თუკი იარაღის შესახებ კანონით არ არის აკრძალული ამგვარი კლასის იარაღის სახეობების გაყიდვა, მაშინ იგი დაშვებულია.

ამ აზრს განამტკიცებს იარაღის მაღაზიებში მომუშავეთა პასუხიც, — მალე დახლებზე მართლაც გამოჩნდება გასაყიდად მოკლელულიანი ავტომატური იარაღიო.

მის კატეგორიას კი, უმთავრესად, განეკუთვნება ავტომატური პისტოლეტები (მაგალითად, საბჭოთა АПС „სტეჩკინი“) და პისტოლეტ-ტყვიამფრქვევები (გერმანული MP5, ჩეხური „სკორპიონი“, ებრაული „უზი“ და სხვა მრავალი). ძალიან ძნელი დასაჯერებელია, რომ ჩვეულებრივ მოქალაქეს, რომელიც შინ თავდაცვაზე ზრუნავს, გამოადგეს ავტომატური ჯერით მსროლელი იარაღი. მით უმეტეს, რომ ეს დიდ რისკთანაცაა დაკავშირებული — ავტომატური ჯერით სროლისას საკმაოდ ძნელია დამიზნებით სროლა და ადვილი შესაძლებელია, თავდაცვის მაგიერ ოჯახის წევრები ან მეზობლებიც დააზარალოს. ამ საშიშროებას ასევე ზრდის ავტომატური ჯერით გასროლილი ტყვიების რიკოშეტით ასხლეტის დიდი ალბათობაც.

მოკლელულიანი ავტომატური იარაღის თავისუფლად გაყიდვამ შეიძლება შესამჩნევად გაზარდოს უბედური შემთხვევების რაოდენობა, რადგან სასხლეტზე თითის დაჭერით ლულიდან ერთი ტყვია კი არა, ტყვიების ჯერი გამოვარდება. მოქალაქეების უმრავლესობას კი, რომლებსაც შესაბამისი ფულადი სახსრები და იარაღის ყიდვის დიდი სურვილი აქვთ, სამწუხაროდ, არ გააჩნიათ იარაღთან ურთიერთობის ელემენტარული ნორმების ცოდნა. ცხადია, სიცოცხლისათვის იარაღი ავტომანქანაზე უფრო საშიშია. თუკი ავტომობილის მართვის მოწმობისთვის მოქალაქეს გამოცდების ჩაბარება უწევს, რატომ არ უნდა იყოს აუცილებელი პირობა იარაღის მოპყრობის წესების ცოდნა?

ავტომატური პისტოლეტებისა და პისტოლეტ-ტყვიამფრქვევების საქართველოს იარაღის მაღაზიებში შეტანა ზოგიერთმა შეიძლება დასავლური წესის გადმოღებით გაამართლოს, მაგრამ ეს ყველაზე დიდი შეცდომა იქნება. იმავე აშშ-ში, რომელიც მსოფლიოს ყველაზე „შეიარაღებულ“ სახელმწიფოდ ითვლება (ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვწერდით, რომ აშშ-ის ერთ სულ მოსახლეზე, ჩვილების ჩათვლით, ერთი ცეცხლსასროლი იარაღი მოდის), აკრძალულია არა მარტო მოკლელულიანი ავტომატური იარაღის გაყიდვა ან შენახვა, არამედ იმ თვითდამტენი პისტოლეტებისაც, რომელთა მჭიდი 10 ვაზნაზე მეტს იტევს. ამერიკელებმა კარგად იციან, თუ რა უბედურება შეიძლება დაატრიალოს ქუჩაში გამოტანილმა რეგისტრირებულმა თვითდამტენმა პისტოლეტმა ან კარაბინმა. ადვილი წარმოსადგენია, რა მოხდება, თუ გონდაკარგული იარაღის კანონიერი მფლობელი თბილისის ქუჩაში 30-ვაზნიანი პისტოლეტ-ტყვიამფრქვევით გამოვარდება.





**ეს ორივე ცეცხლსასროლი იარაღია. პირველი თვითდამტენი პისტოლეტია და ყოველი ახალი გასროლისთვის ხელახლა უნდა დააჭირო სასხლეტს თითი, მეორე — კომპაქტური პისტოლეტ-ტყვიამფრქვევია და სასხლეტზე თითის ერთი დაჭერით მთელ მჭიდს ცლის. ობივატელის ხელში ეს უკანასკნელი თავდაცვის იარაღიდან შესაძლოა ადვილად გადაიქცეს თავდასხმის საშუალებად და უბედურების მომტანად.**

P.S. საქართველოს კანონი „იარაღის შესახებ“ ითვალისწინებს იარაღის სახელმწიფო კადასტრს, ანუ ყველა იმ იარაღის კონსტრუქციის, სისტემის, მოდელის ძირითადი ტექნიკური მონაცემების ჩამონათვლის დამტკიცებას, რომელიც შეიძლება დამზადდეს ან შემოიტანონ საქართველოში.

ჩვენს კითხვაზე საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ბატონმა **შოთა კოხრეიძემ** გვითხრა, რომ საქსტანდარტში სწორედ ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა გასაყიდად დასაშვები იარაღის კონსტრუქციების სახელმწიფო კადასტრის შექმნაზე, რაც საკმაო თანხებს მოითხოვს. „იარაღის შესახებ“ ახალი კანონის მიღებისას კი ასეთი ხარჯების გამოყოფა არ იქნა გათვალისწინებული. ეს ხარჯები მხოლოდ მომავალი წლის სახელმწიფო პროგრამების ნუსხაში ჩაიდება.

მინიმუმ მანამდე კი ჩვენს იარაღის მაღაზიებში ელოდეთ ავტომატური პისტოლეტებისა და პისტოლეტ-ტყვიამფრქვევების გამოჩენას და, შესაბამისად, უბედური შემთხვევების შესაძლო ზრდასაც.

არ არის გამორიცხული, რომ „იარაღის შესახებ“ კანონში ეს ლაფსუსი, ანუ მოკლელულიანი ავტომატური იარაღის ცნების შეტანა სრულიად შეგნებულად დაივიწყეს. იგი, შესაძლოა, გარკვეული პოლიტიკურ-ბიზნესური ლობირების შემდეგ გაკეთდა, რათა საქართველოს იარაღის მაღაზიებში შემოტანილ იქნეს და გაიყიდოს ამგვარი იარაღი, რითიც ლობისტები დიდ ფინანსურ მოგებას ნახავენ.

**არსენალი**

# ჰაფნიუმის ბომბები

## პენტაგონი ჯერარნახულ იარაღს ქმნის

...ამერიკელი ჯარისკაცი ზურგიდან იხსნის ყუმბარსატყორცნს და რაკეტას ესვრის რამდენიმე ასეულ მეტრში მოწინააღმდეგის გამაგრებულ ბუნკერს. დამაბრმავებელი სინათლე წამიერად მზის შუქსაც აბნელებს, ბუნკერი ხელუხლებელი რჩება, მასში თავშეფარებული ადამიანები კი გამოსხივების უზარმაზარი დონის გამო თვალის დახამხამებაში იხოცებიან, ჰაერში ატომური „სოკო“ აღიმართება...

დღეს პენტაგონს თითოეული ჯარისკაცის ატომური იარაღით აღჭურვა რეალურად აქვს წარმოსახული; მისი განხორციელების შესაძლებლობას იძლევა ამერიკელი ფიზიკოსების ახალი სუპერაღმოჩენა.



„ეს სამხედრო საქმეში გადატრიალება იქნება“, — აღტაცებას ვერ მალავენ პენტაგონელი ოთხვარსკვლავიანი გენერლები. არც ცდებიან, რადგან ქიმიური ელემენტის — ჰაფნიუმისგან დამზადებულ ქობინსა თუ ბომბს ატომური აფეთქების სიმძლავრე ექნება.

ეს გასაკვირი არ არის, რადგან 1 გრამი ჰაფნიუმის ბრიზანტულობა (დამანგრეველი ძალა) უტოლდება 50 კგ ტროტილს. ჰაფნიუმის ბომბის აფეთქებისას წარმოიქმნება დიდი სიმძლავრის გამა-გამოსხივება, რომელიც მომაკვდინებელია ყველა ცოცხალი ორგანიზმისთვის. ამასთან, აფეთქების შემდეგ აღარ რჩება რადიაციის დიდი ფონი (როგორც ეს ატომური ან ბირთვული ბომბის აფეთქებისას ხდებოდა) და ჯარისკაცებს საშუალება ეძლევათ, მაშინვე გადავიდნენ შეტევაზე.

ამით ჰაფნიუმის ბომბის მოქმედება ნეიტრონული ბომბისას წააგავს, მაგრამ ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, მის ასამოქმედებლად არ არის საჭირო კრიტიკული წონა. ეს კი ნიშნავს, რომ მომავალში შეიძლება დამზადდეს არა მარტო ჰაფნიუმის მოზრდილი ბომბი, არამედ მსხვილკალიბრიანი ტყვიაც, რომელიც 60-ტონიან ტანკში მჯდომ ეკიპაჟს საშინელი გამაგამოსხივებით ელვისებურად კლავს.



ამერიკელი სამხედროებისთვის ჰაფნიუმის ბომბის შექმნა ყველაზე პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა, მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის კანონები კრძალავს 5 კილოტონა ტროტილის ეკვივალენტზე ნაკლები სიმძლავრის ბირთვული იარაღის შექმნას. მაგრამ ამერიკელი გენერლები თავს იმართლებენ, — ჰაფნიუმის ბომბის დეტონაცია ბირთვული დაშლის გარეშე ხდება და ამიტომაც იგი ჩვეულებრივი იარაღის კლასს უფრო შეეფერება, ვიდრე მასობრივი განადგურებისასო.

ამერიკელთა წარმატებები მოსვენებას არ აძლევს ბევრ სხვა სახელმწიფოს, რადგან ხვდებიან, რომ ჰაფნიუმიანი რაკეტებით, ბომბებითა თუ ტყვიებით ამერიკელები მსოფლიოში მართლაც საბოლოოდ უძლეველნი გახდებიან. ბოლო ინფორმაციის თანახმად, რუსეთიც და საფრანგეთიც იწყებენ აქტიურ სამეცნიერო კვლევებს ჰაფნიუმის პრინციპზე დამყარებული ზემძლავრი იარაღის სახეობების შესაქმნელად.

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

***არა, თანაგრძნობას არ ვითხოვ, უბრალოდ მინდა მკითხველს ამთავითვე გავუმხილო, რომ არასოდეს ისე არ გამჭირვებია სიმართლის თქმა, როგორც ახლა. ისტორია, რომელიც უნდა გიამბოთ, ტრაგიკულად დასრულდა: შვიდი კაცი ერთ ღამეს ჩაცხრილეს ავტომატებით. მკვლელობისათვის სასჯელს იხდის ორი ახალგაზრდა და მე თუ მკითხავთ, ისინიც მსხვერპლნი არიან. ყოველ შემთხვევაში, ასეთი შთაბეჭდილება შემექმნა მათი საქმის გაცნობის შემდეგ. მაქვს საფუძველი ვივარაუდო, რომ სასჯელის სიმკაცრის მიუხედავად, მოსამართლენიც იმავე აზრს იზიარებდნენ, მაგრამ შვიდი კაცის მკვლელობა, ბუნებრივია, დაუსჯელად ვერ ჩაივლიდა და ეს ჩვენც სავსებით ლოგიკურად მიგვაჩნია.***

***ერთი სიტყვით, საქმე გვაქვს მკვლელობისწინა მეტად ბინძურ ისტორიასთან, რომლის საგაზეთო მასალად გამოტანას ჩვენი დღევანდელი რეალობა გვაიძულებს. ჭირი გამხელილი სჯობია — იქნებ სხვას აღარ გადაედოს...***

***ავტორი უფლებას იტოვებს შეცვალოს ტრაგედიის მონაწილეთა გვარსახელები. მით უმეტეს, რომ გარდაცვლილთა უკან მათი ოჯახები და ნაცნობ-მეგობრები დგანან და სულაც არ გვინდა განვუახლოთ საყვარელი ადამიანების დაკარგვით გამოწვეული ტკივილი.***

***მაშ, ასე, მკითხველს ვთავაზობთ სისხლის სამართლის საქმიდან ამოკრებილ მასალას. მოქმედება საქართველოში ხდება. მოქმედების დრო — 1997 წლის ივლისი.***

## ამაზრზენი „ხუმრობა“

ყაზარმის უქონლობის გამო შინაგანი ჯარის ოცეული დროებით საცხოვრებელ ვაგონში განლაგებულიყო. შიგნით ისე ცხელოდა, სუნთქვა ჭირდა. კიდევ კარგი, ბიჭებს გვერდით ჩამომავალი არხი შველოდა, თორემ გაძლება ნამდვილად არ შეიძლებოდა. დღე ხომ საერთოდ არ შედიოდნენ ვაგონში, ღამით კიდევ არხში გრილდებოდნენ. ამის გამო კი ძილს ვერ ითავებდნენ და აქაურობას ისევ საგუშაგოზე მორიგეობას არჩევდნენ. იქ, ნავთობსადენზე, ოცეული სამ მონაკვეთს დარაჯობდა და გარდა იმისა, რომ საგუშაგოები ერთმანეთის მეზობლად იყო (განსაკუთრებით კი ორი მათგანი), მთელი დღე ერთად იყვნენ და კაკლის ჩეროში ლაზღანდარობით ირთობდნენ თავს. შეღამებულზე კი თავ-თავიანთ მონაკვეთებს დარაჯობდნენ, ოთხიდან ორი-ორი კაცი კი მთელი დღე ვეებერთელა ხის ჩრდილში მდგარ ვაგონში (აქაც ვაგონი) იძინებდა. კიდევ იმიტომ არ უყვარდათ ბიჭებს ნაწილში ყოფნა, რომ ვიღაც-ვიღაცები ხანდახან ისე ამაზრზენად ხუმრობდნენ, ადამიანი შეზიზღდებოდა კაცს. არა, ეს რუსული „დედოვშჩინა“ კი არა, მისი მსგავსი, ოღონდ რაღაც ახალი, აღმოსავლური სიბინძურე იყო, თუმცა რუსული არმიისგან განსხვავებით აქ, საქართველოში ამის გაძლება უჭირდათ. არა, სინამდვილეში თითქოს არაფერი ხდებოდა, მაგრამ იმის შიშით, დღეს თუ არა, ხვალ შეიძლება ამ სიბინძურეს ვემსხვერპლოთო, ბიჭები გუნდ-გუნდად გარბოდნენ სამხედრო ნაწილებიდან: გვირჩევნია დეზერტირობაზე გაგვასამართლონ, ვიდრე ნაწილში დაგვაბრუნონო, ამბობდნენ. ასამართლებდნენ კიდეც, თუმცა გაქცევის მიზეზი ყველა შემთხვევაში ბანალური იყო: — „აუტანელი საყოფაცხოვრებო პირობები“. აქ კი რატომღაც მარტო საკვების, ჩასაცმელ-დასახურავის უკმარისობა და ოფიცრების სიმკაცრე იგულისხმებოდა და თავს იმით ინუგეშებდნენ, რომ ქვეყანას უჭირს, შესაბამისად, უჭირს ჯარსაც. რაც შეეხება სიმკაცრეს, აბა, რომელი ქვეყნის ჯარში არ არის მკაცრი დისციპლინა. უბრალოდ, ქართველები ამას მიუჩვეველნი ვართ, ყველაფერს დრო სჭირდებაო.

სიმართლეს კი არავინ ამბობდა. ჯარისკაცს ერცხვინებოდა, ოფიცერს არ სურდა, ან უფრო სწორად, არ აძლევდა ხელს სიმართლის აღიარება.

იმ დღესაც საგუშაგოდან დაბრუნებულ ანთაძეს მოსვენება არ მისცა ერთმა აბეზარმა. ხან საწოლი აუყირავა, ხანაც ძირს გადმოაგდო. მერე მის საწოლზე შეხტა, რაღაც უცნაურად დატრიალდა და ყველა იქ მყოფს მოეჩვენა, რომ სასქესო ორგანო სახეში შემოსცხო უბედურს. ან იქნებ არც მოეჩვენათ, რადგან აბეზარმა ტრუსები აიწია და ხარხარით გავარდა გარეთ — ნახეთ, ანთაძეს რა ვუყავიო, — მერე კი დიდხანს ტრაბახობდა ამით. თავისზე სუსტებს აშინებდა, — თუ არ დამემორჩილებით, იმავეს დაგმართებთო. ამიტომ იყო, ვის წინდებსა და საცვლებს არეცხვინებდა, ვის თეფშებს, სხვას სიგარეტის ან არყის საყიდლად გზავნიდა ან თავის ნაცვლად ტოვებდა საგუშაგოზე. კიდევ კარგი, რამდენიმე თვეში ქურდობაზე წაასწრეს და ნაწილს მოაშორეს. მაგრამ ამბობენ, ცუდი ჩვევა გადამდებიაო. ამჯერადაც ასე მოხდა...

ოცეულში ერთი გულჩათხრობილი,

# ამ ხალხს ჩემთვის არაფერი დაუშავებია, მაგრამ...



მუდამ განზე მდგომი ჯუმბერ ხაჩიძე არ მოუვიდა თვალში ხარფუხელ ვანო აგლაძეს. არც სხვებს ეპიტნავებოდათ იგი, მაგრამ აშკარად მხოლოდ ვანო დასცინოდა. სამაგიეროდ, თვითონ ვანო არ მოსწონდა მუდამ პირველობისთვის მებრძოლ გაიძვერა ანზორ ნაკაშიძეს და მის ჯიბრზე ჯუმბერს შეეკრა, რადგან სხვამ არავინ გაიკარა სამეგობროდ. ან ვის რაში სჭირდებოდა დამსმენი და ქოსატყუილა?! საბაბიც ჰქონდათ. ერთხელ ანზორმა საგუშაგო მიატოვა და ამის გამო მისმა მეწყვილემ თავში წამოარტყა — უფროსებს არაფერს ვეტყვი, მაგრამ ამის ღირსი ხარ, რადგან მარტო დამტოვე მთელი ღამეო — ანზორი კი ადგა და ეშმაკურად დაასმინა მოწინააღმდეგე. ექიმთან მივიდა — ამან და ამან თავში ჩამარტყა და თვალებში მიბნელდებაო. ექიმმა, როგორც ამას წესდება ითხოვდა, მაშინვე აცნობა ნაწილის ხელმძღვანელობას და ნოდარიც (ასე ერქვა ანზორის მეწყვილეს) კარცერში გამოამწყვდიეს.

ამის შემდეგ ანზორს „შტაბის ბოზი“ შეარქვეს და აღარავის აღარ სურდა მასთან მეგობრობა. სამაგიეროდ, მარტოსულ ხაჩიძეს არ უკრავს მისთვის ხელი. ვითომ ემეგობრებოდა... მეგობრობა კი მხოლოდ იმით გამოიხატებოდა, რომ ცდილობდნენ საგუშაგოზე მაინც ყოფილიყვნენ ერთად.

ამჯერადაც მთელი ერთი კვირა ერთად იყვნენ მესამე საგუშაგოზე. ბოლო ორ დღეს მეზობელ, მეორე საგუშაგოზე სამორიგეოდ მივიდნენ ვანო აგლაძე და ავთო ფრუიძე. საგუშაგოები 400-500 მეტრში მდებარეობდა და ახალმა მეზობლებმა ძველები მოიკითხეს.

— ჯუმბერ, გრიშასთან გაიქეცი სოფელში, სიგარეტი და არაყი გამოართვი, უთხარი, ფულს მერე გადაგიხდი-თქო.

— ვერსადაც ვერ წავალ. ჯერ ძველი ვალიც არ გაგვისტუმრებია. ახალს არ მომცემს.

— წახვალ და სიგარეტსაც მოიტან და არაყსაც, თორემ შენც იგივე მოგივა, რაც ანთაძეს, გაიგე?

ეს კი ნამდვილად არ უნდოდა ჯუმბერს. შემოდგომაზე დემობილიზაციას ელოდა და ყველაფერს ითმენდა.

## მკვლელობა

*— გრიშამ არაყი არ მომცა. სიგარეტი გამომიტანა და დამაბარა, ჯერ ძველი ვალი გადაიხადეთო... დანაბარები აგლაძეს გადავეცი და დაღლილ-დაქანცული ტახტზე მივწექი.. განაწყენებულმა ვანომ, დავალება რატომ არ შეასრულეო, ტრუსების გარედან სასქესო ორგანოზე ხელი მოიკიდა და დამემუქრა, ასე და ასე... გიზამო. ხელი ვკარი და გარეთ გამოვვარდი. ცოტა ხანში თვითონაც გამოვიდა და ცენტრალური საგუშაგოსკენ წავიდა. ერთი ვინმე უნდა წამოვიყვანო, ვინც ჩემს ნაცვლად იმორიგევებსო, მაგრამ გზაში ამირ ალიევი და დურსუნ ზეინალოვი შეხვედრიან — ჯუმბერისა და ანზორის შესაცვლელად მივდივართო და ისიც უკან გამობრუნებულა — თუ ასეა, რაღა ამ სიშორეს ვიარო, თუ მაინც თავისუფლდებიან, მაგ ორიდან ერთ-ერთს დავტოვებ ჩემს ნაცვლადო.*

*ჩვენ, ორივემ, უარი ვუთხარით — მთელი კვირაა აქა ვართ, მეტს ვეღარ დავრჩებით-თქო. მან კი უშვერი სიტყვებით გვაგინა. ჩვენ ავტომატები ავიღეთ და ვაგონიდან გამოვედით. ის კი კვლავ გვემუქრებოდა. განსაკუთრებით მე ამომიღო თვალში, — ჩაიხადე, წრეში უნდა ჩაგაყენო და ალიევსა და ზეინალოვს მიგაგდოო. აზერბაიჯანელები სიცილით იჭაჭბოდნენ. სხვა დროსაც ხომ ბევრჯერ დავუმცირებივარ, მე კი ვითმენდი, მაგრამ ახლა... როცა მოგვაძახა — წადით, თქვე ბოზებო, თქვენ ერთმანეთს ჟიმავთო, ვეღარ მოვითმინე. ვაგონში შევვარდი (ნაკაშიძეც მომყვა), ავტომატი მოვმართე და აგლაძეს ორჯერ ვესროლე, შემდეგ აზერბაიჯანელებსაც მივაყარე. ისინიც აგლაძის თანამზრახველებად მიმაჩნდა, მერე კი ჩემდა უნებურად ავთო ფრუიძესა და სამუშაოთა მწარმოებელ ნოდარ ამბოკაძესაც ვესროლე... ამ ხალხს ჩემთვის არაფერი დაუშავებია, მაგრამ ისე ვიყავი გაგიჟებული, რომ ვეღარაფერს ვარჩევდი. ჩემთან ერთად ისროდა ნაკაშიძეც. უცებ ერთ-ერთმა დაჭრილმა დაიკვნესა — ესენი ცოცხლები არიანო და ნაკაშიძემ სათითაოდ დაახალა ტყვია ახლო მანძილიდან...*

ეს ჯუმბერ ხაჩიძის „აღიარებაა“ და არ გამოვრიცხავთ შვიდი კაცის მკვლელობისათვის (მან და მისმა მეწყვილემ იმ ღამით კიდევ ორი კაცი უნდა მოკლან) განსასჯელის სკამზე მჯდომარე თავის დაძვრენას ცდილობდეს, მაგრამ ჩემდა გასაოცრად, მის ნაამბობში არსად ფიგურირებდა

**— ოღონდ ნუ მომკლავთ და არსად გავამხელ რაც მოხდა... — ემუდარებოდა ქალი, მაგრამ ვის რაში სჭირდებოდა მისი დაპირებები. რაკი ექვსი კაცი დახოცეს, ის მეშვიდეც იოლად გასამეტებელი აღმოჩნდა...**

ოფიცერი — ის, ვისაც უნდა გაეკონტროლებინა ჯარისკაცების თითოეული ნაბიჯი; ვისაც ზედმიწევნით უნდა სცოდნოდა, რა ხდებოდა საკუთარ ნაწილში. თუმცა ოფიცერმა მაინც გაიელვა სასამართლო ალანებში, ოღონდ სულ სხვა კუთხით.

ხუთი კაცი რომ მოკლეს ხაჩიძემ და ნაკაშიძემ, ავტომატებს მჭიდები დახსნეს. ვაგონის კარი მავთულით გადაკეტეს და იქაურობას გაერიდნენ.

*— ღამე იყო, თუმცა მხედველობა არ ჭირდა. ქარსაცავ ზოლს რომ გავცდით, არხის პირას გაჩერებული „ჟიგული“ შევნიშნეთ. სანომრე ნიშნების მიხედვით მანქანა რომელიღაც სამხედრო ნაწილის საკუთრება იყო. მანქანიდან სამხედროფორმიანი მამაკაცი გადმოვიდა და დაგვიძახა — ვინა ხართ, აქ რას დახეტიალობთ, ახლოს მოდითო. კაპიტანი, სამხედრო კომენდატურის წარმომადგენელი მეგონა. პირველი ჯუმბერი წავიდა მისკენ. მე დაახლოებით სამი ნაბიჯით უკან მივყვებოდი. ოთხ-ხუთ მეტრში რომ მიუახლოვდა, ხაჩიძემ პირდაპირ თავში ესროლა. ის იყო, უნდა დავარდნილიყო, მეც ვისროლე, მაგრამ ჰაერში, არ მინდოდა ჯუმბერი განმეწყო ჩემს წინააღმდეგ. იქ, ვაგონშიც ვისროდი, მაგრამ მხოლოდ ჭერში. მეშინოდა, ჩემი უმოქმედობის შემთხვევაში ხაჩიძეს მეც არ მოვეკალი... —* ყოველივე ამას ანზორ ნაკაშიძე გვიამბობს. მოგვიანებით საქმეში გამოჩნდება გარდაცვლილთა გვამებიდან ამოღებული მისი ავტომატით ნასროლი ტყვიები. თუმცა პოლიციას იგი ავტომატის სავსე მჭიდს წარუდგენს... ახლა კი თანამზრახველები აპირებენ იქაურობას მოკლული კაპიტნის „ჟიგულით“ გაეცალონ. მაგრამ მანქანაში ვიღაც ქალი იჯდა და მომხდარით გაოგნებულმა იმ დროს გამოაღო უკანა კარი, როცა ხაჩიძე ავტომობილში ჩაჯდომას აპირებდა.

— ოღონდ ნუ მომკლავთ და არსად გავამხელ რაც მოხდა... — თვალცრემლიანი ემუდარებოდა ქალი ბიჭებს, მაგრამ ვის რაში სჭირდებოდა მისი დაპირებები. რაკი ექვსი კაცი დახოცეს, ის მეშვიდეც იოლად გასამეტებელი აღმოჩნდა. ავტომატმა ამჯერადაც უწია მიზანს, მერე ხაჩიძემ ქალის გვამი მანქანიდან გადმოათრია და ნაკაშიძეს გახედა, მას ხელთ კაპიტნის მაჯის საათი, მისივე პირადობის მოწმობა, ავტოკალამი და ხურდა ფული ჰქონდა.

— აბა, გავეცალოთ აქაურობას, ვიდრე ვინმე არ წამოგვდგომია თავს, — გადაულაპარაკა მეგობარს ჯუმბერმა და მანქანა დაქოქა, მაგრამ ადგილიდან ვერ დაძრა.

— მე დავჯდები საჭესთან, — უთხრა ანზორმა და ის იყო, მანქანამ სიჩქარეს უმატა, რომ ვიდრე მოკირწყლულ გზაზე გავიდოდნენ, ხის ვეებერთელა კუნძს შეასკდნენ და მანქანაც მწყობრიდან გამოვიდა.

— გათენებამდე თუ ეს ტანსაცმელი არ გამოვიცვალეთ, უეჭველად შეგვნიშნავენ, თანაც ავტომატებით... საით წავიდეთ? — იკითხა ხაჩიძემ.

— ჩემთან, ვარკეთილში. ამიერიდან ძმები ვართ, ჭირიც ერთად უნდა გავიყოთ და ლხინიც. მეზობლებში ტანსაცმელს ვიშოვი. ავტომატებს გადავმალავთ და თბილისიდან სადმე შორს, თუნდაც კახეთში, ბიძაშვილთან წავალთ. კარგი ბიძა მყავს, ათი კაცით რომ მივადგე, უკან არ დაიხევს.

მანქანა იქვე დატოვეს და ფეხით გაუყვნენ გზას. ღამის ორი საათი იქნებოდა, ანზორ ნაკაშიძემ თავისი საცხოვრებელი კორპუსის სარდაფში რომ დამალა ჯუმბერ ხაჩიძე ავტომატებსა და მკვლელობის ადგილიდან წამოღებული ტყვიებით სავსე მჭიდებთან ერთად. მართალია, თქვა, ერთი მჭიდი გზაში დამეკარგაო, მაგრამ ჯუმბერს მაშინ ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია (ძიების პროცესში გაირკვა რისთვისაც „დაკარგა“)... ახლა ანზორი სახლის ერთ-ერთ სადარბაზოში დგას და თავისი ბავშვობის მეგობრებს, ტყუპ ძმებს, ავთანდილ და ტარიელ მაზიაშვილებს ემუდარება:

— ტანსაცმელი მომეცით. ჩვენ ორნი ვართ. შვიდი კაცი მოვკალით და უნდა გავიქცეთ. სხვა გზა არ დაგვრჩენია.

— როდემდე დაიმალებით, ხვალ დილით ყველას ყველაფერი ეცოდინება, ძებნას დაგიწყებენ და ადრე თუ გვიან, დაგიჭერენ კიდეც. მიმალვა კი საქმეს გაგირთულებთ. თუ მართლაც ძალად დაგახოცინათ იმ ხალხმა თავი, როგორც შენ ამბობ, ჯობს, პოლიციაში გამოცხადდეთ და ყველაფერი აღიაროთ. ტანსაცმელს კი ვერ მოგცემთ, ეს დანაშაულში მონაწილეობის ტოლფასი იქნება, — განაცხადა ერთმა მათგანმა. ტყუპი კიდევ დიდხანს უმტკიცებდა ანზორს, რომ პოლიციაში გამოცხადება ჯობდა და, როგორც იქნა, დაარწმუნეს კიდეც. ნაკაშიძე კი იმაზე ფიქრობდა, როგორ გადაებრალებინა ყველაფერი დოყლაპია ხაჩიძისათვის. ასე რომ, იგი მარტო გამოცხადდა პოლიციაში და მორიგეს აცნობა, ერთ კაცზე გაბრაზებულმა ხაჩიძემ შვიდი კაცი მოკლა და მე მხოლოდ იმიტომ გადავურჩი სიკვდილს, მოსაჩვენებლად მისი მხარე დავიჭირე. მკვლელი და იარაღი სარდაფში დავმალე. რამე ტანსაცმელი მომეცით, ჯუმბერმა რომ ეჭვი არაფერზე აიღოს და მერე თქვენ იცითო...

ასეც მოხდა. გათენებას აღარაფერი უკლდა, ანზორი რომ სარდაფში დაბრუნდა.

— ტანსაცმელი მოგიტანე და ეს ჩანთაც. იარაღი ამაში ჩავაწყოთ. სასწრაფოდ უნდა წავიდეთ. პირველ ავტობუსს გავყვეთ...

ჯუმბერმა სასწრაფოდ ჩაიცვა. ავტომატები და მჭიდები კი ჩანთაში ანზორმა ჩააწყო და სარდაფიდან ამოვიდნენ.

— სდექ, არ გაინძრეთ, თორემ გესვრით! — გაისმა ბრძანება და დამფრთხალი ხაჩიძე იარაღიან ჩანთას ეცა, მაგრამ გვიანღა იყო. პოლიციელებმა ორივეს დაადეს ხელბორკილები. პირველს როგორც მკვლელს, მეორეს — მოსაჩვენებლად. მაგრამ მალე გაირკვა, რომ მეორეც მკვლელი ყოფილა, თანაც უფრო საშიში...

## სიმართლის პირისპირ

შემთხვევის ადგილზე, ვაგონშიც და არხის პირას, გამოძიებამ ხაჩიძის ავტომატით ნასროლი თორმეტი ტყვიის მასრა ამოიღო. ნაკაშიძის ავტომატით ნასროლი კი ხუთი მასრა იპოვეს. ეს მხოლოდ ნაწილი იყო, რადგან ხაჩიძის ავტომატის მჭიდში ვაზნები თითქმის აღარ იყო, ხოლო ნაკაშიძის ავტომატის მჭიდს ერთი ცალიც არ აკლდა. აღარავის ეეჭვებოდა, რომ ნაკაშიძეს კი არ დაუკარგავს მკვლელობის ადგილიდან წამოღებული ავტომატის მჭიდი, არამედ გზაშივე გადაწყვიტა, ვაზნებით აევსო, რაც იმის დასტური იქნებოდა, რომ მას არ უსვრია, მაშასადამე, მკვლელი არ არის. ერთ-ერთი მოკლულის მჭიდიდან ტყვიები თავისაში გადაიტანა და დანარჩენი წყალში მოისროლა. ახლა კი, როცა გამოძიებამ მისი ავტომატით ნასროლი ხუთი მასრა მოიძია, ენა დაება და იმის მტკიცებას მოჰყვა, ჯუმბერი ჩემს წინააღმდეგ რომ არ განმეწყო, ამისათვის ვისროდი იქ, ვაგონშიც და მანქანასთანაც, მაგრამ მხოლოდ ჰაერშიო (ამ ნაბოდვარის შესახებ მკითხველმა უკვე იცის). მერე კი მჭიდი ტყვიებით ალბათ იმისათვის შევავსე, რომ ხაჩიძისაგან თავდასხმის შემთხვევაში თავის დაცვა შემძლებოდაო. ერთი სიტყვით, ნაკაშიძემ ყველაფრის გულუბრყვილო ხაჩიძისთვის გადაბრალება დააპირა. მაგრამ ორი კვირის შემდეგ, როცა გამოძიებამ ექსპერტიზის დასკვნა მიიღო — საკონტროლო ტყვიები ახლო მანძილიდან, ნაკაშიძის ავტომატითაა ნასროლიო, — კიდევ ერთხელ დაება ენა. თუმცა წყალწაღებულივით მაინც ხავსს მოეჭიდა და ყვირილი მორთო: — იმათ მაინც აღარაფერი ეშველებოდათ. ამით თავი გადავირჩინე, პოლიციამდე ხომ უნდა მიმეღწია, ამ საშინელი დანაშაულისათვის ფარდა რომ ამეხადაო. ამის გამგონე მისი ბავშვობის მეგობარი ტყუპი ძმები ისე აღშფოთდნენ, რომ ამ გარეწრის ფონზე ხაჩიძე შეებრალათ და პირზე დაადგნენ ანზორ ნაკაშიძეს — ნამუსგარეცხილი ყოფილხარ, ჩვენ ხომ გვიამბე, როგორც მოკალით შვიდი კაცი შენ და ხაჩიძემო და ნაკაშიძეც ბედს შეურიგდა...

P.S. დამავიწყდა მეთქვა, ვიდრე მწყობრიდან გამოსულ „ჟიგულის“ მიატოვებდნენ, მასში ორი ცალი რაცია იპოვეს ბიჭებმა. წამოიღეს და ერთხანს ატარეს კიდეც, მაგრამ მერე გადაწყვიტეს, რომ მაინც ვერაფერში გამოიყენებდნენ და არხისკენ მოისროლეს. მეორე დილით ერთი ცალი იქაურმა მწყემსმა იპოვა. ტექნიკაში გაუთვითცნობიერებელმა რომელიღაც ღილაკს დააჭირა და რაცია ჩაირთო...

— მეთვრამეტე, მეთვრამეტე, ამხანაგო კაპიტანო, გამოცხადებულია განგაში, მთელი საათია გეძებთ. წუხელ მესამე საგუშაგოზე ხუთი კაცი მოკლეს. სასწრაფოდ უნდა გამოცხადდეთ...

როგორც ვიცი, ის რაცია მწყემსმა ერთ-ერთ სამხედრო ნაწილს ჩააბარა. ეს ისე, ყურმოკვრით შევიტყვე — განაჩენში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი.

***ვაჟა გავაშელი***



რუბრიკა „ვერსიის“ რჩეული პუბლიკაციების კრებული
კარგი საჩუქარია დეტექტიური ჟანრის მოყვარულთათვის!
ფასი 2.5 ლარი



# ბლოკები ქართულ პოლიტიკაში

**მოქკავშირულ ნაზავს პრეზიდენტმა უკვე დაუმატა სოციალისტები. ამ ყველაფერს სიცხარისთვის პილპილად ედპ მოაყარა, მწვანილად — გიორგი გაჩეჩილაძე თავის „მწვანეებიანად", არომატისთვის სანელებლად ყარყარაშვილი და ბათიაშვილი გამოიყენა, სიმსუყისთვის აკაკი ჩხაიძე და მისი რკინიგზელები...**

წინასაარჩევნოდ ქართული პოლიტიკა ცეცხლზე შემოდგმულ მოთუხთუხე ქვაბს დაემსგავსა. გვინდა თუ არა, ამ პოლიტიკურ დუღილს კიდევ ორი თვე უნდა გავუძლოთ. არჩევნების მერე კი, ალბათ, ეს ქვაბიც და პოლიტიკური ვნებებიც განელდება. გარჯას განცხრომა და „მიღწეულით ტკბობის" პერიოდი შეცვლის, მაგრამ მანამდე ჯერ თვით ტკბობის, განცხრომის უფლებაა მოსაპოვებელი... აქედან გამომდინარე, პოლიტიკოსების დღევანდელი ჭაპან-წყვეტა სულაც აღარ ჩანს სიზიფეს შრომასავით უნაყოფო... აბა, ისე ხელის განმძრევები არიან ჩვენი „დროის გმირები"? სულელი ხომ არ არის ასეთი „ჭკვიანი" ხალხი, რომ ამაოდ დაშვრეს... ფაქტია, პოლიტიკოსობა არ არის დაუფასებელი შრომა და პოლიტიკურ რთველზეც ყველა „დამსახურებისამებრ" მოიწევს მოსავალს;

უხვი საშემოდგომო ჭირნახული და პოლიტიკური ბარაქა ყველა პოლიტიკოსისა და პოლიტიკური ჯგუფის სანუკვარი ოცნებაა და ამიტომაც ირჯებიან ისე, რის გასაქანსაც შნო, მარიფათი და გონება აძლევთ...

როგორც ჩანს, ბევრისთვის პოლიტიკურად ყველაზე მიმზიდველად სახელისუფლებო ტორტი გამოიყურება. ბევრს უნდა მისი მსუყე ნაჭრებით დანაყრება, თუ არადა, მზად არის მისი ნამცეცებით მაინც მოიკლას შიმშილი. ასეთებისთვის გადარჩენისა და პოლიტიკაში დარჩენის გზა მხოლოდ სახელისუფლებო ბლოკზე გადის და ამიტომაც არცთუ იშვიათად ვხდებით პოლიტიკოსების თითქოს ალოგიკური ნაბიჯების მოწმენი. ამ ალოგიკურობის მიღმა კი დიდი გათვლებია. გუშინდელი ოპოზიციონერები სინანულის ცრემლის ფრქვევით ეკვრიან გულში ხელისუფლებას, — შეგვინდეთ, შევცდით, აუგი რომ გაკადრეთო... მთავარი ხელისუფალიც გულმოწყალე მშობლის დარად მიმტევებლობას იჩენს (აფერუმ, მის პატიების უნარს!), მონანულთ დაბრუნების შანსს აძლევს, მაგრამ გგონიათ უანგაროდ? ყველაზე დიდი ანგარება ამ „უანგარობის" მიღმა იმალება, რომლის საბოლოო მიზანი ოპოზიციის დასუსტებაა.

რაკი ზოგიერთები ხელისუფლების ბანაკისკენ ისევ მონდომებით ილტვიან, ცხადია, ნდობას მის თავკაცს უცხადებენ; ანუ შევარდნაძე კვლავ მოდაშია. დიახ, პრეზიდენტი „ფორმას" კვლავინდებურად ინარჩუნებს — მისი დუმილი ძველებურად მრავლისმეტყველია, მისი მზერა ჯერაც ყველგან სწვდება. ამიტომ ეხვეწებიან, ამისთვის სთხოვენ მამობრივ სითბოს, მზრუნველობას, ამისთვის მიდის მასთან ზოგი ხელგაწვდილი და ზოგიც — თავდახრილი. შევარდნაძე კი ისევ გვკარნახობს თამაშის წესებს, ბრძოლის ფორმებს და მეტიც, ჯერჯერობით ისევ ერთპიროვნულად ძერწავს ქართულ პოლიტიკას. შევარდნაძეს გარისკვა უყვარს და ახლაც რისკზე მიდის — ქართული სინამდვილისთვის თითქოს გამოუსადეგარი ბლოკური პრინციპით ბრძოლას მეორე სიცოცხლეს აძლევს და მთელ პოლიტიკურ სპექტრს აიძულებს — ჩემს დაწყებულ თამაშში ჩაერთეთო... ეს სახიფათო და საბედისწერო თამაშია. თუ მთავარ ლეიბორისტს დავუჯერებთ, მმართველ ბლოკში კონფლიქტი გარანტირებული სამოქალაქო ომია. თავის დროზე, ბლოკის შექმნით ასლან აბაშიძემ სცადა შევარდნაძისთვის ძალა ეჩვენებინა. გამოაცხადა, — ბლოკს ვქმნიო და პოლიტიკაში მეტ-ნაკლებად ცნობილ სახეებს უხმო. ამით პრეზიდენტს მოუგო ნიშნი, — შენგან გაქცეულები ჩემთან მოდიანო. სხვა ჩანაფიქრი და ბოროტი განზრახვა, მით უმეტეს კი ხელისუფლებასთან ბრძოლის (ნამდვილი და არა — სიტყვიერი დაპირისპირების) სურვილი აბაშიძეს არც ჰქონია. უბრალოდ თავი მოიწონა, მეც მაგარი ვარო, ეს იყო და ეს. მაგრამ „მყარი ცემენტით" შეკრული „აღორძინების" ბლოკი პარლამენტში შესვლისთანავე დომინოს კოშკივით დაინგრა. შევარდნაძისგან გამოქცეულები ისევ ძველ ბატონს დაუბრუნდნენ, ანუ შევარდნაძემ რევანში აიღო. ამიტომ, როგორც ამბობენ, დღეს ასლან აბაშიძეს ბლოკის ხსენებაზე თურმე „ტანში ზარავს".

ფრთხილი და პრაგმატული შევარდნაძე რატომღაც აბაშიძის შეცდომაზე ჭკუას არ სწავლობს, ბლოკს ქმნის და ამბობს, ამ ბლოკით ახალ საქართველოს ვაშენებთო.

თუკი შენების სურვილი აქვს, რაღა მაინცდამაინც ამ საეჭვო ბლოკით გვპირებს აშენებასო, — გაიკვირვებს ბევრი. მაგრამ ეტყობა, პრეზიდენტს „მოქკავშირის" არცთუ საუკეთესო ნაწილისა და ხელისუფლების იმედად არჩევნებზე წასვლა არ უნდა, ამიტომ საყრდენ ძალას იმაგრებს. 2 ნოემბრისთვის მთელი საქართველო იხილავს შევარდნაძის კულინარიულ შედევრს. მოქკავშირულ ნაზავს პრეზიდენტმა უკვე დაუმატა სოციალისტები. ამ ყველაფერს სიცხარისთვის პილპილად ედპ მოაყარა, მწვანილად — გიორგი გაჩეჩილაძე თავის „მწვანეებიანად", არომატისთვის სანელებლად ყარყარაშვილი (თავის ვეტერანებიანად) და ბათიაშვილის ძველი ნეოკონსერვატორები გამოიყენა, სიმსუყისთვის აკაკი ჩხაიძე და მისი რკინიგზელები... ამ თორმეტკომპონენტიანი კერძის მარილი კი ბადრი პატარკაციშვილის კაპიტალი იქნება. მაგრამ რატომღაც პრეზიდენტმა მარილის მოყრის მისია საკუთარ თავზე არ აიღო, ამ საქმის გაკეთება ვაჟა ლორთქიფანიძეს დაავალა. ეტყობა, აქაც „რაღაც" იმალება. კერძოდ კი ის, — „თუ აქედან არაფერი გამოვა, მე არ დამბრალდესო..."

ბევრს უცნაურად მოეჩვენა, რომ პრეზიდენტმა პოლიტიკურ რინგზე თითქოს უკვე ჩამოწერილი ვაჟა ლორთქიფანიძე შემოაგდო. კაცი, რომელამც ვერც სახელმწიფო მინისტრობისას დაგვამახსოვრა თავი და ჟვანიასთანაც ყველა კულუარული ბრძოლა წააგო. ამბობენ, ამ მანევრით პრეზიდენტმა ავთანდილ ჯორბენაძე გასწია განზეო. ფაქტია, დღეს ლორთქიფანიძის დროა, სათადარიგო სკამიდან ის ძირითად შემადგენლობაში აღმოჩნდა, თანაც გუნდის კაპიტნის რანგში. ამბობენ, ამაში წვლილი მის მეგობარ პატარკაციშვილს მიუძღვისო. რუსეთში საქართველოს ყოფილი ელჩის „გაცოცხლება" ალბათ რუსებისთვის კოჭის გაგორებაც იყო. ლორთქიფანიძეს რუსეთში ბევრი მეგობარი ჰყავს და შესაძლოა ბატონი ვაჟას წყალობით სახელისუფლებო ბლოკმა იქიდან სერიოზული ფინანსური მხარდაჭერაც მიიღოს. და კიდევ ერთი მიზეზი, — რუსები შევარდნაძეს ამერიკელებზე მეტს ჰპირდებიან. ამიტომ შევარდნაძის კარზე მათი კაცი აქტიურდება, რომელსაც შირმად პროდასავლურობა აქვს აფარებული.

ქვეყნის სამდურავი, როგორც იქნა, კანცელარიის მაღალ სართულებსაც მისწვდა. პრეზიდენტმა დაინახა, ჩემი ხელისუფლება ხალხს თვალში არ მოსდისო და თავისი ბლოკის გალამაზებას პოპულარული სახეებით ცდილობს, აქაოდა, ამით რეიტინგი ამეწევაო. ჩვენი პრეზიდენტი იშვიათად ცდება, მაგრამ შესაძლოა, სწორედ აქ ვერ გათვალა რაღაც. არ არის გამორიცხული, პოპულარულმა ადამიანებმა სახელისუფლებო ბლოკს ბრწყინვალება ვერ შემატონ — პირიქით, თავად შეიქნენ არაპოპულარული ხელისუფლების მსხვერპლნი — გაუფერულებულები, ხიბლდაკარგულნი ქვასავით დაეშვან ფსკერისკენ. ამაზე დაფიქრება უთუოდ მართებს პრეზიდენტს, მით უმეტეს, რომ ახალი შევსების მიუხედავად, მისი ბლოკის რეიტინგს არაფერი მომატებია.

ცნობილია, რომ საუკეთესო თავდაცვა თავდასხმაა. ამიტომ ოპოზიცია შევარდნაძის წამოწყებულ თამაშში ერთვება და მისი ბლოკის დაძლევას ბლოკითვე აპირებს. ბლოკები ოპოზიციაშიც ჩნდებიან. „ახლები" და ლიბერალები „დაბლოკდნენ". მალე „ბურჯანაძე-დემოკრატების" ბლოკი „ტრადიციონალისტებსაც" შეიერთებს. მაგრამ ეს არ იქნება ის, რასაც ოპოზიცია გვპირდებოდა, ანუ დიდი ოპოზიციური ბლოკის შექმნა ვერ ხერხდება — სააკაშვილს ბურჯანაძე-დემოკრატების ბლოკად აღიარება გაუჭირდა — ერთნი ხართ, ბლოკს რატომ ირქმევთო და შეტევაზეც გადავიდა — თუ ასეა, „ნაციონალური მოძრაობაც" ბლოკია, თანაც სამსუბიექტიანი და თუ გავერთიანდებით, ჩვენც მეტი ადგილი გვერგებაო.

ერთხანს თითქოს „ახლებიც" აპირებდნენ ბურჯანაძესთან (და მის მეუღლესთან) ძველი მტრობის დავიწყებას, მაგრამ ბოლოს მაინც „თავი შეიკავეს", ჟვანიას ვერ ენდნენ... ამ ალიაქოთსა და დაპირისპირებაში კი „დაბლოკების" ვადა იწურება. ამიტომ ძნელად დასაჯერებელია „ახლები-ბურჯანაძე-დემოკრატები-ნაციონალების" ბლოკმა დღის სინათლე იხილოს...

თუმც კულუარებში ათასი ჭორი და ვერსია ტრიალებს. ამბობენ, 20 სექტემბრამდე ოპოზიცია სიურპრიზს გვიმზადებს და ბლოკის შექმნის მოულოდნელად გამოცხადებით ხელისუფლების ნოკაუტში ჩაგდებას აპირებს. ხოლო ოპოზიციის ლიდერების ხელების სავსავი — არა, აღარ ვერთიანდებითო, მხოლოდ თამაშია, ხელისუფლებისთვის თავგზის ასაბნევადო. ვნახოთ, რა იქნება. ლოდინის უფლება ნამდვილად გვაქვს, დაველოდოთ და მოგვიანებით (2 ნოემბერს) შევაფასოთ ვინ, როგორ და რა მეთოდებით იბრძოდა...

და მაინც, რატომ „ბლოკდებიან" პარტიები? როგორც ვითარების ანალიზი გვიჩვენებს, დღეს ხელისუფლებას წელგამართული და რეიტინგული ოპოზიცია აფრთხობს და გამსხვილებას ამიტომ ცდილობს. ოპოზიციას კი თავის მხრივ ჭრელაჭრულა სახელისუფლებო ბლოკი ურევს თავგზას. მას შემდეგ, რაც სახელისუფლებო ორბიტაზე პატარკაციშვილის მილიონები დატრიალდა, ოპოზიციამ ფერი დაკარგა. თუმც „დაბლოკებას" ყველა ოპოზიციური ძალა მაინც არ აპირებს. როგორც ჩანს, ფანატიკოსები და რომანტიკოსები პოლიტიკაშიც არიან და ისინი ისევ მარტო დარჩებიან ხელისუფლებასთან ბრძოლაში... მკითხველს ახსოვს სულხან-საბას ერთი იგავი, რომელშიც „მოშუღარი ძაღლები" მგლის წინააღმდეგ ერთიანდებიან და ამარცხებენ. ჩვენც ვიცით, რომ ძალა ერთობაშია, მაგრამ დღევანდელი ქართული სინამდვილე უფრო სხვაგვარია, ვიდრე იმ იგავში და ამიტომ სულხან-საბაც ვერ გაგვცემს კომპეტენტურ პასუხს. მის იგავში ძაღლები ბევრნი იყვნენ, მგელი — ერთი. ახლა კი რა ვქნათ, როცა მგლებიც გაერთიანდნენ და ძაღლებიც? და კიდევ, ძველი კირითხუროები ამბობდნენ, — მშენებლობისთვის ქართულ აგურს არაფერი სჯობს, დუღაბად კი კირია საუკეთესოო. არ სჯობდა, ჩვენს მთავარ კალატოზს ბლოკზე უარი ეთქვა, ქართული აგური (ანუ ხელისუფლება) აეღო, ზედ ჩვენი, მამაპაპურად შეზავებული კირ-დუღაბი (ოპოზიცია) მოესხა და ისე აეშენებინა ეს ქვეყანა. თორემ ცალ-ცალკე კირი და აგური ვერაფერიშვილი სამშენებლო მასალაა.

***იზო რკაძე***

# ყველაზე უღირსმა პარლამენტმა არსებობა სამარცხვინოდ დაასრულა



ისტორიას ჩაჰბარდა „ათასწლეულთა მიჯნის" ჩვენი პარლამენტი, რომელიც უდავოდ ისტორიის სანაგვეზე აღმოჩნდება, როგორც ქვეყნის ყველაზე უღირსი და არაფრისმაქნისი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო. სამწუხაროდ, მან ხელიდან გაუშვა თვითრეაბილიტაციის უკანასკნელი შანსი (იხ. „კვირის პალიტრა", №36, გვ. 13, „საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, საქართველოს პარლამენტს, ქართველ საზოგადოებრიობას"), შანსი ხელისუფლების, გავლენისა თუ სახელმწიფო ფინანსების მეტ-ნაკლებად სამართლიანი განაწილებისა და თავისი სავალალო არსებობა სამარცხვინოდ (კვორუმშეუკრებლად) დაასრულა.

ხელისუფლებას ჰქონდა „ობიექტური" მიზეზები საიმისოდ, რათა ძალაუფლების განაწილების პრინციპის რეალიზაცია უკეთესი პარლამენტის არჩევამდე გადაედო. ვფიქრობთ, პოლიტიკაში ოდნავ ჩახედულისთვისაც კი ცხადია, რომ მოახლოებული არჩევნები წინასთან შედარებით ნაკლებად გაყალბდება, თუნდაც მხოლოდ საერთაშორისო დამკვირვებელთა უზარმაზარი ყურადღების გამო. რადგან არ არსებობს რეალური კონსტიტუციური მექანიზმები პარლამენტისა და პრეზიდენტის დათხოვნისა, ლოზუნგი — „რევოლუციური ცვლილებები ევოლუციის გზით" — ბლეფია.

დასავლეთი საქართველოში მრავალსუბიექტიანი უმრავლესობის მქონე შევარდნაძის მომხრე პარლამენტს დაუჭერს მხარს. ვფიქრობთ, ილჰამ ალიევის გამარჯვების შემდეგ, ამას ყველაზე „ანტიედუარდისტი" ოპონენტებიც კი დაეთანხმებიან. კავკასია ახალი დაძაბულობის კერას ველარ აიტანს.

სამწუხაროდ, „ოპოზიცია" ორივე „პერსპექტიული", მაგრამ აშკარად ხეზე ასვლის უცოდინარი მემკვიდრეების, ჟვანია-თარგამაძის გადადგომის შემდეგ ორი წელი(!) აჭიანურებდა ამ აშკარად საპარლამენტო საკითხს. აჯანჯლებდა დემარშებით, ექვსთვიანი 115-ლარიანი მარათონით, საპროცედურო „ომით", ბოიკოტითა თუ სამთვიანი 15-მდე დათვლის სწავლების ბეიკერისეული გაკვეთილებით. ქვეყნისთვის ამ უმნიშვნელოვანეს საკითხთა გადაწყვეტა, ძირითადად, შემდეგი მიზეზების გამო ფერხდებოდა:

1. სახელმწიფოში „მეორე პირის" ფორმალურად არსებობის მიუხედავად, არ დასახელებულა (სავსებით მართებულადაც!) რეალური მემკვიდრე — პრემიერობის კანდიდატი. „მთავარ ოპოზიციას" კი მემკვიდრედ საკუთარი თავის გარდა, სხვა ვერაფრით წარმოედგენა. შვიდწლიანი რეალური ძალაუფლების, პრეზიდენტობაზე ნაჩქარევად გაცხადებული პრეტენზიისა და საკუთარი გუნდის ოცდახუთწლიანი მმართველობის საზოგადოებისთვის მიცემული უამრავი დაპირების შემდეგ, ძნელია პირველკაცობის დათმობა.

2. მინისტრთა კაბინეტში და არა „საძოვარზე მიშვებულ" მთავრობაში, თავისთავად ძევს მემკვიდრეობის მოსაპოვებელი პოტენციალი. არაერთპარტიული კოალიციური მინისტრთა კაბინეტი თავისთავად ნიშნავს არამაფიოზურ მთავრობას. ეს კი „ჩრდილოვანი ბიუჯეტის" (ქრთამის(!)) დღევანდელი 70-80%-იანი მაჩვენებლის ჩვენნაირი სახელმწიფოსთვის დასაშვებ 25-30%-იან ზღვრამდე ავტომატურ(!) ჩამოქვეითებას ნიშნავს!

3. ჩვენ, პოლიტისტებლიშმენტმა, ერთობლივი ძალისხმევით ქვეყანა იქამდე მივიყვანეთ, რომ ელემენტარული წესრიგის დასამყარებლად ვილაცების დასჯაა აუცილებელი.

მოგეხსენებათ, გამარჯვებულებს არ სჯიან. ასე რომ, შიშის სინდრომი ჩვენს დღევანდელობას და განსაკუთრებით კი უკვე დაწყებულ საარჩევნო კამპანიას სახელმწიფოებრიობისათვის ერთობ სახიფათო დაძაბულობის ზღვარს აახლოებს.

ბოლო წლებში, ხელისუფლებაში თუ ხელისუფლებასთან ყოფნით ფული ისეთმა „კურდღლებმა" იშოვეს, რომ მათ არათუ დასაშინებლად, მოპარულის თუნდაც ნაწილის ოფიციალურად(!) დასაბრუნებლადაც კი (და არა „შავად გასაწეწად") სულაც არ არის აუცილებელი სიკვდილით დასჯისა თუ გაციმბირების პრაქტიკის კვლავ აღდგენა. სავსებით საკმარისი იქნება რამდენიმე კაცის ჩვენს „ღია კარის" ტიპის ციხეებში სულ რამდენიმეთვიანი დასვენება.

არსებული განუკითხაობის ერთ-ერთ მთავარ შემოქმედსა და მონაწილეს — ხელისუფლებას, ამ ღონისძიებათა მხოლოდ მაქსიმალურად უმტკივნეულოდ ჩატარების უფლება აქვს!

საქართველოში ყველანი ერთმანეთის ნათესავები თუ არა, ნათელმირონები მაინც ვართ და ამ ურთულეს საკითხში გადამლაშების უფლებას დისკრედიტებულ ხელისუფლებას არავინ მისცემს.

იმედს გამოვთქვამ, რომ ჩემი აწ უკვე ყოფილი თანაფრაქციელები („ტრადიციონალისტების" პარტიის წევრი არც არასდროს ვყოფილვარ!) „ბურჯოკრატების" დახმარებით მინისტრთა კაბინეტის ფორმირების საკუთარი ვერსიის განხორციელებასა და სარეფერენდუმო ფიქსაციას ნამდვილად შეეცდებიან.

ჩვენს წინადადებაზე ფრაქციაში ამ ინიციატივის გამოქვეყნებამდე (პარასკევს) ვისაუბრეთ. „ტრადიციონალისტთა" „შემხვედრი" სარეფერენდუმო ინიციატივა კი, რომელიც იურიდიულადაც და რეალურადაც გაცილებით რთულად განსახორციელებელია (200 ათასი ხელმოწერა უნდა შეგროვდეს და პრეზიდენტმა იგი 2 ნოემბრისთვის უნდა დაამტკიცოს), ჩვენთვის ორშაბათს, საინფორმაციო საშუალებებით გახდა ცნობილი.

დასასრულ, მინდა მკითხველსა და ქართველ საზოგადოებრიობას გულწრფელად მოვუხადო ბოდიში და ვთხოვო პატიება, როგორც ზემოთ აღნიშნული სამარცხვინო ორგანოს ჯერ კიდევ წევრმა.

***თედო პაატაშვილი*** R

# „ასეთი არაკაცების სიკვდილით დასჯის მომხრე ვარ..."

*(დასაწყისი იხ. გვ. 5)*

ლექსო არ მალავდა, რომ ქურდულ სამყაროს ეთაყვანებოდა და მათ რიგებში დასამკვიდრებლად ყველაფერზე წავიდოდა!.. 24 წლის იყო, როცა „დავალებით" ადამიანის გატაცებაში მიიღო მონაწილეობა და გამოსასყიდის მიღების მიზნით 14 წლის ბიჭი მოსტაცა გამწარებულ მშობლებს... ის სხვებთან ერთად დააკავეს და ბავშვიც ოჯახში დააბრუნეს, მაგრამ მამას ის აღარ უნახავს, გული გაუსკდა 42 წლის კაცს...

ლექსო გაასამართლეს და ათი წელი მიუსაჯეს. სრულად მოიხადა, მაგრამ სამწუხაროდ, არ მოინანია... ისევ ქურდულ სამყაროში ტრიალებდა და მით უფრო გასაკვირი იყო, რომ გაუბედეს და ახლა მას მოსტაცეს შვილი, სწორედ 14 წლის ვაჟი, გამოსასყიდი მოსთხოვეს!..

გაგიჟდა — როგორ მაკადრესო?! და დამოუკიდებლად დაიწყო გამტაცებლების ძებნა, სად არ წავიდა, ვის არ მიმართა, საკუთარი თუ სხვისი „ავტორიტეტის" მოშველიებით სცადა დამნაშავეთა დაშინება თუ ნამუსზე შეგდება და გაჭრა მისმა ხერხმა: ბოდიში შემოუთვალეს — ბავშვს ამ და ამ ადგილზე ვტოვებთ, ამოდი და წაიყვანეო.

თავად წავიდა.

საოცარი სისწრაფით მიაქროლებდა მანქანას მითითებული მისამართით და... არავინ იცის, რა მოხდა ან როგორ?! — ავარიის შემდეგ მანქანაში მყოფთაგან აღარავინ გადარჩენილა...

ლექსოც შვილის უნახავი დაიღუპა, ისევე როგორც წლების წინ მის მიერ გამწარებული ის უდანაშაულო კაცი!..

...ამ შემთხვევამ დამარწმუნა ვანო პაპას ნათქვამის სისწორეში. მართლაც უფალი ყოველ კაცს აძლევს დროს, დასაფიქრებლად, სინანულისთვის და თუ ცოდვილი ამ დროს ვერ გამოიყენებს, უფლისკენ სავალ გზას არ აირჩევს, მიეზღვევა. უფლის სამართლის ყიდვა და გამრუდება წარმოუდგენელია საბედნიეროდ!..

***ინგა ჯაყელი***

# დედაშვილობისა...

საიდან მოვიდა ვარო სოფელში, ან როდის, არც ვინმემ იცოდა დანამდვილებით და აღარც აინტერესებდათ... დიდი ხანია „საბრალო ქალი“ გულით შეიყვარა ყველამ და გაჭირვების ტალკვესსაც ეძახდნენ: ბალახეულს გრძნეულივით ცნობდა, ისეთ წამალს გააკეთებდა, პირუტყვს ხომ არჩენდა და ადამიანის ტკივილსაც შველოდა: მშობიარესაც აგრძნობინებდა შვებას და უფრო მეტიც — დიდი ხნის უშვილოს უწამლებდა და ნანატრ პირმშოს კალთაში ჩაუგორებდა... ისეთი ტკბილი სიტყვის თქმა იცოდა, გასახეთქად გამზადებულ გულს დააწყნარებდა და თავის მოკვლის მსურველს სიცოცხლისკენ მოაბრუნებდა...

მის დანახვაზე ხელებს ვიშვიშით იქნევდნენ ქალები — „ვინა თქვა, ტყუილი ყოფილა, რომ მახინჯ სხეულში მახინჯი სულია, ვარო ანგელოზია, მისი გარეგნობა, აბა, რა სათვალავში ჩასაგდებიაო!“

ვარო კი მართლაც მახინჯი იყო და მისი მნახველი გაოცებას ვერ დაფარავდით — როგორ შეეძლო განგებას ასეთი სიმახინჯისთვის გაემეტებინა არსება?! ტანად პატარას ზურგზე ვეება კუზი კიდევ უფრო აპატარავებდა და მოკლე ხელები მაინც მუხლამდე ჰქონდა ჩამოზრდილი... კეხიანი ცხვირი სახეს ორად უყოფდა, ცალი თვალით ელამს, მეორე სულაც დაშრეტილი ჰქონდა და სამუდამოდ დახუჭული... კოჭლობდა, მარჯვენა ფეხს საცოდავად ითრევდა და მაინც ყოჩაღი იყო საოცრად, მთაში ვერც საქონლის არეკვას ასწრებდა ვინმე და ვერც ჩამორეკვას: თითქოს დამშეულ დათვს და მგელსაც თავთავის ენაზე ელაპარაკებოდა და წინაც რომ შეჰყროდნენ, გზას დაუთმობდნენ, უვნებლად გაატარებდნენ...

პირველად ორმოციოდე წლის წინ იხილა ვარო სოფელმა: მდიდარი, მაგრამ უშვილო ოჯახის წევრებმა მოიყვანეს და ცოტა ხანში აკვანიც დაირწა მათ სახლში: „ღმერთმა უშველოს ვაროს, რომ ქეთევანს შვილი აღირსაო,“ — ილოცებოდა ქეთევანის დედა და სიძე-ბატონს აქეზებდა: „ამ გოგოსი სიკვდილამდე მოვალე ხარ, აბა შენ, შენ იცი, როგორც დაუფასებო!..“

ცალყბად იღიმოდა ყაფლან-ბატონი და სხვის დასანახავად ვითომ ეფერებოდა ვაროს, არადა, ყველა გრძნობდა, რომ არ უყვარდა ბედისგან დაჩაგრული საბრალო გოგო, სიამოვნებით მოიშორებდა თავიდან, რომ არა შიში... ჰო, ეშინოდა ყაფლანს ვაროსი: „ოღონდ ჩუმად იყავი და მეც ქედს მოვიდრეკო!..“ საიდუმლოს რომ ფარავდა ვაროს გამოჩენა, ყველამ იცოდა, მაგრამ სინამდვილეში რაც ხდებოდა, იმას მაინც ვერვინ წარმოიდგენდა!..

იზრდებოდა ქეთევანის და ყაფლანის ნანინანატრი დედისერთა. ისეთი ლამაზი იყო, ზღაპრიდან გადმოსულ უფლისწულს ჰგავდა. თავად ყაფლანიც ვერ ფარავდა გაოცებას: „ვისა ჰგავს ეს მამაძაღლიო?!“

სოფელში ეჭვი აფუთფუთდა: „იმ ბავშვს არც ყაფლანისა და არც ქეთევანის არაფერი სცხია, ხომ არ იშვილეს უცხოს ნაშიერიო?!“ მაგრამ ვარომ ყველა ჩააჩუმა: — თქვენ ხომ იცით, ტყუილის თქმა არ შემიძლია, ბექა (ასე დაარქვეს ბიჭს!) თავისი დედის კალთაში იზრდება, დასტურად ღმერთსაც დავიფიცებო და იფიცებდა კიდევაც...

ვაროს ძალიან უყვარდა ბექა: უცნაურ იავნანას უმღეროდა, მწარედ ატირებული პატარა უცებ ჩუმდებოდა და გაიღიმებდა, „ალუ-ალუს“ მოჰყვებოდა, ვაროს გამხმარ ძუძუებზე მიეკვრებოდა და მის კალთაში ჩაგორებული ტკბილად ჩაიძინებდა...

ეჭვიანობდა კიდევაც ქეთევანი, აშკარად არ სიამოვნებდა, რომ ბექა მასზე მეტად ვაროს მიეკედლა, მაგრამ... ხმას ვერ იღებდა, თითქოს მასაც რაღაცის ეშინოდა!...

ცუდი ბიჭი არ იზრდებოდა ბექა და ესეც სულ ვაროს დამსახურებად მიაჩნდა სოფელს, თორემ გულზვიადი ყაფლანი და ქეთევანი მას ბევრს ვერაფერს ასწავლიდნენ სასიკეთოს: ღარიბი და გაჭირვებული ეცოდებოდა, ლუკმასაც გაუყოფდა და სამოსსაც — ხელმოკლე ამხანაგს. ნიჭიერებითაც გამოირჩეოდა, ადვილად სწავლობდა, მისი ცეკვის და სიმღერის ყურება-მოსმენას ხომ არაფერი სჯობდა! ვაროს გამომცხვარი პურივით არაფერი ეგემრიელებოდა, ვაროს მოხარშულ ლობიოსაც სხვის საცივს ამჯობინებდა და აღარც უკვირდა სოფელს — ვარომ ამ ბიჭს თავისი ანგელოზისებრი სული შთაბერაო!..

ვარომ ერთი სიკეთეც აჩუქა სოფელს. მიტოვებული, საწყობად ქცეული და გაჩანაგებული ეკლესია დაასუფთავა, გაწმინდა, საკუთარი კაბის კალთებით ჩამოგავა და შიგ ხატიც დააბრძანა — ღვთისმშობელი ყრმა იესოთი!.. საათობით შეეძლო ამ ხატის წინ დგომა ვაროს, ხელში საკუთარი თითებით ჩამოქნილი თაფლის სანთლები ეჭირა და ღვთისმშობელს ყველა დედისა და შვილის სიყვარულს ავედრებდა...

16 წლის იყო ბექა, ყაფლანი რომ გარდაიცვალა. ბედის განჩინებით, ექვსიოდე თვეში ქეთევანიც გაუყვა ქმრის კვალს და მარტო დარჩა დედისერთა უზარმაზარ სახლში. თუმცა კი, რატომ მარტო, როცა ვარო ჰყავდა და მარტოდ დარჩენილებს კიდევ მეტი სიყვარული თუ ახლობლობა უნდა ჰქონოდათ ერთმანეთის, მაგრამ...



ბექა თითქოს ბოროტი ჯადოქრის ჯოხის ერთი აქნევით შეცვალეს. სოფელი კეთილ და ზრდილობიან ბიჭს ვეღარ ცნობდა: უცებ გაუხეშდა და გატყიურდა, სიახლოვეს არავის იკარებდა. ყველაზე ცუდ დღეში კი ვაროს აყენებდა: ენას ამოგგლეჯ, რომ ეგ სისულელე მეორედ გაიმეოროო!.

თვალცრემლიანი ვაროც ჩუმად იყო და გულში მჯიღს იცემდა: როგორც შენ გინდოდეს, ოღონდ კი არ ინერვიულო, ჩემო თვალისჩინოო...“

მერე ბექამ სკოლა დაამთავრა, ქალაქს მიაშურა სასწავლებლად და აღარც ინება უკან დაბრუნება. ვარო კი ოჯახს ბურჯად ექცა, კიდევ უფრო გაამრავლა ცხვარ-ძროხა თუ ფრინველი. ყველსაც ყიდდა, მატყლსაც, კვერცხსაც — კაპიკს კაპიკზე აწებებდა და ბექას უგზავნიდა — არაფერი მოიკლოო.

ბექა არ ჩანდა. ჯერ მოისაკლისა სოფელმა, მერე მონატრა და როცა მის გამოჩენას საშველი არ დაადგა, თითქოს დაივიწყა კიდევაც...

მერე ვიღაცამ ამბავი ჩამოიტანა სოფელში — ბექას ცოლი შეურთავსო. ერთი წლის შემდეგ — ვაჟი შესძენიათო!.. კიდევ უფრო ხშირად იდგა ეკლესიაში ვარო საყვარელი ხატების წინ და ბევრად მეტ სანთელს უნთებდა უფალს, ცრემლიც გაუმრავლდა... ქალები სალაპარაკოდ იწვევდნენ და დარდის გამხელას აძალებდნენ — ტკივილი შეგიმსუბუქდებაო!.. მაინც ჩუმად იყო და ხვდებოდნენ — გაზრდილი ენატრებოდა...

ერთხელაც ვერ მოითმინეს სოფლელებმა, ქალაქში წასულ ვაჟიკოს დაავალეს, ბექასთან შეევლო და სოფლის სახელით საყვედური ეთქვა ვაროს დავიწყებისა და გამეტებისთვის!..

— ბექა ვერ ვნახე, შინ არ იყო, მისი ლამაზი ცოლი დამიხვდა, მასადილა და როცა ვაროს შესახებ ვუთხარი, გაიკვირვა — არ ვიცოდი, თუ ბექას სოფელში ვინმე ჰყავდა, არასოდეს უხსენებიაო!.. გული დამწყდა და ვიტირე ვაროს გამო, მისი ლამაზი ცოლიც ავატირე. ჩამოსვლას დამპირდა და რა ვიცი, რას იზამსო, — ვაჟიკომ.

...ორიოდე კვირაში მართლაც ჩამოვიდა ბექა ცოლ-შვილით — ათიოდე წლის ბიჭი და ხუთი წლის ხატულა გოგო ჩამოიყვანეს. ჯერ შეეშინდათ ბავშვებს ვაროსი, მაგრამ იმდენი ქნა ქალმა თავისი ტკბილი სიტყვით და უცნაური იავნანით, ორიოდე დღეში დაივიწყეს დედა, ვარო ბებოს გარეშე არც იძინებდნენ და არც ლუკმას ჭამდნენ...

იამზეს, ბექას ცოლს, უხაროდა!

ბექა შუბლშეკრული დადიოდა — ჩემს მშობლებს შინამოსამსახურედ ჰყავდათო! — ცოლისთვის ეთქვა.

სავსე ოჯახის ნახვით გახარებულმა იამზემ ქმარს გაკვირვებით უთხრა, — შინამოსამსახურე კი არა, ასე დედის მეტი ვერავინ უერთგულებდა შვილს, წარბი გაუხსენი ვაროს და მოეფერე, ამომავალ მზესავით გიყურებს, როგორ ვერ ამჩნევო!..

შეკრთა ბექა, გაწითლდა და ცოლს უსიტყვოდ ზურგი აქცია...

იამზემ კი ისე შეიყვარა ვარო, განშორებისას თვალცრემლიანი მოეხვია, — ნეტავი შენ ყოფილიყავი ჩემი ბექას დედა, მეტი სითბო და სიკეთე ეცოდინებოდაო!...

— შენ შემოგევლეო! — მუხლებზე დაუდგა და ფეხებზე მოეხვია ვარო იამზეს.

დათუნამ და ხატულამ გულები დაიხეთქეს ტირილით: „ვარო ბაბო ქალაქში წავიყვანოთო!“ — მხოლოდ ბექა იდგა ქვასავით და ვაროსკენ არც იხედებოდა. მაინც პირჯვარი გადასწერა და დალოცა, — ბედნიერი იყავი, ოჯახის დარდი არ გქონდეს, სანამ პირში სული მიდგას, სხვაზე უკეთ თუ არა, სხვაზე ნაკლებად არ ვიქნებითო!..

ხატებთან ერთად დაკიდა ვარომ ბექასა და მისი ცოლ-შვილის სურათი კედელზე და იქაც ანთებდა სანთელს... თვალი სულ გზისკენ ეჭირა და ზაფხულის მოსვლას უცდიდა, რომ ისევ ენახა ძვირფასი ადამიანები... ისინიც მოდიოდნენ და ერთხელაც... ერთხელაც ცოცხალი აღარ დაუხვდათ ვარო: წვიმაში მოყოლილი გაცივებულიყო, ფილტვების ანთება შეჰყროდა და მისი მსხვერპლიც გახდა...

— სიცოცხლე არ უნდოდა, თორემ თავს როგორც ვერ უწამლებდაო?! — ისევ აფუთფუთდა სოფელში ეჭვის ჭია...

ბექას დალუქული კონვერტი გადასცეს ვაროს მიერ სიკვდილის წინ დაწერილი: „საიქიოშიც შენთვის ვილოცებ და სულ არაფერს ვინანებ, იმიტომ, რომ შენ მყავდი, ჩემი მზე და მთვარე ჩემი მანათობელი ვარსკვლავი... გევედრები, საფლავზე მოდი ხოლმე, მოდი და ამით მაგრძნობინე, რომ მაპატიე!..“

ბექამ ხმამაღლა წაიკითხა წერილი და ბავშვივით აქვითინებული დაემხო ვაროს ცხედარს, გაცივებული ხელები დაუკოცნა...

— ბექას საპატიებელი რა ჰქონდა ვაროს?! — კიდევ უფრო გაიკვირვა სოფელმა...

ბექა წელში გაიმართა, ხალხს თვალი გაუსწორა და თქვა: „ვარო დედა იყო ჩემი, მშობელიო!..“

არ დაიჯერეს — ეს ანგელოზი როგორ შეიძლებოდა ვაროს წიაღიდან შობილიყოო.

მერე დაიჯერეს...

მერე ძმები გამოუჩნდნენ ვაროს მეზობელ რაიონში და მათაც საბოდიშოდ დახარეს მისი ცხედრის წინ თავი, — ვერ გავუგეთ სიცოცხლეში, ვერ დავაფასეთ, მივატოვეთ, შინიდან გამოვაგდეთ, ცოცხალიც აღარ გვეგონაო.

...ისიც გაიგეს, ბექას მამა ვინც იყო: არა, მას არ შეეძლო მახინჯი, საბრალო გოგოს სიყვარული... ნაძლევი მოიგო თურმე ტოლებთან — თავს შევაყვარებ და შევაცდენო. ერთ პურმარილად შეუფასებია ვაროს სიცოცხლეც და სიყვარულიც...

„ოჯახის შემარცხვენელს“ მუცლის მოშლა მოსთხოვეს და რომ ვერ დაიყაბულეს, შინიდან გამოაგდეს, ამბავიც აღარ იკითხეს მისი...

ვარომ ბავშვი გააჩინა და როცა უნაკლო პატარა დაიბადა, სამშობიაროში გაყიდვა შესთავაზეს... იცოდა, მარტო ვერაფერს გახდებოდა და ერთი პირობით დასთანხმდა ბავშვის გასხვისებას, — მეც უნდა წამიყვანონ, შინამოსამსახურედ დავუდგები, ბავშვს სიმართლეს არავინ ეტყვის, ოღონდ ჩემი შვილის გვერდით უნდა ვიყოო!..

ჯერ უარობდნენ ყაფლანი და ქეთევანი, მერე კი... მერე ვერ შეელივნენ მზესავით პატარას, თუმც კი ასჯერ იკითხეს დაეჭვებულებმა, — ხომ არაფერი გეშლებათ, ნუთუ ამ მახინჯმა გააჩინაო მართლა ეს ანგელოზიო?

...ქეთევანს გაუმხელია სიკვდილის წინ ბექასთვის, — მე კი არა, შენი მშობელი ვაროა, გარდაცვლილი მამაშენი მელანდება და არ მასვენებს — თუ გინდა ჯოჯოხეთს ავცდეთ, ბიჭს სიმართლე უთხარიო!..

ბექამ ჯერ არ დაიჯერა, მერე კი რატომღაც შეიძულა უსაყვარლესი არსება... თუმცა... ეგონა, შეიძულა, მაგრამ სიკვდილმა თვალიც აუხილა და ძალად დახშული გულის კარიც გაუხსნა: უცებ მიხვდა, რომ ვაროს გარეშე დაობლდა, მართლა დაობლდა...

...ორი წელია სოფელში გადმოსახლდნენ ბექა და მისი ცოლი. სტუდენტი ქალ-ვაჟი ქალაქში დატოვეს... იშვიათად დღე გამოტოვოს, რომ ვაროს საფლავს არ ეახლოს და არ ჩაიმუხლოს, სანთელი არ აანთოს... დედის დატოვებულ ეკლესიასაც მიეპატრონა და დაშლამდე მისული სკოლაც აალორძინა — „ესეც ტაძარიაო!“ — ღრმად სწამს...

დანაზოგით — გზა შეუკეთა სოფელს და რაიონთან კავშირი გაუადვილა. სოფლელები ამ გზას „დედაშვილობისას“ ეძახიან, ზოგჯერ „ვაროს გზასაც“... მე მაინც „დედაშვილობისა“ უფრო მომეწონა, რადგან ეს გზა, პირველ რიგში ტაძრისკენ მიდის...

P.S. ეს ამბავი ნამდვილია, თუმცა კი ლეგენდად ქცეული და თავს ბედნიერად ვგრძნობ, რომ ჩვენი დროც ბევრ საარაკოს უტოვებს მომავალს...

*ინგა ჯაყელი*




## რას გვეტყვი, მამაო?

**— გთხოვთ გვიპასუხოთ, რამდენი მამათა მონასტერია თბილისის ირგვლივ. შეიძლება თუ არა იქ, მამებთან დარჩენა და რამდენიმე დღის ლოცვა-ვედრებაში გატარება?**

— ღვთის ნებით, თბილისის ირგვლივ რამდენიმე მამათა მონასტერი მოქმედებს: მარტყოფის, შავნაბადას, შიომღვიმეს, ბეთანიის, ზედაზნის... თუ თქვენ გაქვთ სურვილი, ამ წმინდა ადგილებში დარჩეთ და ილოცოთ, მიმართეთ ნებისმიერი მონასტრის წინამძღვარს და 3 დღით მოგცემთ თავშესაფარს... თუ უფრო ხანგრძლივად გნებავთ დარჩენა, კვლავ წინამძღვრისგან უნდა აიღოთ კურთხევა. თუკი მონასტერს მატერიალური საშუალება აქვს, წმინდა ადგილზე ყოფნის ვადა გაგიხანგრძლივდებათ.

**— შეიძლება თუ არა საქართველოს საპატრიარქოს სასულიერო პირმა სხვა ქვეყნებში, ახალი კალენდრით მოქმედ მართლმადიდებლურ ტაძარში, საღვთო ლიტურგია ჩაატაროს ახალი საეკლესიო კალენდრის შესაბამისად?**

— მართალია, საქართველოს ეკლესია ძველი საეკლესიო კალენდრის მიხედვით ცხოვრობს, მაგრამ მსოფლიოში არიან მართლმადიდებელი ქვეყნები, რომელთა ტაძრები ახალი საეკლესიო კალენდრით მსახურობენ (აღდგომის დღესასწაული კი ყველა ქრისტიანულ ტაძარში ძველი სტილით, ერთ დღეს აღინიშნება). საქართველოს ეკლესიის სასულიერო პირს, რომელიმე ასეთი ქვეყნის ტაძარში მოხვედრისას, სრული უფლება აქვს დაესწროს ან ჩაატაროს წირვა-ლოცვა. მაგალითისთვის გავიხსენებთ ათონის მთის მართლმადიდებელ ბერებს, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ ათონის მთაზე ძველი საეკლესიო კალენდარი მოქმედებს, საბერძნეთის ქალაქებში ჩასვლისას მიდიან ან ღვთისმსახურებენ იმ ტაძრებში, სადაც დრო ახალი საეკლესიო კალენდრით აღინუსხება.

**— რომელი წელი ითვლება მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიების გაყოფის საბოლოო თარიღად?**

— მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიების საბოლოო გაყოფა მოხდა 1054 წელს, როცა კათოლიკეებმა მრწამსში შეიტანეს ცვლილება სულიწმიდის გამომავლობის შესახებ. ქრისტეს მოვლინებიდან ათი საუკუნის მანძილზე ქრისტიანული ეკლესია სულიწმიდის მხოლოდ მამიდან გამომავლობას აღიარებდა. 1054 წლიდან კათოლიკურ მრწამსში გაჩნდა განჩინება, რომ სულიწმიდა არა მარტო მამიდან გამოვალს, არამედ ძიდანაც. ამ განჩინებამ დაარღვია საუკუნეების განმავლობაში დაწესებული ჭეშმარიტი ქრისტიანული კანონიკა და ნიადაგი გაუღრმავა ათასი ჯურის მწვალებელთა გამოჩენას. უნდა აღინიშნოს, რომ ეს გაყოფა უმტკივნეულოდ არ მომხდარა. ხანგრძლივი დროის მანძილზე ამას წინ უძღოდა დაპირისპირება რომისა და ბიზანტიის პოლიტიკასა და ქრისტიანულ აღმსარებელთა შორის.

**— როგორ უყურებს ქართული მართლმადიდებელი ეკლესია მიცვალებულის კრემაციას?**

— „მიწა ხარ და მიწად იქეც“ — ასეთია ადამიანის ამქვეყნიური ყოფნის დასასრულის ბიბლიური განჩინება. ეს არის საფუძველი იმისა, რომ ადამიანი მიწას მივაბაროთ. თუკი სიკვდილის დროს მას დაწვავენ, რასაკვირველია, გარდაცვლილს არ მოეკითხება, მაგრამ ღვთის წინაშე სცოდავენ ამ საქციელის ჩამდენნი. კრემაცია საკმაოდ გავრცელდა მართლმადიდებელ რუსეთში. ამის მიზეზად მიწის სიმცირეს იმიზეზებენ. საბედნიეროდ, კრემაცია საქართველოში ჯერ არ დანერგილა.

**— თუ ბავშვს დაბადების დღე აქვს აგვისტოში და თანაკლასელებთან ერთად არდადეგების გამო ვერ აღნიშნავს, შეიძლება თუ არა ეს დღე გადაიტანოს მისი ანგელოზის დღეს?**

— დაბადების დღე დაბადების დღეა და მას ვერსად ვერ გადაიტან, წვეულება კი როცა გინდათ, მაშინ გამართეთ. მაგრამ დაგვერწმუნეთ, ანგელოზის დღის აღნიშვნა თქვენი შვილისთვის უფრო მეტი მადლის მიმცემი იქნება. ანგელოზის დღის აღნიშვნა თქვენს შვილს გააძლიერებს. სასურველი იქნება თუ ამ დღეს ბავშვი ზიარებით განწმენდილი შეხვდება. მერე კი მოკრძალებულად შეუძლია იდღესასწაულოს თავისი ანგელოზის დღე და მფარველობა შესთხოვოს მას.

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ*** ***იხ. გვ. 36.***

***მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.***

# „ანაშა“ არ მოუწევიათ და პირდაპირ ოპიუმით იწყებენ“

უახლოეს მომავალში თბილისი შეიძლება ნარკოქალაქად იქცეს. მიუხედავად იმისა, რომ აზიიდან თუ ევროპიდან შემოტანილი ჰეროინი, კრეკი თუ ოპიუმი დღითი დღე ძვირდება, საქართველოში ნარკომანთა რაოდენობამ კატასტროფულ ზღვარს მიაღწია.

როგორც ირკვევა, ნარკომანთა არმიის ზრდა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ ხალხმა ფული იშოვა და ნებისმიერს ძვირად ღირებული წამლის ყიდვა შეუძლია. უბრალოდ, ნარკომანებმა კაიფის დაჭერის მარტივ და იაფ საშუალებას მიაგნეს: როგორც უკვე ცნობილია, ბოლო დროს საქართველოში შემოტანილი ყაყაჩოს თესლის ქიმიური დამუშავებით ნამდვილი ოპიუმი მიიღება და გაცილებით იაფიც ჯდება. ამასთან, რაც მთავარია, კანონი მის რეალიზაციას არ კრძალავს. ასე რომ, ნარკომანებს ნამდვილი „ოქროს ხანა“ დაუდგათ.

ყაყაჩოს თესლის პირველი დიდი პარტია თბილისში ზაფხულის დამდეგს შემოვიდა. ინსტრუქციის თანახმად, მას კულინარიული დანიშნულება აქვს, — კერძოდ, პურფუნთუშეულისთვის არის განკუთვნილი — ეგზოტიკური გემოს მისაცემად ხაშხაშს ფუნთუშებს, რულეტებს და კექსებს ზემოდან აყრიან. ქართველი ტექნოლოგების თქმით, საქართველოში მსგავსი პრაქტიკა არასოდეს ყოფილა — ქართველი კულინარები თურმე დანაყილ თხილს, ნუშს თუ შაქარს ხმარობენ (მაგრამ ზოგიერთებს კარგად ახსოვთ საბჭოური პერიოდის ხაშხაშმოყრილი ფუნთუშები და ბლითები). აქედან გამომდინარე, ეჭვი იმის თაობაზე, რომ ყაყაჩოს თესლი საქართველოში თავიდანვე ნარკო და არა კულინარიული მიზნით შემოიტანეს, აზრს მოკლებული სულაც არ არის.

კომპეტენტური პირების მტკიცებით, ყველაზე საგანგაშო ის არის, რომ ყაყაჩოს თესლის შემოტანის შემდეგ თბილისში მკვეთრად მოიმატა ნარკომანთა რაოდენობამ.

**ირინა ამირაშვილი**, ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი სამკურნალო დარგში: — მას შემდეგ, რაც ყაყაჩოს თესლი შემოვიდა, ნარკომანთა რაოდენობამ მართლაც მოიმატა. ზოგიერთები, რომლებსაც თავის სიცოცხლეში ანაშაც კი არ მოუწევიათ, პირდაპირ ოპიუმზე გადავიდნენ. მართლაც შემაშფოთებელი მდგომარეობა გვაქვს.

— **რამდენად სერიოზული „წამალი“ მიიღება თესლის გადამუშავებით?**

— ყაყაჩოს თესლი ოპიუმს შეიცავს. ერთი კილოგრამი თესლით ოპიუმის ორ ძლიერ დოზას იღებენ. ივნისიდან ნარკომანთა რაოდენობამ მკვეთრად იმატა. სწორედ ამ პერიოდში შემოიტანეს დიდი რაოდენობით ყაყაჩოს თესლი, — კილოგრამი ლარ-ნახევარი თუ ორი ლარი ღირდა. ცხადია, ჰეროინთან შედარებით გაცილებით იაფია. სწორედ ამიტომ ავტეხეთ განგაში, მაგრამ ყაყაჩოს თესლის რეალიზაციის აკრძალვა ჩვენი კომპეტენცია არ არის.




ბაზრობაზე სხვადასხვანაირად შეფუთული ლეგალური ნარკოტიკები იყიდება

— **თქვენ ადასტურებთ, რომ ყაყაჩოს თესლით ვაჭრობა უნდა აიკრძალოს?**

— ცხადია. თესლის გამოკვლევაზე ერთობლივად ვიმუშავეთ ჩვენ, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტრომ. დავადგინეთ, რომ პროდუქცია ნამდვილად ასაკრძალია და სათანადო დასკვნაც გავეცით ივნისში, მაგრამ ამაოდ...

ამასობაში მისი ღირებულება რამდენჯერმე გაიზარდა, ყიდვა კი ძველებურად, ნებისმიერ ადგილას და ნებისმიერი რაოდენობით შეიძლება. თუმცა, ზოგი გამყიდველი მაინც იატაკქვეშეთში გადავიდა და მხოლოდ ნაცნობ კლიენტებს ამარაგებს... ჩვენი ინკოგნიტო ნარკომანი რესპონდენტის თქმით: — ეს იმით არის გამოწვეული, რომ მყიდველებსაც და გამყიდველებსაც პოლიციის თანამშრომლები სთხოვენ წილს. საბაბი მარტივია — ყაყაჩოს თესლი ხშირ შემთხვევაში კონტრაბანდულია. ამით იმას მიაღწიეს, რომ თესლი გაძვირდა, თუმცა სხვა წამლებთან შედარებით მაინც იაფია და კლიენტებიც ულევად ჰყავთ.

— **როგორ გამოჰყავთ თესლისგან ოპიუმი?**

— ე. წ. „რასტვარიტელის“ საშუალებით თესლიდან ოპიუმის გამოქაჩვა რომ ხდებოდა, არც მე ვიცოდი, მაგრამ ნარკომანები რას არ მოიფიქრებენ. მე რუსეთში დავეჩვიე წამლის კეთებას. იქ ყაყაჩო ყველას აქვს და პირდაპირ, მისი რძისგან ვიღებდით ნამდვილ ოპიუმს. თესლის გამოყენება აზრადაც არ მოგვსვლია. ხანდახან თუ მოვადუღებდით „მანაგუას“. რუსეთში ყაყაჩოს თესლს მართლაც ნამცხვრებისთვის იყენებენ. აბა, ჩვენთან თუ იპოვით ყაყაჩოსთესლიან ნამცხვარს, თავს მოვიჭრი.

— **ამბობენ, რომ თესლის შემოტანის შემდეგ ნარკომანთა რაოდენობა გაიზარდა.**

— მართალია. მეცხრე-მეათეკლასელებმა დაიწყეს წამლის გაკეთება. მაინც მგონია, ეს გამიზნულად ხდება. ვინც შემოიტანა, კარგად იცოდა, რა მოგებასაც ნახავდა.

— **ვინ შეიძლება ამ ლეგალურ ნარკობიზნესს მფარველობდეს?**

— ვინც მთავრობაში ზის და ფულის გარდა, ფეხებზე ჰკიდია ყველაფერი. ნარკობიზნესი სარფიანი საქმეა და ამათაც მოიფიქრეს, როგორ გაეხადათ ბიზნესი ლეგალური. ამასთან, თესლის შემოტანას სხვა სფეროების „აყვავებაც“ მოჰყვა. დაიწყეს ნიშადურის სპირტის, „რასტვარიტელისა“ და ასპირინის დამზადება. ერთი სიტყვით, კარგი მიგნებაა — კულინარიის საბაბით წამლით ბარიგობა. არ ვიცი, ამ ბიზნესის „კრიშა“ ვინ არის, მაგრამ ყველაფერი ზედმიწევნით არის გათვლილი. ბოლოს და ბოლოს, იქნებ მართლა უნდა ვინმეს ხაშხაშიანი „ბულკის“ გამოცხობა. თუ ყაყაჩოს თესლის გაყიდვას აკრძალავენ, მათი უფლებები ხომ შეილახება...

რამდენად იოლია ყაყაჩოს თესლის შეძენა, ამის დასადგენად სავაჭრო ადგილებს მივაკითხეთ. მეტროს გამოსასვლელში მოვაჭრეები, როგორც უცხო კლიენტს, უნდობლად მხვდებიან და ამბობენ, რომ „მაკი“ არასოდეს ჰქონიათ. შორიახლოს ვდგები და ვუყურებ, როგორ ეჩურჩულება ნაცნობი ნარკომანი გამყიდველს, რომელიც საგულდაგულოდ გადამალული ფუთიდან შავი ფხვნილის პაკეტს იღებს. ასეთ „კონსპირაციას“ მხოლოდ წვრილი მოვაჭრეები იცავენ. ყაყაჩოს თესლი უკვე სუპერმარკეტებშიც იყიდება. იქ იგი დახლებზე დევს და გამყიდველთან ჩურჩულით საუბარი და თვალის პაჭუნი საჭირო არ არის. თუმცა, ერთი კია, — სუპერმარკეტებში ყაყაჩოს თესლი გაცილებით ძვირი ღირს.

ერთ-ერთ ასეთ ელიტურ სუპერმარკეტში — „ევროცენტრში“, გერმანული ყაყაჩოს თესლის 250-გრამიანი პაკეტი თორმეტი ლარი ღირს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ოპიუმის ორი დოზის მიღება ნარკომანებს 48 ლარი დაუჯდებათ. სამაგიეროდ, „ვაგზლის მოედნის“ მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულ ბაზრობაზე თესლის ყიდვა გაცილებით იაფად შეიძლება. აქ რუსული წარმოების თესლის ნახევარკილოგრამიანი პაკეტი 10 ლარი ღირს. ამასთან, როგორც ნარკომანები ამბობენ, რუსული ყაყაჩო ბევრად სჯობია გერმანულს.

ყაყაჩოს თესლის ერთი გამყიდველის ინფორმაციით, საქონელი თბილისში ერგნეთის ბაზრობიდან და ყაზბეგიდან შემოდის: — შესაბამისი საბუთებიც მაქვს, რომ კონტრაბანდა არ არის და ამიტომ აწყვია ასე თავისუფლად.

— **ასე რატომ გაძვირდა, ადრე ხომ ორი ლარი ღირდა?**

— მოთხოვნილება გაიზარდა (იცინის).

— **ბევრი ნარკომანი ყიდულობს?**

— რა ნარკომანები, კაცო, „ბულკებისთვის“ ყიდულობენ. აგერ, ეს პაკეტი ჰოლანდიური ყაყაჩოს თესლია, ოთხ „ბუბლიკს“ ჰყოფნის.

— **ოთხი „ბუბლიკის“ გამოცხობა კაპიკები დაჯდება და ათლარიან თესლს აყრიან ზემოდან?**

— რა ვიცი, ძმაო, მიაქვთ. კლიენტი არ მაკლია და მეც ეს მინდა...

გამყიდველს, ცხადია, მართლაც მოგება აინტერესებს, მაგრამ არავინ იცის, რატომ აქვს ჰოლანდიურ და რუსულ თესლს ზუსტად ერთნაირი პაკეტი და წარწერა. ორივეზე დიდი ასოებით, რუსულად აწერია „მაკ“ და რომ არა გამყიდველი, კაციშვილი ვერ მიხვდება, რომელია ჰოლანდიური და რომელი — რუსული. თუმცა ამბობენ, რომ პროდუქცია ჰოლანდიურია, შეფუთვა კი რუსული.

საბაჟო სამსახურის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ ამ პროდუქციის აბსოლუტური უმრავლესობა რუსეთში, იატაკქვეშეთშია დამზადებული და კვალის ასარევად ხდება მისი ამა თუ იმ ქვეყანაზე მიწერა. თუმცა, საქმეში ჩახედულთა მტკიცებით, დღეს მთავარია არა ყაყაჩოს თესლის წარმომავლობის დადგენა, არამედ ის, თუ რა უბედურების მოტანა შეუძლია მას საქართველოსთვის. მაგრამ, როგორც ირკვევა, ყაყაჩოს თესლის ბიზნესს, ჯერჯერობით, საფრთხე არ ემუქრება.

**პაატა გოძილაური,** შსს-ს პრესცენტრის უფროსი: — ყაყაჩოს თესლის რეალიზაციის აკრძალვა რიგ პროცესუალურ ნორმებს მოითხოვს. ერთ დღეში ამის მიღწევა შეუძლებელია. თვითონ თესლი, როგორც პროდუქცია, საქართველოში ნარკოტიკების შემცველ პროდუქტთა ნუსხაში არ არის შესული. ამიტომ, შესაბამისად, არც მისი რეალიზაცია არის აკრძალული.

— **რა არის საჭირო ამის მისაღწევად?**

— ჩვენ ჯანდაცვის სამინისტროს ლაბორატორიიდან ველოდებით შესაბამის დასკვნას, რის შემდეგაც იგი წარედგინება მთავრობასა და პრეზიდენტს. თუ ამის საჭიროება იქნება, პრეზიდენტი პარლამენტს წარუდგენს კანონპროექტს და სწორედ პარლამენტმა უნდა გადაწყვიტოს, აიკრძალოს ყაყაჩოს თესლის რეალიზაცია თუ არა...

*P. S. ერთი სიტყვით, ყაყაჩოს თესლის აკრძალვა-არაკრძალვა პარლამენტის გადასაწყვეტი ყოფილა. როდის მოიცლიან მომავალი არჩევნებით დაკავებული საქართველოს რჩეულები ამ „უმნიშვნელო“ საქმისთვის, ძნელი სათქმელია. სავარაუდოდ, არც ისე მალე. ასე რომ, ნარკომანების „ოქროს ხანა“ შეიძლება კიდევ დიდხანს გაგრძელდეს.*

**დავით დევიძე**






# შევარდნაძე პუტინს იალტაში შეუტევს

დსთ-ის სახელმწიფოთა იალტის სექტემბრის სამიტზე საქართველოს პრეზიდენტს განზრახული აქვს, კვლავ აფხაზეთის პრობლემაზე გაამახვილოს ყურადღება. მთავარ კითხვებს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა უნდა უპასუხოს, რადგან სწორედ რუსეთი იყო თითქმის ათი წლის მანძილზე შუამავალი საქართველოსა და აფხაზეთს შორის და მისი სამშვიდობოები დგანან ახლა აფხაზეთში. „აფხაზეთის საკითხზე დსთ-ის გადაწყვეტილება არსებობს, მაგრამ ქაღალდზე. ამის გამო გარკვეული პასუხისმგებლობა ალბათ რუსულმა მხარემ უნდა იკისროს“, — ამბობს პრეზიდენტი. ხოლო იმისათვის, რომ მოსკოვს ეჭვი არ შეეპაროს თბილისის პოზიციის სიმტკიცეში, შევარდნაძე სამიტზე საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზების იჯარის საკითხს დასვამს. ეს საკითხი პირველად არ წამოჭრილა. თავის ამასწინანდელ სატელევიზიო გამოსვლაში შევარდნაძემ აღნიშნა: — თავის დროზე საქართველომ ყურადღება არ მიაქცია იმას, რომ რუსეთის სამხედრო ბაზები საქართველოში სარგებლობენ ტერიტორიით, წყლით, გზებით, სინათლით, არადა ყველაფერი ეს ფული ღირს. რუსეთს ჩვენი დიდი ვალი აქვს, უფრო მეტი, ვიდრე ჩვენ მათიო.

საქართველოში ახლა რუსეთის სამი ბაზაა დარჩენილი — ახალქალაქში, ბათუმსა და გუდაუთაში. ოფიციალური თბილისი ითხოვს, რომ რუსეთმა მკაცრად დაიცვას სტამბოლის ეუთოს სამიტის (1999 წ.) რეზოლუციები და უახლოეს წლებში გაიყვანოს თავისი ბაზები. მაგრამ ვადაზე მოლაპარაკება ვერა და ვერ ხერხდება. სექტემბრის დასაწყისში ამ მიმართებით თბილისში ჩატარებული რუსულ-ქართული კონსულტაციები უშედეგოდ დამთავრდა: საქართველო უწინდებურად ითხოვს ბაზების სამ წელიწადში გაყვანას, რუსეთი კი თვლის, რომ ეს პროცესი 11 წლის შემდეგ დასრულდება. კვლავ ვერ გაირკვა გუდაუთის სამხედრო ბაზის საკითხი, რომელსაც მოსკოვი დიდი ხანია დაშლილად აცხადებს; თბილისს კი ეს არ სჯერა და იქ ეუთოს საერთაშორისო ინსპექციის გაგზავნას ითხოვს. როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალურ განცხადებაშია აღნიშნული, რუსეთის მხარე გუდაუთის ბაზასთან დაკავშირებით თბილისს მისთვის მიუღებელ ვარიანტებს სთავაზობს, რომლის მთავარი არსი ამ ბაზების შენარჩუნებაშია. თანაც უარი თქვა ბაზების მონიტორინგის პროცესში საერთაშორისო ინსპექტორების უსაფრთხოების დაცვაზე. ქართულ მხარეს მოსკოვის ეს საქციელი ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმად მიაჩნია. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში აღნიშნავენ, რომ სამშვიდობოები ვალდებულნი არიან, გაეროსა და ეუთოს თანამშრომლებს ხელი შეუწყონ ყოველი ობიექტისა და შენაერთის შემოწმებაში. ეტყობა, საქართველოს პრეზიდენტი რუსეთის ბაზების შენარჩუნების სანაცვლოდ აფხაზეთის დაბრუნებას მოითხოვს.

***ნეზავისიმაია გაზეტა №192***

# საქართველოს გაკოტრება ელის...

საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა საქართველოში, ჯონათან დანმა განაცხადა, რომ ფონდი დროებით წყვეტს თავის პროგრამებს და ჯერჯერობით მათ განახლებას აღარ აპირებს. თბილისს მსგავსი პრობლემები ადრეც ჰქონია, მაგრამ ამჯერად ეს სიტუაცია დეფოლტის საშიშროებას ქმნის. როგორც ცნობილია, 24 ივნისიდან 7 ივლისამდე ფონდის მისია საქართველოში მუშაობდა და თბილისს მოსთხოვა, 15 აგვისტომდე 45



მლნ დოლარით შეემცირებინა საბიუჯეტო ხარჯები, წინააღმდეგ შემთხვევაში, დონორების დახმარების შეჩერებით იმუქრებოდა.

შევარდნაძე და მისი მთავრობა გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ნახევარ წელიწადში საქართველოს ბიუჯეტის დეფიციტმა 87 მლნ ლარი შეადგინა. ჯერ ერთი, შემოსული ფინანსები ხშირად არ ხვდება სახელმწიფოს ხაზინაში და მალე საქართველო შეიძლება იმ სახელმწიფოთა შავ სიაში აღმოჩნდეს, რომლებიც არ ასრულებენ „ჭუჭყიანი ფულის“ ჩამორეცხვასთან მებრძოლი საერთაშორისო ორგანიზაციის წინაშე აღებულ ვალდებულებებს; მეორე — საქართველოში, ისევე როგორც ყოფილი სსრკ-ის სხვა რესპუბლიკებში, გადასახადების სისტემა მოუწესრიგებელია; მესამე — მოუგვარებელია ურთიერთობა ადგილობრივ ბიუჯეტთან; არც კონტრაბანდისა და სხვა ამგვარი საკითხების დავიწყება შეიძლება...

სავალუტო ფონდმა საქართველოს მთავრობას ელექტროენერგიაზე ტარიფების გაზრდა და საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანაც მოსთხოვა. სამწუხაროდ, საქართველომ ამ მოთხოვნათაგან ვერც ერთი ვერ შეასრულა.

სავალუტო ფონდის საქართველოში მუშაობის შეწყვეტა არა მარტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის პროგრამების შეჩერებას გამოიწვევს, არამედ ინვესტორთა ნდობის დაკარგვას, საკრედიტო ხაზების გადაკეტვას და, რაც მთავარია, აღარ იქნება შესაძლებელი საგარეო ვალის რესტრუქტურიზაცია პარიზის კრედიტორთა კლუბში, სადაც სსფ საქართველოს ოფიციალური პარტნიორია. საქართველოს საგარეო ვალი ამჯერად თითქმის 2 მლრდ დოლარია, აქედან 600 მლნ პარიზის კლუბისაა. ბუნებრივია, თბილისს დამოუკიდებლად არ შეუძლია ამხელა თანხის გადახდა, ეს კი დეფოლტს ნიშნავს. მაგრამ ზოგიერთი ქართველი ანალიტიკოსი ოპტიმისტურად არის განწყობილი და დარწმუნებულია, რომ ქვეყანას დეფოლტი არ ემუქრება. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი რომან გოცირიძე ამბობს, — საქართველოს ვალუტის საკმარისი რეზერვი გააჩნია და ამიტომ დეფოლტი შეიძლება თავიდან ავიცილოთო. მეორე ექსპერტის აზრით, ამომრჩევლების დაშინება უნდათ და ზოგიერთი მათ ნერვებზე თამაშობს. მაგრამ საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში ყველაზე მეტად დარწმუნებულია პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, რომელიც ტრადიციულ ინტერვიუში ხალხის დამშვიდებას ცდილობს. დეფოლტით მოსახლეობას ის პოლიტიკური ძალები აშინებენ, რომელთაც საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების იმედი არა აქვთო.

დეფოლტის თავიდან ასაცილებლად საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა, სექტემბრის ბოლომდე მოლაპარაკება აწარმოოს კრედიტორ ქვეყნებთან ვალის რესტრუქტურიზაციის თაობაზე. საქართველოს თურქმენეთის ვალი აქვს 315 მლნ დოლარი, რუსეთისა — 159 მლნ,, ყაზახეთის — 27,7 მლნ, სომხეთის — 19,5 მლნ, აზერბაიჯანის — 16,1 მლნ დოლარი. თურქმენეთთან ვალს ბარტერით გაასწორებს — უფასოდ ურემონტებს თურქმენულ მოიერიშე Су-25-ებს. დანარჩენ ქვეყნებს ვალების რესტრუქტურიზაციაზე იალტის სამიტზე მოელაპარაკება.

ამგვარად, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რა პოზიციას დაიკავებს პარიზის კლუბი და შეძლებენ თუ არა ქართველი ჩინოსნები სსფ-ის მხარდაუჭერლად დასავლელი ინვესტორების დარწმუნებას თავის კომპეტენციაში.

ქართველი ექსპერტები აღნიშნავენ, რომ სეკვესტრის დამტკიცების ბლოკირება მარტო ოპოზიციის ინტერესებში არ შედის. ხარჯვითი ნაწილის სეკვესტრი არც მმართველი ბლოკის, „ახალი საქართველოსათვის“ ერთ ნაწილს სურს, რადგან ეს ხელს შეუშლის წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებას. ახლა ხელისუფლება შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალს ეძებს. პარლამენტში ბიუჯეტის სეკვესტრის ჩავარდნის შემდეგ რჩება ე.წ. „ბ“ ვარიანტი, რის მიხედვითაც მთავრობა თავად შეამცირებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს. მაგრამ ეს სავალუტო ფონდს უნდა შეუთანხმდეს, რომელიც ასეთი ძალისმიერი აქციების წინააღმდეგია. კიდევ ერთი იმედი არსებობს — საქართველოს ლიდერისადმი დასავლეთი კეთილად არის განწყობილი. სავალუტო ფონდის ფინანსური მდგომარეობა ხომ აშშ-ის მატერიალურ დახმარებაზეა დამოკიდებული. ის კი სულ არ არის დაინტერესებული საქართველოს გაკოტრებით, თანაც ვაშინგტონისთვის მნიშვნელოვანი საპარლამენტო არჩევნების წინ.

***გაზეტა სნგ***

THE WALL STREET JOURNAL.

# როგორ დაიპყრო რუსეთმა საქართველო



ეს გარიგებები ამერიკის და ევროპის ინტერესებს ლახვარივით დაეცა. გეოგრაფიულად საქართველო ხომ საუკეთესო ვარიანტია კასპიისა და შავი ზღვის ენერგეტიკული დერეფნის შესაქმნელად. აშშ-ის აქტიურმა მხარდაჭერამ ტერორიზმთან ბრძოლაში და ირანთან სიახლოვემ, საქართველო ვაშინგტონის ერთ-ერთ წამყვან მოკავშირედ აქცია. საქართველო არც იმას მალავს, რომ ევროპასთან დასაახლოებლად იღვწის და 2005 წელს ნატოში შესვლას აპირებს.

მაგრამ მოსკოვის მიერ თბილისზე გავლენის განახლებამ შეიძლება ამას ხელი შეუშალოს. საქართველოს პარლამენტმაც წვლილი შეიტანა აშშ-ის გავლენის შესუსტებაში — საგრძნობლად შეკვეცა ჯეიმს ბეიკერის მიერ შეთავაზებული საარჩევნო რეფორმის გეგმა. ეს ფაქტი შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, რომლის რეიტინგი მნიშვნელოვნად დაეცა, გადაწყვიტა, ყველაფერი იღონოს ხელისუფლების შესანარჩუნებლად. თავისი ამასწინანდელი საქციელით რუსეთმა საქართველოს შეახსენა, თუ რა მოჰყვება დაუმორჩილებლობას (რუსი სამხედროების პანკისის ხეობაში შეჭრა, თვითაღიარებულ აფხაზეთის რესპუბლიკასთან პირდაპირი სატრანსპორტო კავშირის აღდგენის მცდელობა).

სამხრეთ კავკასია ევროპის გაძლიერებული ყურადღების ცენტრშია. ის უახლოეს ხუთ წელიწადში ენერგორესურსების გადაქაჩვის უმნიშვნელოვანესი მარშრუტი გახდება. შეერთებული შტატები ყოველმხრივ ცდილობს, ხელი შეუწყოს საქართველოს დემოკრატიზაციას; მან თბილისს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაშიც შესთავაზა დახმარება. მაგრამ ვერც ევროპამ და ვერც აშშ-მა ჯეროვანი ყურადღება ვერ მიაქცია საქართველოს ენერგეტიკული სისტემის დამოუკიდებლობას. მოსკოვმა კი ასეთი შეცდომა არ დაუშვა. ახლა, როცა ქართულ ენერგეტიკაზე კონტროლი რუსეთის ხელში აღმოჩნდა, საინტერესოა, რამდენ ხანს იქნება საქართველო დასავლეთის მოკავშირე. შეძლებს კი ამას სინათლისა და სითბოს გარეშე.

რუსეთმა თავისი სტრატეგია ძირეულად შეცვალა. ამის გამო ახალ ფაზაში შედის კასპიის ზღვაზე გაბატონების პოლიტიკა. რუსეთმა ვერ შეძლო ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობისთვის ხელის შეშლა, სამაგიეროდ, დაიწყო თავისი სამხრეთელი მეზობლების ენერგეტიკული ინფრასტრუქტურების შეძენა. კრემლმა ადვილად მოახერხა ამის გაკეთება სომხეთში, სადაც მოსკოვს ბუნებრივი აირის მიწოდების მონოპოლიაც აქვს. აზერბაიჯანმაც იპოვა შეხების წერტილები რუსეთთან — აზერბაიჯანული ნავთობის ყველაზე საიმედო მარშრუტი — ბაქო-ნოვოსიბირსკია. ამ თანამშრომლობას უეჭველად უფრო განამტკიცებს ახალდანიშნული პრემიერ-მინისტრი ილჰამ ალიევი.

კიდევ ერთი ბრძოლა, რომელმაც შეიძლება დასავლურ ინტერესებს მომაკვდინებელი დარტყმა მიაყენოს, საქართველოში მიმდინარეობს. ამ ზაფხულს, რუსეთმა თბილისში მხოლოდ ორი ჩასვლით მოახერხა საქართველოს ენერგოინფრასტრუქტურაზე კონტროლის დაწესება.

პირველად „გაზპრომის“ მეთაურმა ალექსეი მილერმა და საქართველოს ენერგეტიკის მაშინდელმა მინისტრმა დავით მირცხულავამ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომელიც „გაზპრომს“ საქართველოს გაზსადენის სისტემის სრული მოდერნიზაციის უფლებას ანიჭებდა, რაც მასზე სრულ კონტროლს ნიშნავს. ამას თბილისში „რაო ეესის“ (რომლის მთავარი აქციონერი რუსეთის მთავრობაა) მეთაურის, ანატოლი ჩუბაისის ჩასვლა და საქართველოს ენერგოგამანაწილებელი ქსელის აქციების 75%-ის შეძენა მოჰყვა.

***ილან ბერმანი, არტემ უგოლნიკი***

# საქართველო და აფხაზეთი კოდორის ხეობას ერთობლივად განნაღმავენ



ქართველი და აფხაზი სამხედროები მოკლე ხანში კოდორის ხეობის განნაღმვას აპირებენ.

აფხაზეთის თავდაცვის მინისტრმა ვიაჩესლავ ეშბამ განაცხადა, რომ მან და საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენელმა კოდორის ხეობაში, ემზარ კვიციანმა, ამ საკითხზე ურთიერთშეთანხმებას მიაღწიეს. დასაზუსტებელი დარჩა ტექნიკური დეტალები, რის შემდეგაც განნაღმვა დაიწყება. მინისტრმა აღნიშნა, რომ ეს პროცესი უდავოდ გაამყარებს მხარეთა შორის ნდობას. გამნაღმველები, პირველ რიგში, მარუხის უღელტეხილს მოსინჯავენ. კვიციანის აზრით, მთავარი პრობლემა დანაღმული ადგილების აღმოჩენაა. მარტო ამ წელს აქ აფეთქების სამი შემთხვევა მოხდა.

ემზარ კვიციანი აღნიშნავს, რომ კოდორის ხეობას ნაღმებისგან მხოლოდ ქართველი და აფხაზი სამხედროები გაწმენდენ, ამ საქმეში არც რუსეთის სამშვიდობოები და არც საერთაშორისო ორგანიზაციები მონაწილეობას არ მიიღებენ.

***გრანი. რუ***

***გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა***

„კვირის პალიტრის“ სასწავლო კომპიუტერული ცენტრი
გთავაზობთ კომპიუტერის შემსწავლელ ინდივიდუალურ კურსებს:
საოფისე, საგამომცემლო, გრაფიკული და ანიმაციური პროგრამები.
პროგრამირება და ვებ-დიზაინი.
შეისწავლება აგრეთვე პრინტერთან, სკანერთან და ქსელში მუშაობა, ინტერნეტი.
საგამომცემლო პროგრამების შესწავლისას მსურველები პრაქტიკას გაივლიან „კვირის პალიტრის“ გამოცემებში.
დამწყები და მოქმედი ჟურნალისტებისთვის ისწავლება აუცილებელი კომპიუტერული კურსი.
მსმენელთა მიღება ყოველდღე, კვირის გარდა
15⁰⁰-დან 18⁰⁰ სთ-მდე „კვირის პალიტრის“ ოფისში.
მისამართი: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან).
დამატებითი ცნობებისთვის დარეკეთ:
33-27-99; 38-68-77; 8(77) 44-24-74.
შესაძლებელია საუკეთესო მსმენელთა დასაქმება

საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის
წმიდა ილია მართლის სახელობის
თბილისის ეროვნული უნივერსიტეტი
გიწვევთ სასწავლებლად სპეციალობებზე:
1. სამართალმცოდნეობა, 2. ჟურნალისტიკა,
3. ქართული ენა-ლიტერატურა,
4. უცხოური ენები – ინგლისური, გერმანული, ფრანგული.
5. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები,
6. ფინანსები და საბანკო საქმე, 7. ფილოსოფია და პოლიტოლოგია,
8. ფსიქოლოგია და სოციოლოგია,
9. ხელოვნებათმცოდნეობა და სახვითი ხელოვნება,
10. ფიზიკა და მათემატიკა, 11. ქიმია და ბიოლოგია,
12. ისტორია და რელიგიის ისტორია, 13. სკოლამდელი აღზრდა,
14. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა, მეთოდიკა და ფსიქოლოგია.
თბილისის ეროვნული უნივერსიტეტი
საბუთები მიიღება 10-17 სთ-მდე. პ. მელიქიშვილის ქ. №2
(ვერაზე, დიდი საკონცერტო დარბაზის წინ, 51-ე სკოლა).
☎ 92-30-36; 92-30-37; 37-31-32.



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები ბრძნობენ

* * *

**5 წლის თორნიკე ზაუტაშვილს** ეთერი ბებო მიუწვა ლოგინში.

— ბებო, არ ჩაგეძინოს, თორემ ვინ გადაგიყვანს შენს საწოლში?

* * *

— დედა, ბებო ვერავის ცნობს? — ეკითხება **4 წლის ნათია შუბითიძე** დედას.

— რატომ მეკითხები?

— როცა კი მივდივარ, ოი, ეს ვინ მოსულაო, — გაიძახის.

* * *

მასწავლებელი ეკითხება პირველკლასელ **ნინო გეგეჭკორს**.

— ვთქვათ, შენს ძმას ხუთი ვაშლი აქვს ჩანთაში, შენ ამოიღე ორი. რა შედეგი იქნება?

— მცემს, მასწავლებელო...

* * *

მასწავლებელმა დაფაზე დაწერა მაგალითი — 6:6 და იკითხა: — აბა, ვინ მეტყვის, რამდენი იქნება?

— ფრე, მასწავლებელო, — წამოიძახა **თენგიზ გუგუშვილმა.**



იპოვე 10 განსხვავება

## I აბა, გამოიცანი

**1) რომელმა მოციქულმა უარყო მამლის ყივილამდე სამჯერ იესო ქრისტე?**

ა) პეტრემ; ბ) იუდამ; გ) ლუკამ; დ) ანდრიამ.

**2) ვის ეკუთვნის შემდეგი სიტყვები: „ლამაზად შვილის გამზრდელი, დედა მიცვნია ღმერთადა“.**

ა) ილია ჭავჭავაძეს; ბ) ვაჟა ფშაველას; გ) დავით გურამიშვილს; დ) აკაკი წერეთელს.

**3) რომელი სახელმწიფო მდებარეობს სამხრეთ ამერიკაში?**

ა) ეთიოპია; ბ) კამერუნი; გ) სინგაპური; დ) პერუ.

**4) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის ქიმიური ელემენტი?**

ა) გერმანიუმი; ბ) ფრანციუმი; გ) ინდიუმი; დ) ესპანიუმი.

**5) სად არის დაკრძალული ერეკლე II?**

ა) გელათში; ბ) სვეტიცხოველში; გ) თელავში; დ) ალავერდში.

**6) რომელი არ არის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი?**

ა) ვალტორნა; ბ) კლარნეტი; გ) ჰობოი; დ) ჩელო.

**7) ამათგან რომელ ფილმში არ მონაწილეობს მსახიობი ნატო ვაჩნაძე?**

ა) „სამი სიცოცხლე“; ბ) „ვინ არის დამნაშავე“; გ) „ბაში-აჩუკი“; დ) „ამოკი“.

**8) რომელი არის მზის სისტემის რიგით მეორე პლანეტა?**

ა) მარსი; ბ) იუპიტერი; გ) სატურნი; დ) ვენერა.



II რომელია ზედმეტი საგანი



III იპოვე ორი ერთნაირი სახლი

## IV რებუსი



შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ცისფერ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: „ერთნაირი საჯდომია, სკოლებში დგას, არის გრძელი, ვინ იქნება იმისთანა, მას შეახოს ცუდად ხელი“.



ზღაპარი

## კატის მოსარჩლე ვეფხვი

სოფლის განაპირას ერთი გლეხი მიწას ხნავდა და გუთნეულ საქონელს კატაც თან წამოჰყოლოდა. როცა გაცხარებული ხვნა დაიწყო, კატა ტყის ნაპირას პეპლებსა და კალიებზე ნადირობდა. ამ დროს ვეფხვმა ჩამოირბინა. კატა რომ დაინახა, სახტად დარჩა. ძალიან გაიკვირვა და ჰკითხა:

— ძამიავ, შენ, როგორც გეტყობა, ჩვენი ჯიშისა ხარ და რა ცოდვისა გწევია, რამ დაგგვალაო?

ეშმაკმა კატამ თავი მოიკატუნა და უპასუხა:

— ჰმ, დიდებულო ბატონო, ნადირთ მეფევ, თქვენ არ იცით, რა წვასა და დაგვაში ვართ კაცის ხელშიო!

— მერმე ვინ არის ის კაცი, აგრე უდიერად რომ გეპყრობა და დაუჩაგრიხარო? მაჩვენე შენი დამჩაგვრელი და შენს მაგივრად გავუსწორდებიო! — უთხრა ვეფხვმა.

კატა გაუძღვა ვეფხვს და დაანახვა მას გლეხი, რომელიც გუთანს მისდევდა. ვეფხვმა საყვედურის კილოთი მიმართა კაცს:

— შენ ეს ჩემი მოდგმის კაცი რად დაგიჩაგრავს ასე, რომ ტანი ველარ აუყრია, ან ისეთი რა დაგიშავა ამ საცოდავმაო? ამის გულისთვის უნდა შეგებრძოლოო!

— ბატონი ხარო, — უპასუხა გლეხმა, — მე ძალა შინ დამრჩაო, ხვალ ამოვიტან და მაშინ ვიბრძოლოთო!

— კარგიო, — თქვა ვეფხვმა, — წადი და მე აქ დაგიცდიო!

— რომ მომატყუო, წახვიდე სადმე და მე ტყუილად სოფელში წასვლა შემრჩესო? — უთხრა გლეხმა, — აი, ამ ხეზე თოკით მიგაბამ, სოფელში ჩავირბენ და ჩვენი ძალ-ღონე მაშინ გავსინჯოთო!

— კარგიო! — უპასუხა ვეფხვმა.

გლეხმა მაგარი საბლით მიაბა ვეფხვი ხეზე, თვითონ იქვე ტყეში კარგი იფნის სახრე გამოჭრა, მივიდა ვეფხვთან და უთხრა:

— აი, ჩემი ძალაო! — და ისეთები გადაუჭირა სახრით, რომ მთლად გვერდის კანი აუწვა. ვეფხვი სიმწრით სულ მაღლა-მაღლა ხტოდა, იმისი საცოდაობით ცა და ქვეყანა იწვოდა. იმდენი ხანი სცემა, სანამ მე და შენ მივეშველებოდით. როდესაც გლეხმა ცემით კარგად მიბნიდა, აუშვა ვეფხვი და უთხრა:

— არამკითხე მოამბეო, მიტყიპე და მიაგდეო! წადი, საცა შენი დაიკვეხო, იქ ჩემიცა თქვიო!

ვეფხვი ლასლასით გაუდგა თავის გზას და უკანა ფეხებს ძლივს მიათრევდა. ამ დროს კატას თვალი მოჰკრა, ამოიოხრა და კვნესით უთხრა:

— ბარაქალა, ჩემო ძიავ, რომ მაგისთანა მხეცის ხელში კიდევ ეგ ტანი შეგრჩენიაო!



მიიყვანე ბაჭია კომბოსტოსთან

## ენის გასატეხი

- სიმონაო, სიმონაო, შინ გმირო, გარეთ მონაო.
- ჩინელებმა ჩინეთიდან ჩაი ჩამოიტანეს, ჩაიდანში ჩაყარეს და ჩაატარჩამოატარეს.




პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

# მამულ-დედული

## კობრი ტბორის თევზია...

ტბორის მოსაწყობად ისეთი ადგილიც ივარგებს, რომელიც სახნავ-სათესად და საძოვრად არ გამოდგება. ასეთებია ხევები, მდინარეთა კალაპოტები, დაჭაობებული და ტორფიანი მიწები, ტბები. რა თქმა უნდა, საჭიროა ნიადაგის წინასწარი შესწავლა და წყლის ქიმიური ანალიზის დადგენა.

ტბორის საშუალო სიღრმე უნდა შეადგენდეს 1-1,75 მ-ს და არ აღემატებოდეს 3-4 მ-ს. ფსკერი წინასწარ უნდა გაიწმინდოს ბუჩქებისგან და მოსწორდეს.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტბორების განოყიერებას ორგანული, ორგანულ-მინერალური და მინერალური სასუქებით. ამით შეგვიძლია თევზს შევუქმნათ ზრდა-განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობები.

ორგანული სასუქებიდან საუკეთესოა ნაკელი, რომელიც ტბორში შეაქვთ წყლით მის ავსებამდე პატარა გროვებად. ეს დიდ ეფექტს იძლევა იმ ტბორებში, რომელთა ნიადაგი ქვიშნარი ან მძიმე თიხნარია.

ნაკელის ნორმა განისაზღვრება ნიადაგის ხასიათის მიხედვით — 15-20 ტონა ერთ ჰექტარზე.

შავმიწა ნიადაგზე მოწყობილ ტბორებში ნაკელი არ შეგვაქვს.

ფოსფოროვანი სასუქები ეფექტურია მჟავე რეაქციის მქონე წყალში. ერთი ვედრო ფოსფორიტული ფქვილი, რომელიც შეიცავს 16-22% ფოსფორმჟავას, იხსნება 20 ვედრო წყალში და შეგვაქვს ხსნარის სახით 1 ჰა ფართობზე.

კალციუმის სასუქები. კირის შეტანა 1 ჰაზე 2 ცენტნერის რაოდენობით მოუხდება ყველანაირ ტბორს, გარდა კირნარ და ცარცოვან ნიადაგებზე მოწყობილი ტბორისა. 1 ვედრო



კირი იხსნება 20-30 ვედრო წყალში და თანაბრად უნდა მოვასხუროთ ტბორის ზედაპირს.

### ტბორის დათევზიანება

ტბორი თევზიანდება ერთწლიანი ლიფსიტებით, რომელთა წონა 20-25 გრამზე ნაკლები არ უნდა იყოს.

ტბორში გაშვების წინ, პროფილაქტიკის მიზნით, ლიფსიტები უნდა ჩავსვათ 5%-იან მარილხსნარში 5 წუთის განმავლობაში. წყლის ტემპერატურა უნდა იყოს არანაკლებ 10 და არა უმეტეს 19 გრადუსისა.

თევზი უნდა გავუშვათ, როგორც კი აუზის წყლის ტემპერატურა 9-10 გრადუსს მიაღწევს.

თუ ტბორში გათვალისწინებულია ხელოვნური კვება, 1 ჰა-ზე უნდა ჩაისვას 6.000 ცალი ლიფსიტა, ხოლო კვების გარეშე — არა უმეტეს 500-600 ცალისა.

### რატომ მაინცდამაინც კობრი?

იმიტომ, რომ სწრაფად იზრდება, გემრიელიცაა და დიდ მოგებასაც იძლევა, ამიტომაც უწოდებენ მას „წყლის ღორს“. 2 წლის კობრი აღწევს 4 კგ-ს, 3-ისა — 7 კგ-მდე. ცნობილია, რომ ჩეხები X საუკუნეში აშენებდნენ კობრს ტბორებში, ხოლო XV საუკუნის პირველ ნახევარში ჩეხეთში გამოჩნდა მეთევზეობის უპირველესი სახელმძღვანელო.

კობრის სამშობლო ჩინეთია, საიდანაც შემდგომში ფართოდ გავრცელდა მთელ მსოფლიოში.

კობრი იკვებება სხვადასხვა სახის მწერებით, მატლებით, მოლუსკებით, თევზებით და მცენარეული საკვებით. იქ, სადაც ლერწამი იზრდება, დილაობით შეიძლება გაიგონოთ ყბების „ტკაცუნი“ — ეს ნორჩი ყლორტებით და ფოთლებით პირს იტკბარუნებს კობრი.

## მოზაიკა

* * *

მსოფლიოში 20.000 სახეობის თევზია.

* * *

არიან თევზები, რომელთა ზომა არ აღემატება 7,5 მმ-ს და ისეთებიც, რომელთა სიგრძე 15 მ-ია — პოლარული ზვიგენი. გვხვდება 300 კგ-იანი ლოქოც, მაგრამ თავისი ზომა-წონით მას ბევრად აღემატება სვია, რომლის წონაც 1,5 ტონას აღწევს.

* * *

ოკეანეში ყველაზე გავრცელებულია ქაშაყი.

* * *

მეცნიერებისთვის ცნობილია 250 სახეობის ზვიგენი.

* * *

ზვიგენი ერთადერთი თევზია, რომელსაც ორივე თვალის ხამხამი შეუძლია.

* * *

ადამიანისთვის საშიში ზღვის ცხოველების 3.000-მდე სახეობაა ცნობილი, რომლებიც იყოფიან: მტაცებლებად, შხამიანებად და მომწამვლელებად. ყველაზე საინტერესო მაინც მომწამლავი თევზ-ძაღლია, რომლის შხამის „ძალაც“ ხუთჯერ აღემატება კალიუმის ციანიდს! მიუხედავად ამისა, იაპონიაში მისგან დამზადებული იშვიათი კერძი „ფუგუ“ დიდი პოპულარობით სარგებლობს.

თევზის გულდასმით დამუშავება ანეიტრალებს შხამს, თუმცა ამ ქვეყანაში ყოველწლიურად მოწამვლის 100-ზე მეტი შემთხვევა აღირიცხება, რომელთაგან 30 სიკვდილით მთავრდება(!). მიუხედავად ამისა, „ფუგუს“ მოყვარულთა რიცხვი არა და არ მცირდება!

## გვირილა



ჩვენს მინდორ-ველში მრავალგვარი გვირილა ხარობს. ბევრი თქვენგანი მათ სამკურნალოდაც აგროვებს, მაგრამ ალბათ ყველამ როდი იცის, რომელია მათ შორის „ნამდვილი“, ანუ მართლაც სამკურნალო.

ამჯერად მოკლედ გაგაცნობთ იმ აგროწესებს, რომლის მიხედვითაც თქვენივე ნაკვეთებში შეგიძლიათ მოიყვანოთ სამკურნალო გვირილა, ანუ ბაბუნა. აქვე იმასაც დავძენთ, რომ სამკურნალო გვირილა საქართველოს ყველა რეგიონში ველურად არ იზრდება. არადა, ეს მცენარე მხოლოდ აჭარის ფლორის „ბინადარია“, თუმცა, იქაც იშვიათობაა.

გვირილა შეუდარებელია ანგინის დროს ყელში გამოსავლებად, ასევე დასალევად (როგორც ნაღველმდენი და კუჭ-ნაწლავის სეკრეციის გამაძლიერებელი), გინეკოლოგიური დაავადებების მკურნალობისას და ა.შ. გარდა ამისა, შესანიშნავ ეფექტს იძლევა თმის დასარბილებლად და ბზინვარების მისაცემად.

თესლის მოპოვების მიზნით, აფთიაქში შეიძინეთ ერთი კოლოფი გვირილა. ხელებშუა წმინდად დაფშვენით, გაცერით 1-2 მმ-იან ნასვრეტებიან საცერში და თესლიც მზადაა.

გვირილის თესლი ითესება გაზაფხულზე, ზაფხულსა და შემოდგომით. აი, ახლანდელი პერიოდი შესანიშნავია გვირილის დასათესად.

ნიადაგი დაბარეთ, კარგად გააფხვიერეთ და გაწმინდეთ სარეველებისგან. თუ ნათესში სარეველებს მთლიანად მოსპობთ, ჩათვალეთ, რომ ერთხელ დათესილ კვალში, მინიმუმ 2-3 წელს გექნებათ გვირილის ყვავილების მოსავალი — თვითჩაბნევის წყალობით.

ამ პერიოდში დათესილი მცენარე ამოსვლას და 6-10 ფოთლის განვითარებას ასწრებს, რაც იმის გარანტიაა, რომ ნათესი კარგად შეხვდება ზამთარს და მოსავალიც კარგი გექნებათ. საუკეთესო მოსავლის მიღებას, რა თქმა უნდა, სასუქიც სჭირდება, თუმცა, თუ ნიადაგი ისედაც ნოყიერია, არცთუ ისე ცუდ მოსავალს მოიწევთ.

რიგთაშორისები უნდა იყოს 40-45 სმ, თესლი ითესება ზედაპირულად.

მოსავლის აღებას დაიწყებთ, როგორც კი 5-10 თანაყვავილედი გაიშლება.

უმჯობესია, თუ სათესლედ ცალკე კვალს გამოყოფთ.

## როგორ ვებრძოლოთ ვირთხებს

ვირთხა რომ ცხოველთა შორის ერთ-ერთი უჭკვიანესია, საყოველთაოდაა ცნობილი. მაგიდიდან კვერცხს რომ მოიპარავს და ისე მიიტანს სორომდე, არც გაბზარავს, ეს მგონი მხოლოდ ინსტინქტი არ უნდა იყოს. უამრავი შესწრებია იმას, როგორ იჭერს ვირთხა წინა თათებით კვერცხს, ხტება მაგიდიდან და ციმციმ



მიარბენინებს „შინისკენ“.

აი, ვირთხების გონებამახვილობის რამდენიმე მაგალითი:

კედელზე მიამაგრეს ორი ერთმანეთისგან საკმაოდ დაშორებული თარო, ზედა თაროზე დადეს ყველის ნაჭერი, ქვედა თაროზე მიაყუდეს პატარა, მსუბუქი პლასტმასის კიბე, რომელიც თეთრ ვირთხას ზედ ასვლის საშუალებას მისცემდა. კიბეს მოაბეს კანაფი და კედელში ჩარჭობილ ლურსმანზე გადაატარეს ისე, რომ კანაფის ბოლოს მღრღნელი მისწვდომოდა. ვირთხა კიბით ავიდა ქვედა თაროზე, მოქაჩა კანაფი, აიტანა კიბე და ზედა თაროს მიაყუდა(!) — აცუნცულდა და ყველი მიირთვა.

როცა ვირთხებს საწამლავს უყრიან, თუ რომელიმემ შეჭამა და მაშინვე მოკვდა, ჩათვალეთ, რომ მეორე ვირთხა სატყუარას არ მიეკარება. სწორედ ამიტომ გამოიგონეს დაყოვნებული მოქმედების შხამი და შედეგიც გარანტირებულია.

***რჩევა მათთვის, ვისაც დიდი საკარმიდამო ნაკვეთი და ბაღ-ვენახი აქვს და მათ „ბედელს ვირთხა შემოეჩვია“:***

თუ გნებავთ, რომ ვირთხებს ჭკუითაც აჯობოთ და ერთხელ და სამუდამოდ მოიცილოთ თქვენი ეზო-კარმიდამოდან, ასე მოიქეცით:

აიღეთ რკინის კასრი, დაამზადეთ თუნუქის სახურავი, რომელიც დიამეტრით უფრო მომცროა კასრის ყელზე და ამდენად ლაღედ მოძრაობს. კასრის თავზე ორ მხარეს გააკეთეთ ჭრილები და გაუყარეთ მასში მსხვილი მავთულის ღერძი იმგვარად, რომ ხუფი დახურვისას ჰორიზონტალურად გაჩერდეს, ხოლო მცირეოდენი სიმძიმის ზემოქმედებისას თავისუფლად იმოძრაოს ღერძზე. კასრში ჩაასხით იმდენი წყალი, რომ მასში ვერტიკალურად ჩადებული აგური ნახევრამდე დაფაროს. სახურავზე, შუაში დაამაგრეთ ვირთხის საყვარელი საჭმელი, მაგალითად, ძეხვის ან ლორის ნაჭერი და მოათავსეთ ისე, რომ მღრღნელმა ადვილად შეამჩნიოს. როგორც კი ვირთხა სახურავზე აძვრება, იგი სიმძიმისგან აყირავდება და „მსხვერპლი“ კასრში ჩავარდება. განწირული მღრღნელი აცოცდება აგურზე, დასკუპდება ზედ და ისეთ ხმებს გამოსცემს, სხვა ვირთხებს ჰგონიათ, საჭმელს მიაგნოო და მირბიან კასრისკენ. როგორც კი მეორეც „გაებმება“, ვირთხები უკვე ჩხუბობენ აგურზე ადგილის მოსაპოვებლად.

სულ მოკლე ხანში, რაც თქვენს შემოგარენში ვირთხებია, ერთ „საძმოში“ აღმოჩნდებიან...



— არ გაგაჭრევინებთ!..

*გვერდი მოამზადა სწავლულმა აგრონომმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ფიტოთერაპევტმა ნიკოლოზ იოსებიძემ*

## რედაქციისაგან:

ბატონო მკითხველო! მოგვწერეთ ამ რუბრიკიდან გამომდინარე, რა გაინტერესებთ.

გთავაზობთ აგრეთვე, გაგვიზიაროთ თქვენი პირადი დაკვირვება, გამოცდილება; მოგვაწოდეთ საკუთარ მამულ-დედულში გადაღებული უცნაური, საინტერესო ფოტოები (ამ ნომერში კიდევ ერთ ფოტოს გთავაზობთ).

წერილები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით და რუბრიკის მითითებით.

## ერთი სვეტი შეკითხვებისათვის

## „ღვინო მამაკაცის სისხლია!“

**— გთხოვთ გაგვიმარტოთ, არის თუ არა რაიმე სხვაობა შეწამლული და შეუწამლავი ყურძნისგან დამზადებულ ღვინოებს შორის და ხომ არ არის მავნებელი უწამლო ყურძნისგან დამზადებული ღვინო?**

***ჯიმშერ მამისაშვილი***



უწამლო ვენახის ყურძნისგან დაწურული ღვინო რომ საწამლავი იყოს, გურულებს ახლა საქმე მთლად კარგად ვერ ექნებოდათ, რადგანაც მათ რეგიონში ადესას არავინ წამლავს კირით და შაბიამნით.

უწამლო ჯიშები ძირითადად ჰიბრიდებია, რომლისგანაც მიღებულ ღვინოს საფრანგეთში მაინცდამაინც დიდ პატივს არ სცემენ — არა როგორც შხამიანს, არამედ როგორც ნაკლებად სასარგებლოს. თუმცა კი ჩვენებურ შეუწამლავ ადესას და ქიწნურას (რომელიც ქართლში მოჰყავთ) თვით ფრანგი დეგუსტატორებიც კი ვერაფერს უწუნებენ.

მაგრამ ისეთი ძვირფასი ჯიშებიდან მიღებული ღვინო, როგორიც არის: რქაწითელი, საფერავი, კახური მწვანე, გორულა მწვანე, ჩინური, თავკვერი, ალექსანდროული (რომლისგანაც ხვანჭკარა იწურება), მცირე დოზებით სამკურნალოა და აუცილებელიც კი ყველასათვის, განსაკუთრებით მამაკაცებისთვის. დაიმახსოვრეთ ძველი ბერძნული გამოთქმა: „ღვინო მამაკაცის სისხლია“.

## ქართლში ლიმონს ქოთანში თუ ახარებთ...

**— დავთესე ლიმონი ქოთანში და აღმოცენდა. გაიზარდა და გახდა დაახლოებით 20 სმ, რომ გადავიტანოთ ბაღში (სოფელი შიდა ქართლში მაქვს), მოგვცემს თუ არა იგი ნაყოფს? როგორი პირობები შევუქმნათ?**

***ვახტანგ ჯანეზაშვილი***

— თქვენ რომ გგონიათ, რომ ქოთანში ლიმონს ზრდით, იგი არც მეტი არც ნაკლები, ტრიფოლიატია, ანუ ლიმონის თესლნერგი, რომელიც ციტრუსოვანი კულტურების რაიონებში გამოიყენება საძირედ — ყინვაგამძლე ჯიშების გამოსაყვანად, აგრეთვე ცოცხალი ღობეების მოსაწყობად. სამწუხაროდ, ნამდვილი ანუ ჯიშიანი ლიმონის ნერგიც კი ქართლში, ღია გრუნტში არ ივარგებს. თუ ძალიან გინდათ, რომ ლიმონი ოჯახში გქონდეთ, შეიძინეთ ქოთნებში დარგული ნამყენი, ოღონდ... ოთახის კულტურის სახით.

გიორგი შატბერაშვილი



# უბის წიგნაკიდან

● დროჟამს უზარმაზარი ლოდი ულესავს, უხეხია და კენჭად უქცევია. კენჭი გალეული ლოდია. ლოდის ძალა, სიმძიმე და სიმტკიცე კენჭშია მოგროვილი.

● ადამიანები ერთმანეთის სინდისს სდარაჯობენ, თავისი კი აშვებული აქვთ. სხვის ცუდს კიჟინას დასცემენ, მალულად ან თავისდაშეუმჩნევლად თვითონაც სცოდავენ და ეს ცოდვად არ მიაჩნიათ.

● ადამიანები ერთმანეთს თვალს არიდებენ... თვით ახლობელი ადამიანებიც კი: მეგობრები, ძმები... შვილიც კი არიდებს თვალს მშობელს...

რატომ არიდებენ: თვალს შეუძლია უნებურად გასცეს ადამიანის ფიქრი, გრძნობა, განზრახვა.

ამიტომ არიდებენ ადამიანები თვალს ერთმანეთს.

მხოლოდ ბავშვები და მტრები არ არიდებენ ერთმანეთს თვალს.

ბავშვები გულუბრყვილობის გამო... მათ ჯერ შეგნებული არა აქვთ, რომ თვალს მათი გაცემა შეუძლია...

რაც შეეხება მტრებს – ისინი თვალს ერთმანეთს მაშინ უსწორებენ, როცა მათი მტრობა საბოლოოდ შიშვლდება და ისინი ერთმანეთის პირისპირ დგანან.

● სიკეთე მინახავს... სიკეთისთვის სიკეთე – იშვიათად.

● ძლიერია, ძლიერი ის ადამიანი, ვისაც ცხოვრება ვერ გააბოროტებს, ვისაც ცხოვრება გულს ვერ გაუტეხს და ვერ გაურყვნის.

ძალიან ძნელი კია იყო ასეთი ადამიანი: მშვიდი – მტერთა უძლური ბიწიერების მიმართ, გულცივი – მტერთა მიმართ, გულთბილი – ამ ცხოვრების მიმართ.

● გათავდა დღე და არა ფათერაკი...

მართლაც მზე უკვე ჩადიოდა. მზე ჩადიოდა, მოდიოდა ბინდი, სადღაც უფრო შორს ღამე იყო. ღამდებოდა. მას ეგონა გადავრჩიო და ისე ჩქარა აღარ მიდიოდა. დაღლილ ფეხებს ულონოდ მიათრევდა.

მაგრამ მან არ იცოდა, რომ გათავდა დღე და არა ფათერაკი.

● დაგილევია ბევრი, ძალიან ბევრი არაყი? როცა არაყი სიმწარეს კარგავს და თითქოს ტკბება... ველარ გრძნობ მის გემოს, შეგიძლია ბევრი სვა და არ დაითრო, რადგან სიმწარე აღარა აქვს. აღარ არის არაყი. არის რაღაც სხვა... წყალი.

ასევეა სიტყვაც: როცა ძალიან, ძალიან დაიტანჯები, სიტყვასაც ეკარგება ფერი და გემო. შეგიძლია ბევრი თქვა, ბევრი წერო, მაგრამ ნათქვამ სიტყვას ფერი და გემო აღარა აქვს. აღარ გათრობს მისი სურნელი. ასეთი სიტყვა ველარც სხვას დაათრობს.

● ხომ არის... რომ დაინახავ ზოგ ადამიანს – თვალების გარდა ვერაფერს ხედავ. არის თვალები რაღაც ძლიერი, გიპყრობენ და გავიწყებენ, რომ მათ პატრონს სხვა ნაკვთებიც აქვს!..

● თვალსაც თავისი თვალი აქვს, ისე, როგორც გულს თავისი გული. თვალის თვალი შენზე ადრე ხედავს. გულის გული შენზე ადრე გრძნობს.

● სიცილი და ცრემლი სულს ახალვათებს. სიცილი წამიერად... ცრემლი უფრო სიღრმიდან მოდის, ხანგრძლივად ამსუბუქებს სულის იარებს.

● უსათაურო ლექსები მოუნათლავ ლექსებს გვანან. ისინი დაუკმაყოფილებლობის გრძნობას იწვევენ ჩემში, თითქოს დაუმთავრებელნი და უდღეურნი არიან, რაღაც დიდი აკლიათ.

ამას ლექსებიც გრძნობენ თითქოს.

● რათა კვდებიან კაცები დედაკაცებზე ადრე? რათა ხდებიან ქმრები ცოლების დასატირებლები? შენგან არ მიკვირს? აბა, შედი წისქვილში, რას გეტყვის მეწისქვილე! რომელი უფრო მალე ცვდება, წისქვილის ქვედა ქვა თუ ზედა (დოლაბი), რომელს სჭირდება მოკოდვა და გამოცვლა, ზემოს თუ ქვემოს? ასეა კაციც... ბრუნავს, შრომობს, იქანცება, ცვდება.

● სიჩუმე ფიქრის დედაა. ფიქრი ადამიანს არა ჰგავს. ადამიანს ხმაური ალვიძებს, ფიქრებს – სიჩუმე. მოვა თუ არა სიჩუმე, ფიქრები ილვიძებენ და ადამიანის ირგვლივ იწყებენ სიარულს.

● მოუწეველი პაპიროსი ნატვრაა, მოწეული – იმედის გაცრუება.

● გიორგი ლეონიძემ მითხრა: ხაში შემოდგომით, სანამ რთვილს არ დადებს, არ იჭმევა, გაზაფხულამდე იჭმევა, სანამ ბალახი ისე არ გაიზრდება, რომ ჭიანჭველა დაიმალოსო.

● პირველი მიცვალებული, რომელიც კუბოში მწოლიარე ვნახე, იყო აკაკი წერეთელი. მანამდის არც პოეტი მენახა და არც მიცვალებული, შესაძლოა, მანამდის პოეტიც მინახავს (ვინმე) და მიცვალებულიც, მაგრამ ჩემს ხსოვნაში ამ ხილვამ ყველაფერი წაშალა. მაშინ მე ექვსი წლისა ვიყავი და ჩემს ოჯახს ჯერ სიკვდილი არ ენახა.

მას შემდეგ გარდაცვლილი ჩემი პაპების – მამაჩემის მამის რომანოზისა და მამაჩემის ბიძის – ზაქარიას კუბოებიც კი არ მახსოვს, თუმცა მათი სიკვდილი, განსაკუთრებით ზაქარიას მკვლელობა, ჩემს თვალწინ მოხდა და ჩემი ოჯახის მწარე და საინტერესო თავგადასავლის სათავედ იქცა. მაინც მათი კუბოები არ მახსოვს, არ მახსოვს, როგორ იწვნენ ეს საყვარელი ბერიკაცები, როგორ დავტიროდით, როგორ გავაცილეთ სასაფლაოზე.

აკაკის კუბო კი დღესაც თვალწინ მიდგას.

● მხოლოდ სიტყვაა უხრწნელი!

ყველაფერი იხრწნება, იფშვნება, მტვერდება... მხოლოდ სიტყვაა უხრწნელი და უმტვერებელი. ის უძლებს დიქტატორის შერისხვას, ჯალათის მახვილს. მძიმე უროს ცემას, არ გაიჭრება, არ გაიღუნება. არ გაცვდება... მხოლოდ სიტყვაა უხრწნელი!

ცხელი გულით ნაწერს მწერალმა ცივი თვალით უნდა გადახედოს.

● როცა კარგ მუსიკას უსმენ, უცებ გავიწყდება, რომ უსმენ და როცა გამოფხიზლდები, გიკვირს, თურმე უსმენდი, მოგწონდა და იმიტომ დაივიწყე ყველაფერი.

ეს ასეა... აბა შეაჩერონ კარგი მუსიკა, თუ მაშინვე არ იგრძნო სიცარიელე, რომელიც აქამდე რაღაც წარმტაცი ცხოვრებით იყო სავსე.

● ეჭვი ყველაფრის გათვალისწინებაც არის და გაუთვალისწინებლობაც.

● თავის თავთან ყველა ლაპარაკობს. ფიქრი თავის თავთან ლაპარაკია.

# თვალადური ჭაშნიკი

**გუგულის თოვლი,** საგუგულე თოვლი – აპრილში მოსულ გვიან თოვლს გუგულის თოვლს ეძახიან, ალბათ იმიტომ, რომ გუგულის მოფრენის პერიოდს ემთხვევა ეს უდღეური, უკანასკნელი გაბრძოლება ზამთრისა. გუგულის თოვლი მალე დნება. სხვანაირად საგუგულე თოვლი ჰქვია.

**დამთქნარება დღე** – პატარა დღე, ზამთრისა. „ერთი დამთქნარება დღეა“.

**კვირტის დაბრმავება** – გაზაფხულობით მოულოდნელი, უდროო ყინვა კვირტს რომ დააზრობს, იტყვიან, კვირტი დაბრმავდაო. დაბრმავებული კვირტი აღარ გაიშლება. კვირტს ხელოვნურადაც აბრმავებენ, რომ მცენარემ ზედმეტი ნაზარდი არ ამოიყაროს.

**მოკარკაცება** – ავდრების შემდეგ ცა რომ მოიწმინდება და გამოიდარებს, იტყვიან, ცამ მოიკარკაცაო... ცა მოკარკაცებულიაო და სხვ.

ეს სიტყვა გადატანითი მნიშვნელობისა უნდა იყოს: არის სიტყვა კარკაცობა, რაც კაცურ კაცობას, კარგკაცობას ნიშნავს. „უჟმური კაცი კარგ ხასიათზე რომ დადგება, თავის ხასიათს დასძლევს, მოიმხიარულებს, იტყვიან, მოიკარკაცაო“.

**ღვინის კოკობი** – ერთმანეთს შეჯიბრებული ღვინის მსმელები გამოცლილ ყანწს მარცხენა ხელის ცერა თითის ფრჩხილზე დაიბერტყავენ. სასმისიდან ერთი-ორი წვეთი მაინც გამოიჟურება და ფრჩხილზე დაჯდება. ამას ფრჩხილზე ღვინის კოკობის დასმას ეძახიან.

**ციციაანთ სუფრა** – სუფრაზე თუ პურის მიტანა დაავიწყდათ, დიასახლისს ხუმრობით ეტყვიან, ციციაანთ სუფრა ხომ არ არის, პური რომ არ მოგიტანიათო.

გადმოცემით, თავად ციციშვილს ქართლის მეფე სტუმრად დაუპატიჟნია და სანამ სუფრაზე მიიწვევდა, კარავში შეუყვანია. ამ კარავს ლავაშის ფარდები ჰქონია. უზარმაზარ მაგიდაზეც სუფრად ლავაში ყოფილა გაშლილიო, უმატებენ.

**ჭამაფიცილა და სმაფიცილა** – ჭამაფიცილა და სმაფიცილა ხასიათით ერთმანეთის ძმები არიან: ჭამაფიცილა ჭამს და ფიცავს: არ მიჭამიაო. სმაფიცილა სვამს და უარობს, არ მისვამსო. უფრო ხშირად ეს თვისებები ერთ ადამიანში იყრის თავს. „ვინც სვამს, ჭამს და, არც მისვამს, არც მიჭამიაო“.

**ჯვრის პური** – ქორწილის პურისმცხობელი სანაზუქე ცომით აცხობს მეჯვარისათვის ჯვრის მოყვანილობის პურს: მიართმევს მეჯვარენათლიას, რომელიც ვალდებულია იქვე, სუფრაზე დააჯილდოოს ჯვრის პურის მიმტანი.




ტარიელ ჭანტურია

***

ოჯახს გულივით უცემს ჩამური.[1]
ქრის უამურად. წვიმს უამური
წვიმა. მთელი დღე წვიმს უამურად.
... ახლა ამ წვიმებს ქვია მამული.
თლის კერიასთან ისრებს ამური.
წვიმს უამურად. ქრის უამური
ქარი. მთელი თვე ქრის უამურად.
... ახლა ამ ქარებს ქვია მამული.
წვება ღრუბელი შავ საღამურით.
სველდება ყახა გადაჩალული.
ტკაცუნებს წიფლის ვეება სევდა.
... ფეთქავს გული და ფეთქავს ჩამური...

***

მეც,
ზურაბივით,
ქართლის
კედელში
ჩაშენებული გყავარ შუამდე.
ნახევრად მაინც რახან გადავრჩი,
ნახევრად მაინც ვიგრძნობ ჟრუანტელს.
გაიჭრიალა მომავლის კარმა,
ჩაესო ურჩხულს ხმალი ვადამდე,
და ვეკითხები ნაომარ არმაზს:
ჩემო ძვირფასო მთებო, სადამდე!..

1 – **საცეხველი.**

ბესიკ ხარანაული

## თებერვალი. ივრის ჭალები

ჩემს სახეს, ყვითელ ფოთოლზე დახატულს,
შენი ალერსი უნდა, მარინე!
მიბრძანე რამე, ვეებერთელა ლოდები მთაზე
ამატანინე,
მარინე!..
ნეტავი ახლა ჩემი ივრის ფსკერზე
მეძინოს
და ვარსკვლავები დამყურებდნენ მაღლა
ზეციდან,
რა ბედნიერი ვიქნებოდი...
ზემოთ მთვარე,
მე მდინარეში
და სოფლის ბოლოს თებერვალი,
შემძვრალი ხეში...
იწკრიალებდნენ ვარსკვლავები, მარინე!
შენ ჩემი დაჟინებული ფიქრი მოგიყვანს
ჩემთან ამ ღამეში,
მარინე!
დავყურებ ქალაქს, ჩემი თვალები
სახურავს ხდიან სახლებს და ვხედავ
– მხოლოდ მას სძინავს მშვიდად, ვინც
იცის,
რომ დღისით უნდა მოიპოვოს ღამის
სიმშვიდე.
დავყურებ ქალაქს, როგორც სახინკლე
ქვაბს, და უსახურაოდ მდგარი სახლების
დრტვინვას შემკრთალი ლეკვივით ვუმზერ,
მიშველე რამე, წაქცეული ვარ
და მთვარის შუქი მაბიჯებს გულზე...
ანათებს მთვარე საქართველოს ლურჯ
მდინარეებს.
ივრის ჭალებში დადის ცხენი კოჭლი,
გამხდარი,
და ამ მილიონ... ამ მილიარდ... ამ
სამყაროში
ვერავინ ხედავს მას მგლის მეტი...
იწვის ბუხარი
და ვიტანჯებით ერთმანეთის მარტოდენ
ჭვრეტით.
მარინე,
მინდა ჩავყვინთო შენს ვარდისფერში,
შენს სიცხეში და სიმხურვალეში,
მივირთვა ყვითელ ფოთლების პეშვით
შენი ცრემლების ტკბილი სიმლაშე...
მარინე, შეამკე ჩემი თმები, მარინე...
დათოვონ შენმა ხელებმა ჩემი თმები,
მარინე...
ივრის ტალღები განა წყალი არის, მარინე,
იგი ნემსების ნაკადია, მწველი, მსუსხავი
და ვაი იმას, განწირულად ჩათვალოს
თავი,
ვინც მას გასტოპავს და წავა ტყისკენ.
ივრის ჭალებში დადის ცხენი კოჭლი,
გამხდარი,
და ამ მილიონ... ამ მილიარდ... ამ
ყინულეთში
უცებ გაისმის... ხმა კი არა,
არამედ ზარი: „მე აქ ვარ, ძმაო“.
ტყიდან გამორბის სოფლის გლახაკი
და ყვავილები მოაქვს... მარინე!
რისთვისღა ვსინჯავთ ამ ჯადოსნურ,
ღვთაებრივ სიზმრებს,
თუ თვალს გავახელთ
და ქვეყანა ისევ ის არის!
ან რად გაძალებ მე ზანზალაკს, რომ იყო
ზარი...
მარინე, ჩამოახიე შენი სამყოფი მანდილი
ღამეს
და, როცა მოვკვდე,
ქარში გაფრენილ ყვითელ ფოთოლს
თვალი გააყოლე, როგორც ჩემს ნიღაბს.

დავით წერედიანი

## შერიგება

საით მიდიან მინდვრები,
რატომ აჭრელდნენ ასე,
სად ვნახე წყვილი სანთელი,
ნუთუ სულეთის გზაზე?!
თეთრი ყვავილი შემომხვდა,
მაგრამ რა სურდა, ვერ თქვა,
ტანთ შენი კაბა ემოსა,
შენი სახელი ერქვა...
ივსება ჯავრის ფურცელი,
ჟამი მოგვდის და მიგვდის,
არც იცი, თეთრო ყვავილო,
როგორ უხდები სიკვდილს.
მოვიდა, თავთით დამიჯდა,
ცისფრად დაფინა ჩრდილი,
შუბლზე თითები შემახო,
შვების ცრემლივით გრილი.
ვკითხე, შენს კართან მდგომარე,
შენი სინათლის მჭვრეტი,
რისთვის რა ნატვრას ინატრებს,
რისთვის აღდგება მკვდრეთით.
თალხებს ჩაიცვამ, ლამაზო,
ისეც გიხდება შავი,
მოხვალ, დამხედავ, დამირგავ
კართან ღვთისმშობლის ყვავილს.
მერე შენს დღეებს, შეხვედრებს
ახლობლებთან თუ სწორთან,
ცრემლს, სანთიობოს შეხვედრებს
ჩემი არყოფნით მორთავ.
მაგრამ შიგ სევდა ჩადგება
მოუხელთები სხვისთვის.
არც იცი, თეთრო ყვავილო,
როგორ უხდები სიკვდილს...
საით მიდიან მინდვრები,
რატომ აჭრელდნენ ასე,
სად ვნახე წყვილი სანთელი,
ნუთუ სულეთის გზაზე?!

რევაზ თაბუკაშვილი

## შვილიშვილებს

მშვიდობას ვეტყვი მალე ქართულ ზეცის საფირონს
და მცირე ტალღად შევერწყმები ზღვას უნაპიროს.
ქარს იმქვეყნიურს დავახვედრებ მალე წინ აფრას,
დიდებულია! გადვიქცევი უცებ წინაპრად.
და თუმცა ჩემი გამგზავრება ჰგავდა წვალებას,
სიკვდილი მაინც არ დაარქვათ გარდაცვალებას.
მე წავალ, მაგრამ სამუდამოდ თქვენთან დავრჩები,
მეც გიმეგზურებთ, ცხოვრების გზას როცა გაჰყვებით.
მეც დაგინახავთ, მაგრამ ველარ დაგენახვებით.
მეც არასოდეს არ ვიქნები თქვენთან მოდავე:
სამშობლო თქვენი თუ არასდროს არ იცოტავეთ!
მაგრამ იცოდეთ, მე იმ დღიდან თქვენთან არა ვარ,
თუ სარბიელად საქართველო გეპატარავათ.
დამარცხებულნიც არასოდეს ჩანდეთ საბრალოდ,
ვინმეს სიგლახე კაცთა მოდგმას არ დააბრალოთ,
ტკბილი გექნებათ სიყმაწვილეც, მერე სიბერეც,
სხვათა მიღწევით სიხარული თუ გაიბევრეთ.

# გერმანიაში ინგლისიდანაც კი ჩამოვიდნენ „ფაუსტის“ სანახავად



ზაფხულის მიწურული ქართული თეატრალური ხელოვნებისათვის იღბლიანი გამოდგა. გერმანიაში საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე „სარდაფის თეატრის“ მიერ წარდგენილმა თოჯინურმა სპექტაკლმა „ფაუსტი“ საყოველთაო მოწონება დაიმსახურა და სხვა ქვეყნებში საგასტროლო მიწვევებიც მიიღო. ქართველ მსახიობთა დასი და სპექტაკლის რეჟისორი ლევან წულაძე უკვე თბილისში არიან და მორიგი სიურპრიზისათვის ემზადებიან. ფესტივალის შესახებ **ლევან წულაძე** მოგვითხრობს:

— მიწვეული ვიყავით გერმანიაში ფესტივალზე, რომელიც ტარდებოდა სახელწოდებით — „უნიდრამა“. იგი გულისხმობდა არა მხოლოდ ტრადიციული დრამატული სპექტაკლების, არამედ განსხვავებული ხელოვნების წარმოდგენასაც. მაგალითად, უცნაური სიბნელის თეატრიც კი ვნახეთ. ორი საათი აბსოლუტურ სიბნელეში ვისხედით და ნახევარ საათში ერთხელ წამით რაღაც გაკრთებოდა ხოლმე. იდეა იყო სიზმარსა და ცხადს შორის ზღვარის პოვნის მცდელობა. სპექტაკლების შემდეგ ვიკრიბებოდით და მიმდინარეობდა მწვავე, კრიტიკული გარჩევა. ჩვენი თამაშის შემდეგ გარჩევაზე ყველამ ერთხმად დაასკვნა, რომ „ფაუსტი“ ძალიან მაღალი დონის სპექტაკლი იყო. მაყურებელთა საერთო მოწონება და ფესტივალის ხელმძღვანელობის მადლობაც დავიმსახურეთ. მაშინვე მივიღეთ მიწვევები დანიაში, გერმანიაში, ნიურნბერგში. ჩვენ იქ უახლოეს მომავალში წავალთ.

**— რამდენადაც ვიცი, ამ ფესტივალზე დაწესებული არ არის განსაკუთრებული ჯილდოები. მაშინ რა დანიშნულება აქვს და როგორ იკვეთება მონაწილეთა შორის საუკეთესო?**

— ამგვარი ფესტივალის ფუნქციაა სხვადასხვა ქვეყნის შემოქმედებითმა კოლექტივებმა გაიცნონ ერთმანეთის ხელოვნება. ჯილდოებში იგულისხმება მიწვევები სხვადასხვა ფესტივალზე.

**— თქვენ რამდენიმე თოჯინური სპექტაკლის ავტორი ხართ. მაინცდამაინც „ფაუსტი“ გერმანიაში წასვლის გამო შეარჩიეთ?**

— იგი ორგანიზატორებმა გვთხოვეს. ადრე ინგლისში წარვადგინეთ და იქ ჰქონდათ ნანახი. გერმანიაში ინგლისიდანაც ჩამოვიდა რამდენიმე კაცი სპექტაკლის სანახავად, ინგლისში ორჯერ ვიყავით. ბროსლავის ფესტივალზეც ეს სპექტაკლი გვქონდა. ასე რომ, „ფაუსტი“ საკმაოდ პოპულარულია.

**— ლევან, რატომ აირჩიეთ მაინცდამაინც თოჯინური ჟანრი?**

— რეჟისორისთვის განსხვავება არ აქვს, თოჯინური იქნება სპექტაკლი თუ დრამატული. არსებობს შეზღუდვები მხოლოდ სივრცის თვალსაზრისით. ჩვენი თეატრისათვის ამ მხრივ ასეთი სპექტაკლები იდეალურია.

**— ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ძველი სარდაფი — მთლიანად თოჯინური სპექტაკლებისთვის იქნება განკუთვნილი?**

— შეიძლება ასეც მოხდეს. ძველი სარდაფი ჩაფიქრებული იყო ექსპერიმენტებისთვის, ახალი ენის, მანერის ძიებისათვის. იმის გამო, რომ მთლიანად ჩვენს სალაროზე ვართ დამოკიდებული, ძველმა სარდაფმა ვერ შეასრულა თეატრი-ლაბორატორიის ფუნქცია და სარეპერტუარო თეატრად იქცა. ახლა ახალი სცენა გვაქვს ვაკეში. ვფიქრობ, ძველი სცენა თავიდან ჩაფიქრებულ ფუნქციას შეიძენს.

**— ახალ სარდაფში „ხანუმას“ დადგმა დაიწყეთ. როდის გეგმავთ პრემიერას?**

— ძველ სარდაფში სექტემბრის ბოლოსთვის უნდა წარვადგინო გერმანელი მწერლის, პატრიკ ზიუსკინის კინოსცენარის მიხედვით სპექტაკლი — „კაფე როსინი“. ამის გამო გვაქვს შეჩერებული რეპეტიციები. გერმანიაში ყოფნის დროს მქონდა ბედნიერება ამ კაფეშიც მოვხვედრილიყავი. ძალიან პოპულარული ადგილია. აქ თავს იყრის იქაური კინოსა და თეატრის ბომონდი. ყველაფერი ძალიან ძვირი ღირდა, მხოლოდ წვენი დავლიე. „ფაუსტის“ დასადგმელადაც გერმანიის საელჩომ მოგვცა ფული.

**— „კაფე როსინი“ „ლაბორატორიული“ სპექტაკლია?**

— თითქმის. რადგან არ იქნება აქ ტრადიციული სცენა. მაყურებელი განლაგდება ორი მხრიდან. შუაში ითამაშებენ მსახიობები. ასეთი სპექტაკლი ერთხელ უკვე დავდგი სარდაფში — თომას მანის „მარიო და ჯადოქარი“.

**— ხელოვნების იმ სფეროების წარმომადგენლები, რომელთაც მაყურებელი ჰყავთ, ხშირად აღნიშნავენ, რომ მსმენელი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირია.**

— მაყურებელში არსებობს აღქმის განსხვავება. მას განსხვავებული ტრადიცია, კულტურა და ტემპერამენტი განაპირობებს. მაგალითად, პოლონეთში მთელი სპექტაკლის განმავლობაში გასუსულები იყვნენ. ვფიქრობდი აი, ახლა ადგებიან და წავლენ-მეთქი, მაგრამ ნახევარი საათი გვიკრავდნენ ტაშს და სიცხისაგან სცენაზე კინაღამ ცუდად გავხდით. ინგლისში სპექტაკლის დროს მოწონების ნიშნად ფეხებს აბრაგუნებდნენ, ტაშს უკრავდნენ და სხვათა შორის, თვითონაც უკვირდათ ასეთი ემოცია. ვფიქრობ, როგორ თამაშსაც შესთავაზებ, მაყურებელიც ისე გიპასუხებს. ქართველი მაყურებელი სპექტაკლზე ოთხი საათი არ გაჩერდება. მას სხვა ტემპერამენტი აქვს. ჩვენთან თეატრიც დინამიკურია და ხალხიც. ქართველი მაყურებელი ზედმეტად გამოხატავს თავის დამოკიდებულებას, — როგორც კარგს, ისე ცუდს. უფრო გახსნილია, შეიძლება იმიტომ, რომ თეატრი ქართველის ყოფაშია. ის თეატრში „შინ“ მოდის და არა ტაძარში. ხშირად განიშნებს სიცილით, ტაშით, რომ აქ არის, შინ. იგი ყოველთვის მართალია.

**— ბოლო დროს, როგორც ხელოვნების, ისე სხვა დარგების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ საქართველოში რთულია თვითგამოხატვა, შინაგანი პოტენციალის რეალიზება. თქვენ რას ფიქრობთ?**

— ნამდვილი შემოქმედისთვის იოლია, გამჟღავნდე და დაიხარჯო, მაგრამ მარტო ამის გამო სიყვარულის მოპოვება რთულია. ქართული ხელოვნება დღეს უფრო თვითგამოხატვით არის დაკავებული და არა მარტო ხელოვნება, პოლიტიკოსებიც კი თვითგამოხატვაზე უფრო მუშაობენ, ვიდრე კანონებსა და ქვეყნის მართვაზე. ძალიან რთული სფეროა. თუ პოპულარობას გულისხმობთ, ეს ძნელია, რადგან გამორიცხული არ არის დღევანდელი შენი მაქებარი ხვალ პირად მტრად გექცეს, თუ საინტერესო აღარ ხარ. ამიტომ პოპულარობას არ უნდა გამოეკიდო. თეატრის მთავარი პირობაა, მაყურებელს მოახვიო შენი აზრი. ამბავი, რომელსაც მას უყვები, გააგებინო და მოიპოვო უფლება, მოგენდოს, მაშინ გაიბმება რეჟისორსა და მაყურებელს შორის იდუმალი ძაფი. ასეთ შემთხვევაში მთელი ამბის მოყოლის საშუალება მოგეცემა. ეს არის წარმატება და ამისთვის ღირს ცხოვრება, ასე მოპოვებული აღიარება მარადიულია.

*ეკა ლომიძე*


ავიაკომპანიები „საქავიასერვისი“ და „სამარა“ 25 აგვისტოდან ასრულებენ რეისს



თბილისი — სამარა — ორშაბათობით

სამარა — თბილისი — სამშაბათობით

მის: ქ. თბილისი, მაჩაბლის ქ. №4

ტელ: 99-02-37; 99-83-87


კვირა 21 სექტემბერი

შაბათი 20 სექტემბერი

პარასკევი 19 სექტემბერი

ხუთშაბათი 18 სექტემბერი

ოთხშაბათი 17 სექტემბერი

სამშაბათი 16 სექტემბერი

ორშაბათი 15 სექტემბერი



# მსიამოვნებს, როცა უცხოელები ამბობენ — რა ლამაზები ყოფილხართ ქართველებიო...



*ნაციონალურ ბალეტს, რომელსაც მთელი მსოფლიო სუხიშვილების ანსამბლად იცნობს, სულ მალე 60 წელი შეუსრულდება. მიუხედავად „ხანდაზმულობისა“, ანსამბლს კვლავაც აღფრთოვანების ექსტაზში შეჰყავს მაყურებელი. ანსამბლი ახლახან დაბრუნდა იტალიიდან, სადაც ხანგრძლივი გასტროლებით იმყოფებოდა. ამჯერად* ***ნინო სუხიშვილი*** *ჩვენი სტუმარია.*

— ჩვენი ანსამბლი იტალიაში უკვე მეთექვსმეტედაა მიწვეული. ჩავატარეთ 11 კონცერტი და ორი „ასსა“ ანუ ფოლკოთეკა. ფოლკოთეკას, „ასსას“ ღია ცისქვეშ გამართვა უხდება. ცოტა ხნის წინ იგი გავმართეთ ბათუმში, ბულვარსა და „ბუნგალოში“, იტალიაში ძალიან აღფრთოვანდნენ ახალი სანახაობით. მაყურებელი სცენაზე ამოდიოდა, ჩვენთან ერთად ცეკვავდნენ. საერთოდ „ასსას“ პროექტში სხვადასხვა ერის მუსიკის სინთეზია. უმთავრესი მაინც კავკასიურია, რომელიც ძალზე პოპულარულია მსოფლიოში. ილიკომ იტალიელი მაყურებლის „გამოსაწვევად“ იტალიელი კომპოზიტორის, ნინო როტას მუსიკის მიხედვით სიცილიურ თემებზე გააკეთა არანჟირება. მაყურებელი ამან სულ გააგიჟა.

**— ამბობენ, თავად სილვიო ბერლუსკონიც დაესწრო სუხიშვილების კონცერტსო...**

— რომის მახლობლად, ცნობილ პატარა კუნძულზე გამოვედით საქველმოქმედო კონცერტით, რომელიც წითელმა ჯვარმა მოაწყო. მაღალი ფენის წარმომადგენლები გვესწრებოდნენ. ბილეთი ძალიან ძვირი ღირდა და შემოსული თანხა მთლიანად საქველმოქმედო ფონდში ჩაირიცხა. კონცერტზე მოვიდნენ ჩვენი ელჩი იტალიაში და იქაური დიდგვაროვნები. თავად ბერლუსკონი ჩვენს კონცერტზე არ ყოფილა, თუმცა, ჩვენი ხელოვნება იტალიაში სტუმრად მყოფმა იორდანიის ერთ-ერთმა პრინცმაც ნახა. ჩვენ მივეჩვიეთ უცხოელთა აღფრთოვანებას. ხშირად ყურადღებასაც აღარ ვაქცევთ აჟიოტაჟით რომ გვხვდებიან. გენუაში, ოპერის თეატრში, ჩვენს კონცერტებზე მოვიდა სინიორი მარიო პორჩილე, რომელიც ჩვენს ანსამბლს 60-იან წლებში მასპინძლობდა, მაშინ ქართული ნაციონალური ბალეტი ლა სკალაში გამოდიოდა ტრიუმფით. ძველი იმპრესარიო ახალი პროგრამითაც მოიხიბლა.

**— რამდენ ხანს დაყოფთ სამშობლოში, რას სთავაზობთ ქართველ მაყურებელს?**

— სექტემბრის თვეს აქ გავატარებთ. ანსამბლის ბაზაზე პირველად ვხსნით სტუდიას. გარდა იმისა, რომ კადრებს მოვამზადებთ, პარალელურად აქ სწავლის უფლება ექნებათ მოყვარულებსაც. პედაგოგები ჩვენი ყოფილი მოცეკვავეები იქნებიან.

**— პატარა დარია, უმცროსი ილიკოს გოგონა, ხომ არ მიიღებს კონცერტებში მონაწილეობას?**

— მიუხედავად იმისა, რომ დარიამ უკვე იცის ცეკვა და ძალიანაც უნდა სცენაზე გამოსვლა, ერთი-ორი წელი მოცდა მოუწევს. ის ჯერ პატარაა და მეტისმეტად დაიტვირთება. გასტროლებზე თითქმის სულ თან დაგვყავს, თუმცა, ახლა უკვე სკოლაში დადის და გაკვეთილებს ვეღარ გავაცდენინებთ.

**— იტალიაში, მუშაობის გარდა, ალბათ ისვენებდით და თქვენი ნამზეურიც ხმელთაშუა ზღვის დამსახურებაა.**

— ამ გასტროლებზე დასვენება ნამდვილად მოვასწარით და ეგეოსის, ადრიატიკის და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე გავშავდით.

**— თურმე მაყურებელი ქუჩაში ცნობდა ჩვენს მოცეკვავეებს...**

— კონცერტის შემდეგ გამოსასვლელებთან აუარება ხალხი გვხვდებოდა. ყველას სურდა ქართველი მოცეკვავეების პირისპირ ხილვა, ავტოგრაფებს გვთხოვდნენ.

**— ალბათ განსაკუთრებით ქალები მოსწონდათ...**

— არა მარტო. ჩვენი კაცები ძალიან პოპულარულები არიან ევროპაში. ყველა სტატიაში, რომელიც ანსამბლის კონცერტებს მიუძღვნეს, უცხოელები განსაკუთრებულად აღნიშნავდნენ, რომ ქართველი ქალები გამორჩეულად მშვენიერები არიან. მამაკაცები კი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებენ, რომ ბადალი არ ჰყავთ ვაჟკაცობაშიო. ყოველი კონცერტის შემდეგ ძალიან ამაყი და ბედნიერი ვარ, ჩვენი ანსამბლი ყველგან ქვეყნის „სავიზიტო ბარათს“ წარმოადგენს. ამიტომ სულ ვცდილობთ, ანსამბლში მარტო ცეკვის ნიჭით კი არა, გარეგნულადაც წარმოსადეგი ვაჟკაცები და მომხიბლავი ქალიშვილები შევარჩიოთ. მსიამოვნებს, როცა უცხოელები ამბობენ — რა ლამაზები ყოფილხართ ქართველებიო — ეს მთელი ერის შეფასებაა.

**— უცხოელებმა ფოლკოთეკაზე თქვეს, რომ უმცროსმა ილიკომ მოცეკვავე ქართველ ქალებში ამორძალები გააცოცხლა. რაიმე მსგავსი ჰქონდა ჩაფიქრებული ილიკოს?**

— რა გითხრათ, ფოლკოთეკა არის საკლუბო ვერსია, სადაც ქალიც და კაციც ერთნაირად ცეკვავს, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე დისკოთეკებზე. ამორძალებს რაც შეეხება, ქართველ ქალს ვაჟკაცური ბუნება ყოველთვის ჰქონდა, შინაგანად ყოველთვის მეომარი იყო და ამის არაერთი მაგალითი გვაქვს. ქალების ხორუმიც ჯერ კიდევ ქალბატონი ნინოს დროს დაიდგა. „ზეკარიც“ მის სიცოცხლეში დაიდგა პირველად და ძალიანაც მოსწონდა.

*ეკა ლომიძე*


ქართული და უცხოური ჟურნალ-გაზეთების გამოწერა

თბილისის მაცხოვრებელთათვის და ორგანიზაციებისთვის

ტელ: 33-26-73

სახლიდან გაუსვლელად



შპს „ელვასერვისი“

# რომელი ქმარი, ბატონო გოგი?

**გულჩინა დადიანი პროფესიონალი მსახიობი არ გახლავთ, ფიზიკოსია და გეოფიზიკის ინსტიტუტში მუშაობდა წლების მანძილზე. ბევრ მსახიობს დაამშვენებდა მისი მკვეთრი ხასიათის მქონე, დასამახსოვრებელი სახეები, რომელთაც საუბრის სტილი, მანერები, იმდენად ბუნებრივი და რეალური იყო, კაცი იფიქრებდა, მთელი ცხოვრება იმ გარემოში გატარებია, რომელშიც მისი გმირები ცხოვრობენ.**

**ისე ძალიან „გაუმართლა" — ხან ვისი „ცოლი" იყო და ხან ვისი. ანეკდოტივით დადიოდა თბილისში: როგორ შეხვდა თქვენს კინოკარიერას თქვენი მეუღლეო, უკითხავს ცნობილ კინოკრიტიკოსს ბ-ნ გოგი დოლიძეს, და — რომელი ქმარიო, იქით უკითხავს ენამოსწრებულ მსახიობს.**

**ხუმრობა იქით იყოს და გულჩინა დადიანს ცხოვრებაში მართლა შესანიშნავი მეუღლე ჰყავს, ინჟინერი დავით დადიანი, სიყვარულით დათულის რომ ეძახის და კიდევ სამი, ძალიან კარგი ვაჟი. უფროსი — ნიკოლოზი და მისი მეუღლე ქეთევან აბაშიძე საპატრიარქოში მუშაობენ, ერთი არქიტექტორია, მეორე — ხელოვნებათმცოდნე. შუათანა — იასე, პარლამენტის ერთ-ერთ კომისიაში საქმიანობს, მისი მეუღლე, თამარ ბაქრაძე მხატვარია. უმცროსი, მამის სეხნია დავითი შსს-ში მუშაობს, მისი მეუღლე, თსუ-ის ლექტორი მანანა ყუფარაძე, მთარგმნელია. ჰყავს შვიდი შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილი — პატარა ილია დადიანი.**





მეუღლესთან, დავით დადიანთან ერთად

**— ქნო გულჩინა, სად ფიზიკა და სად კინოხელოვნება, როგორ აღმოჩნდით ამ სამყაროში?**

— ჰკითხეთ დათულის, მეც ხშირად ვეკითხები, რა დაგიშავე, ისე ვერ მომიშორე და გადამეცი ხომ დაუნანებლად იმ ორგანიზაციას, სადაც ხან ვისი „ცოლი" ვარ და ხან ვისი-მეთქი, — ენაკვიმატობს მსახიობი.

— ვხედავდი, ასპარეზი არ ჰყოფნიდა, მაგის იუმორს, განცდილ-ნანახის მოთხრობის საოცარ უნარს, დაუსრულებელ ფანტაზიებს აუცილებლად სჭირდებოდა სხვა სამყაროში ცხოვრება და იმიტომაც „გავიმეტე", — თავი „იმართლა" ბ-ნმა დავითმა.

**— მაინც რა მოხდა, როგორ დაიწყო ეს ყველაფერი?**

— ძალიან სტუმართმოყვარე ოჯახი გვქონდა ყოველთვის. ვინ აღარ მეგობრობდა ჩვენთან. საბჭოთა პერიოდში, ვინ უნდა ჩამოსულიყო თბილისში საგასტროლოდ, რომ ჩვენთან არ მოსულიყო. გაუთავებელ სტუმრიანობას იმდენი სიხარული მოჰქონდა, რომ დღემდე მომყვება საგზლად და ცხოვრებას მიადვილებს. ჩვენი ოჯახის უახლოესი მეგობარი გახლდათ უსაყვარლესი დოდო აბაშიძე და თუ გადაღებებზე არ იყო, ხშირად გვსტუმრობდა. ერთ დღესაც გვეწვია, სადილად ვსხედვართ. ნერვიულობს: — ფოთში ვართ. ნანა მჭედლიძე იღებს მშვენიერ ფილმს, მაგრამ რა გინდა, რა, „ცოლი" ვერ მიშოვეს, ეს რა ბედი მაქვს, კაცო, ვერც ცხოვრებაში მოვახერხე ცოლის შერთვა, ვერც ფილმში მინახეს ვინმეო. მერე, რამ დაგაბნია, შე დალოცვილო, აგერ არ არის, წაგეყვანა გულჩინა და ეგება კი გამოგადგესო, — უთხრა ჩემმა მეუღლემ და მოულოდნელობისაგან ლამის სასულეში გადამცდა ცხელი ხაჭაპური. გავაგრძელეთ ხუმრობა-ხუმრობაში სადილი. ცოტა ხნის შემდეგ დოდო სრული სერიოზულობით მეუბნება — მართლა კარგი წინადადებაა, უნდა გადამარჩინო, უნდა გამომყვე, ფოთში რომ ხელცარიელი ჩავიდე, მომკლავს ნანაო. გადავირიე ქალი, ეს რა მითხარი, მე რა მესაქმება კინოში-მეთქი, მაგრამ მოსვენება აღარ მომცა, დღეში ათჯერ მირეკავდა თავისი ბუბუნა ხმით, დათულიც მთხოვდა და დამითანხმეს, როგორც იქნა. მოვკიდე ჩემს უმცროს, შვიდი წლის ბიჭს ხელი და კოჯრის ნაცვლად, ფოთში ამოვაყოფინე თავი, ჩავკეტე სასტუმროს ნომერში და ზღვის ჰაერის ნაცვლად კოღოები ვაყლაპე, მე კი ვკითხულობ სცენარს და ველოდები, როდის გამომიძახებენ. სამი კვირის შემდეგ მოდის რეჟისორის ასისტენტი და მეუბნება, „ასვაენიეზე" უნდა წავიდეთ იმ სახლში, სადაც გადაღება უნდა მოხდესო. მიმიყვანეს, მშვენიერი ეზო, კარმიდამო და სახლია, მაგრამ რა გინდა, მე ჩემს სახლში მაქვს უამრავი საქმე საკეთებელი და იქ უნდა ვაპრიალო, ლოგინები ვამზეურო, ვბერტყო. მოკლედ, მეკიდება გულზე ცეცხლი. რაღა ბევრი გავაგრძელო და გავხდი იმ სახლის „დიასახლისი". თურმე ამ ოჯახის უფროსს ცოლ-შვილი აგარაკზე ჰყავს დასასვენებლად გაგზავნილი და შეატყობინეს მეზობლებმა — სასწრაფოდ ჩამოდი, შენმა ქმარმა ქალი მოიყვანა შინ, არც რცხვენია, ამზეურებს ყოველდღე ლოგინებს და არის ერთ ამბავშიო. მე რა ვიცი, გარეთ რა ხდება, ან მეზობლებს საიდან უნდა ვიცნობდე, არც გადაღებაა დაწყებული, მხოლოდ „ასვაენიე" მიმდინარეობს, მას მერე მძულს ეს სიტყვა. ისე რას ვერჩი, შეჩვევას, შეგუებას, შეთვისებას ნიშნავს, მარა მე მართლა ცუდ დღეში ჩამაგდო. როგორც იქნა, ჩათვალეს, რომ შედგა ეს „ასვაენიე" და დაიწყო რეპეტიციები გადაღების წინ. დაიწყეს, მაგრამ დარდით ვკვდები, ნომერში სიცხიანი ბავშვი დავტოვე. იპოლიტე ხვიჩიამ, რომელიც მსაჯის როლს ასრულებდა და სულ იმას ეხვეწებოდა ნანა მჭედლიძეს, რა მოხდება, ცოტა მარბენინე, ამდენს ნუ მაწვალებო, მაშინ თავისუფალი იყო და მითხრა, ნუ გეშინია, წადი, ბავშვს მე მივხედავ, ჩემი შვილიშვილები სულ ჩემი გაზრდილები არიანო. ლორთქიაც (გურამ ლორთქიფანიძე) დარჩა, ათასნაირად რომ ეხუმრებოდა და ართობდა ბავშვს. გამისტუმრეს ჩემი „მისიის აღსასრულებლად". იღებენ სცენას, დოდოს რომ უნდა გამოვეკიდო წყევლა-კრულვით, რომელიც სხვათა შორის, წინა დღეს გურამ ფირცხალავამ მასწავლა მეგრულად და გაოცებულიც დავტოვე, ეს გურული შაქარაშვილის ქალი რავა მართლა მეგრელი ქალივით ალაპარაკდი, ყოჩაღ შენო.

**— მართლა ისე კარგად გადმოეცით კაპასი მეგრელი დედაკაცის ხასიათი, წუნს ვერავინ დასდებს.**

— აბა, რა ვიცი, ისე, ეტყობა, მართლა კარგად გამომივიდა, რადგან ოთარ იოსელიანმა „პასტორალის" გახმოვანების მერე, მაგრამ ვიფარე, იქ კი გამომივიდა, პატარა ეპიზოდი იყო, მაგრამ მთელი ფილმის განმავლობაში სარისკამ-მეთქი. მოკლედ, სცენარის მიხედვით, დოდოს უნდა გაეჯავრო, მაგრამ რადგან რეპეტიციაა, დოდო არ მონაწილეობს, შორიდან მითვალთვალებს. გადავირიე, ასე ტყუილი როგორ ვიკადრო, სხვა კაცი მაინც მოიყვანეთ-მეთქი. მოიყვანეს პატარა ბავშვი, გავჯიუტდი, ბავშვს ქოქოლა როგორ მივაყარო-მეთქი, მაგრამ დამიყოლიეს და გავექანე. იმდენი ვიწივლე და ვიკივლე, ყველა კადრი რომ ფილმში შესულიყო, კაცმა არ იცის, რა გამოვიდოდა. მეხვეწებიან, მომდევენ, კარგი, გეყოფა, აღარ არის საჭირო, ნუ დაიგლიჯე ყელის სიმებიო, მაგრამ მესმის? რაკი ავიწყვიტე, ძნელი გახდა ჩემი შეჩერება. უცებ ვხედავ, ასევე წივილ-კივილით ჩემკენ ქალი მორბის. დავიბენი. სცენარში ეს არ წამიკითხავს, ნეტავი რა ხდება-მეთქი და გაოცებული შევჩერდი. თურმე იმ სახლის პატრონის ცოლია, სადაც „ასვაენიე" გავიარე და მოდის ჩემს გასაგლეჯად. კიდევ კარგი, გადაღების დღეს ჩამოვიდა, თორემ ნამდვილად არ ამცდებოდა თმით თრევა. მოკლედ, აუხსნეს იმ ქალს, რაც ხდებოდა და როგორც იქნა დამშვიდდა, გადამკოცნა, შევრიგდით და „დიასახლისობაც" მომიწონა, რა ენაღვლებოდა — ვაკეთე მისი საკეთებელი და დავახვედრე სახლი გაკრიალებული.

**— ბატონმა დოდომ რა ქნა?**

— ძალიან ნერვიულობდა, მაინც მისი პროტეჟე ვიყავი და პასუხისმგებლობას გრძნობდა, რადგან ყველას და, მათ შორის რეჟისორსაც ცოტა აეჭვებდა ყველანაირი გამოცდილების გარეშე ჩემი ფილმში ჩართვა; მაგრამ როგორც კი პირველი კადრი გადავიღეთ, გახარებულმა გადამკოცნა და ყურში ჩამჩურჩულა, სულაც არ მეეჭვებოდა, რომ შეძლებდი, შენ დიდი მსახიობის ნიჭი გაქვსო. მერე სხვების რეაქციაც შეამოწმა — ხალხი თვალებს იწმენდდა. მთელი გადაღებების დროს ყურში ბორის პაიჭაძის თავისებური, უცნაური სიცილი მესმოდა და სტიმულს მაძლევდა. ფეხბურთელებიც გაგიჟდნენ, ეს რა ქნა, კაცო, ნამდვილი ფურორი მოახდინაო. ბოლოს კი, როცა ნანა მჭედლიძემაც გაშალა ხელები კმაყოფილმა და დოდოს მადლობა გადაუხადა, ყოჩაღ, ეს რა კარგი ვინმე ჩამოგიყვანიაო, გაამაყებულმა ერთგვარი ქედმაღლურობითაც კი განაცხადა: აბა, რა გეგონათ, რომ გეშინოდათ, რამე შემეშლებოდაო?

**— პირველ წარმატებას მალევე მოჰყვა მეორე წარმატება, რომელიც „ღვინის ქურდებმა" მოგიტანათ, იქ როგორღა მოხვდით?**

— „პირველი მერცხლის" გახმოვანებიდან ვბრუნდები. კინოსტუდიის ეზოში რეჟისორი ვალიკო კვაჭაძე მხვდება, შეწუხებული ხელებს შლის და მეხვეწება, მიშველე, თუ ღმერთი გწამს, კახის „ცოლი" ვერ ვუშოვე, გადაღება მეშლება და ხელცარიელი რომ მივბრუნდე, მომკლავს, შენც ბევრი არაფერი საქმე გაქვს, ერთ-ორ წინადადებას იტყვი, სულ ეს არისო. გადავირიე, ახლა „კახის" ცოლიც უნდა გავხდე, თან გვერდით უნდა მიუწვავ? რა იყო, ვალიკო, მთლად კი არ ამიღია ხელი თავზე, რას ჰქვია ნიფხავ-პერანგით კაცთან დავწვე-მეთქი? გამივიდა უარი თუ? არიქა, ქრონომეტრაჟის გეგმა მაქვს შესასრულებელიო, წელიწადი მთავრდება, მსახიობები უხელფასოდ დამრჩებიან, თუ დროში ვერ ჩავეტიეო, მოკლედ, „იქცეოდა" ქვეყანა უჩემოდ და შეიძლებოდა ღალატი? იქით დავუწყე ხვეწნა, ახლავ გავიქცევ, დროს ნუღარ ვკარგავთ, თუ ამისთანა ამბავია, როგორ გეტყვი უარს-მეთქი.

მივეპატიჟეთ პავილიონში მე და ვალიკო. დადის კახი წინ და უკან თავზე ხილაბანდწაკრული, თეთრ ნიფხავ-პერანგში გამოწყობილი და ბრდღვნის იქაურობას: რას შვრები, კაცო, კიდევ ხელცარიელი მოხვედი? როდემდე უნდა მაწვალოო, და მე სალამი მომიგდო. თუმცა ძალიან კარგად მიცნობდა, მაგრამ არ ჰქონდა თავაზიანობის თავი, ან იმას რა მოაფიქრებდა, რომ მე „მსახიობობას" შევუდექი. ჯერ ეკრანებზე არ იყო გამოსული „პირველი მერცხალი" და როგორ დაუშვებდა, რომ მე ვიქნებოდი „ცოლი"? როცა აუხსნა ვალიკომ, რომ ეს მე ვარ, სულ გადაირია, ხომ მომკლავს დათული, მაგასთან „ობრაზში" როგორ შევიდე, მომიყვანეთ ვინმე სხვაო, მე კი ჩუმად მეუბნება, წადი, გაქრი აქედან, აქ რა გესაქმებაო. მე კიდევ აქეთ ვიკლავ თავს, მომიტანეთ პერანგი, შინ მეჩქარება და უცებ გადავიღოთ-მეთქი. არა, ჯერ პატარა „ასვაენიეა" საჭირო, პირდაპირ როგორ შეიძლებაო, გაჯიუტდა რეჟისორი. ოღონდ ეს სიტყვა არ გამაგონოთ, ბევრი არაფერი საქმე მქონია და ისედაც მოვახერხებ-მეთქი. კახი ცივ უარზეა, გულჩინასთან ვერ დავწვებიო. მე ხუმრობის გუნებაზე დავდექი, მოიტანეთ ხმალი ან მუთაქა-მეთქი. მართლა ერთი ამოსუნთქვით გადავიღეთ ეს ეპიზოდი და შინ „ვალმოხდილი" წამოვედი — მსახიობებიც ვიხსენი უხელფასობისაგან, რეჟისორიც გეგმის ჩაგდებისაგან და კახიც „უცოლობისაგან".

**— ნამდვილ მსახიობად ქცევამდეც „მსახიობობდით" თურმე...**

— ყველამ იცოდა, როგორ მიყვარდა ოლეგ პოპოვი. მე რომ მეგობრების წრეში, იატაკზე დადებულ თოკზე, რის „ვაი-ვაგლახით" წონასწორობის „შესანარჩუნებლად" ჯოხით ხელში დავდიოდი, სიცილი კი არა, კივილი ისმოდა. ქორწინების 25-ე წლისთავზე, ჩემმა მეგობარმა გურამ კალანდაძემ საჩუქრად საგანგებოდ ჩემთვის შეკერილი პოპოვის კოსტიუმი მაჩუქა და ძალიან გამახარა. ჩავიცვი ეს კუბოკრული კოსტიუმი, ხელთათმანები, რომელთაც იხდი, იხდი და არ თავდება. გავიკეთე უზარმაზარი შავი ბაფთა, რომ გამოსწევ და ისევ უკან გარბის, დავიხურე კოკარდიანი ქუდი, ამოვიჩარე იღლიაში მეზობლის დედალი (მამალი ვერ დაიჭირა დეიდა ნინამ) და შევედი სტუმრებთან ყვირილით — „გამარჯობა, საქართველო!" ატყდა ერთი ჟრიამული, მე ფართობი აღარ მყოფნის. დოლიძეზე ვცხოვრობდით მაშინ. გავრბივარ ეზოში. მომდევენ სტუმრები. არის ერთი ვაი-უშველებელი. ამ დროს ქუთაისიდან ჩამოდის ჩემი მეგობარი და გული უწუხდება — მეგონა ლხინში მოვდიოდი, ნეტა რა ხდებაო. მერე ჩოხა ჩავიცვი და მეუღლესთან ერთად ვიცეკვე. მოკლედ, ჩემს სიგიჟეებს საზღვარი არ ჰქონდა. ყველაზე უკეთ დათული მიხვდა, სხვა ასპარეზი რომ მჭირდებოდა. ამისთვის კი კინო მართლა საუკეთესო საშუალება იყო, სულ სხვა ხიბლი და მუხტი აქვს მას.

**— „ყვარყვარეში" დოდოს „საყვარელიც" იყავით!**

— დევი აბაშიძემ „ყვარყვარეში" მდივანი ქალის როლი შემომთავაზა, და, რადგან ხშირ შემთხვევაში მდივანი უფროსის საყვარლად მოიაზრება, მეხუმრებოდა ხოლმე დოდო, რა გინდა, ხომ „დაგაწინაურე" და აგიყვანე „საყვარლის" ხარისხშიო. სადაც ეგ იყო, იქ ზეიმიც იყო. ძალიან საყვარელი და კეთილშობილი, უზომოდ ნიჭიერი მსახიობიც გახლდათ. ფილმის ბოლოს, ჩემი კაბით რომ გარბის თავის გადასარჩენად, გზად შემოხვდა გენიალური სესილია თაყაიშვილი, ლამის გაგიჟდა, იმდენად დიდი იყო ეფექტი, მართლა შეიცხადა, ეს რას დამსგავსებულხარ, შე შეჩვენებულო, გულჩინა მეგონეო.

**— კახის „ცოლი" მეორეჯერაც იყავით... ბიძინა ჩხეიძის ფილმში „ბატონი ავანტიურისტები".**

— აქაც პატარა ეპიზოდი მაქვს, ვდიასახლისობ: ჭურჭელს ვრეცხავ, სუფრას ვაწყობ. კახი კი, თუმცა „გლეხია" და სოფელში ცხოვრობს, სულით ხორცამდე ინტელიგენტია. იგი ყველაფერ ქართულს, ამაღლებულს, ზნეობრივს აიდეალებს და ქართული სუფრის აკადემიურობაშიც არწმუნებს სტუმრებს. არ შემიძლია მამუკა კიკალეიშვილი არ გავიხსენო. შვილივით მიყვარდა, თავადაც დედას მეძახდა. გადაღებებზე რომ გავდიოდით, საგზალიც აუცილებლად მიმქონდა თან. ჩემი გაკეთებული ყველაფერი ეგემრიელებოდა, ჩაძვრებოდა კალათში და დაუსრულებლად სუსნაობდა: ჩემს წილს ახლავე შევჭამ, თქვენთვის რა მნიშვნელობა აქვს, მუცელს როდის ვცემ პატივს, სადილად ახლოს აღარ გაგეკარებითო. მე კი სადილობისას აუცილებლად ვუზიარებდი ჩემი წილიდან, აბა, ხომ არ ვაშიმშილებდი? საყვარელი ბიჭი იყო, ყველაფერში სიყვარულს აქსოვდა და ირგვლივმყოფთაც ამ გრძნობით ავსებდა. გულდასაწყვეტია, რომ ადრიანად წავიდა.

**— რეზო ჭარხალაშვილის „სოფლის აშიკში" რამაზ ჩხიკვაძის „ცოლობის" პატივიც გხვდათ წილად.**

— ეგ ფილმი იმერეთში გადავიღეთ, იყო დიდი გადაპატიჟებ-გადმოპატიჟებები, გაუთავებელი სუფრები, რამაზს კი ჩემი გაკეთებული ლობიო მაინც ყველაფერს ერჩია. იმ ეპიზოდში, როცა მიყვება, რომ პასიკიასთან (ლია გუდაძე) პირნათელია და გაბრაზებულმა აგორავა ტალახში, მე გულმობრუნებული, ღიმილად დაღვრილი, კმაყოფილი, ფერებით ვთავაზობ ვიღაცის მიერ დამზადებული ლობიოს შეჭამანდს... უცებ მეუბნება: ტყუილად ხარ „ცოლი"? იცოდე, მეორედ არ მომიტანო აქ სხვისი გაკეთებული ლობიო, მაინც არ შევჭამო. რაღა მექნა, გავაკეთე მეორე დღეს ქოთნის ლობიო, შევკაზმე ათასნაირად, გადავყევი თან. ახლა ამაზე აწუწუნდა, ამისთანა ლობიოს მე ვინ დამიტოვებს, მთელი გადამღები ჯგუფი შემეცილებაო. არაჩვეულებრივი ადამიანი და არაჩვეულებრივი პარტნიორია რამაზი, ძალიან დამეხმარა მუშაობისას.

**— სულ ბოლო ფილმზე რას იტყვით?**

— კახა მელითაურისა და თინა მენაბდის ფილმში „ლურჯა ცხენები", ფსიქიატრიული საავადმყოფოს სანიტრის როლს ვთამაშობ, სანახაობრივად ცოტა მძიმე ფილმია, რადგან იგი რეალურად ასახავს იმ ყოფით პრობლემებს, რაშიც ჩვენი მოსახლეობა აღმოჩნდა. ფილმი კიდევ უფრო ღირებული იქნება წლების შემდეგ, როცა მომავალ თაობას სურვილი გაუჩნდება გაიგოს, როგორ, რა პირობებში ცხოვრობდნენ ახლო წარსულში.

**— და მაინც, რა მოგცათ, რა შეგძინათ კინომ?**

— თუმცა, მხოლოდ თხუთმეტიოდე ფილმში ვარ გადაღებული და ყველგან ეპიზოდური როლები ვითამაშე, მაინც ძალიან კმაყოფილი ვარ. შემოქმედ ხალხთან ურთიერთობა ნამდვილად ბედნიერებაა. მათთან დაკავშირებული ყოველი მოგონება ყოფას მილამაზებს, მშველის, არ მოვდუნდე, სულიერად არ დავეცე. აბა, შვილებს, მეუღლეს, შვილიშვილებსა და შვილთაშვილს ხომ სჭირდებათ ყოვლისშემძლე დედა, მეუღლე, ბებია და დიდედა?

**ეპილოგის მაგიერ:** ვიდრე გულჩინა დადიანს კინოსთვის „გაიმეტებდა" მეუღლე, ფიქრის გორაზე, მედეა ჯაფარიძის დაბადების 50-ე წლისთავზე გულჩინა და დავით დადიანებიც ყოფილან მიწვეულნი. „როგორც წესი, იქ სადაც გულჩინაა, არის ხუმრობა და გაუთავებელი ხარხარი, გამონაკლისი არც ის დღე გახლდათ, — მიამბობს მსახიობის მეტად კოლორიტული მეუღლე, ბ-ნი დავით დადიანი, — მედეას ოჯახში თითქმის ყველა ოთახში იყო სუფრა გაშლილი. მალე იქ, სადაც ჩვენ ვისხედით, სხვა ოთახებიდანაც შემოგვიერთდნენ მსმენელები. ლამის ყველა სტუმარმა აქ მოიყარა თავი. იდგა ერთი ჟრიამული და სიცილ-კისკისი. ბოლოს, როცა მშვენიერმა მასპინძელმა სული მოითქვა, ცრემლების წმენდით, გულდაწყვეტილმა თქვა: აი, როგორ სახასიათო მსახიობს ვკარგავთო. ჰოდა, როცა ამის რეალური შესაძლებლობა გაჩნდა, თავი მოვალედ ჩავთვალე მისი ნიჭიერებისთვის ხელი შემეწყო, თუმცა... ბევრჯერ „მიღალატა".

ყველაფერი კარგია, რაც კარგად მთავრდებაო, ნათქვამია. გულჩინა დადიანს პატარა სახასიათო როლებმა დაუმკვიდრეს ადგილი ქართულ კინოხელოვნებაში. მას ცნობს მაყურებელი, იგი უყვარს მაყურებელს...

*თამარ კაპანაძე*

# მითხარით, ვტყუი?

რძლისა და დედამთილის ურთიერთობის თემა მარადიულია. მაინც რატომ ჩნდება მათ შორის კონფლიქტი, რა არის მიზეზი მათი დავისა? ზედაპირულად შეიძლება ვთქვათ, რომ დედამთილი ვერ ეგუება შვილის სიყვარულში მოცილეს, რძალი კი გამუდმებით ექვიანობს იმ მზრუნველობის გამო, რომელსაც ქმარი იჩენს დედის მიმართ. ასეა თუ ისე, ღმერთმა იცის, კონკრეტულ შემთხვევაში, ვინ არის მართალი.

ამას წინათ, რედაქციაში ხანდაზმული ქალბატონი მესტუმრა და თვალცრემლიანმა მთრთოლარე ხმით მიამბო თავისი ოჯახის ამბავი:

— გოჩა მაშინდელი პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტის მესამე კურსზე იყო, როცა ერთი გოგონა შეუყვარდა და დაიჩემა, ცოლად უნდა მოვიყვანოო. გოჩას გარდა, კიდევ ორი შვილი მყავდა — 16 წლის კობა და 14 წლის მაია. ორივე ფეხზე დასაყენებელი. მე და ჩემი მეუღლე ოჯახის გაძღოლას პატიოსანი შრომით ვახერხებდით. ამიტომ გოჩას ვუთხარი: შვილო, შენთვის ცოლის მოყვანა ნაადრევია, განა სიყვარულს გიშლი... დაე, გიყვარდეთ შენ და ნატოს ერთმანეთი, მაგრამ ჯერ ფეხზე დადექი, მუშაობა დაიწყე, რომ ოჯახის რჩენა შეძლო. ახლა რომ ოჯახს მოეკიდო, კობას და მაიკოს რა ვუყო, ისინიც ხომ ჩემი შვილები არიან, იმათაც ხომ უნდა ვასწავლო-მეთქი. გამინაწყენდა და შინიდან გაიქცა. სამი დღე და ღამე შინ არ მოსულა. ბოლოს, ისევ ჩვენ დავთმეთ. ქმარმა მითხრა: ცოდოა, ალბათ ძალიან უყვარს ის გოგო, ხელი უნდა შევუწყოთო. სარძლოსთვის, რაც საჭირო იყო, ყველაფერი შევიძინეთ, ქორწილიც გადავიხადეთ. 3-ოთახიანი ბინა გვქონდა, დაშლა-გაყიდვისთვის არ გვიზრუნია, რადგან ვფიქრობდით, სანამ სტუდენტები არიან, ცალკე ცხოვრება გაუჭირდებათ, სამომავლოდ კი რაღაცას მოვიფიქრებდით. ერთი ოთახი მათ დავუთმეთ. ბავშვის გაჩენამდე კიდევ ახერხებდა თავის შეკავებას, მერე კი, რეზიკო რომ გაჩნდა, დაიწყო: ერთ ოთახში სამნი ვერ ვეტევით, ბავშვს ცალკე უნდა ეძინოსო, ამდენი ღამის თევა სად შემიძლია, სამეცადინო მაქვს, სწავლაში ხელი უნდა შემიწყოთო და ა.შ. რეზიკო ჩემს საძინებელ ოთახში გადმოვიყვანე. მთელი დღე ეძინა პატარას, ღამე კი ტიროდა. ხან მე და ხან ჩემი ქმარი ხელში აყვანილი ვატარებდით. რძალს კი ტკბილად ეძინა. ერთხელ, მთელი ღამე გაგვაწამა, ისე საწყლად ჩხაოდა, ქვაც ატირდებოდა მისი ცოდვით. რიჟრაჟზეღა ჩაიძინა, მე კი შიშით ვერ ვინძრეოდი ადგილიდან, რომ კვლავ არ გაღვიძებოდა და არ ატირებულიყო. ნატო გამოძინებული ადგა, ჩვენს ოთახში შემოიხედა, საწოლზე ჩამომჯდარი, რეზიკოთი ხელში რომ დამინახა ერთი კი თქვა, — უი, თქვენ ისევ გღვიძავთო? და წასასვლელად მზადება დაიწყო... ასე გავიდა სამი წელი. ნატოს მშობლები არ გველაპარაკებოდნენ. მხოლოდ შვილს დაურეკავდნენ, რაღაც „დირექტივებს“ მისცემდნენ, ისიც ჩემს შვილს წაუყენებდა ახალ პრეტენზიებს, გოჩა კი ჩვენ გვთხოვდა საჭმელ-სასმელს (თითქოს ვაკლებდით!), ჩაცმა-დახურვას, კურორტებზე დასვენებას და ა.შ. მაქსიმალურს ვაკეთებდით, მაგრამ იმას, რაც ჩვენს ძალას აღემატებოდა, როგორ შევძლებდით? ორის ხელფასი რამდენს გასწვდებოდა? კობას მომზადებას ხომ ფული უნდოდა? ისიც პოლიტექნიკურში ჩაირიცხა სამშენებლო ფაკულტეტზე. როცა ჯერი მაიკოზე მიდგა, სწორედ მაშინ აგვიტეხა პირველად ჩხუბი რძალმა: არ დაგელიათ პრობლემები, გადაჰყევით ამ ორ შვილს, თითქოს გოჩა მოგდებული იყოს... ჩვენთვის როდის უნდა იზრუნოთო, ბინა გაყიდეთ და ჩვენი წილი მოგვეცითო. სანამ ისტერიკის ზღვრამდე მივიდოდა, ჩემი ქმარი ყველა მის მოთხოვნას უსიტყვოდ ასრულებდა, მეც მაფრთხილებდა, ხმა არაფერზე ამომეღო, მაგრამ ამჯერად ნატოს უსაქციელობამ ისიც აღაშფოთა: არც ბინას გავყიდი და არც წილს მოგცემთ. ჯერ მაგრძნობინეთ, რომ უფროს კაცს პატივს მცემთ, თქვენც იზრუნეთ ოჯახისათვის და მერე ვნახოთ, რა ჭკუაზე დავდგებითო. ამ ჩხუბის მერე ნატომ საბოლოოდ აიცრუა გული ჩვენზეც და ოჯახზეც. დილით ადრე გადიოდა შინიდან და გვიან ბრუნდებოდა, ქმარს ჩვენს წინააღმდეგ აქეზებდა, არ მეცხოვრება შენიანებთან, ჩემი გაკეთებული არაფერი მოსწონთო. როცა გოჩა შინ არ იყო, ქალბატონივით ფეხი-ფეხზე გადადებული იჯდა ან იწვა და კითხულობდა. მხოლოდ ქმრის თანდასწრებით იცოდა „საქმის“ გაკეთება. გოჩას დასანახად რაღაცას გარეცხავდა, ან ცოცხს მოჰკიდებდა ხელს და ვითომ სახლს ალაგებდა. ვატყობდით, გოჩაც გაგრილდა ჩვენ მიმართ. ნატოს კი განსაკუთრებით მაიკო აღიზიანებდა... ეჰ, ალბათ სჯობს ოჯახში შემოსულ რძალს გასათხოვარი მული შინ არ დახვდეს. ნატოს ნერვები ეშლებოდა, მაიკოს თუ რამეს შევუძენდით (არადა, ყოველთვის ვცდილობდით ჯერ რძლის გული მოგვეგო საჩუქრით). მეათე კლასში ინგლისურში ვამზადებდით და კარგი რეპეტიტორი დავუქირავეთ. ამის გამო, ლამის შეჭამა ქმარი: თქვენებს მარტო მაიკო მიაჩნიათ შვილად, ძვირად ღირებული რეპეტიტორი რომ არ აეყვანათ, სკოლის მასწავლებელი ვერ მოამზადებდაო? და ა.შ. მაიკო რომ მოეწყო, გოჩამ ხმა ამოიღო და ბინის დაშლა მოგვთხოვა. ჩხუბს და აყალმაყალს მერჩივნა, მშვიდობიანად გადამეწყვიტა ოჯახური პრობლემა და დავეთანხმე, გავყიდოთ-მეთქი. მაგრამ ბინა ხომ ნივთი არ არის, რომ უცებ გაყიდო? ალბათ კარგა ხანს იქნებოდა ჩემი შვილი ცოლის ჭკუაზე, შემთხვევით რომ არ მოესმინა მისი სატელეფონო საუბარი...



ის დღე რომ მახსენდება, ახლაც ცუდად ვხდები. იმ დღეს ადრე დაბრუნდა გოჩა შინ და თავის ოთახში დასასვენებლად შევიდა. სახლში შემოსულ ნატოს ფეხდაფეხ მოჰყვა ზარი. მეგობარი ურეკავდა და გარეთ შეხვედრას სთხოვდა. იგი კარგა ხანს უარობდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, შორიდან ისმოდა მისი ხმა: „ხომ არ გაგიჟდი, ახლა არ შემიძლია... გოჩა მალე მოვა... უთხარი, რომ ხვალ შევხვდები... აქ არ გაბედოს მოსვლა... ჰო, კარგი, გამოვალ“, — მან ყურმილი დადო, უმისამართოდ თქვა, — მალე მოვალო და შინიდან გავიდა. გოჩა ოთახიდან გამოვიდა და ეჭვით მკითხა: სად წავიდაო. არ მინდოდა სიტუაციის დაძაბვა და მაშინვე ვუთხარი: დღეს მთელი დღე რეკავდა მისი კურსელი გოგო, კონსპექტები სჭირდებოდა და ალბათ იმის გადასაცემად წავიდა-მეთქი. გოჩამ სასწრაფოდ ჩაიცვა და უკან გაჰყვა ცოლს. გულმა რეჩხი მიყო. რეზიკოს ჩავაცვი, ვიფიქრე, ბავშვსაც გავასეირნებ და თან თვალს მივადევნებ ორივეს-მეთქი. ჩვენს სახლთან მყუდრო სკვერია. შორიდანვე დავინახე ნატოს დაქალმა როგორ მიატოვა იგი ვიღაც ქერა ბიჭთან ერთად, ისინი კი შეყვარებულებივით ჩამოსხდნენ სკამზე. ნატოს დაძაბულობა ეტყობოდა, აქეთ-იქით იყურებოდა, ის ბიჭი კი ნასვამი ჩანდა, ხან ხელს გადახვევდა ჩემს რძალს, ხან კოცნიდა და თმაზე ეფერებოდა. ჩემი შვილი ხეს ამოფარებული უყურებდა ყოველივე ამას და როცა დარწმუნდა ნატოს ღალატში, საფრიდან გამოვიდა და მათთან მიიჭრა, ჯერ ნატოს გააწნა სილა, მერე ის ბიჭი დაითრია. სირბილით გავიქეცი მათკენ. ისიც კი ვერ გავაცნობიერე, რომ რეზიკო ხელში მყავდა აყვანილი. შუაში ჩავდექი, მინდოდა გამეშველებინა. რეზიკო ხმამაღლა ატირდა, ვერ გაერკვა ბავშვი, რატომ ტიროდა დედამისი, ან მამა რატომ ეჩხუბებოდა იმ უცხო კაცს. ნატომ მე რომ დამინახა, გაგიჟდა: სულ „გველი“ და „ქვეშქვეშა მელა“ მეძახა. შენ დამაბეზღე გოჩასთან და შენ გააქეზე ჩემს წინააღმდეგო. არადა, სიტყვაც არ მითქვამს მასზე ცუდი; გაქეზება რად უნდოდა კაცს, რომელმაც თავისი თვალით ნახა, მის ცოლს დღისით, მზისით, როგორ ეფერებოდა ვიღაც უცხო. რაღა თქმა უნდა, ნატო იმ დღესვე წავიდა ოჯახიდან. გოჩამ თავისი ხელით გამოუყარა ტანსაცმელი, ჩაალაგე შენი ნივთები და თვალით აღარ დამენახოო. ნატოს მშობლები რამდენიმე დღეში პრეტენზიებით მოგვადგნენ: თქვენი ბრალია, რომ გოგომ სხვა შეიყვარა, ვერ აგრძნობინეთ სითბო, სათანადო, პატივი არ ეცით, ისეთი როგორიც ასეთ რძალს შეეფერებოდა. ასეთ შეხედულ გოგოს განა ეკადრებოდა, რომ ქვრივი ქალივით ორი ბეჭედი მიუგდეთ(?) და ნორმალური ჩასაცმელი არ აღირსეთო? რაც გეკუთვნოდათ, ის მიიღეთო... გავოგნდით. გოჩამ ბავშვი არ გაატანა სიდედრ-სიმამრს. არც რეზიკოს უნდოდა მათთან... სასამართლომ ბავშვი დედას მიაკუთვნა. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს დადგენილებით, ბავშვი კვირაში ერთხელ ჩვენთან უნდა ყოფილიყო, ხოლო ზაფხულობით 1 თვე მამის ოჯახში უნდა გაეტარებინა, ნატომ და მისმა მშობლებმა თვალით აღარ დაგვანახვეს რეზიკო. ერთხელ შინაც მიუვარდა მათ ჩემი შვილი, ნასვამი იყო, კარი არ გაუღეს და მილიცია გამოიძახეს. ხმას გვივრცელებდნენ, ბავშვს არ პატრონობენო. ჩემს წვალებით გაზრდილ შვილიშვილს იმდენი უჩიჩინეს, ჩვენი თავი შეაძულეს და ბიჭს აღარ უნდა მამის და მისი სანათესავოს ხსენებაც კი. როგორ არ ვცდილობდით ბავშვის ნახვას, ჩვენთან წამოყვანას, რა საჩუქრებს არ ვუგზავნიდით, მაგრამ ყველაფერს უკან გვიბრუნებდნენ — თქვენი არაფერი გვჭირდებაო. ელემენტარული არ ესმით, რომ ბავშვის გაზრდა ახლობლის სიძულვილის ჩანერგვით არ შეიძლება! ამდენმა უსიამოვნებამ ჩემი შვილი დააავადა: ნერვები ისე აქვს გაფუჭებული, რომ პატარა რამეზეც ღიზიანდება, სასმელს მიეძალა. აღარ ვიცი, რა გზას დავადგე. ვეხვეწები, მეორე ცოლი მოიყვანე-მეთქი. ერთხელ მივქარე და მეორეჯერ აღარ მინდა სისულელე ჩავიდინოო. არადა, დრო გადის, მენანება, რატომ უნდა დაჩაგრულიყო ასე?

საინტერესოა, თქვენი მრავალათასიანი მკითხველიდან ვინმე თუ გამომეხმაურება და თუ დაგვდებს ბრალს მე (დედამთილს) ან ჩემს შვილს, როგორ განსჯის ჩვენს პრობლემას, რომელიც ტრაგედიად ქცეულა ჩვენთვის? მოუთმენლად ველი გამოხმაურებას, იქნებ ურჩიოთ გოჩას რამე, მე ხომ ხშირად წამიკითხავს თქვენი გულითადი რჩევები...

***მარინა ბაბუნაშვილი***

# მკითხველი თანაუგრძნობს

***ერთ-ერთ წინა ნომერში ჩვენი მკითხველი, მეგი, სასოწარკვეთილი გვიზიარებდა თავის დარდს და წუხილს — ადრე გავთხოვდი. გვიან მივხვდი, რომ მე და ჩემი ქმარი სხვადასხვანაირი ბუნებისანი ვართ, ვერაფერში ვუთანხმდებით ერთმანეთს. ცოლქმრობის ათი წლის მანძილზე ასეთმა ურთიერთობამ დეპრესიის ზღვრამდე მიმიყვანა, ქმრის მიმართ საშინლად გავუცხოვდი, რასაც მძიმედ განვიცდიო.***

***მეგის სატკივარი მკითხველმა გულთან მიიტანა:***

„ჩემო მეგი, ჩემო პატარა მეგობარო, შვილად მერგები და მინდა დაგარიგო: ერთ ჭერქვეშ ცხოვრება იმ ადამიანთან, რომელიც ვერაფერში გიგებს, ძალიან ძნელია. ნათქვამია: „ერთსულ“ და „ერთხორც“-ო. ეს ცოლქმრობას ეხება. თქვენს ურთიერთობაში პირველი არ არსებობს, ამიტომაც მენანები და მეცოდები. ძნელია იმის თქმა, რომ ქალი უნდა გაშორდეს ქმარს, როცა ოჯახში სულიერი დისკომფორტია, მაგრამ შენს შემთხვევაში ეს საუკეთესო გამოსავალი იქნება. შენი მეუღლეც ცოდოა. მისთვის შენც უცხო ხარ, დღენიადაგ „რაღაცას“ ითხოვ, ტირი და მას კი ვერ გაუგია, რას ითხოვ, ან რა გატირებს. თუ შენ ეჭვობ, რომ გღალატობს და იმიტომაც გაუგრილდა გული, დროა, სასწრაფოდ უშველო თავს. ამას ჩემი გამოცდილებიდან გეუბნები. მოკლედ გეტყვი ჩემს ამბავს: გავთხოვდი დიდი სიყვარულით. 25 წლისა უკვე 4 შვილის დედა ვიყავი. ახლობლები მეხმარებოდნენ ბავშვების გაზრდაში, მაგრამ მიუხედავად ხალხის სიმრავლისა, მაინც მარტო ვგრძნობდი თავს, რადგან ვატყობდი, ქმარს ისე არ ვუყვარდი, ადრე, ქალიშვილობაში რომ მიოცნებია. მერე გავიგე, რომ ხშირად მღალატობდა. ერთხელ, გამწარებულმა თავის მოკვლაც გადავწყვიტე, მაგრამ შვილებზე ფიქრმა ბოლო წუთს ხელი ამაღებინა ამ განზრახვაზე — ჩემ შემდეგ რა ეშველებათ, ვინ გაზრდით, ვინ მიხედავთ-მეთქი... მაგრამ დარდი არ გამინელდა. ქალური ღირსების შელახვა ძნელი „მოსანელებელი“ ყოფილა. დარდმა დამაავადა, ახლა მხოლოდ შვილების სიხარულიღა მახარებს, თითქოს მე, როგორც პიროვნება, აღარც ვარსებობ. არადა, ადრევე რომ დამესვა ჩემი ტანჯვისთვის წერტილი, დღეს ასეთი განადგურებული არ ვიქნებოდი. ზოგჯერ ვფიქრობ, სჯობდა მთაში, თუნდაც ერთ მიყრუებულ სოფელში მეცხოვრა (და არა თბილისის ელიტარულ უბანში), მყოლოდა ერთგული ქმარი, რომელსაც მხოლოდ მე (და სხვა არავინ) ეყვარებოდა. ნამდვილად ბედნიერი ვიქნებოდი-მეთქი.

მეგი, იცხოვრე საკუთარი გულის კარნახით! ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ და ნუ წაუხრი თავს ულირსობას.

***შენი უფროსი მეგობარი“***

# რა შეუძლია გვითხრას ქალის ჩანთამ?



უცხოელმა მკვლევარებმა ყურადღება მიაქციეს იმ ფაქტს, რომ მანდილოსნის ხასიათსა და მისი ჩანთის ფორმას შორის კავშირი არსებობს.

1. დიდი ჩანთა, მარტივი საკეტითა და ბევრი განყოფილებით, აქვს ინტელექტუალურ, მაღალშრომისუნარიან მანდილოსანს;
2. ლამაზი და ძვირად ღირებული ჩანთები მოსწონთ დახვეწილ ქალებს. ისინი ბევრ დროს ხარჯავენ გარეგნობასა და ტუალეტებზე და მიუხედავად იმისა, რომ მსახურობენ, სამუშაო დროის უმეტეს ნაწილს კოლეგებთან საუბარს ანდომებენ. ისინი მხოლოდ დროის გასატარებლად დადიან სამსახურში.
3. კოსმეტიკის ჩანთის მსგავს, უყურო ჩანთებს ირჩევენ თავშეკავებული და ორგანიზებული ქალები.
4. დიპლომატი და პორტფელი მოსწონთ ქალბატონებს, რომლებიც ცდილობენ, წარმოაჩინონ თავიანთი სერიოზულობა და საქმიანი ქალის გარეგნობით მორალურად კმაყოფილდებიან.

# რა ჯანდაბად მინდა, ასეთი?..

*სტატისტიკური გამოკვლევა რომ ჩატარდეს, საქართველო უცოლოების და გაუთხოვრების რაოდენობით აუცილებლად დაიკავებს პირველ ადგილს. ყველა დაუოჯახებელს თავისი მიზეზი აქვს და ალბათ ესეც რაღაცამ განაპირობა. ამ „რაღაცის“ ძიება სწორედ დასაოჯახებლებთან საუბრის შედეგად ვცადე. მათგან ურთიერთბრალდებათა ნიაღვარი წამოვიდა. ქალები კაცებს სწამებენ პასიურობას და კიდევ სხვა რაღაცრაღაცებს. კაცები კი პირიქით. მე შემოგთავაზებთ მათ „იდეებს“, და თუ ჯერ არ დაგიდგამთ საქორწინო გვირგვინი ამ ცხოვრებისაგან გადაღლილ თავზე, დროა საწინააღმდეგო სქესის მიმართ საბრალდებო არგუმენტების ძებნას თავი დაანებოთ და ოჯახი შექმნათ.*



**ნიკა (26 წლის):** — ჩემი ასაკის კაცს ცოლის შერთვა არ უნდა უჭირდეს, მაგრამ მე მიჭირს. ჩემზე პატარა გოგოები და ჩემი ტოლები ნამდვილი ალქაჯები არიან, უფროსები კი სხვანაირად აზროვნებენ, თანაც „ბებიის“ ტოლას ხომ არ შევირთავ ცოლად? რა არ მომწონს გოგოებში? ნამდვილი მტაცებლები არიან. ბიჭებზე ნადირობენ და გრძნობებს არად დაგიდევენ. აქტიურ ქალთან ურთიერთობის სურვილი მიქრება. ისინი კიდევ უფრო აქტიურდებიან ჩემი პასიურობის გამო და შესაძლოა, სულ მალე ჭკუაზე გადამიყვანონ. მაგალითად, ერთი 18 წლის გოგოა, ნამდვილი გიჟია. დილით, თუ ტელეფონზე არავინ პასუხობს, ასკვნის, რომ შინ მარტო ვარ. მერე გამომეცხადება და ოთახებში დარბის — რატომ არ პასუხობდი ტელეფონს, ვინმე გყავს? ძალით მიძვრება ლოგინში. ამას წინათ, ჩემი მობილური მამაჩემს ჰქონდა. ისეთ მესიჯებს უგზავნიდა, კაცი გადარეული მოვიდა შინ. შვილო, შენ თუ ასეთი ქალის მოყვანას აპირებ, ჩემი სახელი არ ახსენოო.

**ხათუნა (31 წლის):** — ახლანდელ კაცებს ცოლი არ უნდათ. უნდათ საყვარელი. გაცნობისას უმალ სექსზე დაგიწყებენ ლაპარაკს და ტრაბახობენ, ლოგინში ძაან მაგარი ვარო. რაში მაინტერესებს ეგ. ჯერ ცხოვრებაში მაჩვენოს, რომ მაგარია და მერე იქნება თვითონ ვთხოვო, ერთი, გამასინჯე, როგორი ხარ ლოგინში-მეთქი. ამას წინათ, ერთმა ვენები „გადაიჭრა“ — რესტორანში წავიდეთო. ჯანდაბას, შენი თავი-მეთქი. თუმცა გული მიგრძნობდა, რომ ისეთი არ იქნებოდა, როგორც თავს იქაჩლებდა. მართლაც, სასმელი რომ მოეკიდა, „შემომაპარა“, — წამო, ღამის კლუბში ვიძიგძიგოთ და მერე ლოგინში გავაგრძელოთ ძიგძიგიო. ვუპასუხე — გმადლობთ, მაგრამ ასეთი რამ არ მხიბლავს და თუ ურთიერთობა გსურს, მეორედ მსგავს რამეს ნუ დაახეთქებ-მეთქი. ამრეზით შემომხედა — ქაჯი ხარ, შე საცოდავოო. ამევსო მოთმინების ფიალა, ავიღე საწებლიანი ჯამი და მელოტ თავზე დავამხე, მერე ზედ პიცაც და ტორტიც მივაყოლე. ძლივს დამაკავა დაცვამ, თორემ სულ თავზე დავაჭყლეტდი საზამთროს, ნესვსა და ყურძენს. მას შემდეგ სიტყვა „კაცის“ გაგონებაც არ მინდა.

**კოტე (29 წლის):** — ის გოგო ანგელოზი მეგონა და გაიძვერა და ეშმაკი კი აღმოჩნდა. ერთთვიანი პრანჭვა-გრეხის შემდეგ ნამდვილი „ბაბასილი“ გახდა. გაარკვია, ვის ეკუთვნოდა სახლი, რომელშიც ვცხოვრობდი, რას წარმოადგენდნენ ჩემი მშობლები, რა ქონების პატრონები ვართ, რა შეიძლება მერგოს მე იმ ქონებიდან და რა — ჩემს ძმას. ბოლოს, გამომიცხადა — ახლავე მოსთხოვე მამაშენს ბანკში საკუთარი ანგარიში გაგიხსნას და შენი წილიც იქ ჩაგირიცხოსო. რას როშავ, გიჟი ხომ არა ხარ-მეთქი. რა გიჟი, ცოლად რომ წამოგყვე, ერთმანეთს რომ ვერ შევეწყოთ და გაცილება გარდაუვალი გახდეს, მერე შენი მშობლები იტყვიან, კოტეს სულ არ ვაძლევთ ქონებასო და მეც ცარიელ-ტარიელზე დავრჩებიო. გადავირიე — თუ გიყვარვარ, ასეთ რამეებზე როგორ ფიქრობ-მეთქი. გიჟი შენა ხარ, რომელ საუკუნეში ჩარჩი. წინასწარ უნდა დავიზღვიო, უნდა ვიცოდე, შენ თუ დაგკარგავ, რა დამრჩებაო. ასეთი ქალის მოყვანა შეიძლება ცოლად?

**ლანა (26 წლის):** — ძალიან მიყვარს ერთი ბიჭი. იმასაც ვუყვარვარ. მაგრამ არ დაადგა საშველი ჩვენს დაქორწინებას. აუჩემებია, მწირი შემოსავალი მაქვსო. ვამშვიდებ, ნუ გეშინია, ერთად მივხედავთ ოჯახს-მეთქი. მაგრამ მიზეზები არ ელევა. ერთ დღეს მოთმინება დამელევა და უარს მივახლი. რა ჯანდაბად მინდა ასეთი გაუბედავი.

***ეკა ლომიძე***




**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. პარკი; 2. მარათონი; 3. არტური; 4. კერა; 5. ავაზა; 6. აგავა; 7. ვაზა; 8. ცა; 9. ფორტეპიანო; 10. აპია; 11. ლაურა; 12. თართი; 13. ვაცი; 14. ხალი; 15. რა; 16. ქურდობა; 17. კურა; 18. ბერი; 19. სიფონი; 20. ნეფი; 21. ალი; 22. ბინოკლი; 23. პიტნა; 24. ეფექტი; 25. ინა; 26. ალტი; 27. ტივი; 28. მირაჟი; 29. დოჟი; 30. უი; 31. ბორდო; 32. უნგა; 33. მიუ; 34. ნეზვი; 35. ვეზერი; 36. იო; 37. მი; 38. ანკარა; 39. პეკინი; 40. რატი; 41. კარკასი; 42. პიონერი; 43. ზაზუნა; 44. ზვიო; 45. პატი; 46. რკო; 47. შაგრენი; 48. რიკო; 49. გობი; 50. შტატივი; 51. პასი; 52. პიესა; 53. ფირმანი; 54. კომერსანტი; 55. კათეტი; 56. როკაპი; 57. სატირა; 58. რინგი; 59. პული; 60. ინტერნეტი; 61. „ვოლვო“; 62. ჰეილი; 63. რებუსი; 64. ბერინგი; 65. სიონი; 66. ყელი; 67. ბამბაზია; 68. პა; 69. ოდა; 70. საყურე; 71. ყურე; 72. სოდა; 73. აბელი; 74. ბელი; 75. შოსე.
1. პოლიტიკური ბერკეტი; 2. ცოცხალი ვიტამინი; 3. პროფესიონალები; 4. სუპერკომპიუტერი; 5. შემოვლითი გზა.

**პასუხები მოცემულია სკანვორდში კითხვების განლაგების მიხედვით, თანამიმდევრობით, მარცხნიდან მარჯვნივ. ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები.**

შეადგინა რამაზ ალანიამ

CMYK


MBC
პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank
იგივე ბანკი,
ახალი სახელი,
უკეთესი სერვისი
ემ-ბი-სი
ბანკი
ხდება
პროკრედიტ
ბანკი

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**ჩემს დას ჰქონდა საშვილოსნოს დანამატის შემოგრეხა, რის გამოც ამოკვეთეს ერთი საკვერცხე. მაინტერესებს, მსგავს სიტუაციაში ნუთუ სხვა არაფრის გაკეთება არ შეიძლება? ჩემი და ხომ ჯერ ისევ ახალგაზრდა ქალია.**

***ნინელი ჩაჩუა***

სამწუხაროა, მაგრამ დანამატების შემოგრეხა ყველაზე ხშირად სწორედ ახალგაზრდა ქალებს ემართებათ. ეს იმასთანაა დაკავშირებული, რომ ახალგაზრდობაში ზოგჯერ ხდება იმ იოგების დაგრძელება, რომლებზეც დანამატებია „ჩამოკიდებული“.

ადრე ამ დიაგნოზის დასმისას კეთდებოდა ოპერაცია, თუმცა შემოგრეხილი დანამატის გადარჩენა იშვიათად ხერხდებოდა. ამჟამად კი, იყენებენ თანამედროვე ლაპარასკოპიას — ენდოსკოპიური ქირურგიის მეთოდს. იგი საშუალებას იძლევა, დათვალიერდეს მუცლის ღრუს ორგანოები სულ მცირე ზომის განაკვეთიდან. 2-3 სხვა ნაჩხვლეტიდან კი სრულდება საჭირო მანიპულაციები ორგანოებზე. ლაპარასკოპია პრაქტიკულად უსისხლო და ნაკლებტრავმული მეთოდია. პროცედურის დროს ექიმი აფასებს დანამატების მდგომარეობას, რამდენადაა ისინი შეცვლილი, რამდენადაა დარღვეული მათი კვება. ხშირ შემთხვევაში შესაძლებელი ხდება მათი შენარჩუნება.

მაგალითად, თუ შემოგრეხვაში დამნაშავეა კეთილთვისებიანი ან ყვითელის სხეულის კისტისმაგვარი ფუნქციური წარმონაქმნი, ხოლო ქსოვილი დაზიანებული არ არის, მაშინ შემოგრეხილ დანამატს გახსნიან, ხოლო კისტას ამოკვეთენ ხოლმე. განმეორებითი შემოგრეხის თავიდან ასაცილებლად კი, ამოკლებენ იოგებს.

სავარაუდოა, რომ თქვენი დის შემთხვევაში საქმე სხვაგვარად იყო — ალბათ დაზიანებული იყო საკვერცხის ქსოვილი და შეუძლებელი იყო მისი აღდგენა. ასეთი საკვერცხის დატოვება კი საშიშია ორგანიზმისათვის, რადგან მომავალში იგი შესაძლოა ავთვისებიანი სიმსივნის განვითარების მიზეზი გახდეს. ამიტომ, მისი ამოკვეთა აუცილებელი იყო.

**როგორი დიეტა უნდა დავიცვა ცისტიტის დროს?**

***პატივისცემით, გურამ აბზიანიძე***

ცისტიტის დროს საჭიროა მიღებული სითხის რაოდენობის გაზრდა 2-2,5 ლიტრამდე დღეში. მოერიდეთ ცხარე, მწარე (ზედმეტად წიწაკიან, ძმრიან) პროდუქტებს. მკურნალობის დროს უნდა მიიღოთ შარდმდენი მცენარეების ნახარშები.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის“ დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში“ მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც პოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*

## ალერგიის მიზეზია მტვრის ტკიპა

სტატისტიკის თანახმად, ალერგიით იტანჯება ყოველი მე-10 ადამიანი და ყოველი მე-4 ბავშვი. ძირითადად თუ არა, ნახევარზე მეტი, ამ დაავადების გამომწვევი მიზეზი ოთახის მტვერია. რა სახის ალერგენი არ არის მასში! მათ შორის მთავარია — პაწაწა, 0,2მმ სიდიდის მტვრის ტკიპა, რომელიც ბინადრობს ხალიჩებში, ბუმბულის ბალიშებში, პლედებში, რბილ ავეჯსა და სათამაშოებში. 1 გ მტვერი შეიცავს 200-დან 1500-მდე ტკიპას. ეს თვალით შეუმჩნეველი ტკიპა უფრო აქტიურდება გაზაფხულზე, როდესაც სინესტე საგრძნობი ხდება, რაც მისი გამრავლებისა და გააქტიურების ყველაზე ხელსაყრელი პირობაა.

ამ, თითქოსდა უსუსური არსების ძირითადი საკვებია კანის მკვდარი უჯრედები (ეპიდერმისი) და მიკროსკოპული სოკო, რომელიც მილიონობით არის ყველა ბინაში, მისი რიცხვი გეომეტრიული პროგრესიით (განსაკუთრებით გაზაფხულზე) იზრდება.

თვით ეს ტკიპა არ იკბინება, ალერგენს შეიცავს მისი ქიტინის საფარველი, რომელიც ცხვირ-ხახაში მოხვედრისთანავე იწვევს ალერგიას, რასაც თან სდევს ცხვირის სისველე, ცრემლდენა, ხველება, ქავილი, ზოგიერთ შემთხვევაში — სულის ხუთვა, ბრონქიალური ასთმა.

ყოველივე ეს რომ თავიდან ავიშოროთ, უარი უნდა ვთქვათ ბევრ რამეზე — ხალიჩებზე, ფრინველებზე, ცხოველებზე, წიგნებზე, რბილ ავეჯსა და სათამაშოებზე, ოთახის მცენარეებზე და ა.შ. ე.ი. ყველაფერ იმაზე, რაც ალერგიას იწვევს. ეცადეთ, არ მოხვდეთ მტვრის კორიანტელში, თავი აარიდეთ ქარიან ამინდში სეირნობას და ა.შ.

ალერგიის გამწვავების პერიოდში დაგეხმარებათ ანტიჰისტამინური წამლები.

ალერგიულებს ვურჩევთ:

— ოჯახში არ გააჭაჭანოთ კედლის ხალიჩები და ფიანდაზები.

— ყოველდღე გადაწმინდეთ ავეჯი სველი ჩვრით, რადგან ჩვეულებრივი მტვერსასრუტით დალაგებისას უფრო იზრდება ჰაერში მტვრის რაოდენობა.

— ოთახში არ დადგათ აკვარიუმი, რადგან თევზის მშრალმა საჭმელმა შეიძლება ალერგია გამოიწვიოს.

— იხმარეთ ალერგიის საწინააღმდეგო თეთრეული და ლოგინი (დღეს ბევრია მაღაზიებში).

— თუ ალერგია გეწყებათ ოთახის მტვერზე, ამ პერიოდში მენიუდან გამორიცხეთ ბურღულეული, მაკარონის ნაწარმი, პური, ფუნთუშეული, ნამცხვარი. ამ პროდუქტებისთვის დამახასიათებელი ტკიპა ორგანიზმში მოხვედრისთანავე აძლიერებს ალერგიას. ამავე დროს, მოგიწევთ უარის თქმა ლუდზე, ბურახზე, შამპანურზე, ყურძნის ღვინოზე, ვაშლის წვენსა და ყველზე.

***ოტდოხნი! №36***

## ბავშვს კლავს... მშობლის დაუდევრობა



ცნობილია, რომ მანდილოსნებს უფრო უჭირთ სიგარეტის თავის დანებება, ისიც ფაქტია, რომ ისინი გაცილებით ზარალდებიან ნიკოტინისგან. მკვლევარებს ამის მიზეზად მიაჩნიათ ის, რომ მანდილოსნები სიგარეტს იყენებენ, როგორც ემოციურ დოპინგს ტონუსის მოსამატებლად. ასეთ სიტუაციაში ძნელია სიგარეტისთვის თავის დანებება. სტატისტიკის თანახმად, 4 მწეველიდან 3 ოცნებობს გადაეჩვიოს თუთუნს, მაგრამ უსიგარეტოდ ვერ უმკლავდება სტრესულ სიტუაციას. რაც უფრო უმაღლებს სიგარეტი ქალს გუნება-განწყობას, მით უფრო უძნელდება მასთან გამომშვიდობება. მეცნიერები შეშფოთებულნი არიან სიგარეტის ბოლით ჩვილების გახშირებული მოწამვლით. მათზე საშინლად მოქმედებს ბოლის ჩასუნთქვა. პატარას სუსტი ფილტვები ვერ უმკლავდება ტოქსინებს, რომელსაც სიგარეტის ბოლი შეიცავს. მწეველთა შვილებს 30%-ით მეტი შანსი აქვთ დაავადდნენ ფილტვის კიბოთი, ასთმით, ბრონქიტითა და პნევმონიით.

***ჯენტი***


## როდესაც ჩვეულებრივი ცხოვრება არაჩვეულებრივი ხდება

### თავისუფალი მოძრაობა გლუკოზამინთან ერთად




**რა არის გლუკოზამინი?**

გლუკოზამინი არის ტკივილგამაყუჩებელი და ანთების საწინააღმდეგო აპრობირებული საშუალება, რომელიც გამოიყენება სახსრების ტკივილისა და ანთების დროს. იგი განაპირობებს ხრტილების რეგენერაციას.

**რითი განსხვავდება გლუკოზამინი სხვა ტკივილგამაყუჩებელი საშუალებებისგან?**

ნებისმიერი ტკივილგამაყუჩებელი საშუალება სიმპტომურად ხსნის ტკივილს, ხოლო გლუკოზამინი ახდენს ტკივილის გამომწვევ მიზეზებზე ზემოქმედებას. ტკივილის შემცირება და კლინიკური გაუმჯობესება განპირობებულია აღდგენითი პროცესებით სახსრებში და ხრტილებში.

**რა არის MSM?**

**MSM** - მეთილსულფანილ მეთანი არის ბუნებრივი ორგანული ნაერთი, რომელიც გვხვდება ყველა ცოცხალ ორგანიზმში და აქვს მაღალი ბიოლოგიური აქტივობა. მას აქვს კარგი და სწრაფი ეფექტი ანთების, სახსრების დაავადებებისა და ტრამვისას.

**რა უპირატესობა აქვს გლუკოზამინს სხვა მსგავსი პრეპარატებისაგან განსხვავებით?**

გლუკოზამინი არ აღიზიანებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტს, ვინაიდან მასში შედის ისეთი მცენარეული ბოჭკოები, რომლებიც კუჭ-ნაწლავის ტრაქტში მოხვედრისთანავე ტაბლეტის გარშემო ქმნიან ჟელესებრ პროტექტორს.

**რატომ ანიჭებენ ჰიპერტონიული დაავადებისას გლუკოზამინს უპირატესობას?**

ვინაიდან ამ პრეპარატის შემადგენლობაში არის კალიუმის ქლორიდი და არა ნატრიუმის ქლორიდი, მისი დანიშვნა თამამად შეიძლება ჰიპერტონიკებისათვის, როგორც ცნობილია ნატრიუმის იონი იწვევს ორგანიზმში სითხის შეკავებას, რაც არ არის რეკომენდებული ჰიპერტონიული დაავადებებისას.

**როგორ მივიღოთ გლუკოზამინი MSM-ით?**

რეკომენდებულია 2-2 კაფსულის მიღება დღეში 2-ჯერ. მოქმედების ეფექტი ძლიერდება ხანგრძლივი მიღებისას, ამიტომ რეკომენდებულია მიღება არა უმცირეს 1 თვისა.

„ნუტრიმენტ ჰაუს“-ში თქვენ გელით ექიმების გულისხმიერება და მზრუნველობა. კვალიფიციური ექიმები დაგეხმარებიან პრეპარატების სწორად შერჩევასა და დანიშვნაში.

**„ნუტრიმენტ ჰაუსი“, მის: დ. აღმაშენებლის 150**
**ტელ: 95-65-03; 96-06-67**
**სამუშაო საათები: ყოველდღე**
**კვირის გარდა 10.00 - 18.00**
**www.shopge.com**

ნუტრიმენტ ჰაუსი
NUTRIMENT HOUSE



## რას იყენებდნენ კრემლში „იჟოგის“ საწინააღმდეგოდ

## ფოსფალუგელი „კრემლის ანტაციდი“

რეფლუქს-ეზოფაგიტი ქრონიკული მორეციდივე დაავადებაა, გამოწვეული კუჭის მჟავე შიგთავსის უკუდინებით — რეფლუქსით საყლაპავში. ის განაპირობებს მეტად შემაწუხებელ სიმპტომებს: გულძმარვას (იჟოგა), ტკივილს მკერდის ძვლის არეში, გაძლიერებულ ნერწყვის გამოყოფას, ბოყინს, ჩვილ ბავშვებში ამოქაფებას, ღებინებას. სიმპტომები ძლიერდება წოლით მდგომარეობაში, წინ დახრის და ჭამის შემდგომ ფიზიკური დატვირთვისას. ზოგიერთი ფაქტორები აძლიერებენ რეფლუქსს, მაგ: საყლაპავის თიაქარი, სხეულის ჭარბი წონა, ალკოჰოლი, კოფეინი, ჭარბი ან ცხიმიანი საკვები და ზოგჯერ სიგარეტის მოწევაც. ხშირმა რეფლუქსმა შეიძლება გამოიწვიოს საყლაპავის ქვედა ნაწილის ანთება — ეზოფაგიტი. აღნიშნული სიმპტომების სამკურნალოდ გამოიყენება სხვადასხვა მედიკამენტი. ამ პრეპარატებს შორის მაღალეფექტურობით და უსაფრთხოებით გამოირჩევა „ფოსფალუგელი“. მისი გამოყენება წლების განმავლობაში მხოლოდ კრემლის თანამშრომლებისთვის იყო ხელმისაწვდომი, ამიტომაც შეარქვეს მას „კრემლის ანტაციდი“. ამჟამად პრეპარატი რეგისტრირებულია საქართველოშიც. პრეპარატს გააჩნია სამმაგი ეფექტი: ანეიტრალებს კუჭში მჟავას, კუჭ-ნაწლავის ლორწოვან გარსზე ქმნის დამცავ აპკს, რაც ხელს უშლის ტოქსინების შეწოვას, ბოჭავს ტოქსინებს და გამოყოფს ორგანიზმიდან. ის არ შეიწოვება კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან, ამიტომაც მისი გამოყენება უსაფრთხოა ჩვილი ბავშვებსა და ორსულებისთვის. მოზრდილებში „ფოსფალუგელი“ ინიშნება 1-2 პაკეტი 2-3-ჯერ დღეში. მისი მიღება შესაძლებელია სუფთა სახით ან წყალში გახსნის შემდეგ. 6 თვემდე ბავშვებში — 1/4 პაკეტი ან 1 ჩაის კოვზი ყოველი 6 ჭამის შემდეგ. 6 თვის ასაკის ზევით — 1/2 პაკეტი ან 2 ჩაის კოვზი ყოველი 4 ჭამის შემდეგ. პრეპარატის მიღების სქემა სხვადასხვა დაავადების დროს სხვადასხვაა. გასტრიტი, დისპეპსია — ჭამამდე. წყლულოვანი დაავადება, გულძმარვა — ჭამიდან 1-2 საათის შემდეგ ან ტკივილის წარმოშობისთანავე. რეფლუქს-ეზოფაგიტი, კუჭ-საყლაპავის რეფლუქსი — უშუალოდ ჭამის შემდეგ და ღამით. სხვადასხვა ნივთიერებით მოწამვლის დროს „ფოსფალუგელი“ უნდა დაინიშნოს რაც შეიძლება მალე. ჭარბი ალკოჰოლის მიღების წინ პრეპარატის გამოყენება ხელს უშლის მის შეწოვას, რაც თავიდან აგვაცილებს სწრაფ სიმთვრალეს. ის არ შეიცავს შაქარს, და უსაფრთხოა დიაბეტიანი პაციენტებისათვის. პრეპარატს აქვს ფორთოხლის სასიამოვნო გემო. მისი პაკეტები მოსახერხებელია თან სატარებლად.

*გამოშვების ფორმა: 16 გ პაკეტი №20 შეფუთვაში. მწარმოებელი ფირმა: „იამანუჩი“ (ნიდერლანდები).*

R

# რატომ აწუხებთ მდიდრებს დეპრესია?

ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის პროგნოზით, უახლოეს მომავალში მთლიანად გაქრება სიმსივნური და გულ-სისხლძარღვთა დაავადებები. სამაგიეროდ, ფსიქიატრებთან დიდი რიგები დადგება — კაცობრიობას ტოტალური დეპრესია დაატყდება თავს. მეცნიერთა აზრით, უკვე 2020 წელს, დეპრესიით დაავადებული იქნება პლანეტის ყოველი მეხუთე მოსახლე. დასავლელი ექიმების აზრით, დეპრესია თავს იჩენს ქიმიური პროცესების ცვლილების მიზეზით და ეს ცვლილება თავის ქალის ქერქში მიმდინარეობს. შედეგად — ადამიანი სულ სხვაგვარად უყურებს ცხოვრებას და სხვაგვარად აღიქვამს რეალობას. დეპრესიის საერთო ნიშნებია: უმიზეზო სევდა, უღონობა, ქრონიკული დაღლილობა, უძილობა და რაც მთავარია, მუდმივი უგუნებობა.



მილანის უნივერსიტეტის პროფესორი, ფსიქოლოგი ალფრედო ალტამურო ამტკიცებს, რომ რაც უფრო მდიდარია საზოგადოება, მით მეტია სტრესიანი ადამიანი. გამოკვლევის შედეგად, ძალიან ბევრ ადამიანს დეპრესია ემართება ცხოვრების სწრაფი რიტმის გამო. დღეს ადამიანებს უფრო აღელვებთ საკუთარი კარიერა, ვიდრე ადრე. მათ არ რჩებათ არც ძალა და არც დრო ოჯახისა და გართობისათვის. როცა მამაკაცი გვიან ღამით ბრუნდება შინ (დაძაბული დღის შემდეგ), მას უკვე არაფრის თავი და არც სურვილი აქვს. ბუნებრივია, ოჯახის წევრებს, განსაკუთრებით კი ცოლს, ცხოვრების ასეთი წესი არ მოსწონთ. იწყება განუწყვეტელი საყვედურები, დისკომფორტი ოჯახში, რასაც შეიძლება განქორწინებაც მოჰყვეს. მამაკაცები დროებით კავშირებს ეძებენ. მაგრამ შინ დაბრუნებისას, სადაც არ არის ოჯახური სითბო, ისინი ყოველთვის განიცდიან საშინელ სტრესს.

ფსიქიატრებთან სეანსებს არანაირი ეფექტი არ ექნება, თუ არ შეიცვლება ცხოვრების რიტმი და წესი...

***ლიბერასიონი***


**ვმკურნალობთ**

**ქრონიკულ პროსტატიტს**

– ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
– ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
– კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.**



**პირველად საქართველოში!**

**მამაკაცთა სექსუალური პრობლემების უნიკალური კომპიუტერული დიაგნოსტიკა ულტრათანამედროვე აპარატურით და მკურნალობა:**

სქესობრივი აქტის ჩატარების გამნელება ან შეუძლებლობა, აქტის ნაადრევი დასრულება ან გახანგრძლივება, იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება, ასოს სიმრუდეების კორექცია, ფიმოზი.

**ზუსტი დიაგნოზი და ჩვენი მრავალწლიანი გამოცდილება თქვენი მაქსიმალური გაჯანსაღების გარანტიაა!!!**

კ. ჩაჩავას სახ. პერინატალური მედიცინის და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი მ. კოსტავას 38, სექსოლოგიური სამსახური, მე-2 სართული, ტელ: **99 64 99**
მიღება 10-17 სთ-მდე, შაბათ-კვირის გარდა
**ანონიმურობა დაცულია!**





**თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის**


# ზედმეტი წყალიც კი მავნე ყოფილა



წყლის მარგებლობასა და მავნებლობაზე საუბრობს გერმანელი მეცნიერი **ოლაფ ადამი:**

— წყალი აუცილებელია ორგანიზმში მარილების დასაშლელად, რომლებიც არეგულირებენ რეაქციას თითოეულ უჯრედში და ზრუნავენ ნერვულ დაბოლოებებზე. თუ ორგანიზმში ზედმეტი წყალი შედის, მარილი აღარ ახდენს საჭირო ზემოქმედებას და მაშინ ხდება წყლით მოწამვლა. ამ დროს ადამიანი სუსტდება, ვარდება ლეთარგიულ მდგომარეობაში. ჩერდება თირკმლების მუშაობა და იშლება ნივთიერებათა ცვლაც.

**— ე.ი. წყალს შეუძლია მოკლას ადამიანი?**

— ჯანმრთელ ორგანიზმს მაშინვე გამოაქვს წყალი, მაგრამ ერთბაშად დიდი რაოდენობით წყლის დალევა საშიშია, ვინაიდან თირკმლების ფუნქცია შეზღუდულია. ხნიერი ადამიანისათვის, რომელსაც თირკმლები აწუხებს, 5 ლ წყალი შესაძლოა სასიკვდილოც იყოს. მათ ერთ ჯერზე უნდა მიიღონ 200 გრამი სითხე.

**— ექიმები ამბობენ, რომ ჩვენ სითხეს ვიღებთ სხვა პროდუქტებიდანაც.**

— წყალს ბევრი საკვები შეიცავს, მაგრამ ხარშვის პროცესში ის ორთქლდება. ძეხვეული, შოკოლადი, ნამცხვარი და ბევრი სხვა პროდუქტი არ შეიცავენ ორგანიზმისათვის საჭირო წყალს.

**— ამბობენ, ადამიანმა დღეღამეში არანაკლებ 2 ლ წყალი უნდა მიიღოსო.**

— თუ ჭამა გიყვართ, არ მისდევთ სპორტს, თქვენთვის საკმარისი იქნება 1,5 ლ. აქვე უნდა დავამატოთ კიდევ 0,6 ლ, რომელსაც იღებთ ბოსტნეულიდან და ხილიდან.

**— რა მოხდება, თუ ადამიანი ცოტა წყალს მიიღებს?**

— სისხლის წნევა დაიწევს და დაეცემა ყურადღების კონცენტრაცია, შეიძლება გრძნობაც კი დაკარგოთ.

**— ამბობენ, რომ წყალი ასუფთავებს ორგანიზმს.**

— თირკმლებს სჭირდება მინიმუმ 1 ლ წყალი. თუ ადამიანი სვამს საჭირო რაოდენობაზე ნაკლებს, მაშინ წყალი მთლიანად რჩება ორგანიზმში. წყლის ქრონიკული უკმარისობა იწვევს კენჭების წარმოქმნას.

**— თქვენ გვირჩევთ, ნახშირწყლებს მივაყოლოთ წყალი, რატომ?**

— ნახშირწყლების შემცველი პროდუქტი (კარტოფილი, პური, მაკარონი) შეიწოვს სითხეს, ფუვდება კუჭში, ავსებს მას და ძალიან მალე ჩნდება დანაყრების გრძნობა. ამდენად, ნაკლებ საკვებს მიირთმევთ.

**— თქვენი საყვარელი სასმელი?**

— ლიმონიანი წყალი, ძალიან სასარგებლოა.

***ოჯი***

# დაეხმარეთ საკუთარ თავს!

***როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ მნიშვნელოვანი შეხვედრის წინ მოულოდნელად აგვტკივდება კბილი, გვეწყება სლოკინი, ოფლიანობა, მუცლის ბუყბუყი? აი, რას გვირჩევენ ექიმები:***



**ოფლდენას** შველის დღეში 30 წვეთი კატაბალახას, შავბალახას ან იორდასალამის ნაყენების მიღება. დილაობით გაიკეთეთ ხელებზე გვირილის ან მუხის ქერქის (1 ს/კ 1 ლ წყალზე) აბაზანები;

**მუცელი** თუ „აგიჯანყდათ“, საღამოს, თუ ბევრი ჭამეთ, მიიღეთ ერთ-ერთი ფერმენტული წამალი. მაგ. მეზიმი. კუჭის აშლილობის დროს — ლოპერამიდი ან იმოდიუმი და 4-5 აბი აქტივირებული ნახშირი. კუჭის გვრემისა და ჭვალის დროს დალიეთ 2 აბი ნო-შპა თბილი რძით ან სმექტა (1 ფხვნილი: 1/2 ჩ/ჭ) წყალზე).

**გასლოკინებთ?** ყველაზე მარტივი ხერხია: დალიეთ დიდი ყლუპებით 1 ჩ/ჭ ცივი, უგაზო წყალი. თუ არ გიშველათ, მაშინ დაჯექით, ხელები შემოიჭდეთ გულმკერდზე, ღრმად ჩაისუნთქეთ, წინ გადმოიხარეთ და რაც შეიძლება დიდხანს შეიკავეთ სუნთქვა — ამან უნდა გიშველოთ.

გარდა ამისა, სლოკინს შველის დაფნის ფოთლის ნახარში. 3-4 ც ფოთოლს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ და გაწურეთ. სლოკინის დროს მიიღეთ 10-15 წვეთი ნაყენი.

**კბილი თუ აგტკივდათ**, ვიდრე აფთიაქში შეიძენთ გამაყუჩებელ გელს, პირში გამოივლეთ თბილი სოდიანი წყალი (1 ჩ/კ სოდა: 1ჩ/ჭ წყალზე) ან დაღეჭეთ და დიდხანს არ გადაყლაპოთ ანალგინი, ან დაიდეთ მტკივან კბილზე ვოლოკორდინით გაჟღენთილი ბამბა.

**ფეხმძიმედ** თუ ხართ და დილიდანვე გული გერევათ, ე.ი. დარღვეულია კუჭის მოქმედება. რომ გააძლიეროთ კუჭის მოტორიკა — მიირთვით შტოში, ან წითელი მოცვი, ან ბროწეული, ან ხურტკმელი. ამ დროს კარგია უზმოზე მიირთვათ გოგლიმოგლი. გულის რევის შეგრძნებას ხსნის ასევე ბაღის პიტნის ნახარში.

**თავბრუ გეხვევათ, წნევამ დაგიწიათ** — ამ დროს არ დაწვეთ, არ დახუჭოთ თვალები, უფრო ცუდად გახდებით, დაჯექით მოხერხებულად, გაიხსენით საყელო, დაიზილეთ საათის ისრის მიმართულებით, წრიული მოძრაობით საფეთქლები. თუ ხელთ გაქვთ სუნამო (ან ლიმონი) — 1-2 წვეთი შეიზილეთ საფეთქლებში ან დალიეთ ცხელი ყავა.

**დაიღალეთ** და თვალები გაგიწითლდათ — თუ არა გაქვთ თვალის წვეთები ინოქსი ან ვიზინი (ვიდრე შეიძენდეთ), ბამბის ტამპონები დაასველეთ ცივ ჩაიში და 10-15 წუთით დაიდეთ თვალებზე. შეშუპებას მოხსნის კიტრის ნაჭრების კომპრესიც.

**ცხვირიდან სისხლის დენის** დროს ნუ დაწვებით, თავს უკან ნუ გადასწევთ. პირიქით — დაჯექით, წინ ოდნავ გადმოხარეთ თავი, ცხვირზე დაიდეთ ყინულის ნაჭერი ან ცივ წყალში დასველებული ქსოვილი: შემდეგ 2-3 წუთი მაგრად მოიჭირეთ თითები ცხვირის ნესტოებსა და ძგიდეზე.

***კომსომოლსკაია პრავდა №127***

# გაუფრთხილდით სიცხეში სისხლძარღვებს!

სიცხეში სისხლი სქელდება. ამ დროს, სრულიად ჯანმრთელ ადამიანსაც კი, ერღვევა სისხლძარღვთა სისტემის მუშაობა. პირველ რიგში ამას გრძნობს ვენები და წვრილი სისხლძარღვები ფეხებზე, რაზეც მიანიშნებს შემდეგი:

...საღამოს შესივებულია და სიმძიმის შეგრძნება გაქვთ ფეხის ტერფებსა და წვივებში.

...დილით კომფორტული ფეხსაცმელი საღამოს გიჭერთ;

...არ გსიამოვნებთ წინდები.

— ფეხების დაღლილობას მოგიხსნით კონტრასტული შხაპი და ზღვის მარილის (1/2 აბაზანას: 3 ს/კ მარილი), პროცედურები.

— ძალიან კარგია გვირილის, ბაღის პიტნის, ფარსმანდუკის ნაყენების აბაზანები.

— მიირთვით მუხუდო, ლობიო, მწვანე ხახვი, ღვიძლი, ზეითუნის ზეთი, E ვიტამინის წყარო, რაც ვენებს ელასტიკურობასა და სიმკვრივეს მატებს.

— სიცხეში გადაისვით ხელისგულები შუბლის ზევიდან საფეთქლებისკენ, შემდეგ შუბლიდან ნიკაპისკენ, შემდეგ ყელიდან ლოყებისკენ, ასეთი მასაჟი ჩაიტარეთ დღეში 3-ჯერ: დილით, სადილის შემდეგ და ძილის წინ.

***კომსომოლსკაია პრავდა №127***


**კლინიკური მედიცინის ცენტრი გთავაზობთ:**

1. დიაგნოსტიკურ განყოფილებაში პედიატრის, ენდოკრინოლოგის, ნევროპათოლოგის, თერაპევტის, კარდიოლოგის, ალერგოლოგის, ქირურგის, ტრავმატოლოგის, ოტოლარინგოლოგის, ოფთალმოლოგის, დერმატოლოგის, ექიმ კოსმეტოლოგის (აგრეთვე ეპილაცია) მომსახურებას, ფიბროგასტროსკოპიულ, ულტრასონოგრაფიულ, რენტგენოლოგიურ (მამოგრაფიის ჩათვლით), კლინიკურ, იმუნოლოგიურ, ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევებს;
2. ქალთა კონსულტაციას, რეპროდუქტოლოგიურ კაბინეტს, მომავალი მშობლების სკოლას;
3. სამეანო განყოფილებას;
4. ახალშობილთა განყოფილებას;
5. გინეკოლოგიურ განყოფილებას;
6. თავისა და კისრის განყოფილებას (თვალის სნეულებანი, ყელ-ყურ-ცხვირის ქირურგია, ყბა-სახის ქირურგია, ენდოკრინული და სისხლძარღვთა ქირურგია);
7. ქირურგიულ-ორთოპედიულ განყოფილებას (ტრავმატოლოგია, ორთოპედია, ზოგადი ქირურგია, ნეიროქირურგია, უროლოგია, ენდოსკოპიური ქირურგია – ლაპარასკოპია);
8. სტომატოლოგიურ განყოფილებას თერაპიული, ქირურგიული და ორთოპედიული მომსახურებით;
9. რეაბილიტაციის სამსახურს(ფიზიოთერაპია, სამკურნალო ფიზკულტურა, მასაჟოთერაპია).

კლინიკაში პაციენტებისათვის შექმნილია საუკეთესო ოჯახური პირობები (ინდივიდუალური პალატები და სამშობიარო ბლოკები აბაზანებით, აუზი, გათბობა, ცხელი წყალი, ტელევიზორი სატელიტური პროგრამებით, ტელეფონი, კვება) და მაღალი ხარისხის სამედიცინო სამსახური თანამედროვე ტექნოლოგიური აღჭურვილობით.

**ვემსახურებით ყველას, განურჩევლად ასაკისა და სქესისა.**
**მობრძანდით, კმაყოფილი დარჩებით.**
**მადლობას გიხდით ნდობისთვის.**

*მის: ცოტნე დადიანის №255*
*(ყოფ. I სამშობიარო სახლი)*
☎ 66-73-70 71 72 73 74




**პაკისტანი**

## ბინ ლადენი კვლავ მთებშია




11 სექტემბერს, ამერიკაში მომხდარი ტრაგედიის ორი წლის თავზე, არაბეთის თანამგზავრულმა არხმა „ალ-ჯაზირამ“ ეთერში გაუშვა ბინ ლადენისა და მისი თანამებრძოლის, აიმან ზავაჰრის გამოსვლის ვიდეოჩანაწერი. ეს ჩანაწერი გაკეთებული უნდა იყოს აპრილ-მაისში. ბინ ლადენი ერთი წელია, ეთერში აღარ გამოჩენილა და ძნელია დაბეჯითებით იმის თქმა, რომ ეს წლევანდელი ჩანაწერია. მაგრამ უდავოა, რომ ვიდეომასალა ავღანეთის ან პაკისტანის მთებშია გადაღებული — ფირი უხმოა და აუდიოჩანაწერი ცალკე ახლავს. ბინ ლადენი ხოტბას ასხამს ტერაქტის შემსრულებლებს და მათ ვინაობას სიამაყით ასახელებს, ხოლო აიმან ზავაჰრი ერაყელებს მოუწოდებს, ღმერთს მიენდონ და ერაყი ამერიკელების სასაფლაოდ აქციონ.

*ბი-ბი-სი*

**პალესტინა**

## არაფატს გასახლებას უპირებენ

11 სექტემბერს ისრაელის ჯარებმა პალესტინის ავტონომიის მეთაურის, იასირ არაფატის რეზიდენციის, „მუქათის“ მოპირდაპირე მხარეს მდებარე კულტურის სამინისტროს შენობა დაიკავეს. რამალაჰის რაიონში ააფეთქეს ორი სახლი, ხოლო ღაზის სექტორსა და ქალაქ რაფახში ბულდოზერებმა ექსტრემისტების 15 თავშესაფარს გადაუარეს. ზოგიერთი დამკვირვებლის აზრით, არმია იორდანეს დასავლეთ სანაპიროსა და ღაზის სექტორში მასშტაბური სამხედრო ოპერაციებისთვის ემზადება.

იმავე დღეს ისრაელის მინისტრთა კაბინეტის საგანგებო სხდომამ პალესტინის ლიდერის გასახლების „პრინციპული გადაწყვეტილება“ მიიღო. აშშ-ის ადმინისტრაცია უარყოფითად შეხვდა ამ გადაწყვეტილებას.

სად და როდის აპირებს ისრაელი არაფატის გასახლებას, ჯერჯერობით უცნობია. ისრაელის მინისტრთა კაბინეტის ამ გადაწყვეტილებას პალესტინელების მასობრივი საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა. პალესტინის მთავრობამ ისრაელი გააფრთხილა — თუ ებრაელები თავის გადაწყვეტილებას შეასრულებენ, ამას კატასტროფული შედეგები მოჰყვებაო...

*იზვესტია №163*

**აშშ**

## 300-ათასდოლარიანი კონსულტანტი

ეტყობა, აშშ-ის მთავრობა მიხვდა, რომ ერაყში სიტუაციას მარტო ვერ მოუვლის. ამიტომ გაჩნდა იდეა გაეროს ახალი რეზოლუციის მიღებისა, რომელიც გზას მისცემს ერაყში გაეროს სამშვიდობოების გაგზავნას, ოღონდ აშშ-ის ხელმძღვანელობით. ნავარაუდევია მშვიდობის დამყარების „არაპოლუსური“ მოდელი. საფრანგეთი, გერმანია და რუსეთი ამ პერსპექტივით აღფრთოვანებულნი არ დარჩენილან, მაგრამ რუსეთს ისეთ წინადადებას სთავაზობენ, რომ ყველანაირ მოდელზე თანახმა იქნება — ჯერ ერთი, რუსეთის სამშვიდობოებს ერაყში ჩასვლის საპასუხოდ ერაყის მთავრობა „ლუკოილთან“ ნავთობის კონტრაქტების აღდგენას ჰპირდება, ერაყის ახალმა ხელისუფლებამ ცნობილი ეკონომისტი ეგორ გაიდარი თავის ეკონომიკურ კონსულტანტად მიიწვია. კონტრაქტით, მას თვეში 300 ათას დოლარს გადაუხდიან.

*არგუმენტი ი ფაქტი №37*

## შვედეთი ანა ლინდს ეთხოვება


ულოფ პალმე და ანა ლინდი

სტოკჰოლმის ერთ-ერთ ცენტრალურ უნივერმაღში, 10 სექტემბერს, დღის 16.00 საათზე, შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, ანა ლინდს თავს დაესხა დაახლოებით 30 წლის მაღალი, შავოსანი მამაკაცი და დანით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა... ექიმები დაჭრილის გადარჩენას რამდენიმე საათს ცდილობდნენ, მაგრამ ამაოდ. ის 17.30სთ-ზე გარდაიცვალა. კვირას, შვედეთში, საერთოევროპული ვალუტის შემოღების თაობაზე რეფერენდუმი უნდა ჩატარებულიყო. ანა ლინდი ევროს შემოღებას აქტიურად უჭერდა მხარს. მთავრობამ მოქალაქეებს სთხოვა, მიუხედავად ეროვნული ტრაგედიისა, მაინც მისულიყვნენ რეფერენდუმზე და დაეფიქსირებინათ თავიანთი ნება. ამ ტრაგედიასთან დაკავშირებით შვედეთში იხსენებენ 1986 წელს, ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ულოფ პალმეს მკვლელობას. პალმეს ქუჩაში ესროლეს, როცა იგი ოჯახთან ერთად კინოდან შინ ბრუნდებოდა. არც პალმეს, არც ლინდს მცველები არ ახლდა. შვედეთის პოლიციამ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის, ანა ლინდის მკვლელობაში ეჭვმიტანილის ვინაობა დაადგინა, მაგრამ ძიების ინტერესებიდან გამომდინარე, გვარს არ ასახელებენ. პოლიციამ აღმოაჩინა მკვლელობის იარაღი და ბოროტმოქმედის ტანსაცმელი. დანის ტარზე ნაპოვნია მისი თითების ანაბეჭდები.

დედაქალაქის მცხოვრებნი წითელი ვარდებით ამკობენ მონუმენტს, რომელიც ანა ლინდის მკვლელობის ადგილზე უკვე აღიმართა.

*ბი-ბი-სი ნიუსი*

## „საგზაო რუკა“ ჩაფლავდა


იასირ არაფატი და აჰმედ კურეი

პალესტინის ავტონომიის ოთხთვიანი ორხელისუფლებიანობა დასრულდა. პრემიერ-მინისტრი მაჰმუდ აბასი თანამდებობიდან გადადგა. ახალ პრემიერ-მინისტრად დაინიშნა პალესტინის პარლამენტის სპიკერი აჰმედ კურეი, რომელიც ისრაელთან მშვიდობიანი მოლაპარაკებების ერთ-ერთი ინიციატორია. მაისში, ვაშინგტონის ზეწოლით, მთავრობის თავმჯდომარედ დანიშნული მაჰმუდ აბასი ზომიერ პოლიტიკოსად ითვლებოდა და ისრაელელებს იმედი ჰქონდათ, რომ ნანატრ კომპრომისს მიაღწევდნენ. მაგრამ მისი მოსვლით ავტონომიაში არაფერი შეცვლილა, რადიკალური დაჯგუფებები („ჰამასი“, „ისლამური ჯიჰადი“ და სხვ.) თავს თავისუფლად გრძნობდნენ. აბასის მომხრეები პრემიერს ამართლებდნენ — არაფატი უშლის ხელს თელ-ავივთან დიალოგის გამართვასა და ტერორიზმის აღკვეთაშიო. არაფატისა და აბასის ურთიერთობა გამწვავდა, რომელიმეს უნდა დაეთმო. არაფატის პოზიცია გაცილებით მყარი აღმოჩნდა — მაჰმუდ აბასი გადადგა. ამ გადადგომასთან დაკავშირებით უკვე გამოთქვეს სინანული აშშ-მა და ევროსაბჭოს წამყვანმა სახელმწიფოებმა. ისრაელის ხელისუფლებამ უფრო მკვეთრი რეაგირება მოახდინა — არ მოვითმენთ პალესტინაში ისეთი ახალი მთავრობის შექმნას, რომელიც კვლავ იასირ არაფატისა და მისი დამქაშების ხელში იქნებაო.

65 წლის აჰმედ კურეი აბუ ალას სახელითაა ცნობილი, მას სამშვიდობო პროცესის „არქიტექტორს“ უწოდებენ. 1996 წლიდან ის პარლამენტის სპიკერი იყო. ევროსაბჭომ პალესტინის ახალ ლიდერს თანადგომა აღუთქვა, ვაშინგტონს კურეი არ აღიზიანებს იმიტომ, რომ მისი აზრით, პალესტინის ახალ პრემიერს ხელები ისრაელელთა სისხლით არ აქვს გასვრილი. ის რამდენიმე წელი მეთაურობდა ისრაელთან მოლაპარაკებებს.

ისრაელს კვლავ კურეისთან ექნება საქმე და ეს ცუდი ვარიანტი არ არის, თუმცა თუ არაფატი თავის უფლებამოსილებას პრემიერს არ გაუნაწილებს, მაშინ მთავრობის ახალი მეთაური ისეთივე სიმბოლური ფიგურა გახდება, როგორიც მისი წინამორბედი იყო.

*ნიუზუიქი*

## ამერიკაში საპრეზიდენტო კამპანია დაიწყო



აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის სურვილი ოფიციალურად პირველმა განაცხადა 59 წლის დემოკრატმა, მასაჩუსეტსის შტატის სენატორმა ჯონ კერიმ. მართალია, დემოკრატთა ბანაკიდან ცხრა ადამიანს აქვს პრეზიდენტის სავარძელში მოკალათების სურვილი, მაგრამ ჯერჯერობით, ნამდვილი ლიდერი არ ჩანს, თანაც მთავარმა „მძიმეწონოსნებმა“ — ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა ალბერტ გორმა და ყოფილმა პირველმა ლედიმ ჰილარი კლინტონმა გამარჯვების უპერსპექტივობის გამო ბრძოლაზე უარი თქვეს. დემოკრატებს იმედი გაუჩნდათ — ამბობენ, საპრეზიდენტო პოსტზე „კოსოვოს მომთვინიერებლის“, გენერალ უესლი კლარკის წარდგენას აპირებენო. სენატორი ხალხს დაჰპირდა, თუ პრეზიდენტად ამირჩევთ, აშშ აღარ იქნება დამოკიდებული ახლო აღმოსავლეთის ნავთობზე. ბუშის პრეზიდენტობის პერიოდში უმუშევრად დარჩენილ 3 მლნ ამერიკელს სამუშაო გაუჩნდება და ორჯერ შემცირდება ბიუჯეტის დეფიციტიო.

*კომერსანტი №159*

## მოკლედ

**ბაქოში** მოკლეს ასლან მასხადოვისა და შამილ ბასაევის თანამებრძოლი და უახლოესი მეგობარი, 55 წლის ვახა იბრაჰიმოვი (ამავე დროს ჩეჩნეთში ლიკვიდირებულ იქნა ბასაევის კიდევ ერთი თანამოსაგრე აბუბაქარ თაზურკაევი). როგორც ამბობენ, ვახა იბრაჰიმოვს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ჩეჩენ „ბოევიკებთან“ — ძმებ ახმადოვებთან და მოვლადი უდუგოვთან. 2000 წელს, ასლან მასხადოვის ბრძანებით, იბრაჰიმოვი იჩქერიის „ელჩად“ იყო დანიშნული ავღანეთში. 2002 წელს მან მოიარა არაბთა გაერთიანებული საამიროები, პაკისტანი, ავღანეთი, საუდის არაბეთი, აზერბაიჯანი და საქართველო.

**სომხეთის** ეროვნულმა კრებამ რატიფიცირება გაუკეთა ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის მეექვსე პროტოკოლს, რომელიც სიკვდილით დასჯას აუქმებს.

**ლონდონის** მაგისტრატულმა სასამართლომ ცნობილი ბიზნესმენის, ბორის ბერეზოვსკის რუსეთში ექსტრადიციის საქმე შეწყვიტა. ეს გადაწყვეტილება მოსამართლე ტიმოთი უორკმენმა მას შემდეგ მიიღო, რაც დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებამ ბიზნესმენს პოლიტიკური თავშესაფარი მისცა. ლონდონის სასამართლოს გადაწყვეტილებით, სასამართლოს ხარჯები რუსულმა მხარემ უნდა გადაიხადოს. მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანეთის მთავრობამ ბერეზოვსკის ლტოლვილის სტატუსი მიანიჭა, ბიზნესმენი რუსეთში დაბრუნებასა და პოლიტიკაში მონაწილეობას გეგმავს.

**ამერიკის** ადმინისტრაციის მაღალჩინოსნის განცხადებით, ჩრდილოეთ კორეამ იონბონში ატომური კომპლექსის მუშაობა შეაჩერა. როგორც ამბობენ, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა ატომურ ცენტრში აწარმოებს გამდიდრებულ პლუტონიუმს ბირთვული რაკეტების დასამზადებლად. შეჩერების მიზეზები უცნობია. ეს შეიძლება იყოს პოლიტიკური ჟესტი აშშ-თან მოლაპარაკებების მხარდასაჭერად, ან მუშაობა ტექნიკური გაუმართაობის გამო შეწყდა, ანდა, ჩრდილოეთ კორეას უკვე აქვს 5-6 ბირთვული რაკეტისთვის საკმარისი რაოდენობის საწვავი. 2003 წლის 9 სექტემბერს ჩრდილოეთ კორეის ატომურ სახელმწიფოდ გამოცხადებას ვარაუდობდნენ, მაგრამ ეს არ მოხდა.

**გერმანულმა** „დოიჩე ბანკმა“ ნიუ-იორკის შტატის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა. „დოიჩე ბანკის“ ხელმძღვანელობის აზრით, 11 სექტემბრის ტერაქტის დროს შტატმა ვერ უზრუნველყო მისი კუთვნილი შენობის დაცვა. „დოიჩე ბანკი“ მატერიალურ ზარალს 500 მლნ დოლარად აფასებს.

**დიდ ბრიტანეთში** ულტრაბგერითი გამოკვლევის ახალი მეთოდი შეიმუშავეს, რომელიც მეცნიერებს საშუალებას აძლევს, თვალი ადევნონ ბავშვის განვითარებას დედის მუცელში. სკანერზე კარგად ჩანს, რომ ემბრიონი ამთქნარებს, იღიმება, ტირის და თითს წოვს. ემბრიონის ამ უნარის შესახებ მეცნიერებმა არაფერი იცოდნენ. ითვლებოდა, რომ ბავშვი ღიმილს დაბადების შემდეგ, დედის მიმიკების მიბაძვით სწავლობს. ულტრაბგერითი გამოკვლევის ახალი ტექნიკა ინგლისელმა პროფესორმა, სტიუარტ კემპბელმა შეიმუშავა. ექსპერტები ამტკიცებენ, რომ ახალი მეთოდი ექიმებს დიაგნოზის დასმაში, ბევრი თანდაყოლილი დაავადების, მათ შორის, დაუნის სინდრომის, თავიდან აცილებაშიც კი დაეხმარება. მედიკოსები აცხადებენ, რომ ეს მედიცინაში ნამდვილი რევოლუციაა.

**რუსულ-სომხური** სამხედრო სწავლებების დროს, სომხურმა მხარემ პირველად გამოსცადა უკვე მრავალი წლის განმავლობაში ხმარებაში მყოფი ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის კომპლექსი C-300. ქვეყნის თავდაცვის მინისტრისა და უშიშროების საბჭოს მდივნის, სერჟ სარქისიანის თქმით, სწავლებებმა წარმატებით ჩაიარა და დასახული ამოცანები შესრულდა.

**ლიბიაში** საერთაშორისო სანქციების მოხსნას დღესასწაულობენ. ახლა ლიბიის მთავრობას იარაღისა და ნავთობმრეწველობისათვის საჭირო აღჭურვილობის შეძენის საშუალება მიეცემა. გარდა ამისა, ყადაღა აეხსნება უცხოურ ბანკებში ქვეყნის ანგარიშებს.

*გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ*




## ეპილაცია ახალი თაობის ალექსანდრიტის ლაზერით

ლაზერული ეპილაცია, როგორც არასასურველი თმის მოცილების უახლესი მეთოდი, ქართველი მომხმარებლისათვის უკვე საკმაოდ ნაცნობი და სასურველი პროცედურაა.

ამ მაღალეფექტურმა მეთოდმა მყარად დაიკავა თავისი ადგილი ადამიანის ცხოვრებაში.

რამდენადაც ლაზერული ტექნოლოგიები პერმანენტულ პროგრესირებას და განვითარებას განიცდის, მსოფლიო ბაზარზე მუდმივად ჩნდება უფრო და უფრო გაუმჯობესებული, მაღალეფექტური და კომფორტული აპარატურა. უმსხვილესი მწარმოებელი კორპორაციები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა პროცედურები მეტად უსაფრთხო გახდეს.

სამედიცინო ცენტრში "ექიმი გილი" სულ ცოტა ხნის წინ დაიწყო ფუნქციონირება ლაზერული ეპილაციის კაბინეტმა, სადაც დამონტაჟებულია მსოფლიოში უახლესი, გაუმჯობესებული, ამერიკული კორპორაცია **Candela**-ს მიერ **2003** წელს შემუშავებული **ალექსანდრიტის ლაზერული აპარატი**. ეს დანადგარი უკანასკნელი სიტყვაა ამგვარი ტექნოლოგიების არსებულ ბაზაზე და მისი ტექნიკური მონაცემები ბევრად აღემატება აქამდე არსებულ ყველა სახის ალექსანდრიტის, ლალის, თუ ფოტოეპილაციის აპარატებს. მაღალი სიჩქარე, სრული კომფორტი პროცედურის დროს, უმტკივნეულობა და რაც მთავარია, აბსოლუტურად წარმატებული შედეგი, მას თითქმის უნიკალურ საშუალებად აქცევს ჭარბთმიანობის სამკურნალოდ.

რა თქმა უნდა, მაღალი ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება, მხოლოდ კვალიფიციური სპეციალისტების მეშვეობით არის შესაძლებელი.

თბილისელებისათვის უკვე საკმაოდ კარგადაა ცნობილი საქართველოში ლაზერული ეპილაციის პიონერების, გამოცდილი ლაზეროთერაპევტების **– მარიკა ხოფერიას და ნია ბაღათურიას** სახელები. ამ უაღრესად მცოდნე და დიდი პრაქტიკის მქონე სპეციალისტების მიერ ჩატარებული პროცედურა, თქვენი წარმატებული მკურნალობის უპირველესი გარანტია.

***მაშ ასე: მსოფლიოში უახლესი, აბსოლუტურად უსაფრთხო, 2003 წლის ამერიკული წარმოების ალექსანდრიტის ლაზერი დღეიდან თქვენს სამსახურშია.***

*პირველადი კონსულტაცია უფასოა*

**მხოლოდ სექტემბრის თვეში თქვენთვის გათვალისწინებულია ფასდაკლების მოქნილი სისტემა 20-დან 40 %-მდე.**

მიღება მხოლოდ წინასწარი სატელეფონო ჩაწერით.

სამედიცინო ცენტრი „ექიმი გილი”

**25-27-09 33-00-72**

კოსტავას ქ. №63

## ზუკა სიყვარულზე ამღერდა

**— ჩვენი ინფორმაციით, ზუკა ხუციშვილი იტალიაში ბავშვთა მუსიკალურ ფესტივალზე ყოფილა მიწვეული. რატომ არავინ წერს ამის შესახებ, დავიჯეროთ, რომ ზუკამ ვერანაირი პრიზი ვერ აიღო? იმასაც ამბობენ, ახალი კლიპიც გადაუღიაო. იქნებ ის მაინც გვითხრათ, ამ კლიპს როდისღა ვიხილავთ?**

***მაიკო მინდელი***

კითხვაზე უპასუხებს **ზუკას** დედა, ქ-ნი **მაია ჯორჯაძე**.



— ზუკა იტალიიდან პრიზს როგორ ჩამოიტანდა, როცა იქ საერთოდაც არ წასულა. ფესტივალი კი მართლაც იტალიაში, ვენეციაში ტარდებოდა. სიმართლე თუ გაინტერესებთ, დღესაც ვერ გავიგე, რატომ ვერ წავიდა ზუკა ამ ფესტივალზე. ამ საკითხს ქ-ნი მაია დათუნაშვილი კურირებდა და როგორც გავიგე, იტალიის კონსულს არ მოუცია გამგზავრების ნებართვა. სწორედ ეს გახლავთ ნამდვილი მიზეზი... თანაც ამ მუსიკალურ ფესტივალზე მხოლოდ ბავშვები არ მონაწილეობდნენ (აღნიშნული საკითხი ვეცადეთ დაგვეზუსტებინა ქ-ნ მაია დათუნაშვილთან, თუმცა უშედეგოდ. — რ.ჟ.). რაც შეეხება ზუკას ახალ კლიპს, იგი სულ რამდენიმე დღეში გავა ტელეეკრანებზე. კლიპი ძალიან ლამაზი გამოვიდა, ზუკა მღერის პირველ სიყვარულზე. იგი ხომ უკვე იმ ასაკშია (12 წლისაა), რომ შეიძლება პირველ სიყვარულზეც იმღეროს. *(როგორც ზუკას დედამ გაგვიმხილა, მას თურმე აქამდე არავინ ჰყვარებია, თუმცა ამჟამად თავისი თანაკლასელი გოგონა მოსწონს. ქალბატონმა მაიამ ისიც გვითხრა, რომ ზუკას გატაცების „ობიექტს" არ ვიცნობ, მაგრამ ჩემს შვილს ძალზე დახვეწილი გემოვნება აქვს და გოგონების არჩევანშიც არ შეცდებაო).*

## მართვის მოწმობა 28 ლარი ღირს(!)

**— რა საბუთებია საჭირო ავტომანქანის მართვის მოწმობის ასაღებად. ვიცი რომ ოფიციალური წესით შედარებით იაფი ღირს, ვიდრე ამ წესის გვერდის ავლით, თუმცა მთავაზობენ მის უპრობლემოდ (150 ლარად!) აღებას სულ რამდენიმე დღეში. რამდენად სანდოა ეს წინადადება?**

***თემურ იოსებიძე***

კითხვაზე უპასუხებს **ცოტნე დევიძე**, თბილისის საგზაო პოლიციის სამმართველოს რეგისტრაციის, საგამოცდო და ტექნიკური მომსახურების განყოფილების საგამოცდო ჯგუფის უფროსი სახელმწიფო ინსპექტორი, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი.

— ავტომანქანის მართვის მოწმობის (ა და ბ კატეგორიის) აღება შეუძლია პირს, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი. წარსადგენი საბუთებია: პირადობის მოწმობის ასლი (შეიძლება საზღვარგარეთის ან ძველი, საბჭოთა პასპორტი); ჯანმრთელობის ცნობა (ე. წ. „ფსიქო") და ნებისმიერი ლიცენზირებული „საგზაო სკოლის" დიპლომი. ამის შემდეგ ჩვენი სამსახური ნიშნავს გამოცდის დღეს. გამოცდაზე მოწმდება როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ცოდნა. გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ მოქალაქე მითითებულ ბანკში გადაიხდის 28 ლარს (მართვის მოწმობის ღირებულება) და ქვითრის წარდგენიდან ერთი თვის ვადაში აიღებს მართვის მოწმობას. ჩაჭრის შემთხვევაში ხელახალი გამოცდა ინიშნება 7 დღის შემდეგ. რაც შეეხება მომდევნო კითხვას, ვერაფერს გიპასუხებთ გარდა იმისა, რომ ნუ ენდობიან იმ ადამიანებს, რომლებიც ასეთი წინადადებით მათ მოხიბვლას შეეცდებიან. ხშირია შემთხვევა, როდესაც მოქალაქეებს ყალბ მართვის მოწმობებს „აჩეჩებენ" და ფაქტობრივად, ფულს წყალში ყრიან (თუმცა ჩვენი ინფორმაციით, 150 ლარად შესყიდულ მართვის მოწმობებზე პრობლემა და თავსატეხი არავის გასჩენია. არც გამოცდების ჩაბარება დასჭირვებიათ — 2-3 დღეში მიუღიათ სასურველი მართვის მოწმობა. არ გეგონოთ, ამ გზით მართვის მოწმობის აღების პროპაგანდას ვეწეოდეთ. უბრალოდ, გასაოცარია, რომ ამის შესახებ თავად საგზაო ინსპექციაში „არაფერი იციან", უფრო მეტიც, ასეთ ფაქტებს უარყოფენ კიდეც! — რ. ჟ.).

## სიტყვათა კონა

**გენეზისი** (ბერძ.) (წიგნ.) — წარმოქმნა, წარმოშობა, წარმომავლობა.

**გერგილი** — შნო, სიმარჯვე, ფხა, მოხერხება.

**გერილი** — წვიმა, რომელიც წამოუშენს და მალევე გადაიღებს.

**გერმა** — რბილი, წმინდა ბუმბული (უმთავრესად ბატისა).

**გეში** — 1. დაკარგულის ან რაიმე საძიებლის მისაკვლევი ნიშანი. 2. ალღო, ჩვევა, გაწაფულობა, გამოცდილება.

**გეჯა** — მოკლე მორი, რომელსაც გული ამოთლილი აქვს და იხმარება ცხოველებისათვის წყლის ან საჭმლის ჩასასხმელად, სარეცხის გასარეცხად, სკად და სხვ.

**გვაბანაკი** (ძვ.) — თექის მსგავსი ერთგვარი ზედა სამოსი.

**გვარლი** — კანაფის ან ფოლადის ბაგირი.

**გვერგვი** — 1. ხის ან წნელის რგოლი, რომელსაც გადააცვამენ ღობის ორ სარს გასამაგრებლად. 2. კასრზე ჩამოსაცმელი რკინის ან ხის სალტე.

**გვიმი** — 1. საკვამლე მილის ის ნაწილი, რომელიც სახურავს ზევითაა. 2. ჭის თავზე დადგმული თიხის, ფიცრის ან წნელისგან გაკეთებული ზღუდე, — გვირგვინი, ჭის თავი.

**გვირისტი** — მჭიდროდ ნაკერი, ნემსის უხარვეზოდ ამოგებით.

**გზირი** — ძველად სოფლის მოხელე, მამასახლისის ხელქვეითი, მის განკარგულებათა შემსრულებელი, შიკრიკი.

**გიაური** (თურქ.) (ძვ.) — ურწმუნო, ურჯულო, გარეწარი (მუსლიმანთა სალანძღავი სიტყვა არამუსლიმანთა მიმართ).

**გირაგი** — ხელსაწყო, რომელშიც ამაგრებენ საგანს დამუშავების დროს.

## «გივრომის» ანალოგი მსოფლიოში არ არსებობს...

**— ვცხოვრობ დასავლეთ საქართველოში. ჩემს მეზობელს „კვირის პალიტრაში" წაუკითხავს ნესტის საწინააღმდეგო მასალის გამოგონების შესახებ. რა ჰქვია ამ მასალას, მართალია თუ არა, რომ იგი ქართველებმა გამოიგონეს და სად შეიძლება მისი შეძენა?**

***ვანო ჩხობაძე***

ვინაიდან „კვირის პალიტრის" რედაქციას მსგავსი შეკითხვით მრავალმა მოქალაქემ მიმართა, ჩვენ დავუკავშირდით აღნიშნული გამოგონების ავტორებს, ბ-ნებს **გივი გულბათაშვილსა** და **რომან ნასყიდაშვილს**, რომელთა პასუხსაც ქვემოთ გთავაზობთ:

— ამ სამშენებლო და ჰიდროსაიზოლაციო მასალის გამოგონების ავტორები ნამდვილად ჩვენ, ქართველები ვართ. ჩვენ მიერ მიღებული ნესტის საწინააღმდეგო მასალის ანალოგი (ასეთი სიძლიერისა და დადებითი შედეგის მომტანი) მსოფლიოში არ არსებობს. რაღა დაგიმალოთ და ამ გამოგონების თავდაპირველი და მთავარი მიზანი გაჭირვება და ჩვენივე სახლების კედელთა ნესტისგან დაცვა იყო. მას 3 წელიწადი მოვანდომეთ და სრულყოფილი ეფექტი გამოგონების გახმაურებამდე არაერთგზის გამოვცადეთ. სამშენებლო და ჰიდროსაიზოლაციო მასალის საიმედოობაზე მოწმობს 3 თვის მანძილზე ჩატარებული სამუშაო. მეთოდი ნამდვილად ეფექტურია. მაგალითად, მშრალი, ნესტიანი, გაჟღენთილი კედლის ჭერის ჰიდროიზოლირება პირდაპირ ხდება. ჩვენი მასალით დამუშავებული ზედაპირი 5-30 წუთში სიმშრალეს აღწევს. მჟონავი ზედაპირის შემთხვევაში კი 30-60 წუთში შრება. სამშენებლო და ჰიდროსაიზოლაციო მასალას „გივრომი" ჰქვია. თუმცა მომდევნო შეკითხვაზე ცალსახად გიპასუხებთ, რომ საქართველოში, სადაც დაცული არ არის არც მომხმარებლის, არც მწარმოებლის და არც გამომგონებლის ინტერესები, ვერ ვრისკავთ, რომ ბაზარზე გამოვიტანოთ მასალა. ვინაიდან ვერ შევძლებთ შემდგომ მისი ფალსიფიკაციისგან დაცვას, როგორც ხდება ხოლმე რიგ შემთხვევებში. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ „გივრომი" ამ ეტაპზე სერიულად არ გაიყიდოს. გარდა ამისა, იგი ხომ ჩვეულებრივი წებო არ არის, რომ ხმარების წესი ახლდეს თან. მისი გამოყენებისთვის საჭიროა სპეციალური ცოდნა, დასამუშავებელი მასალის დაზიანების ხარისხის შეფასება და სხვა. ამიტომაც თითოეული ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოს შესრულება უნდა მოხდეს უშუალოდ ჩვენი ზედამხედველობით ან ჩვენ მიერ მომზადებული სპეციალისტების მიერ. ვინაიდან საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ამ გამოგონებით ბევრი დაინტერესდა, გადავწყვიტეთ შევქმნათ ჩვენი წარმომადგენლობები (საინფორმაციო და შეკვეთების ბიურო) ქუთაისში, ქობულეთში, გორში, ფოთში, თელავში, ბორჯომში... ისევ და ისევ ვიმეორებთ, რომ ამით გვსურს ჩვენი გამოგონება დავიცვათ ფალსიფიკაციისგან, ვინაიდან „გივრომის" ანალოგი მსოფლიოში არ არსებობს და გარდა ამისა, ვუფრთხილდებით საკუთარ პრესტიჟსა და ისედაც გაჭირვებულ მოსახლეობას.

## რობერტ დე ნირო ორგზის ოსკაროსანია

**— როგორც ვიცი, რობერტ დე ნიროს, ამ გენიალურ მსახიობს, არც ერთი ოსკარი არ აუღია. ნომინაციაში საუკეთესო მსახიობი მამაკაცი, წარდგენილი იყო რამდენჯერმე, მაგრამ ამაოდ. იქნებ უფრო ვრცლად მოგვითხროთ ამის შესახებ.**

***თიკა კარტოზია, 18 წლის***



— ამერიკულმა კინოაკადემიამ რობერტ დე ნირო „ოსკარით" ორჯერ დააჯილდოვა. ამრიგად, თქვენი მონაცემები მცდარია. თუმცა თუ თქვენს ასაკს გავითვალისწინებთ, ადვილი მისახვედრია, რატომაც ცდებით. პირველი ოსკარი რობერტ დე ნირომ მიიღო მეორეხარისხოვანი როლის შესრულებისთვის ფილმში „ნათლია-2" 1975 წელს, ხოლო 1981 წელს — როგორც საუკეთესო მსახიობმა მამაკაცმა ფილმში „ცოფიანი ხარი". თუმცა არაერთგზის ყოფილა წარდგენილი ამ უკანასკნელ ნომინაციაში სხვა დროსაც, დე ნიროს „ოსკარის" გარდა მიღებული აქვს არაერთი საერთაშორისო პრიზი. მაგალითად, მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალზე 1997 წელს გადაეცა პრიზი — „კინოხელოვნებაში გაწეული ღვაწლისთვის". უფრო ადრე, 1981 წელს „ოქროს გლობუსიც" მიიღო როგორც საუკეთესო დრამატულმა მსახიობმა მამაკაცმა. ასე რომ, დიდება და დაფასება, რობერტ დე ნიროს არ აკლია. დე ნირო 17 წლიდან თამაშობდა სხვადასხვა თეატრში, მაგრამ არცთუ წარმატებით და მთელი 13 წელი ცდილობდა კინოინდუსტრიაში მოხვედრას. ბოლოს, როგორც იქნა, გაუმართლა და მიიწვიეს ახალგაზრდა დონ კორლეონეს როლის შესასრულებლად „ნათლია-2"-ში. პირველ ფილმში დე ნირომ გაიარა სინჯი სონის როლზე. თუმცა მაშინ ამ როლზე უარი უთხრეს, სინჯებიდან მისი სახე ფრენსის ფორდ კოპოლას კარგად დაუხსომებია და მეორე ნაწილის გადაღებისას თავისივე ინიციატივით მიუწვევია. სწორედ ამ როლმა მოუტანა მსახიობს პირველი ტრიუმფი და პირველი „ოსკარი", ამასთან, მსოფლიო აღიარებაც. თუმცა როგორც მისი ცხოვრებიდან ჩანს, აღიარებამ და პოპულარობამ თავბრუ დაახვია და მომდევნო 7 წლის მანძილზე დე ნირო „ჭირვეული ბავშვივით" მხოლოდ მისთვის სასურველ როლებს ირჩევდა. წელიწადში მხოლოდ ერთი ფილმი გამოდიოდა მისი მონაწილეობით. მერე კი, 1988 წლიდან უკიდურესობაში გადავარდა და არც ერთ შემოთავაზებულ სცენარს არ უშვებდა ხელიდან. ასეა თუ ისე, დე ნირო მსოფლიოში აღიარებულ 25 საუკეთესო მსახიობთა შორისაა და დღესაც გამორჩეული წარმატებით სარგებლობს ყველა თაობის კინომოყვარულთა შორის.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა
13 სექტემბრიდან დაადგინა ლარის მიმართ
უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,1429 |
| ევრო | 2,3965 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,3383 |
| რუსული რუბლი | 0,0697 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,5316 |

მოსწავლეთა საყურადღებოდ!
განათლების სამინისტროს
კომპიუტერული ცენტრი
«მზიური» აცხადებს მოსწავლეთა და
სტუდენტთა მიღებას
პერსონალური კომპიუტერის
შემსწავლელ ჯგუფებში
მიიღებიან IV-X კლასების მოსწავლეები
მის: დ. უზნაძის (ყოფილი კამოს) №70
☎ 29-48-61; 95-45-75; 91-03-17

იყიდება
ავტოგასამართი
სადგური
3000მ² მიწის ფართობით
დავით აღმაშენებლის მე-14 კმ-ზე.
☎ 899 55 43 17
899 17 55 30

ეპილაცია ალექსანდრიტის
უახლესი სისტემის ლაზერით

ექიმები
მარიკა ხოფერია
ნია ბაღათურია
25-27-09; 33-00-72

შპს „გეოკორი" აწარმოებს
ბურღვით
სამუშაოებს
სასმელი და
ტექნიკური
წყლის
მისაღებად
მის: აკურის ქ. №8
(სპორტის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02

„ტრანსტრონიკ" ფირმის
მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა,
მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის" გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091

ასლგადამღები
აპარატები
ევროპიდან და იაპონიიდან
აღდგენილი და ახალი
1. იჯარა - ლიზინგი
2. იჯარა გამოსყიდვით
3. საერთო ბიზნესი
თქვენგან მოითხოვება საკუთარი ფართი
4. გაყიდვა გარანტიით
ტექნიკური მომსახურება და სერვისი

ქსეროასლები
შავ-თეთრი წითელი ლურჯი
2-დან 5 თეთრამდე
ტირაჟის, ფერის და ქაღალდის მიხედვით
ფერადი ქსეროასლები
კომპიუტერიდან ბეჭდვის შესაძლებლობით
საარჩევნო პლაკატების და ბუკლეტების
კომპიუტერული დიზაინი
ფოტოების მხატვრული გაფორმება, ბეჭდვა
ნივთებზე, „ნაკლეიკები" თქვენი ბავშვის
ფოტოთი, ეტიკეტები, აკინძვა, ლამინირება
Web-დიზაინი

თბილისი, დ. აღმაშენებლის №99/1,
მოზარდ-მაყურებელთა თეატრი,
ყოფ. შეროზიას ქ-დან, ტელ/ფაქსი: 96-32-89
შ.პ.ს. კომპანია „ლიბკო"
LIBCO Company LTD

# ცხოვრებისეული კურიოზები

## „ფოკუსნიკი" ქუთაისში



ამას წინათ ქუთაისში „ფოკუსნიკი" ჩამოვიდა ერთი. ნამეტანი გაგვამხიარულა ეს დადარდიანებული ხალხი — თვალახვეული თავზე ხელის დადებით ცნობდა, ვინ ვისი შვილი იყო. დაადო ერთ ჩემს ძმაკაცს ხელი თავზე და თქვა, ეს გრიშაიას ბიჭიაო. მერე მეორე ძმაკაცს — ეს ვალიკიასიო (მართლა გამოიცნო!). მერე ერთი ტიპი დაინტერესდა ფოკუსით, ჩაგუს ეძახიან იმ ბიჭს. მელოტია, მარა ისეთი მელოტი, სარკესავით აქვს თავი. დაადო „ფოკუსნიკმა" ხელი, მაგრამ მაშინვე გამოსწია ცივად უკან და ჩაილაპარაკა ნირწამხდარმა, — არ გეკადრებათ ქუთაისელებს, ამ ხნის კაცს ტ...ზე რომ ხელი დამადებინეთო...

*ჯანო ონიანი, ქუთაისი*

## „ყოჩაღი" გუშაგი



ჩვენთან, დაცვის სამსახურში ერთი ახალგაზრდა მუშაობდა, სვანი, შოთიკო ერქვა. კარგი ბიჭი იყო, მაგრამ ერთი „ნაკლი" ჰქონდა, სამსახურში სულ აგვიანებდა და შესაბამისად მის მეწყვილეს გული ჰქონდა გაწყალებული, ყოველთვის ერთი ან ორი საათით გვიან უწევდა ცვლიდან წასვლა (აბა პოსტს ხომ ვერ მიატოვებდა).

შოთიკოს სიზარმაცის ამბავმა უფროსის ყურამდეც მიაღწია და ერთხელაც, როცა „ყოჩაღი" მცველი სამუშაოზე ჩვეულებისამებრ დაგვიანებით გამოცხადდა, „თანაგრძნობით" ჰკითხა:

— რაო, შოთიკო, რა მოხდა, რატომ იგვიანებ სამსახურში, დაგეძინა?

— არა უფროსო, გვიან ავდექი! — სხარტად უპასუხა სვანმა გუშაგმა.

*შალვა, გუშაგი თბილისიდან*

## ხრუშჩოვის „საჩუქარი"



ერთხელ პარტიული თანამდებობის პირველმა პირმა მიხეილ ბღაჟბამ აფხაზეთში სტუმრად ჩამოსული ნიკიტა ხრუშჩოვი რესტორან „ეშერაში" მიიპატიჟა. სხვა კერძებთან ერთად ნიკიტას ნიგვზით შეკაზმული ეკალაც მიართვეს, რომელიც მას ძალიან მოეწონა. ეს რომ ბღაჟბამ გაიგო, ნიკიტას უთხრა, — სამწუხაროდ, ეკალას პლანტაცია სულ რაღაც ხუთიოდე ჰექტარზე გვაქვს გაშენებულიო (როგორც მკითხველს მოეხსენება, ეკალა კულტურული მცენარე არ არის და „ეკალას პლანტაციაც" ილუზიაა მხოლოდ და მხოლოდ).

ნიკიტა ხრუშჩოვმა მიხეილ ბღაჟბას საწუხარი რომ გაიგო, იქვე გასცა ამ „უნიკალური პლანტაციის" 100 ჰექტარზე გაშენების განკარგულება და საამისოდ საჭირო დაფინანსებაც აღუთქვა აფხაზეთის თავკაცს.

ნიკიტამ მართლაც შეასრულა დანაპირები. იმ სახსრებით მიხეილ ბღაჟბამ თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი, მშვენიერი, კეთილმოწყობილი საავადმყოფო ააშენა მაშინდელ სოხუმში.

*პროფ. იური ციკოლია, აფხაზეთიდან ლტოლვილი (ბათუმი, სასტუმრო „მესხეთი")*

## ყურმოკრული დიალოგები

### თბილისური:



ორი თბილისელი ძველი ნაცნობი ხვდება ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

— როგორა ხარ, ძმაო?

— კარგად!

— ჩემთან შუქი არ არის, გაზი არ არის, შენთან?

— არც ჩემთან!

— მერე როგორ ხარ?

— კარგად!

— სამუშაო აღარა მაქვს, აღარც ძველ ხელფასს მაძლევენ, შენ?

— არც მე!

— მერე, როგორ ხარ?

— კარგად!

— წყალი ხშირად არ არის ჩემთან...

— არც ჩემთან!

— მერე, კარგად ხარ?

— კარგად ვარ, კარგად!..

— აბა, შენ მართლა კარგად ყოფილხარ, ძმაო!!!

*ზაზა ნაფეტვარიძე, თბილისი*

### ზესტაფონის რესტორანში მოსმენილი:



— შეხედე, შეხედე, გივია (ძველი პარტიული მუშაკი, „ქალების რისხვად" ცნობილი) შემოვიდა და მაშინვე მენიუს ეცა.

— დაბერდა საწყალი, თვარა, ადრე დაჯდებოდა თუ არა, პირველად ოფიციანტკას მიაშტერდებოდა!

*თამაზ ხელაძე, ვანის რაიონი, სოფელი ზეინდარი*

## ასეც ხდება!..



გაგრაში ცხოვრობდნენ ძმები ნოდიები, აქედან სამი აფხაზობდა, ორი ქართველობდა. ეს ამბავი გაიგო გაგრელმა კოლორიტმა კარლო დანელიამ და ხუთი ძმიდან უფროსს, ალექსანდრეს (რომელიც ქართველობდა) უთხრა:

— ჩემო საშა, მამაშენს ორი ხომ არ ჰქონია, ერთით რომ აფხაზები უკეთებია და მეორეთი ქართველები?!

*ავთანდილ ქვილითაია, ლტოლვილი გაგრიდან (აბაშა, ნაესაკოვო)*

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



— რეიზა გინდოდა, ძამა, თავის მოკლა? — ეკითხება ერთი გურული მეორეს.

— რავა რეიზა! მომბეზრდა ამფერი უხალისო ცხოვრება!

— მერე თავის მოკლა გაგართობს თუ?!

*ჯანსულ ბოჭორიშვილი, ქუთაისი*



— აბა, თუ იცი, რა ჰქვია, ხუთი გურული რომ ჯდანა და სადილობს...

— რა ჰქვია?

— დუუფიქრდი!

— მაინც?

— ლანჩ-ხუთი! ლანჩ-ხუთი!

*თემურ ტულუში, ლანჩხუთი*



— იცი, ახალი როლი მომცეს თეატრში და ვღელავ! — ეუბნება ჭიჭიკიას ცოლი, საკმაოდ ჩაპუტკუნებული ნაზიკია.

— კი მარა, რა როლია ამისთანა?

— უნდა ვითამაშო სქელი, უშნო, ჩურჩუტი და ქერათმიანი ქალის როლი!

— ჰოდა, რა განერვიულებს, თმას შეიღებავ ქერად და მორჩა!



— მარო, გამაიტა ერთი ჩვენი ქორწილის სია!..

— რათ გინდა, მიხო!

— რათ მინდა და სუ კარგები უნდა გაგინო, არ მინდა ვინმე გამამრჩეს!..

*გიორგი ყუფარაძე, თბილისი*



სვანს ეკითხება შვილი:

— მამი, ამ შოკოლადს რატომ აწერია ნაღების?

— იმიტომ, რომ რძისგან ამზადებენ!

— ვაა!!! ზანგის რძისგან?

*თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი*



ბიჭიკია ჭიჭიკიას:

— სა მირბიხარ, ბიჯო?!

— ექიმთან, რაცხა ჩემი ცოლი არ მომწონს.

— მეიცა, მეც წამოვალ ბარელამ, ვერც მე ვიტან ჩემსას!..

*ანიკო, თბილისი*

*ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.*

*მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.*

## მილოცვა

**მარიამ ბიწაძეს**

ჩვენო პატარა, საყვარელო გოგონავ, გილოცავთ ღვთისმშობლის შობის დღეს. მრავალს დაესწარი მშობლებით, ახლობლებით. სულ ბედნიერი ყოფილიყავ.

*შენი ბებო და ბაბუ – მაგული და როსტომ ბიწაძეები*



ამერიკაში მცხოვრებ

**მაია ფალავას!**

ჩემო საყვარელო, ჩემო სიცოცხლევ და მონატრებავ! 2 სექტემბერი შენი დაბადების დღეა. უშენოდ მეხუთეჯერ ვხვდები. გილოცავ დაბადების დღეს. ბედნიერად გეცხოვროს შენს ქმარ-შვილში. მენატრები ძალიან. გკოცნი მრავალს, ჩემო მონატრებავ. უსაზღვროდ მიყვარხარ.

*ნათელა, ლიანა, ლერი, გია ფალავები*

## ბინები

საჩქაროდ! იყიდება საბურთალოზე, მ. „დელისთან", 21-ე კორპუსში, 3-ოთახიანი, კუთხის ბინა, 2(6), დიდი მიშენებით გარაჟით, სარდაფით, რკინის კარით, ბ/აივნით, ორი დიდი აივნით. სამზარეულო, სააბაზანო გატანილია. ფასი $16.000. ტელ: 61-30-95

იყიდება ოროთახიანი ჩეხური პროექტის ბინა ვაზისუბანში, მე-9 სართულზე (ლიფტი მუშაობს), ტელეფონით. ფ. $4.000. მის. მე-3 მ/რ, I კვარტ. V კორპ. ტ. 75-94-06, 95-10-04. მერი

საჩქაროდ! იყიდება 40 კვმ მიწის ნაკვეთი პროექტით და მშენებლობის ნებართვით, დიღმის მასივის მე-5 კვარტალში, ხეივანთან, გზის პირას. ტ: 899-94-11-94

საჩქაროდ! იყიდება საგურამოდან 1 კმ-ში ახალი აშენებული ევროდიზაინის სახლი. შიდა ტერასული, 4 სართულით, 4 საძინებლით – თავისი სააბაზანო-ტუალეტებით, შიდა აუზით, ბუხრით, ს/ფ 320კვმ, 1200კვმ, კაპიტალური ღობით, 350კვმ დეკორატიული ბაღით, მუდმივი დენით, ცხელი და ცივი წყლით. ტ: 899 94-11-94

ქირავდება საოფისედ ან საცხოვრებლად 2-ოთახიანი ბინა. ს. ჩიქოვანის (ყოფ. ხილიანის) ქუჩაზე, ევრორემონტით, რკინის კარით, გისოსებით, ბ/აივნით, საკაბელო ტელევიზიით, საჭირო ავეჯით. ტელ: 899 50-96-10. გიორგი

ქირავდება საუკეთესო კომერციული ფართი – 75 კვმ, ვიტრაჟებით, ჟალუზებით, სვ. წერტილით, ტელეფონით. მის: თამარ მეფის №14 (სადგურის ქუჩა). ტელ: 500-559

## გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებთ განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება 200-400$ აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მის. მ. „დიდუბე", „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი დიმიტრი

ყურადღება!!! მრავალპროფილიან მსოფლიო სავაჭრო ადგილობრივი ტერიტორიიდან აინტერესებს ბიზნესპარტნიორები. შესაძლებელია სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გადამზადება და დასაქმება. ანაზღაურება – მაღალი. გვაინტერესებს რეგიონების წარმომადგენლებიც. ტელ: 52-44-10; 893 33-18-86

## ვეძებ სამუშაოს

გამოცდილი ბუღალტერი, საერთაშორისო ბუღალტერიის, კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამების (ორის-ბუღალტერია, ინფობუღალტერი) მცოდნე, ვიმუშავებ ბუღალტრად (შეიძლება შეთავსებაც), მაქვს ჩემი კომპიუტერი საბუღალტრო პროგრამით. ტ: 899-78-24-96

## მომსახურება

ეპილაცია ვოლფრამის ან პლატინის ერთჯერადი ნემსით და ვაკუუმით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი განიკურნებით უმოკლეს ვადაში ყოველგვარი შეშუპების და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნანემსარი. შედეგი პირველივე სეანსზე. სახის გაწმენდა, მასაჟი საკუთარი მალამოებით. თუ ისარგებლებთ, დარწმუნდებით. იოსებიძის 66. II სად. VIII სართ. ბ. 46. ტ: 37-74-22 მანანა

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია: 1 სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, IX კორპ, VI სად, III სართ, ბინა 109. ტ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

„ფესვები"! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – $200. მის: გაგარინის ქ. №10, მე-2 სად, ბინა №17. ტელ: 37-77-58; 93-19-52; 899 168-168. ნინო ჭელიძე

> ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასალები იაფად). წარბების კორექცია. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნ. ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი", არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტ: 77-86-27

ჭარბთმიანობის სამუდამოდ განკურნება უმოკლეს დროში და უკვალოდ. დაიმახსოვრეთ: არ არსებობს მოურჩენელი თმა და ნებისმიერ შემთხვევაში, პირველივე სეანსზე ემორჩილება მკურნალობას! მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით). გააკეთეთ სწორი არჩევანი და სილამაზე გარანტირებულია! 57-50-49; 899 91-46-36. მარიკა

საერთაშორისო კლასის პარაფსიქოლოგი და ბიოენერგოკორექტორი გთავაზობთ: დიაგონსტიკა, ჯადო-თვალის, წყევლის დაზუსტება-მოხსნა, თილისმები, ოჯახური და მეგობრული უსიამოვნებების დარეგულირება, კარმისა და ბიოველის კორექცია, ასტრალური მოგზაურობები; შიში, ჰალუცინაცია, აკვიატება, დეპრესია, ნევროზი, ალკოჰოლიზმი. მიიღებენ შესწავლის მსურველებიც. მის: ალმაშენებლის №164. II სართ. მე-17 კაბ. ტელ: 66-53-50

შავი ძალების ზეწოლა, გაუმართლებლობა, შიში, აგრესია, აკვიატება, თვითმკვლელობის სურვილი, ალკოჰოლიზმი, დეპრესია, ოჯახური ურთიერთობა, სექსუალური დარღვევა, ბედის გახსნა. შედეგი გარანტირებულია. მის: ალმაშენებლის №164, II სართ. ოთახი №14. 12-16 სთ, გარდა კვირისა. ტელ: 34-29-82

გთავაზობთ სხეულის ნებისმიერი ადგილის კორექციას. ცხიმების სწრაფ დაშლას, ასევე წონაში დაკლებას თვეში 7-დან 20 კგ-მდე, შიმშილის გარეშე; ასევე სიმაღლეში სწრაფ ზრდას, თვეში 3-4 სმ-ით, 2-დან 25 წლამდე. შედეგები გარანტირებულია. ტელ: 95-33-47; 893 90-15-52. კონსულტანტი ნინო

## მკურნალობა

სმენის აღდგენა აპარატისა და ოპერაციის გარეშე. ასაკს მნიშვნელობა არა აქვს. ვმკურნალობ სხვადასხვა დაავადებებსაც. მის: ალმაშენებლის გამზ. № 115 (ეზოს ბოლოში), კაბ. № 77. ლევან სეხნიაშვილი. მიღება 9-14 სთ. ტელ: 95-83-54; 25-11-46; 53-44-39; 899-97-85-46

გეძლევათ უნიკალური შესაძლებლობა, სწრაფად და უმტკივნეულოდ დადგინდეს მთელი ორგანიზმის ფუნქციური დარღვევები. სამედიცინო ცენტრი „ლაზერი". ბახტრიონის ქ. №18. ტელ: 91-18-33; 893 321-307; 22-37-89 (საღამოს)

ოსტეოქონდროზის, ნევროზის, პერიფერიული ნერვების დაავადებების მკურნალობა ლაზერით, მაღალი შედეგით. სამედიცინო ცენტრი „ლაზერი". ბახტრიონის №18. ტელ: 91-18-33

მხოლოდ ჩვენთან! მეჭეჭების, პაპილომების, კონდილომების, ხალების, ლაქების, სვირინგების, ნაწიბურების და სხვა წარმონაქმნების მოცილება; ეროზიების, ლეიკოპლაკიის მკურნალობა უახლესი $CO_2$ ლაზერით. მხოლოდ ერთი სეანსი! მაღალი კოსმეტიკური ეფექტი! მის: ბახტრიონის ქ. №18. სამკურნალო ცენტრი „ლაზერი". ტელ: 877 468-253; 91-18-33; 877 41-50-30

უცხოური უახლესი მეთოდებით, უცხოური აპარატურით, ტრენაჟორებით და ჩინური ნემსებით, ყველა ასაკში სწრაფი შედეგებით – სრული გარანტიით აღვადგენთ ხმისა და მეტყველების დარღვევებს – ენაბორძიკობას, ლოგონევროზს, ნევროზს, ფსიქოლოგიურ აშლილობებს, ენჩლუნგობას (თლიფინებს), პარეზებს, დცპ-ს – თბილისში – მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, მეტყველების ცენტრში კვალიფიცირებული ექიმი-ლოგოპედი, თსუ-ის ფსიქოლოგიის კათედრის ასპირანტი ქნი ინა კობახიძე. მიღება წინასწარი ჩაწერით: 899 55-05-75

ალერგენების დიაგნოსტიკა და ალერგიის მკურნალობა, მეტყველების დარღვევების (ენაბლუობა-ლოგონევროზი) მკურნალობა უახლოესი გერმანული აპარატურით ლიცენზირებულ სამედიცინო ცენტრში. მის. ვაჟა-ფშაველას 16, მე-13 სართ. რეზონანსული თერაპიის ცენტრი. ხელმძღვანელი ექიმი ზურაბ ხარაშვილი. 10-15 სთ. ტელ: 899 97-58-77; 39-58-77 (ბინა)

ხალხური მედიცინა – მაქსიმალურად გარანტირებული უსწრაფესი შედეგებით!!! ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის ამოვარდნა), სახსრების დაავადებები (ანთება, მარილების დაგროვება), პოდაგრა. მის: რკინიგზის პოლიკლინიკა (მ. „ნაძალადევთან", ც. დადიანის №87), კაბ. №11, 11-15 სთ. ტ: 61-02-97; 899 57-16-99. ექიმი ალექსიშვილი

ქართული ფლორის მცენარეებით გთავაზობთ ბავშვთა და მოზრდილთა ორგანიზმის კომპლექსურ მკურნალობას (საკუთარი მეთოდით). ასევე ონკოლოგიურ ავადმყოფთა უვნებელ მკურნალობას მცენარეებით. აქვე ტარდება მთლიანი ორგანიზმის უზუსტესი კომპიუტერული დიაგნოსტიკა. ექიმი ტასო ელიზბარაშვილი. ტ: 96-35-92; 94-89-14; 899-74-23-69; 897-58-29-18

## ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია „დაჯი" კომპიუტერი გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტ: 98-44-20; 899 14-03-31

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტთან არსებული ფიზიკა-მათემატიკური სკოლა იწყებს IX-X და XI კლასის მოსწავლეთა მიღებას ქართულ და რუსულ სექტორებზე ა.წ. 20 სექტემბრიდან. სწავლა იწყება 1 ოქტომბერს. ფიზიკის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები გაძლიერებულად ასწავლიან ფიზიკას, მათემატიკას და ინფორმატიკას. სწავლა ფასიანია. დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ: ჭავჭავაძის პრ. №3, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი, ოთახები 138 ან 104. ტელ: 29-08-20, 25-27-49, 23-26-95

საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობების, ფინანსებისა და სამართლის ქართულ-ბრიტანული ინსტიტუტი აცხადებს მიღებას შემდეგ ფაკულტეტებზე: ეკონომიკური, იურიდიული, ჟურნალისტიკა, უცხო ენები, და კომპიუტერული ტექნოლოგიები. წლიური გადასახადი – $150. მის: შარტავას №7 (შრომის სასახლე), მე-15 სართ. ტელ: 38-76-52; 899 57-19-44; 590-590

> თბილისის ეკონომიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტი აცხადებს მიღებას დასწრებული და დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ ფაკულტეტებზე: 1. სამართალმცოდნეობა (იურიდიული); 2. ეკონომიკური; 3. უცხო ენები. უმაღლესდამთავრებულები ჩაირიცხებიან მე-3 კურსზე. ფასი 150 ლარიდან. მის: თოფურიას №12, 128-ე საშ. სკოლა. ტელ: 30-51-30; 32-06-97; 32-82-60

სამკურნალო ცენტრ „ფანასკერტელში" გაიხსნა დამატებითი პროფესიული სწავლების კურსები: 1. საპარიკმახერო საქმე 2. კოსმეტიკა. ასწავლიან წამყვანი სპეციალისტები. კურსებს ხელმძღვანელობს რესპუბლიკის პრემიის ლაურეატი, დოცენტი. მის. ალმაშენებლის 113, შესასვლელი თაღიდან, კაბინეტი 55. ტელ: 95-83-54

ნაძალადევის კულტურის სასახლე აცხადებს მიღებას კოსმეტიკის კურსებზე. შეისწავლება სახის კანის დეფექტები, მალამოები (მკვებავი, დეკორატიული, სამკურნალო), კანის გაწმენდა, მასაჟი, ეპილაცია, რძეები, ლოსიონები, ნიღბები, საპნები და სხვა. გაიცემა სერტიფიკატი. მის. ც. დადიანის №26 (ყოფილი ოქტომბრის). მ. „კავშირის მოედანთან". ტ: 66-53-56; 893-33-09-66

ფირმა „ქართი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე. მასაჟი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი), კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მალამოები), პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი), ვიზაჟი. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. ალმაშენებლის №115, კაბ. №20. ტ: 94-01-82; 95-83-18 (სამსახ.); 96-22-89 (ბინა)

გამოცდილი სპეციალისტი, მეცნიერებათა კანდიდატი, აბიტურიენტებს მოამზადებს ისტორიაში შეღავათიანი პირობებით. ტ. 22-78-56

მაღალკვალიფიციური ლექტორი მოამზადებს აბიტურიენტებს ინგლისურში, ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად. ტელ: 899 53-10-08

ვასწავლი ინგლისურს მოსწავლეებს ნებისმიერი პროგრამით, ინდივიდუალურად და საფუძვლიანად. ტ: 38-97-05; 38-83-54 (მეზობ.)

ინგლისური ენის სპეციალისტი, უმაღლესი სასწავლებლის ლექტორი მოამზადებს სკოლის მოსწავლეებს და აბიტურიენტებს ინგლისურში; მსურველებს შეასწავლის სალაპარაკო ინგლისურს. ფასები შეღავათიანია. შეიძლება ბინაზე მისვლა. ტელ: 79-41-06.

გთავაზობთ ინგლისური და რუსული ენების შესწავლას (ვასწავლიდი უცხოელებს), სპეციფიკური სტილით. ტელ: 64-62-90. იზაბელა

მოვამზადებ ნებისმიერ მსურველს ინგლისურ ენაში. ტელ: 63-20-98

მოვამზადებ მოსწავლეებს ყველა საგანში (ინგლისურის ჩათვლით), მაღალი ნიშნის გარანტიით. ტელ: 77-50-08. ნანა

ივ. ჯავახიშვილის გამოყენებითი მათემატიკის IV კურსის სტუდენტი მოამზადებს მოსწავლეებს მათემატიკაში იაფად. შესაძლებელია ბინაზე მისვლაც. ტელ: 63-60-66; 63-83-84

სახელმწიფო საესტრადო-საცირკო სასწავლებლის გიტარისა და ვოკალის პედაგოგი, საჩუქრაკო კომპოზიტორი, ესტრადის მომღერალი, შეასწავლი გიტარაზე, ფორტეპიანოზე დაკვრას და ჭადრაკს ერთდროულად – ბინაზე მისვლით. ასაკი სასურველია 8 წლის ზემოთ. ტელ: 79-07-72 (დილას და საღამოს); 877 46-54-15

„მი."-ს შოუპროგრამების მოსამზადებელი სტუდია აცხადებს მიღებას შემდეგ წრეებში: 1. თანამედროვე ევროპული და ლათინურამერიკული ცეკვები; 2. ფონოგრამებზე სიმღერების შესწავლა (ესტრადის მომღერალი); 3. გიტარასა და ფორტეპიანოზე დაკვრის შესწავლა. სტუდიას გააჩნია ერთი გამორჩეული უპირატესობა. ტელ: 79-07-72 (დილას და საღამოს); 877 46-54-15

## იყიდება

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართავით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტ: 95-95-22 (15-19სთ); 93-46-74 (20სთ-ის შემდეგ); 899-27-38-99

უმაღლესი ხარისხის შინაური და ტყის ხილისგან დამზადებული: ვაშლის, მარწყვის, ატმის, ჭანჭურის, ქლიავის, მაყვლის, ლელვის, შინდის, ტყემლის, კომშის ჯემები. ტელ: 899 14-28-16; 8 250 7-21-76

## სხვადასხვა

ინდივიდუალური საწარმო – გაკოტრების მმართველის ზვიად გადელიას საჯარო ვაჭრობის (აუქციონის) ჩატარების წესები

დებულება

1. ზოგადი ნაწილი: 1.1. აუქციონის დებულება შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობაში, კერძოდ „სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ" კანონში დამკვიდრებული წესების შესაბამისად, იმ თავისებურებათა გათვალისწინებით, რაც გააჩნია სვაკოტრებო საქმეების წარმოებას; 1.2. დებულების მიზნებისათვის ის უძრავი ნივთები, რომელთა რეალიზაცია ხდება მათი დემონტაჟის მიზნით განიხილება, როგორც მოძრავი ნივთები. 2. აუქციონზე გასატანი ნივთის შეფასება: 2.1. აუქციონზე გასატანი უძრავი ნივთის შეფასება ხდება დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ; 2.2. აუქციონზე გასატანი მოძრავი ნივთი, როგორც წესი ფასდება დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ, თუმცა შესაძლებელია იგი შეფასდეს გაკოტრების მმართველის მიერ ან გატანილ იქნეს აუქციონზე საწყისი საბალანსო ფასით. 3. აუქციონის გამოცხადება: 3.1. აუქციონის გამართვის თარიღზე ეცნობება მოვალეს და გაკოტრების მოსამართლეს; 3.2. განცხადება აუქციონის გამართვის თარიღზე გამოიკვრება სასამართლოს დაფაზე და ქვეყნდება პრესაში; 3.3. განცხადება აუქციონის გამართვის თარიღზე პრესაში უნდა გამოქვეყნდეს სამჯერ, რომელთაგან პირველი გამოქვეყნება უნდა მოხდეს არა უგვიანეს 7 დღისა აუქციონამდე, ხოლო მე-3 არაუგვიანეს 3 დღისა; 3.4. განცხადებაში უნდა იყოს მითითებული აუქციონის გამართვის ადგილი, დრო და გასაყიდად გამოტანილი ქონების ნუსხა, ასევე ადგილი, სადაც შეიძლება აუქციონის შესახებ დეტალური ინფორმაციის მოპოვება. 4. საჯარო ვაჭრობის წესი: 4.1. აუქციონზე თითოეულ ნივთზე ვაჭრობის დაწყებას ცხადდება ნივთის საწყისი ფასი; 4.2. აუქციონის ყველა მონაწილეს უფლება აქვს განაცხადოს მისთვის მისაღები თანხა. ვაჭრობა გრძელდება მაქსიმალური ფასის შეთავაზებამდე; 4.3. საბოლოო შეთავაზების ფასი უნდა გამოცხადდეს სამჯერ და ხმამაღლა, რის შემდეგაც ნივთი ითვლება გაყიდულად; 4.4. თუ აუქციონზე არავინ აღმოჩნდა მოძრავი ნივთის საწყისი ფასის გადახდის მსურველი, შესაძლებელია, მისი ფასის 50%-ით შემცირება. განმეორებითი აუქციონის შემთხვევაშია მოძრავი ნივთი შესაძლებელია გაიყიდოს ნებისმიერი შეთავაზების ფასად; 4.5. უძრავი ნივთები შესაძლებელია გაიყიდოს აუქციონზე არანაკლებ ღირებულების 70%-ისა, განმეორებით აუქციონზე კი 50%-ისა. თუ უძრავი ნივთი მეორე აუქციონზეც არ გაიყიდა, მესამე აუქციონზე მისი გაყიდვა ხდება ნებისმიერ შეთავაზების ფასში. 5. ანგარიშსწორება; 5.1. აუქციონის დღეს მყიდველმა უნდა გადაიხადოს ნივთის ფასის არანაკლებ 30%; 5.2. ნივთის სრული ღირებულება უნდა დაიფაროს აუქციონიდან არაუგვიანეს 7 დღისა; 5.3. თუ მყიდველი არ დაფარავს ნივთის საფასურს სრულად 7 დღის განმავლობაში, იგი კარგავს როგორც საკუთრების უფლებას ნივთზე, ასევე ნაწილობრივ გადახდილ თანხას.


# სიახლე!

*თბილისში იხსნება თანამედროვე ქართულ-გერმანული უმსხვილესი სავაჭრო ცენტრი*

კომპანია სამუშაოდ იწვევს 35 წლამდე ასაკის მოქალაქეებს შემდეგ თანამდებობაზე:

- კომერციული დირექტორი
- საქონელმცოდნე
- ოფის-მენეჯერი
- სავაჭრო დარბაზის მენეჯერი
- კონსულტანტ-გამყიდველი
- პროგრამისტი
- ოპერატორი
- სამეურნეო განყოფილების უფროსი

*ძირითადი მოთხოვნები:*

- უმაღლესი ეკონომიკური განათლება და უცხო ენის ცოდნა (ინგლისური, გერმანული, რუსული);
- კომპიუტერულ-საოფისე პროგრამების ცოდნა;
- ანალიტიკური და ორგანიზაციული უნარ-ჩვევები;
- კომუნიკაბელურობა;
- პროფილით მუშაობის ორწლიანი გამოცდილება.

*აგრეთვე კომპანიას ესაჭიროება:*

- დაცვის თანამშრომელი
- მზარეული
- მექანიკოსი
- ელექტრიკოსი
- მძღოლი
- ყასაბი
- მუშა
- დამლაგებელი

პროფილით მუშაობის არანაკლებ ორწლიანი გამოცდილებით.

კონკურსში მონაწილეობისთვის მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ჭავჭავაძის გამზ. 9ა, ბ. 7

☎ 91 24 00





თბილისის პირველი საშუალო სკოლის 1958 სასწავლო წლის გამოშვების ($IX^4$ კლასის) კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ბესიკ (ბესო) ჭურაძე**

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

## ლილი ყიფშიძის გახსენება



ჩვენო საყვარელო ლილი! 40 დღე გავიდა უშენოდ, პირველი სექტემბერიც უფერულად დავიწყეთ, საოცარი მონატრება გვეუფლება, ძნელია, ლილი, შენი ღიმილის, შენი სითბოს გარეშე.

ყველას გვემახსოვრები შენი საოცრად თბილი ურთიერთობებით, პროფესიული დონით, შინაგანი კულტურით, რომელიც კიდევ უფრო ამაღლებულს ხდიდა შენს პიროვნებას.

პედაგოგიურმა კოლექტივმა დაკარგა დიდბუნებოვანი ადამიანი, მოძღვარი, რომელიც ლამპრად ენთო მომავალ თაობას.

ნათელში ამყოფოს უფალმა შენი ლამაზი სული.

*ქ. თბილისის მე-14 საშუალო სკოლის პედკოლექტივი*

## გენადი ბერიძის მონატრება



უკვე ორი, ტკივილიანი და დარდით სავსე წელი გავიდა, ჩვენო საყვარელო გენადი, შენი მოულოდნელი და თავზარდამცემი სიკვდილიდან.

17 სექტემბერს 36 წლის ხდები, გენადი, ჩვენო ლამაზო, თბილო და უსაყვარლესო, სიკეთით სავსე ბიჭო, როგორ გვენატრება შენი თბილი, ალერსიანი ღიმილი: ძალიან დაგვაკლდი ყველას, ყველგან შენ დაგეძებთ, ჩვენო ტკბილო და საყვარელო გენკა, შენი აზრიანი და ენერგიით სავსე ცხოვრება შენი უსაყვარლესი შვილების – გიორგისა და ქეთის სიყვარულში გაგრძელდება. უშენობა უსაშველო ტკივილია, ჩვენო გენკა, ტკივილი, რომელსაც დრო ვერ განკურნავს.

დაე, ჩვენმა უსაზღვრო სიყვარულმა გაგინათოს იმქვეყნიური სასუფევლის გზა.

*დებისა და ოჯახისგან*

## კოტე ლატარიას გახსენება



ჩვენო კოტე, ათმა წელიწადმა ათი დღესავით ჩაიქროლა, ახალ საუკუნეშიც შევდგით ფეხი, სამწუხაროდ უშენოდ. მოკრძალებული, პატიოსანი ვაჟკაცი იყავ და ასევე მოკრძალებულად მიაბარე სული უფალს, აფხაზეთში, ბრძოლის ხაზზე. თუმცა სამშობლომ, როგორც გმირი, ისე ჩაგიკრა გულში. სიყვარულით და იმედით სავსე გული მიიტანე სამსხვერპლოზე, ამ სიყვარულით და იმედით ვიტანთ ამ დაკარგვას შენი ოჯახი და ახლობლები.

გვჯერა, შენი დაღვრილი სისხლი უკვალოდ არ დაიკარგება, თუნდაც იმიტომ, რომ შენსავით სუფთა და კეთილშობილი ორი ვაჟკაცი – დესმანი და ანატოლი გეზრდება საქართველოს სადიდებლად.

ჩვენო კოტე, ძნელია უშენობა, ძნელია დაკარგული მიწაწყალი, ძნელია შენი მოხუცი მშობლებისთვის, ოჯახისა და ახლობლებისთვის. გვჯერა, ზეციური საქართველოდან დაგვყურებს შენი სათნო და ღიმილიანი სახე. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილშობილი სული.

*შენი ოჯახი და ახლობლები*

## ივანე (ვანო) ლაცაბიძის მონატრება



21 სექტემბერი შენი დაბადების დღეა, ჩემო ლამაზო და ჭკვიანო შვილო. 30 წლის ვაჟკაცო, სიცოცხლით და ცოლ-შვილის სიყვარულით დაუმტკბარო. მერვე წელია უშენოდ ვიტანჯებით. უფალს პატიება მინდა ვთხოვო, რადგან ყოველი ღვთისმშობლობა ჩვენთვის დამძიმებული და ცრემლიანია. მადლობა უფალს, რომ ამ მძიმე ხვედრს გვიმსუბუქებს შენი ლამაზი ცოლ-შვილი. ნათია უკვე მეორე კლასის მოსწავლეა, უსაზღვროდ უყვარს ის ადამიანები, ვინც შენ გიყვარდა, მისი ერთი გარბენა იმ ეზოში, სადაც შენ გაიზარდე, შენს თავს მიცოცხლებს, შვილო. უშენოდ ჩემი და მამაშენის სიცოცხლე სატანჯველი და გაუსაძლისია. მინდა, სულ გელაპარაკო, ვილაპარაკო შენს ლამაზ და საამაყო თვისებებზე, რომლითაც თავი შეაყვარე ყველას და მოურჩენელი ტკივილი გახდი. გვაპატიე, შვილო, რომ უშენოდ ვცოცხლობთ. ცრემლებით გისველებ საფლავს, ბედმა სიხარულის ნაცვლად მწუხარების ცრემლი მარგუნა, ვიდრე ვიცოცხლებ ცრემლი არ მოაკლდება შენს სურათებს და საფლავს. ვაი, რომ შენც არ დაგყვა იღბალი, შვილო. რა შეგვიძლია? – ღვთის ნებაა ყველაფერი. ღმერთმა დაგილოცოს მოსიყვარულე ცოლ-შვილი და ის ადამიანები, ვინც შენს სახელზე აანთებს სანთელს, შენ კი ამ სანთლებმა გაგინათოს ღვთის მიერ დამკვიდრებული სასუფეველი.

*შენი ტანჯული დედა და მამა*

## ვახო გოჯიაშვილის მონატრება



დაბადების დღეს გილოცავთ, შვილო ვახო, ცრემლითა და დიდი მონატრებით.

შვილო, 35 წლის გახდებოდი 20 სექტემბერს. შენ მაგივრად, შენი სურათიდან გვიცქერის სიცოცხლით ანთებული თვალები და სიკეთის მფრქვეველი ღვთიური ღიმილი. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ვილოცოთ შენი ლამაზი სულისთვის.

*შენი ოჯახი*

## ნაირა სვანაძის მონატრება



ჩვენო ერთგულო და კეთილო ბავშვობის მეგობარო! ჩვენი გაუნელებელი ტკივილია ამ ქვეყნიდან შენი მოულოდნელი წასვლა. გავიდა თვალცრემლიანი ორმოცი დღე. გული უშენობის განცდით გვაქვს დამძიმებული.

ჩვენს სამეგობროში შენ, პირველმა სტუდენტობის პერიოდში განიცადე ახალგაზრდა მშობლების და უსაყვარლესი ერთადერთი ძმის დაკარგვის მწუხარება და უსაშველო სევდა. განგების ნებით მალე შენი ცხოვრება ბედნიერებით შეიცვალა. შენი უშრეტი ენერგიის წყალობით შექმენი ბრწყინვალე დიდი ოჯახი. უსაზღვრო სითბოსა და სიყვარულს უნაწილებდი ყველას, უშურველად ზრუნავდი ახლობლების კეთილდღეობისათვის.

მადლიერნი ვართ შენი, რომ ბევრი კარგი მოსაგონარი დაგვიტოვე. შენი თაოსნობით სკოლის დამთავრების 50 წლისთავის აღნიშვნასაც ვაპირებდით. ახლა უშენობა უსაშველოდ გაგვიჭირდება. სიცოცხლის ბოლომდე ჩვენი ფიქრებისა და მოგონებების თანამგზავრი იქნები. ბავშვობის ასაკში მოსული სიყვარული ყველაზე ალალი და მყარია. ამიტომაც ძალიან გვიყვარდი, გვიყვარხარ და გვეყვარები. შენს მეგობრებს გვაკლიხარ და გვენატრები.

უფალს შევთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*თანაკლასელი მეგობრები*

## ვასიკო ხატიაშვილის ხსოვნას!



ისევ უშენოდ, ისევ ცრემლები, წარსულის მოგონებებით გადავიხდით შენს დაბადების დღეს, ვასიკო. რა მწარე და დაუნდობელი ყოფილა ცხოვრება, ასე რომ გამწირა, მაგრამ მჯერა, რომ ღმერთი სულ არ გამწირავს, მალე შეგვახვედრებს ერთმანეთს. შენი სიყვარული დღესაც ძლიერია. დარჩენილ გზას ლევანი და ლუკა გააგრძელებენ – შენი შვილები. ილოცე მათთვის. მე კი მუდამ აგინთებ სანთლებს, რომელსაც ჩემი ცრემლები დაასველებს.

*შენი ირმა*

## ვასიკოს ხსოვნას!

დაბადების დღეს გილოცავთ, ჩემო საყვარელო დისშვილო, ჩემო ვასიკო. მინდა მოგეფერო, გულში ჩაგიხუტო, ძალიან გაგვიჭირდა უშენობა: პაატას, მაიას, გიორგის, ყველას გვაკლიხარ და გვენატრები. 16 სექტემბერია. ამ დღეს გილოცავთ. ვანთებთ უამრავ სანთელს. ღმერთს ვავედრებთ შენს სპეტაკ სულს, რომ მოგანიჭოს ზეციური სასუფეველი და ნათელში ამყოფოს შენი სული.

*შენი დატანჯული დეიდა ციური*

## ვასიკო ხატიაშვილის ხსოვნას!



სამი წელი გავიდა, რაც შენმა ლამაზმა სულმა მარადისობაში დაიმკვიდრა ადგილი, ჩემო სიცოცხლევ. ნაადრევად წამიხვედი, სულში კი უდიდესი ტკივილი, მწუხარება, ცრემლი დამიტოვე, რომელიც გაუსაძლისია. 16 სექტემბერია... გილოცავთ ამ დღეს. შენ უკვე 37 წლის გახდი, შვილო. ჩემო სიცოცხლევ, ყველანი ერთად ავალთ შენს საფლავზე შენს მეგობრებთან ერთად, დავანთებთ უამრავ სანთელს, ღმერთს შევთხოვთ შენს სულს, ნათელში გვიმყოფოს. მელოდე, სულ მალე მოვა შენი დედა.

## ოთარ გოგატიშვილის მონატრება



გავიდა ორმოცი ტკივილიანი დღე. უსაშველო მონატრების განცდით ვეფერებით შენს სურათებს და ცრემლების ზღვაში ვიძირებით. ძნელია იმის წარმოდგენა, რომ აღარასოდეს შემოაღებ კარს ხმაურით და არ იტყვი: „კედლებმაც უნდა იგრძნოს ჩემი მოსვლაო“.

ოთიკო, შენ ისეთი ტკივილი ხარ, ვერაფრით ვინუგეშებთ თავს, ვერც გამწარებულ მშობლებს და შენს ხათუნას ვერ ვუმსუბუქებთ სასოწარკვეთილებამდე მისულ მწუხარებას – ეს შეუძლებელია. რა ვქნათ, ჩემო ოთო. ასეთი ყოფილა ჩვენი ბედი, შენს მონატრებაში უნდა გავლიოთ დარჩენილი წუთისოფელი, სანამ ვიცოცხლებთ, სანთელ-საკმეველი არ მოაკლდება შენს ვაჟკაცურ სულს, შენს საფლავს კი ცრემლი და ყვავილები.

*ნატო ახობაძე ოჯახით*

## გულიკო, ვალიკო, ლილი სილაგავების და იროდი ჩოჩიას გახსენება

საყვარელო დედა, 40 დღე გავიდა მას მერე, რაც ჩვენგან წახვედი. სიყვარულით გიხსენებენ შვილიშვილები. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული, შენს ქმარშვილთან ერთად.

*ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ, ჩემი გული იწვის, დნება,*
*სულ სევდიანი დავდივარ, გულში დარდი არ მშორდება.*
*ჩემი და მოულოდნელად მის შვილთან ერთად მომიკვდა,*
*ჩემი ძმაც უცბად მას მიჰყვა, სიმწარე კვლავ გამიგრძელდა,*
*ჩემი მეუღლეც აქედან სულ ნაადრევად წავიდა,*
*დაწყებით სკოლის ბავშვები ხელში მე შემრჩა საზრდელად.*
*თქვენს საფლავთან როცა მივალ, უცბად წნევა ამიწევს*
*თქვენს ცივ სურათს ვეფერები, გული ძგერას, დამიწყებს.*
*ხუთივე დამარხულები ერთ ადგილას რომ იყოთ,*
*ყველას ერთად დაგინახავთ, იქნებ გული გამისკდეს.*
*მესამე შვილის სიკვდილი ვერ გადიტანა დედამაც,*
*3 თვეში დედაც მომიკვდა, მე ვის რა ვუთხრა ან რა ვქნა?!*
*ასეთი დროის შემყურემ როგორ ვიცხოვრო თქვენს მერე?!*
*შვილებსა რომ გადავხედავ, გულს გავიქარვებ ცოტას მე.*
*მარტო ვარ, სულ თქვენზე ვფიქრობ, რამ გამაჩინა ქვეყნად მე.*

## ზაურ მაისურაძის გახსენება



ცრემლებით სავსე ორმოცი დღე მიილია უშენოდ, უტა. გვენატრები უსაზღვროდ, დაგეძებთ, მაგრამ ამაოდ.

ახლაც ვერ გავრკვეულვართ, როგორ მოხდა ეს ყველაფერი, ჩვენო კეთილო, ჩვენო ლამაზო და ჩვენო ამაყო მამა. მართლაც რომ ამაყი, იმდენად ამაყი იყავი, რომ სიბერეც არ გაიკარე შენს სიახლოვეს და 37 წლის ასაკში დაგვტოვე შენი ცოლ-შვილი და თან გაიყოლე უამრავი აუხდენელი ოცნება. უფალმა შენი დაბადებაც და გარდაცვალებაც აგვისტოში ინება.

ვერ წარმოგვიდგენია უშენობა. ყველას ძალიან უმძიმს – შენს დედ-მამას, შენს ბებიას, შენს ძმებს, შენს მეუღლეს და შვილებს, მაგრამ მაინც ბედნიერები ვართ, რომ ჩვენს ცხოვრებაში იყო წლები შენი სითბოთი და იმ სიკეთით სავსე, ყველასადმი რომ იჩენდი განურჩევლად.

შენ ხომ კარგად იცოდი დიდი ილიას სიტყვები: ადამიანს ორი სახელი უნდა ჰქონდესო – ერთი თან წასაღები, და მეორე აქ დასატოვი. და მართლაც შენი ერთი სახელი თან მიგაქვს, მეორე სახელი კი ისეთი დაგვიტოვე, რომ თამამად ივლიან შენი შვილები იმ სახელით.

შენ აღარა ხარ ჩვენთან, ზაო, მაგრამ შენი სიცოცხლე გრძელდება, ძვირფასო, გრძელდება ნინოში, თამარში და თორნიკეში. ისინი არასოდეს შეარცხვენენ შენს უკვდავ სახელს. შენი ფრთამოტეხილი მეუღლე ლელა, ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ შვილებს მამის სითბო არ მოაკლდეს, მაგრამ მათი ბედნიერების კალთას ყოველთვის უმამობა ჩამოქაჩავს.

ძალიან გვიყვარხარ, უტა, ძალიან გვაკლიხარ და უსაზღვროდ გვენატრები. უფალს შევთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული, ჩვენო მოურჩენელო სევდავ და ტკივილო.

*შენი ოჯახი*

## თამარ გეგეშიძე-ლატარიას გახსენება



ფოთოლცვენა იწყებოდა, ხეს მხოლოდ ერთი ლამაზად გადაოქროებული ფოთოლი მოსწყვეტოდა და შენი სანუკვარი ცხოვრებაც ლამაზად ნაქარგი – დასრულდა. ვინ იცის, რამდენი ადამიანი, რამდენი შენ მიერ აღზრდილი ბავშვი თვალცრემლიანი შესცქეროდა შენს მოულოდნელ გარდაცვალებას.

შენი ცხოვრებაც, ძვირფასო თამარ, მუდამ ტვირთის მზიდავი იყო, რადგანაც ძნელი არ არის ჭეშმარიტი პედაგოგის სახელს ატარებდე, მაგრამ შენ მხოლოდ პედაგოგი?! – დეპუტატიც ხომ იყავი.

ორი წელი გავიდა, თითქოს გუშინ იყოო ყველაფერი, თითქოს გუშინ იყო, პედაგოგიურ საბჭოზე შენ, როგორც სახალხო განათლების წარჩინებულს რომ გადმოგცეს სამკერდე ნიშანი. თითქოს მგონია, ეს ყველაფერი ლანდად ქცეულა, ჩვენ რაღა დაგვრჩენია... მუდამ სასუფეველში იყოს შენი წმინდა სული და ღმერთი გფარავდეს აწ და მარადის.

*შენთვის ძვირფასი მეგობრები ხობიდან*

## მამა კახაბერის (ნათენაძის) გახსენება



1-ელ აგვისტოს, უდიდესი მწუხარება ეწვია ნაძალადევის რაიონში მდებარე წმინდა ბარბარეს სახელობის ტაძარს და მის მრევლს. 35 წლის ასაკში ტრაგიკულად დაიღუპა ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი კახაბერ ნათენაძე.

ექვსი თვისა დაობლებულა. ბავშვობიდანვე ტაძრისკენ მიუწევდა თურმე გული. სასკოლო ჩანთით სასულიერო წიგნებსაც დაატარებდაო. რუდუნებით იღვწოდა წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესიის მშენებლობაზე. მიტოვებული ადგილი წალკოტად აქცია, ახალაშენებული ეკლესია მრევლით აავსო. მრევლს ხომ ანუგეშებდა და ღვთისკენ სავალ გზაზე აყენებდა, იმ ახალგაზრდებსაც მეოხად ედგა, რომლებთან ერთადაც შრომობდა უფლის მსახურებისთვის, ტაძრის გაძლიერებისთვის. არასოდეს უცდია მრევლის „გაცხრილვა“, მორჩილთა დატოვება და „ძნელად აღსაზრდელთა“ გაძევება. პირიქით, ვისაც თავისი ცხოვრებით ეკლესიის შინაგანაწესის დაცვა უჭირდა, მას უფრო ეხმარებოდა. არასოდეს უფიქრია საკუთარ აღზევებაზე. მრევლსაც ძალიან უყვარდა. თუ რომელიმე რაიმეს ისე არ გააკეთებდა, მამა კახაბერს რომ არ მოეწონებოდა, ერთმანეთს აფრთხილებდნენ, მამაომ არ გაიგოსო და შეცდომის გამოსწორებას ცდილობდნენ... მამა კახაბერის მოწაფეები ახლაც მისი თვალებით უყურებენ ცხოვრებას. ერთმანეთს ეკითხებიან ამა თუ იმ საქციელზე, ჩვენი წინამძღვარი რას იტყოდაო. მათთვის დაუბარებია, ნიკუშა კაცად გამიზარდეთო... მისი ამბიონზე გამოჩენა დღესასწაული იყო. როგორ შეძლო ყველასთვის ნუგეში ეცა, მოსიყვარულებოდა, დაერიგებინა, სწორი გზის პოვნაში დახმარებოდა. როგორ იტევდა ამდენ სიყვარულს. მისი ტკბილი „გაიხარე“ ახლაც ყურში ჩაგვესმის. ახლა სხვისგან ნათქვამი ეს სიტყვა ისეთ მნიშვნელობას აღარ იძენს. მოგვიტევოს ყველამ, მაგრამ მამა კახაბერი თითქოს ჩვენი ოჯახის წევრი იყო. სხვანაირად შეეთვისა მას მრევლი და ამის მიზეზი მისი დიდსულოვნება გახლდათ. შეგვეძლო შუაღამისას გაგვეღვიძებინა, გვეთქვა, რაც გვაწუხებდა. არც დაიზარებდა, არც შეიმჩნევდა, რომ უდროო დრო იყო. მუდამ მზად იყო ჩვენს დასახმარებლად. მეორე დღეს კი შეხვედრისას უზადო ღიმილით შეგვეგებებოდა, გაგვამხნევებდა. რამდენი რამე გვასწავლა პირადი მაგალითით. არც იუმორი იყო მისთვის უცხო. მისი ყოველი ქადაგება ცხოვრების დიდი გაკვეთილი გახლდათ მრევლისთვის. ახლა კი უმისოდ ყოველი დღის გათენება თითქოს გვაშინებს. რა გველოდება მისგან ნალოლიავებ მრევლს მის მიერ აშენებულ ტაძარში... რა ელოდება მის დაობლებულ დიდ ოჯახს, ახლა რომ მისი სულის სადიდებლად ლოცულობენ – დედა, მეუღლე და ოთხი შვილი: 12 წლის ნინო, 11 წლის გვანცა, 4 წლის ბარბარე და 1,5 წლის ნიკოლოზი...

როგორ უეცრად გაგვიფრინდა ყველას მამა კახაბერის ლამაზი სხეულიდან მისი ლამაზი სული. გოლიათი ბუნებისა ყოფილა, ერთხელ მრევლს ისიც უთხრა, იცით, რა ძალა დგას ჩემს უკანო? ეს ძალა ახლა მამა კახაბერის შვილებს დაიცავს, მის მრევლს დაიცავს. ყველა ვლოცულობთ მისი სულის სასუფეველში დამკვიდრებისთვის. ისიც ვიცით, რომ მამა კახაბერი იქიდანაც ლოცავს თავის ქვეყანას, ოჯახს, მრევლს...

*წმინდა ბარბარეს სახელობის ტაძრის მრევლის სახელით ნუნუ ბუჩუკური*

## დარეჯან არჩვაძის გახსენება



დარეჯან! ორმოცი დღე გავიდა, რაც ჩვენგან წახვედი. სევდიანია ყველა დღე უშენოდ. ულმობელ სენს ებრძოდი შენს ახლობლებთან ერთად. ვერ მოერიე. წახვედი ნატანჯი, განწმენდილი და უფლის შეწევნით – ნაზიარები. ვილოცებთ შენი სულისთვის. ვიცით, შენი სუფთა სული დაეხმარება შენს შვილებს ამქვეყნად.

ნათელში იყავი, ჩვენო ნათელო ქალბატონო.

*შენი და ლილი და ძმა გელა არჩვაძეები*

## თეიმურ შალვას ძე ჩილინდრიშვილის ხსოვნას!



მამა, უკვე წელიწადიც გავიდა, რაც დაგვტოვე, დაგვტოვე ტკივილით, ცრემლით სავსენი, მოულოდნელად, ტრაგიკულად წახვედი... ძალიან გვატკინა გული უშენობამ, სამუდამოდ დაამწუხრა შენი მეუღლე, ჩვენი სათაყვანებელი დედა...

მთელი ოჯახი ვცდილობდ, ერთმანეთს სევდა შევუმსუბუქოთ, მხარში დავუდგეთ, ცრემლი არ ვაჩვენოთ, მაგრამ... მაგრამ მძიმეა უშენობა, ჩვენო კეთილო, ერთგულო, ტკბილო, ოჯახზე გადაგებულო მამიკო... ღმერთმა აცხონოს შენი სული.

*ნინო, ნია და შალვა ჩილინდრიშვილები*

## ნუგზარ ცხოვრებოვის გახსენება



16 სექტემბერი – მეხის გავარდნას ჰგავდა გამაოგნებელი და შემზარავი ელდა – ნუგზარი კუმისის ტბაზე ჩამოვარდაო!

ჯერ კიდევ ვერ მოვსულვარ გონს, ვერ შევეჩვიე იმ აზრს, რომ შენ ჩვენს გვერდით აღარასოდეს იქნები.

გამოუცნობი, უცხო გრძნობებით სავსე წელიწადი გაილია...

რა უნდა დავწერო, ან როგორ უნდა დავწერო, რომ უშენობით გამოწვეული მწუხარება გადმოგცე ან კი რად გინდა ნუგზარ! შენ ხომ იცი, როგორ მიჭირს უშენოდ, ჩვენ ხომ უერთმანეთოდ ერთ დღესაც ვერ ვძლებდით... ახლა კი ვცოცხლობ ისევ შენით, დღე არ გავა, შვილებთან ერთად არ გაგიხსენოთ, არ ვისაუბროთ შენზე.

გვჯერა, რომ სასუფეველში იქნება შენი სპეტაკი სული, ღმერთს ვთხოვთ შეისმინოს ჩვენი ლოცვა-ვედრება და ზიარებით წასულს ამ ქვეყნიდან გაგიბრწყინოს სული ცათა სასუფეველში.

*შენი ოჯახი*

## ზვიად ქანიშვილის მონატრება



შვილო ზვიად! მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო შენი გარდაცვალება. მეგონა, ვერაფერი მოგერეოდა. ორმოცი დღე სრულდება რაც აღარა ხარ. გაუსაძლისია უშენობა, ძალიან მენატრები, ენატრები სანათესავოს, მეგობრებს შენ ხომ ყველასთვის ჭირში და ლხინში ერთგული და უღალატო თანამდგომი იყავი. ცრემლი არ შეგვშრობია ჩემო ერთადერთო სანთელო.

მე მარტოდ დარჩენილ შენს დედას ისღა დამრჩენია ვილოცო შენთვის, აგინთო სანთლები და ღმერთს ვევედრო შენი სულის ნეტარება.

*შენი დაჩაგრული დედა*

## გიორგი (ჟორა) ინალიშვილის გახსენება



ჩვენო საყვარელო ჟორა ბაბუა, მოულოდნელად წახვედი ჩვენგან. თან გაიყოლიე ყველას პატივისცემა და სიყვარული. დაგვიტოვე ძალიან დიდი ტკივილი.

უკვე ერთი წელი გავიდა, რაც ჩვენთან არ ხარ, მაგრამ წუთითაც არ გაგვნელებია მწუხარება. ძალიან გვეცოდები, რომ ვერ მოესწარი შენს სანუკვარ ოცნებას, სოხუმში დაბრუნებას. გჯეროდეს არ დაგივიწყებთ. ტკბილად მოგიგონებთ.

*თამარ და გიორგი ინალიშვილები*

## ლერი კუბლაშვილის გახსენება



14 სექტემბერი შენი დაბადების დღეა, რომელსაც ოჯახი და ნათესავ-მეგობრები ამჯერად უშენოდ, დიდი გულისტკივილით აღვნიშნავთ. სამწუხაროდ, შენ უკვე აღარ ხარ ჩვენთან და ველარ გაიზიარებ იმ სიყვარულს, სითბოს, სიხარულსა და იმ ტრადიციულ სუფრას, რომელიც შენ ასე გიყვარდა. უეცარმა სიკვდილმა წაგვართვა შენი თავი, მაგრამ შენ ყოველთვის იცოცხლებ ჩვენს გულებში და ყველა იმ ადამიანის მეხსიერებაში, ვინც პირადად გიცნობდა. და შენი გაკეთებული კაცური საქმეების შესახებ იცის.

ნათელში ამყოფოს შენი სული უფალმა.

*შენი ოჯახი, მამიდები და მამიდაშვილები*

## ლია და რეზო მილორავების ხსოვნას!





განგებამ ისურვა და დიდი ხნით ერთმანეთს არ დაგაშორათ. ორთავემ გულის დიდი ნაწილი წაიღეთ. იცხოვრეთ ხანმოკლედ, მაგრამ ხალხის უსაზღვრო სიყვარულით და პატივისცემით. ეს რჩეულთა ხვედრია მხოლოდ. ჩვენ ისღა შეგვიძლია, სანთლებით გზა დაგილოცოთ ზეციურ სასუფეველში, სადაც გვწამს, რომ თქვენი სულები ერთმანეთს სიყვარულით მიეგებნენ.

*ბადრი პატარაია*

## კობა ვალიშვილის მოსაგონარი



3 წელი გავიდა, კობა, იმ ავად მოსაგონარი დღიდან. ყველას გული დაგვწყვიტა შენმა უდროო სიკვდილმა. ახლობლები და მეგობრები ცხარე ცრემლით დასტირიან შენს საფლავს. ყველას ძალიან გვენატრები, ძალიან გვაკლიხარ. შენი სითბო დღესაც ახსოვს შენს საფიცარ ძმისშვილებს – თორნიკეს და ლუკას, დღე არ გავა, რომ სიყვარულით და სითბოთი არ მოგიხსენიონ. ცრემლი არ შეშრობია შენი ოჯახის წევრებს. დაგვიტოვე უსაზღვრო სევდა და ტკივილი.

ღმერთმა, ნათელში ამყოფოს შენი სული. ილოცე შენი ახლობლებისთვის, მეგობრებისთვის.

*შენი ოჯახის წევრები*

## კობიაშვილი ზერო (ზურიკო)

13 დაბადების დღე გავიდა ზერო ბიძია, მას შემდეგ, რაც შენ ჩვენ შორის აღარ ხარ. ძალიან გვაკლიხარ ყველაფერში. შენ იყავი ჩვენი გაჭირვების ტალკვესი. ძალიან გვჭირდები.

10 სექტემბერს, შენი დაბადების დღეს, ისევ უშენოდ შევხვდებით შენს საფლავზე, შენი საფიცარი მეუღლე, დისშვილები, მათი შვილები.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული. იქიდან, ისევ ისე ილოცე ჩვენთვის, როგორც შენს სიცოცხლეში ლოცულობდი ჩვენზე.

*მაია და ნანა*

# სამი საათით დაკარგული თბილისი



— რა არ გადახდება კაცს თავს, — ამოოხვრით თქვა სანდომიანმა ქალბატონმა და სულის მოსათქმელად ჭადრების ჩრდილში, მწვანე სკამზე ჩემ გვერდით დაჯდა. თანაგრძნობით შევხედე... ტრანსპორტს ველოდებოდი, მაგრამ ისე გამაოცა იმ ქალბატონის ნაამბობმა, სულ გადამავიწყდა, სად მიმეჩქარებოდა და სულგანაბული ვუსმენდი მას.

— მოყოლაც არ მინდა, იტყვიან, დაბერდა და რაღაცას ურევსო, არადა, გული მისკდება, შიშით გარეთ გამოსვლა არ მინდა, მგონია, ისევ დავიკარგები... ამ ქუჩაზე გავზარდე შვილები, აქვე ვასეირნებდი, ორმოც წელზე მეტია, ამ ქუჩაზე ვცხოვრობ, ყველაფერი კარგად ვიცი, სად რა მაღაზია, სად რა ჯიხური დგას. ის კი არა, ყველას ვიცნობ. ერთი თვის წინ ბაზრიდან ვბრუნდებოდი. ჩვეულებრივ, იმ მიკროავტობუსში ჩავჯექი, ჩემს სახლთან რომ გაივლის. გამოვიარეთ წერეთლის გამზირი, რობაქიძის გამზირი... გადმოუხვია მარჯვნივ. არ იფიქროთ, გვიანი იყო, დღის 4 საათი იქნებოდა. ვიცი, უნდა ჩამოვიდე... ვიხედები ფანჯარაში. ვხედავ ნაცნობ სახლებს. მიკროავტობუსი გავაჩერებინე, ჩამოვედი ჩემი ჩანთებით და სიმწრისაგან ცივმა ოფლმა დამასხა. ვიყურები ირგვლივ, ყველაფერი უცხოა, შენობებიც, ქუჩაც... სკვერი საერთოდ აღარ არის. ადამიანები დადიან, როგორ არა... უკაცრიელ ადგილზე არ ვარ, მაგრამ რა ხდება, არ ვიცი. კინაღამ გული წამივიდა. როგორი საქმეა სრულ ჭკუაზე მყოფს დღისით, მზისით ასეთი ამბავი დაგემართოს? კარგი, დავუშვათ, შემეშალა, სხვაგან ჩამოვედი. ბოლოს და ბოლოს, თბილისში დაბადებულმა ქალმა თბილისი ხომ უნდა ვიცნო?! ვერ ვცნობ. დავიწყე ხეტიალი, თან დაძაბული ვაკვირდები ყველაფერს. კიდევ უფრო დამაბნია ლაპარაკმა, რომელიც მესმოდა. ის ხალხი აშკარად ქართულად მეტყველებდა, ზოგიერთი სიტყვა მხვდებოდა ყურში, მაგრამ თითქოს ტონალობა თუ ჟღერადობა იყო სხვანაირი. შინაარსის გარკვევა მიჭირდა. სახლები თითქოს ახალშეღებილი იყო. თეთრი და ღია მწვანე ფერი დამამახსოვრდა. ეს იყო აუტანელი ტანჯვა, მსგავსს არავის ვუსურვებდი. ჩანთები დავაწყვე პირდაპირ ქუჩაში, რაღა აზრი ჰქონდა მათ ტარებას, სანოვაგე რა ჯანდაბად მინდოდა, თბილისი დამეკარგა... ჩემი ქალაქი, რომლის ყველა ქუჩა და უბანი ვიცი, აღარსად იყო.

სიმართლე მითხარით, რას ფიქრობთ, ჩემს ფსიქიკურ სიმრთელეში გეპარებათ ეჭვი, ხომ? — მომიბრუნდა უცებ ქალბატონი, როცა სახეზე წუხილი და გაკვირვება შემატყო, — აი, ამიტომაც არ მინდა არავისთან ამ ამბის მოყოლა, მაგრამ რაკი დავიწყე, დავამთავრებ კიდეც.

გულამოვარდნილი მივეჭერი ერთ ახალგაზრდა კაცს, ეს რა ქუჩაა-მეთქი. გაოცებულმა შემომხედა, რაღაც ჩაილაპარაკა და გზა გააგრძელა. აქეთ ვეცი, იქით ვეცი... ტირილიც მომერია. ვდგავარ გაწეწილი... მერე ისევ მოვიკრიბე ძალა და გზას დავადექი. რა ვიცი, ათასი რამე შენდება თბილისში, იქნებ მაინც შევცდი, რაღაც ვერ ვიცანი, ხომ უნდა გავიდე სადმე, რომელიმე ქუჩას მაინც ხომ ვიცნობ! — ვფიქრობ გულში, თან ვოცნებობ, ახლა რომ თვალებს გავახელდე და ვინმე მეტყოდეს: ქალბატონო, თქვენ გული წაგივიდათ, არ შეგეშინდეთ, ახლა უკვე კარგად ხართო... ოღონდ ვინმე მეტყოდეს, რომ რასაც ვგრძნობ, წარმოსახვაა. არა, რა ფანტაზია, რის წარმოსახვა... არაფერი მსგავსი. დავდიოდი, სრულ გონზე მყოფი და ჯანმრთელი, დავდიოდი და ვერაფერს ვცნობდი...

მერე რა მოხდა, არ ვიცი. ამ წინ და უკან სიარულში სასოწარკვეთილმა უცებ ნაცნობი ხმა გავიგონე. გავიხედე და — ჩემს ქუჩაზე არ ვდგავარ?.. ძლივს ავედი შინ. ჯერ ვიფიქრე, ალბათ ცუდად ვიყავი და აქ დავდიოდი, ოღონდ ვერაფერს ვცნობდი-მეთქი. მეზობლებმა მითხრეს, — აქ ვისხედით მთელი დღე, შენ აქ არ გამოგივლია. მერე, ასე, 7 საათზე უცებ გამოჩნდიო. ის ჩემი ჩანთები ხომ დაიკარგა და დაიკარგა. იმას არც ვდარდობ, მაგრამ ეს რა დამემართა, ეს რა უბედურება შემემთხვა... შინიდან რომ გამოვდივარ, შიშით გული მისკდება, ისევ არ დავიკარგო... ისევ, ეჭვი მღრღნის. რომ ამბობენ, დროში მოგზაურობაო, ნეტავ მომავალში ხომ არ ვიყავი?! მე კი ამებნა თავგზა და...

**— ასეთი ამბავი უნდა დაიწეროს, თუ ნებას დამრთავთ...**

— დაწერთ?! დაწერეთ, რა! იქნებ ვინმე ჩემნაირი გამომეხმაუროს. ის მაინც დამიჯერებს, რომ რასაც ვყვები, სიზმარი არ არის...

**— ფოტო...**

— ფოტოს არ გადაგაღებინებთ, შინ გამიწყრებიან... არ სჯერათ, რომ მართლა სადღაც ვიყავი, რომ მართლა დავკარგე სამი საათით თბილისი...

***გვანცა გუნცაძე***

**ჩვენ გვწერენ**

# გათიშული მანქანით უკუნ სიბნელეში მივქროდი...



შვებულება ოჯახთან ერთად ბათუმში გავატარე. თბილისში დაბრუნებამდე სამი დღით ადრე რაღაც უცნაურ სიზმრებს ვნახულობდი. თითქოს მანქანით ტრასაზე მივდიოდი. უცებ ჩამობნელდებოდა, მანქანაში ელექტროგაყვანილობა ითიშებოდა და რაღაც ძალა საშინელი სისწრაფით მიგვაქროლებდა უკუნში. ჯერ შიშით ვიბნეოდი, თითქოს სისხლი მეყინებოდა ძარღვებში, მერე კი პირჯვარს ვიწერდი და სიბნელეში უცებ ჩნდებოდა საოცარი ნათელი. ვეღარაფერს ვეღარ ვხედავდი, კაშკაშა სინათლის გარდა. ვმშვიდდებოდი და მეღვიძებოდა. ვერ ვძლიე შიშს და წამოსვლის წინ მოძღვარს დავურეკე თბილისში. ნუ გეშინია, ილოცეთო, — მითხრა და უფრო გამიმაგრდა გული. ქობულეთში ახლობელს შევუარეთ. სანამ ვილხენდით, მოსაღამოვდა კიდეც. მანქანაში რომ ჩავჯექი, უცებ მობილური ტელეფონი აწკრიალდა და გაითიშა. დავხედე — ჩემი მოძღვრის ნომერი იყო. დავურეკე, — რა გნებავთ-მეთქი. არაფერი, მე არ დამირეკავს, რამდენიმე საათია, ტელეფონი ხელშიც კი არ ამიღიაო. ამეკვიატა მოძღვრის შეგონება — ნუ გეშინია, ილოცეო. ჩოლოქს რომ გამოვცდით, საშინელი ღრუბელი წამოვიდა. უკუნი ჩამოწვა. მანქანა შევაჩერე. ლოცვანი ამოვიღე და მგზავრობის ლოცვა წავიკითხე მანქანაში მჯდომი ექვსი ადამიანის სახელზე. ბავშვები ლოცვაში ამყვნენ. დავადექი თბილისის გზას უკუნში. ქუთაისში საშინლად გაწვიმდა. მანქანა საშუალო სიჩქარით მიმყავდა. უცებ ამეკვიატა ის საზარელი სიზმარი. შროშას ვუახლოვდებოდით მგონი. ერთბაშად მოცურდა მანქანა, საჭე დროულად დავიჭირე, მაგრამ ელექტრობა გაითიშა... შიშით ყველას ხმა ჩაგვიწყდა. გადავწყვიტე, შემეჩერებინა, მაგრამ ვერაფრით მოვახერხე, მუხრუჭები აღარ მუშაობდა. ცივმა ოფლმა დამასხა. მანქანის სიჩქარე თავისით უცნაურად მატულობდა. მეუღლეს ვთხოვე, იქნებ უკან გადახვიდე და ყველანი ჩაწვეთ-მეთქი. თან იმედი მქონდა, სხვა მანქანების შუქზე „მსუბუქად“ შესაჯახებელ ადგილს შევარჩევდი. რაღაც გორაკივით დავლანდე. ვიფიქრე, შევვარდები და სიმაღლეზე ინერცია რომ შემცირდება, რაღაც გვეშველება-მეთქი. ასეც მოვიქეცი... ვიგრძენი, როგორ შევეჯახე რაღაც რკინის ჯებირს. მანქანა ჩაქრა, უკუსვლით დაბლა დაგორდა და გაჩერდა. მხარზე ხელის შეხებამ და უფროსი ბიჭის კითხვამ — მამიკო, როგორ ხარო, გონზე მომიყვანა. ყველანი კარგად იყვნენ. უცებ ირგვლივ მანქანები გაჩერდნენ. იმათი ფარების შუქზე დავინახე, რომ ჩემი მანქანა იმ გორაკზე შევარდნილიყო, რომელზეც რკინის უზარმაზარი ჯვარია აღმართული. ჯვარს, ცხადია, არა დაჰკლებოდა რა, ჩემი ჯიპი კი „ცხვირშელამაზებული“ იყო. რომ არა ჯვარი, მანქანა გორაკს თავისუფლად გადაევლებოდა და წყალში აღმოვჩნდებოდით.

ასე ამიხდა სიზმარი. სულ მგონია, სამი დღის განმავლობაში რომ მელოცა, არაფერიც არ მოხდებოდა, რომ არ ვილოცე, გულგრილობის გამო დავისაჯე. თუმცა, განსაცდელისგან მაინც ლოცვამ და ჯვარმა მიხსნა.

***ლევან ჩაჩავა***

## „საზალლო–სალაღო“ გვერდის პასუხები

**I. აბა, გამოიცანი:**

1) — ა); 2) — ბ); 3) — დ); 4) — დ); 5) — ბ); 6) — დ); 7) — გ); 8) — დ).

**II.** მე-4

**III.** 1-ლი და მე-6 სახლები.

**IV. რებუსი**

ხარბი კაცის თვალი არ გაძღებაო.

**V.** მერხი.





# უთავო მძღოლი

ინდოეთის ქალაქ აგრაში უცნაური შემთხვევა მოხდა. ექიმებსაც კი ლამის გული შეუღონდათ — საავადმყოფოში მივიდა გასისხლიანებული კაცი, რომელსაც თავი მხრებზე ჩვრით ჰქონდა დამაგრებული. როცა მან ხმის ამოღება დააპირა, სისხლმა იფეთქა და გონება დაკარგა.

თურმე ბალრამს, თავისი სატვირთო მანქანით, ხორბალი მიჰქონდა. ბაზართან გავლისას იგი არმატურას გადააწყდა, მანქანის შეჩერება ვერ მოახერხა. არმატურამ კისერი გადაუჭრა. საბედნიეროდ, მას ცნობიერება არ დაუკარგავს. სწრაფად გაისწორა მოწყვეტილი თავი და მანქანით საავადმყოფომდე მიაღწია.

ოპერაცია 4 საათს გაგრძელდა. 28 წლის მძღოლი გადაარჩინეს და სამი კვირის შემდეგ გამოწერეს. ბალრამი თავს კარგად გრძნობს, თუმცა ხმა დაკარგა. ექიმებს იმედი აქვთ, რომ, გარკვეული პერიოდის შემდეგ ხმაც აღუდგება.

*მირ ნოვოსტეი №33*



# მანქანის გამტაცებელი

გერმანიის პატარა ქალაქ ბოკჰულტში სამი წლის ბიჭუნამ მამას ჯიბიდან მანქანის გასაღები ამოაცალა, მანქანაში ჩაჯდა, დაქოქა და ფეხი გაზის სატერფულს დააჭირა. მანქანა ადგილს მოსწყდა და ათ მეტრში მდგარ მანქანას შეასკდა.

საბედნიეროდ, ბავშვს არაფერი დაშავებია, თუმცა ორივე მანქანა ჯართად იქცა.

ამ უჩვეულო ამბის გაგებისთანავე ბიჭუნას ოჯახში ტელევიზიის გადამღები ჯგუფი მივიდა, რათა შემთხვევის შესახებ მასალა გაეკეთებინათ: ოპერატორმა გადაიღო, როგორ აწაპნა ბავშვმა მამას გასაღები, შემდეგ როგორ მოარგო მანქანას (ოპერატორის) და როგორ დაძრა.

მიუხედავად რეჟისორის ბრძანებისა, „საკმარისიაო“, ძველი ამბავი თავიდან ბოლომდე განმეორდა — ბიჭმა მანქანა გააქროლა და ახლა ტროტუართან მდგარ მეორე მანქანას დაეჯახა...

ბიჭუნა გადარჩა. მანქანა კი სანაგვეზე გადააგდეს.

*ინტერპოლ-ექსპრესი №30*

# იტალიის ეკლესიაში ჩუმად გადაიღეს პორნოფილმი



იტალიელმა ეპისკოპოსმა პაოლო ფერინიმ ხელმეორედ აკურთხა ქალაქ ვიჩენცას ეკლესია. მწყემსთმთავარი მეტისმეტად აღაშფოთა შემაძრწუნებელმა ფაქტმა — თურმე 5 წლის წინ ამ ეკლესიაში ჩუმად გადაიღეს პორნოფილმი!

სასოწარკვეთილმა ეპისკოპოსმა განაცხადა, რომ ამ 5 წლის მანძილზე ეკლესიაში ჩატარებული ყველა ჯვრისწერა და ნათლობა უკანონოდ ითვლება. ეკლესიის პორნოფილმის დეკორაციად გამოყენების თაობაზე ეპისკოპოსს ერთმა მრევლთაგანმა შეატყობინა. მალე გაირკვა, რომ რეჟისორს მღვდლისთვის უთხოვია, ეკლესიაში გადაეღოთ ვითომდა „ჯვრისწერის სცენა“, მასაც ნება დაურთავს. სინამდვილეში კი იქ ამაზრზენი ეპიზოდებია გადაღებული...

*ბი-ბი-სი ნიუსი*

# პამპერსი — გამყიდველებისთვის



არგენტინის პროვინცია მენლორის ერთ-ერთი სუპერმარკეტის მეპატრონე მენდესი ღიზიანდებოდა იმის გამო, რომ მისი თანამშრომლები დროდადრო ტოვებდნენ სავაჭრო დარბაზს. იგი განსაკუთრებით ბრაზობდა მოლარე ქალებზე, როცა სალაროებთან რიგი დგებოდა. სიგარეტის მოწევა სამსახურში მან დიდი ხნის წინ აკრძალა, ახლა ჯერი ტუალეტებზე მიდგა. მეპატრონეს თავში ბრწყინვალე იდეა მოუვიდა — პამპერსი!

ამიერიდან მისი მაღაზიის ყველა თანამშრომელი ვალდებულია პამპერსი ამოიცვას, რათა ტუალეტში სიარულით დრო არ დაკარგოს.

*ვოკრუგ სვეტა*

# ალმოაჩინეს ქრისტეს დროინდელი კოსმეტიკა

ძველად ქალები თავს როგორ და რა საშუალებით ილამაზებდნენ, ზუსტად ცნობილი არ არის. ცნობილია მხოლოდ ანტიკური სილამაზის დედოფლების ზოგიერთი საიდუმლო, ისეთი, როგორიც არის კლეოპატრას რეცეპტი — თაფლგარეული ვირის რძის აბაზანა. ხოლო პომადების, ნელსაცხებლების და სხვა კოსმეტიკური საშუალებების ზუსტი რეცეპტები უცნობია.

და აი, ცოტა ხნის წინ, რომის ცენტრში, არქეოლოგიური გათხრების დროს, ალმოაჩინეს პატარა ყუთი ნელსაცხებლით, რომლის ასაკიც 2000 წელია.

ეს უნიკალური მონაპოვარი ალმოაჩინეს სატაძრო კომპლექსში. პატარა (6 სმX5 სმ) ლითონის ყუთის სახურავსა და შიგთავსზე შერჩენილია იმ ადამიანის თითის ანაბეჭდები, ვინც მას ხმარობდა. მეცნიერთა აზრით, ანაბეჭდები დიდგვაროვან რომაელ მამაკაცს ან ქალს უნდა ეკუთვნოდეს. როცა ყუთს თავსახური ახადეს, იქიდან გოგირდის სუნი ამოვარდა. საცხის შემადგენლობას დაადგენს დეტალური ექსპერტიზა.

*ოტდოხნი*

# ღატაკი მილიონერი

90 წლის ინგლისელი ქოხში ცხოვრობდა, ღარიბულ ძონძებში იყო გახვეული და ელექტროენერგიის დასაზოგად ტელევიზორსაც კი არ რთავდა. მისი სიკვდილის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მან მილიონ-ნახევარი დოლარი უანდერძა ძაღლების დაცვის ფონდს, ხოლო თავის ორ ქალიშვილს ერთი პენსიც კი არ დაუტოვა. შვილები არც მოელოდნენ რაიმეს მიღებას, რადგან არც იცოდნენ, რომ მათი მამა მილიონერი იყო. მოხუცი მუდამ წუწუნებდა და თავადაც ღარიბი შვილები მას შეძლებისდაგვარად ეხმარებოდნენ.

გამოირკვა, რომ ბერიკაცი ჩუმ-ჩუმად ბირჟაზე თამაშობდა და იღბლიანი ბიზნესმენი აღმოჩნდა. არავინ იცის, რატომ დაუტოვა ძაღლების დაცვის ფონდს მოხუცმა ამხელა თანხა. საიდუმლო მილიონერის შვილები არ აპირებენ ანდერძის გასაჩივრებას, რადგან პატივს სცემენ მამის უკანასკნელ სურვილს.

*ნიუ ზუიქი*

# ავსტრიელმა ლა-მანშს გადაუფრინა



ავსტრიელი ფელიქს ბომგარცნერი დედამიწაზე პირველი ადამიანია, რომელმაც ლა-მანშს ჩიტივით გადაუფრინა.

დიდი ხნის ოცნების ასასრულებლად ფელიქსმა გამოიგონა სპეციალური კოსტიუმი, რომელიც ფრენის დროს დელტაპლანად გადაიქცევა. კოსტიუმის შექმნის იდეა ავსტრიელს მიაწოდა დასავლეთში ცნობილმა კომიქსმა „ადამიანი-პლანერი“.

ბომგარცნერი ინგლისის ქალაქ დუვრის თავზე თვითმფრინავიდან 1500 მეტრის სიმაღლიდან გადმოხტა, 20 წუთში დაფარა 35 კმ და დაეშვა საფრანგეთის ქალაქ კალეში.

— მე თავად ვარ თვითმფრინავი, — ბავშვივით გაიხარა ფელიქსმა, როცა საფრანგეთის მიწაზე დაადგა ფეხი, — არ მჭირდება ძრავა, მოძრაობის ენერგია, პროფესიული გამოცდილება. ამ რეკორდისთვის სამი წელი ვემზადებოდი და ოცნება ამისრულდა.

*ექსპრეს-გაზეტა №33*

# ჯიბის ქურდმა სპორტში გადაინაცვლა



ბრაზილიელი ანა-ლუიზა დოს ანიოსი ჯიბის ქურდი იყო. სან-პაულუს გამვლელებს ოსტატურად აცლიდა საფულეებს და ისე სწრაფად გარბოდა, ვერც მოქალაქეები და ვერც პოლიციელები ვერ ეწეოდნენ.

ერთხელ, ქურდი მაღაზიის ვიტრინაში დადგმულ ტელევიზორს უყურებდა და ნახა ფილმი პარიზის 1924 წლის ოლიმპიადის შესახებ. მასზე ამ ფილმმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ თავადაც მოუნდა მორბენალი სპორტსმენი გამხდარიყო და მიეღო მონაწილეობა მოყვარული სპორტსმენების მარათონულ რბოლაში. მისმა კოლეგა-ქურდებმა ანა-ლუიზასთვის მაღაზიებიდან აწაპნეს სპორტული აღჭურვილობა და ცოტაოდენი ფული.

პირველ მარათონზე გამოსვლის შემდეგ, ანა-ლუიზა დაუმეგობრდა დოქტორ კარლოს ედუარდო ნეგრაოს, რომელიც მას წვრთნაში ეხმარებოდა. „ანა-ლუიზას რომ უფრო ადრე დაეწყო ვარჯიში, მისგან მსოფლიო დონის სპორტსმენი დადგებოდა“, — ამბობს დოქტორი.

სან-პაულუში გამართულ ორ მარათონში გამარჯვების შემდეგ ანა-ლუიზათი დაინტერესდა ქალაქის მერი და გოგონას მეურვეობა იკისრა. ამჟამად დღემდე უსახლკარო ნიჭიერი სპორტსმენი ცხოვრობს და ვარჯიშობს ქალაქის ყველაზე პრესტიჟულ სპორტულ კომპლექსში და ოლიმპიადისთვის ემზადება.

*მირორი*

# ყლაპ-ყლაპ...

დიდხანს ვერ მიხვდნენ ამერიკელი ასტრონომები, რა ხდებოდა ტელესკოპ „ჰაბლიზე“. კამერა აჩვენებდა უცნაურ კოსმოსურ მოვლენას: დიდი გალაქტიკის შიგნით სწავლულებმა კიდევ ერთი, მომცრო გალაქტიკა შენიშნეს. მაგრამ ყველაზე დიდი საკვირველება რამდენიმეკვირიანი დაკვირვების შემდეგ გაირკვა. აღმოჩნდა, რომ ვარსკვლავები პატარა გალაქტიკიდან თითქოს დიდში „იღვრებოდნენ“. როგორც იქნა, ასტრონომები მიხვდნენ, რა ხდებოდა — ისინი პირველად ადევნებდნენ თვალს სამყაროში კოსმოსური კანიბალიზმის შემთხვევას.

*ოგონიოკი*

# 103 წლის „ოტელო“

პორტუგალიის ქალაქ კალასში მცხოვრებმა პედრო ვიეირამ სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი მსოფლიო კრიმინალისტიკის ისტორიაში. 103 წლის პედრომ იეჭვიანა თავის 87 წლის ცოლზე, მარტაზე და მოკლა. მოხუცს არ მოეწონა ის ამბავი, რომ მისი საყვარელი მეუღლე ხშირად ესაუბრებოდა მეზობლის 60 წლის მამაკაცს. დიდხანს ითმინა ცოლის „უნამუსობა“ და, ბოლოს და ბოლოს, ასაკოვანმა „ოტელომ“ „დეზდემონა“ დანით აკუწა.

*კრიმინალნაია ხრონიკა №16*

## ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“

**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში რომაელი მთავარსარდლის, სციპიონ აფრიკელის სიტყვებს ამოიკითხავთ.**

| გ | ა | ე | რ | თ | ე | თ | დ | ა | დ | ა | ი | ს | ვ | ე | ნ | ე | თ | ჩ | ვ | ე | ნ | თ | ა | ნ | ე | რ | თ | ა | დ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ა | ი | ლ | პ | ი | ი | უ | ტ | | ფ | გ | | | ლ | ს | ი | ე | | | ე | ა | ო | ი | | ა | რ | ი | ე | ბ | ი |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

**გ.** ქალაქი აფხაზეთში; **ა.** სამხედრო ნადავლი; **ე.** ძველი ბერძენი ტრაგიკოსი; **რ.** აფთიაქში წარსადგენი ექიმის მიერ შედგენილი ბარათი; **თ.** თავის ქალის ზედა ნაწილი; **ე.** ერუდირებული ადამიანი; **თ.** ებრაელთა რელიგიური, საყოფაცხოვრებო და სამართლის წესებისა და კანონების კრებული; **დ.** რა ერქვა გიორგი ბრწყინვალეს მამას; **ა.** ბურთის გადასვლა გვერდით ხაზს იქით ფეხბურთში; **დ.** გემის ან თვითმფრინავის კურსიდან აცდენა; **ა.** ნაპირის ნგრევა-ჩარეცხვა ზღვის ტალღების მოქმედებით; **ი.** უცნობი სიდიდის აღმნიშვნელი ასო მათემატიკაში; **ს.** სუსტი ქარი; **ვ.** ადვოკატი; **ე.** უძველესი ქართული სახელმწიფო; **ნ.** ქართული ხალხური ანტიბიოტიკი; **ე.** მწვავე შეხლა-შემოხლა; **თ.** მიწის დასამუშავებელი იარაღი; **ჩ.** მწვანე ოქრო; **ვ.** თენგიზ აბულაძის ტრილოგიის ერთ-ერთი ფილმი; **ე.** გემის ან თვითმფრინავის მომსახურე პერსონალი; **ნ.** ინგლისელი ფიზიკოსი; **თ.** სპილენძის მაღალყელიანი ჭურჭელი წყლისათვის; **ა.** გერმანული საავტომობილო ფირმა; **ნ.** ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; **ე.** მდინარე დასავლეთ საქართველოში; **რ.** ბრინჯაოს ძველი ქართული სახელწოდება; **თ.** ქართული ფილმი იპოლიტე ხვიჩიას და მედეა ჩახავას მონაწილეობით; **ა.** ჩრდილოეთ ამერიკა — კორდილიერები, სამხრეთ ამერიკა — ?; **დ.** ღვინისა და დროსტარების ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში.

***წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:***

გ. გესტაპო; ა. ადიდასი; ე. ესტრადა; რ. რიყე; თ. თავადი; ე. ეშაფოტი; დ. დასაევი; ა. ალაფი; დ. დოქი; ა. არმანდო; ი. იკებანა; ს. სეზანი; ვ. ვოევოდა; ე. ერმაკი; ნ. ნოელი; ე. ევტერპე; ჩ. ჩხა; ვ. ვადა; ე. ენგური; ნ. ნიაგარა; თ. თემიდა; ა. აბბა; ნ. ნოე; ე. ენდრო; რ. რეალი; თ. თევზები; ა. ათინათი; დ. დრაკონი.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: სიტყვა საქმეზე მეტად გამბედავია.**

# სიყვარულისა და სიკვდილის ამბავი

## მარი ტრენტინიანის დაღუპვამ მთელი საფრანგეთი აალელვა



*ამ ტრაგიკულ აღსასრულზე ბევრჯერ დაიწერა, მაგრამ მოგითხრობთ უფრო დაწვრილებით — მაინც ვინ იყო მარი ტრენტინიანი...*

მარი ტრენტინიანის და ბერტრან კანტას ვარსკვლავური წყვილი „დომინო პლაზაში" სიკვდილამდე ერთი კვირით ადრე დასახლდა... მარი ტრენტინიანი ვილნიუსში ორი თვის წინ ჩავიდა თავის „გუნდთან" ერთად — დედამისი ნადინი, 17 წლის ვაჟი, რომანი და გადამღები ჯგუფი. ნადინი იღებდა ფილმს მწერალი ქალის, კოლეტის ცხოვრებაზე. მთავარი როლი მარის უნდა ეთამაშა. ფილმი ძვირად ღირებული იყო და ეკონომიის მიზნით, მისი გადაღება ვილნიუსში გადაწყდა.

გადაღებები დასასრულს უახლოვდებოდა, როცა მარისთან მისი მეგობარი, საფრანგეთის ერთ-ერთი „მძიმე" როკ-ჯგუფის Nois desir-ის ქარიზმატული ლიდერი ბერტრან კანტა ჩამოვიდა. ბერტრანი ცნობილია არა მარტო როგორც მომღერალი, არამედ როგორც საფრანგეთის ახალგაზრდობის რუპორი. მიუხედავად ასაკისა (39 წლისაა), ის ფრანგი ახალგაზრდა „მემარცხენეების" ლიდერია, ის უარყოფდა გლობალიზაციას, ხმა აიმაღლა არაბების დასაცავად და ისრაელის წინააღმდეგ, ლე პენის დაუძინებელი მტერი იყო, რამაც არჩევნების შემდეგ უდიდესი პოპულარობა მოუტანა — მისი ფირფიტების ტირაჟმა 6 მლნ-ს გადააჭარბა.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ერთ-ერთ ინტერვიუში კანტამ დაასახელა ყველაფერი ის, რასაც ვერ იტანდა. ნუსხაში პირველ რიგში მოხსენიებული იყო სენტიმენტალური ფილმი „ქალი და მამაკაცი", რომელშიც მთავარ როლს მარის მამა, ჟან-ლუი ტრენტინიანი თამაშობდა.

რა საერთო უნდა ჰქონოდათ უბრალო წარმოშობის ექსტრემისტ კანტასა და საფრანგეთის რესპექტაბელური წრის წარმომადგენელს, მარის?

მარი გახლდათ უმდიდრესი ფაბრიკანტის შვილიშვილი (დედის მხრიდან) და საფრანგეთის ერთ-ერთი ცნობილი მსახიობის ქალიშვილი. ცხრა წლის მარი, უმცროსი დის გარდაცვალების შემდეგ, აუტიზმით დაავადდა, საკუთარ თავში ჩაიკეტა, არავის ელაპარაკებოდა და არავის დანახვა არ სურდა. დედამისმა, ცნობილმა რეჟისორმა და სცენარისტმა, რკინის ნებისყოფიანმა ქალმა, შეძლო შვილის ამ მდგომარეობიდან გამოყვანა.

მარიმ ძალიან ადრე დაიწყო დამოუკიდებელი ცხოვრება. ჩვიდმეტი წლიდან მას უკვე ფილმებში იღებენ. 23 წლისამ გაიცნო საფრანგეთის ყველაზე პოპულარული როკ-ჯგუფის, „ტელეფონის" მუსიკოსი რიჩარდ კულინკი. მასთან შეეძინა შვილი — რომანი. ორიოდე წლის შემდეგ მარი ქმარს გაეყარა და სამხრეთ საფრანგეთში დასახლდა.

მარი ტიპური წარმომადგენელი გახლდათ იმ თაობისა, ვინც მშობლების სახელით სარგებლობდა და ცხოვრებაში მათი წყალობით წარმატებასაც მიაღწია.

მასზე მოუშუშებელი იარა დატოვა დის სიკვდილმა და ვერაფრით შეძლო დაეძლია სიკვდილის შიში. ყველაფერი ბნელი და პირქუში იზიდავდა. სხვათა შორის, ყველა რეჟისორი ამ ლამაზ მსახიობს რატომღაც სთავაზობდა ლოთის, ნარკომანის, ქურდის და ნაძირალას განსახიერებას. მისი უკანასკნელი როლი — გამონაკლისი იყო.

როგორც ჩანს, მარი ტრენტინიანს მემკვიდრეობით მამის მოკრძალებული ხასიათი კი არა, დედამისის ბობოქარი და მეამბოხე სული ერგო. ამის შესანიშნავი დასტურია მარის მეგობრობა ნარკომანებთან და როკერებთან, თუმცა მისი ორი უკანასკნელი ქმარი, მსახიობი და დრამატურგი, სრულიად საპირისპირო ბანაკის, ბურჟუაზიის წარმომადგენლები იყვნენ. განსაკუთრებული დახვეწილობით გამოირჩეოდა დრამატურგი და რეჟისორი სამუელ ბენშეტრი, მამამისის უახლოესი მეგობარი. მარი და ჟან-ლუი თამაშობდნენ იმ პიესებში, რომელსაც წერდა და დგამდა ბენშეტრი. ეს ბიზნესი ძალიან მომგებიანი აღმოჩნდა — 72 წლის ტრენტინიანი კვლავ სარგებლობდა ფრანგი მაყურებლის უდიდესი სიყვარულით.

2002 წლის მიწურულს პარიზის ერთ-ერთ კაფეში მარი კანტას შეხვდა...

მარის ქმარმა, როგორც კი გაიგო, რომ მისი ცოლი სხვა მამაკაცს ხვდებოდა, მაშინვე შესთავაზა განქორწინება. ასე დაახლოვდნენ მარი და ბერტრანი, ცეცხლი და ქარიშხალი, დარდი და საშინელება. თითქოს თე-

### შვილის დაკრძალვაზე ჟან-ლუი ტრენტინიანმა თქვა: „ნუ დასტირით მას, ვინც დაკარგეთ, გიხაროდეთ, რომ მას იცნობდით..."



*ბერტრან კანტა — თუ მარი მოკვდება, მეც თავს მოვიკლავ*

ატრალურად ჟღერს. და ვინ იფიქრებდა, რომ ისინი მართლა ითამაშებდნენ როლებს ცხოვრებისეულ სასტიკ მელოდრამაში.

მარის და ბერტრანის ურთიერთობის შესახებ მთელი საფრანგეთი ალაპარაკდა. მათ „ოქროს წყვილი" უწოდეს. მარი 41 წლის იყო, ბერტრანი — 39-ის. სხვათა შორის, მათზე კარგის მეტს პრესა არაფერს წერდა.

ყველაფერი კი მოგვიანებით გაირკვა. მარი ვილნიუსში გადაღებებზე გაემგზავრა, ისინი ორი თვით დაშორდნენ ერთმანეთს. გადაღებების დამთავრებამდე რამდენიმე დღით ადრე კანტაც მარისთან ჩავიდა. ისინი ხუთი დღე იყვნენ ერთად. მარი დილიდან საღამომდე მუშაობდა, კანტა კი სეირნობდა და ერთობოდა. შაბათ საღამოს მათ ერთად დასვენება გადაწყვიტეს.

ოტელის თანამშრომლების თქმით, იმ ღამეს მარი ტრენტინიანის აპარტამენტებიდან საშინელი ხმაური ისმოდა. სართულის მორიგემ რამდენჯერმე დარეკა მის ნომერში, მაგრამ არავინ უპასუხა, შემდეგ კარზეც მიუკაკუნა. კარი გააღო მამაკაცმა, ბოდიში მოიხადა და თქვა, რომ ხმაური აღარ იქნებოდა. მართლაც, ყველაფერი მიწყნარდა.

სართულის მორიგე შეაშინა დილის რვის ნახევარზე მარი ტრენტინიანის ნომრიდან გაგონილმა საშინელმა ყვირილმა. ოთახიდან გამოვარდა მამაკაცი, შველას ითხოვდა და გამწარებული მარის ძმას, ვინსენტს ეძახდა. ნომერში შესულმა მორიგემ დაინახა იატაკზე უგონოდ გაშხლართული მარი. ირგვლივ კი საშინელი ქაოსი იყო. ყველგან ეყარა ძვირფასი ლარნაკების ნამსხვრევები და დალეწილი ავეჯი. მაშინვე გამოიძახეს „სასწრაფო დახმარება" და მარი საავადმყოფოში წაიყვანეს, შემდეგ კი პოლიციაც მოვიდა. კანტას სისხლში აღმოაჩნდა ალკოჰოლისა და ნარკოტიკების უდიდესი დოზა. როგორც ჩანს, მან თავის მოკვლა სცადა.

კანტაც იმავე საავადმყოფოში მიიყვანეს, სადაც მარი სიკვდილს ებრძოდა — მას თავის ქალა ჰქონდა გახეთქილი.

მარის დედა, ნადინი, შვილს არ მოსცილებია, პარიზიდან საუკეთესო ნეიროქირურგი მოიწვია და ჟან-ლუისაც დაურეკა...

პირველი ოპერაცია უშედეგო გამოდგა. კანტას ვილნიუსის პროკურატურამ დროებითი პატიმრობა შეუფარდა. პირველ დაკითხვაზე მან განაცხადა, რომ არაფერი ახსოვს.

მეორე დილით, პარიზიდან, კერძო რეაქტიული თვითმფრინავით მარის მამა, ჟან-ლუი გამოფრინდა, იმავე დროს, შარლ დე გოლის აეროპორტიდან ვილნიუსისაკენ გაფრინდა Nois desir-ის („შავი სურვილი") გუნდი, თავისი შავი პრინცის დასაცავად. ვილნიუსის აეროპორტში ერთმანეთს შეხვდნენ ორივე მხარის წარმომადგენლები. როკ-მუსიკოსები შეეცადნენ ტრენტინიანთან დალაპარაკებას, მაგრამ მსახიობის დაცვამ მათ ამის საშუალება არ მისცა.

პარიზის სასამართლომ კანტას წინააღმდეგ საქმე აღძრა. კანტამ თქვა, — თუ მარი მოკვდება, მეც თავს მოვიკლავო. ტრენტინიანების ოჯახმა კანტა ოფიციალურად დაადანაშაულა წინასწარ განზრახულ მკვლელობაში.

მშობლებს ექიმებმა უთხრეს, რომ მარი განწირული იყო, ამიტომ ის პარიზში გადაიყვანეს, რათა სამშობლოში აღსრულებულიყო.

კანტამ, ადვოკატების საშუალებით, განაცხადა, რომ უარყოფს წინასწარ განზრახვით მკვლელობის ბრალდებას. „ყველაფერი მოხდა სიგიჟის მომენტში. მე და მარი ვსვამდით, შემდეგ კი აღარაფერი მახსოვს".

დასავლეთის პრესა წერდა, რომ ბერტრან კანტა საშინელ მდგომარეობაშია, განუწყვეტლივ ტირის და ამბობს, — ეს უბედური შემთხვევა იყოო.

მარი ტრენტინიანი გარდაიცვალა. საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა ოფიციალურად მიუსამძიმრა მის ოჯახს. მარი ტრენტინიანის გარდაცვალებას ისეთივე გამოხმაურება მოჰყვა, როგორიც თავის დროზე მერილინ მონროს სიკვდილს.

დაჰკითხეს ამ ტრაგედიის მონაწილენი და მხილველნი. მარის ოჯახის აზრით, კანტა სრულ გონებაზე იყო, მარი სასტიკად სცემა, შემდეგ კი ნარკოტიკები მიიღო, რათა უბედური შემთხვევის ილუზია შეექმნა. ექსპერტების დასკვნით, მარი ხუთი საათი იყო უგონოდ. მისი გადარჩენა დროული ჩარევის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა.

კანტას ადვოკატი აცხადებს, ჩხუბი „ამ ისტერიულმა ფურიამ" წამოიწყო. ის სიგიჟემდე ეჭვიანობდა საყვარლის ცოლზე, რომელმაც ქმარს ერთი თვის წინ შვილი გაუჩინა. კანტამ მას მხოლოდ ერთხელ ჰკრა ხელი, ქალი დაეცა და თავი წვეტიან კუთხეს დაარტყაო. მარის ვაჟი კი ამბობს, რომ დედამისი კანტამ გამიზნულად სასტიკად სცემა და შემდეგ მომაკვდავი მიატოვა.

ასეა თუ ისე, მარი ტრენტინიანი აღარ არის და საფრანგეთის ყველაზე წარმატებული როკ-მუსიკოსის კარიერაც დასრულდა.

**ოგონიოკი**

# ბრედ პიტს სიმშვიდე არ ეღირსა



პოპულარულმა ტელემსახიობმა ჯენიფერ ენისტონმა, რომელსაც უფრო იმით იცნობენ, რომ ბრეტ პიტის მეუღლეა, ნიკოლ ქიდმანის „პატივსაცემი" წვეულება გამართა.

თუმცა თვითონ ნიკოლს ამის შესახებ არაფერი გაუგია და არც არავის დაუპატიჟებია. ზეიმის საბაბი ნიკოლის უარმა განაპირობა მთავარ როლზე ფილმში „მისტერ და მისის სმიტები" . მას პარტნიორობა ბრედ პიტისთვის უნდა გაეწია. ბრედმა კონტრაქტს ხელი ჯერ კიდევ გასულ წელს მოაწერა და მას შემდეგ ისედაც ეჭვიანი ჯენიფერის სიცოცხლე ჯოჯოხეთად იქცა. საქმე იქამდე მივიდა, რომ მილიონდოლარიანი სერიალი კინაღამ მიატოვა (დიახ, თითო სერიაში მილიონ დოლარს უხდიან), რათა ქმარი საკუთარი სხეულით დაეცვა მამაკაცების გულთამპყრობელისა და კიდევ ვინ იცის, რისი მტაცებლისგან. ქიდმანმა კი, რომელსაც წლეულს შვიდ ფილმში უწევს მუშაობა, პროდიუსერებს უარი განუცხადა — ამ ფილმში ველარ ვითამაშებო. ნიკოლი მაშინვე შეცვალა კეტრინ ზეტა-ჯონსმა — გათხოვილმა, ორშვილიანმა ქალმა. თუმცა ენისტონს არც ახლა ჰქონია გული საგულეს და ბრედ პიტს ალბათ სიმშვიდე არ ეღირსება — როგორც ამბობენ, კეტრინსა და მის ქმარს, მაიკლ დუგლასს შორის შავ კატას გაურბენია. ასე რომ, ცოლის ეჭვიანობისგან განაწამებ ბრედ პიტს დიდი „სიამოვნება" ელის გადაღებებზე — მეუღლის, ჯენიფერ ენისტონისგან ტელეფონის უამრავი ზარი და მისი უეცარი ვიზიტები იმ „იმედით", იქნებ ქმარი სხვა ქალის მკლავებში ვიხილოო.

# ხანძარს რურკის სახლიც გადაურჩა და ძაღლიც

მიკი რურკი საყიდლებისთვის მაღაზიაში წავიდა და გაზის ქურა ჩართული დარჩა. ქურაზე, უზარმაზარ ქვაბში ქათამი იხარშებოდა. წყალი ჩაშრა, ქათამი ჩაიხრაკა და ღია სარკმლიდან შავი ბოლი გამოვარდა. საბედნიეროდ, ეზოში მეზობლის ქალი ფუსფუსებდა. მან დაინახა კვამლი, მივარდა კართან, რომელიც ღია დახვდა, სახლში შევარდა, ქვაბი ეზოში გადააგდო და ქურა გამორთო.

საშინელ კვამლში ქალმა ძლივს შენიშნა მსახიობის საყვარელი ძაღლი, რომელიც შიშით ბარის ქვეშ შემძვრალიყო და გამონაბოლქვით იგუდებოდა. ქალმა ხელი სტაცა ძაღლს და ხველებ-ხველებით გარეთ გავარდა. შინ დაბრუნებულმა მიკი რურკმა მეზობელს მხურვალე მადლობა მოახსენა.

# დემი მურმა დელფინებიც მოხიბლა



ამას წინათ დემი მური თავის ნორჩ საყვარელთან, ეშტონ კეტჩერთან, ყოფილ ქმართან, ბრიუს უილისთან და სამ ქალიშვილთან ერთად ლას-ვეგასის ოკეანერიუმს ესტუმრა. ვარსკვლავმა თურმე სწორედ იმ აუზში მოინდომა ბანაობა, რომელშიც დელფინები ლაღობდნენ.

დემის დანახვისთანავე ჩვეულებრივ მშვიდი დელფინები საოცრად აღელვებულან და ლამაზ სტუმარს გარს შემორტყმიან. შეშინებულ ახალგამომცხვარ „სირინოზს" სულაც არ მოსწონებია ახალი „თაყვანისმცემლების" ყურადღება. სანამ ქალი ხალხს საშველად უხმობდა და აბეზარ დელფინებს ხელით იგერიებდა, მისი ყოფილი ქმარი და ახლანდელი საყვარელი სიცილით იხოცებოდნენ — დემის განწირული ყვირილი ორივემ სარეკლამო ტრიუკად აღიქვა. ბოლოს და ბოლოს, კინოვარსკვლავს ცურვის ინსტრუქტორი მიეშველა და აუზიდან ამოათრია — რომ არა იგი, დემი მური აუცილებლად დაიხრჩობოდა.




# ალბანური მწარე გაკვეთილები ქართული ფეხბურთისთვის

### ოცნებების სასაფლაო

ალბანეთი ბოლო ხანს ქართული ფეხბურთის ოცნებების სასაფლაოდ იქცა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც თბილისის „დინამოს“ „ტირანამ“ გვარიანი კვანტი დაუდო და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპიდან გამოთიშა, ცხადი იყო, რომ ამ ქვეყნის ნაკრებთან სერიოზული დაპირისპირება მოელოდა ჩვენს ეროვნულ გუნდს. ამას, კაცმა რომ თქვას, არც არავინ უარყოფდა, მით უფრო, რომ ალბანელთა რამდენიმე მყვირალა გამარჯვების შემდეგ — განსაკუთრებით, რუსეთის ნაკრებთან, ამ გუნდს ბევრი სერიოზულ ძალად აღიქვამდა.

მაგრამ გავიდა დრო, საქართველოს ნაკრებმა ექსპერიმენტული სამწვრთნელო კვარტეტის მეთაურობით, თბილისური მატჩის პირველივე ტაიმში მოათავა საქმე. მეორე ტაიმი კი ულიმღამო გამოდგა. ეს იმით ახსნეს, ოთხ დღეში ალბანეთის ნაკრებთან გასვლითი მატჩი გვაქვს და 3:0-ს რომ იგებ, ამ დროს გიჟივით არ უნდა გამოედევნო ბურთსო.

იყო ამ ნათქვამში ლოგიკა, რადგანაც თანამედროვე ფეხბურთში ძალების სათანადო განაწილება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია საბოლოო წარმატების მოპოვებისთვის.

მაგრამ სწორედ მეორე ტაიმი, ამჯერად ტირანაში ნათამაშევი მატჩისა, იქცა ქართული ფეხბურთის ოცნების სასაფლაოდ.

### მატჩის წინ

მატჩის წინ, ევროპის ჩემპიონატის მეათე შესარჩევ ჯგუფში ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ საქართველოს ნაკრებს თავისი არსებობის მანძილზე პირველად შესარჩევი ეტაპის ბოლო შეხვედრებში პერსპექტივა გამოუჩნდა ფინალურ ეტაპზე გასასვლელად. ამისთვის უპირველესად საჭირო იყო ალბანეთის ნაკრების დამარცხება ტირანაში.

შეეძლო თუ არა ჩვენს ნაკრებს ამ ამოცანის შესრულება?

რა თქმა უნდა, შეეძლო, თუნდაც იმიტომ, რომ იმავე „ქემალ სტაფაზე“, სადაც ყველა ნაკრებისთვის ურთულესია თამაში, ჩვენმა გუნდმა რამდენიმე წლის წინ მოიპოვა გამარჯვება. გამარჯვების იმედი ახლაც გვქონდა, მაგრამ ნათქვამია — კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო...

ალბანელებმა ქუდზე კაცს უხმეს. აბა, უშანსოდ დარჩენილი გუნდის საქომაგოდ ვინ გადაყრიდა ფულს, ამიტომაც სტადიონზე უფასო შესვლა გამოაცხადეს და ჩვენს ნაკრებს გერმანელი ბრიგელის გუნდთან ერთად გვარიანი აგრესიული ჯგრო დაახვედრეს. ეს ჯგრო არად დაგიდევდათ, არც სტუმარი ქვეყნის ჰიმნს, არც იმას, რომ დანისა და სხვა ამგვარი საგნების სროლა არ ნიშნავდა საკუთარი ნაკრების გამხნევებას (ისე, თურმე მარტო ჩვენთან არ ისვრიან დანებს ფეხბურთის მოედანზე...).

თამაშის წინ საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ერთგვარად შეთხელდა. ტრავმირებულმა ლადო ბურდულმა ვერ შეძლო ალბანეთში ჩასვლა. თბილისის „დინამოს“ კაპიტანი გიორგი შაშიაშვილი, რომელიც თბილისში ალბანელთა წინააღმდეგ განაცხადში ვერ მოხვდა, ნაკრების ხელმძღვანელობას მოეთათბირა — თუ გადაწყვეტილი არ გაქვთ, რომ ვითამაშო, ალბანეთში ნამყოფი ვარ და სჯობს ისევ თბილისში დავრჩე, ფორმიდან მაინც არ ამოვვარდებიო. ნაკრების ხელმძღვანელობამ შაშიაშვილს დასტური მისცა, თუმცა თამაში, განსაკუთრებით მისი მეორე ტაიმი, ისე წარიმართა, რომ გამოჩნდა დაცვის ხაზში რეზერვების სიმცირე, მით უფრო, რომ საალბანეთო შეკრებაზე ტრავმების გამო ვერ გამოცხადდნენ კახა კალაძე, ოთარ ხიზანეიშვილი და ლევან ცქიტიშვილი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია მცველის პოზიციაზე თამაში.

### მატჩი

მატჩი საქართველოს ნაკრებმა საკმაოდ დამაჯერებლად დაიწყო... ეს იყო ათწუთიანი გამოკვეთილი უპირატესობა, თუმცა, ალბანელთა დაცვამ საქართველოს ნაკრებს არ მისცა საშუალება ეს უპირატესობა გოლად გარდასახულიყო. აქტიურობდა იაშვილი, კარგად ურტყამს ჯარიმას კობიაშვილი. თამაშის შემდეგი პერიოდი ისევ ჩვენი ნაკრების მწვავე შეტევებით აღინიშნა, ერთი სიტყვით, ალბანეთში ნათამაშევი პირველი ტაიმი ძალიან ჰგავდა თბილისში ნათამაშევს, იმ განსხვავებით, რომ ტირანაში მატჩის ამ მონაკვეთში გოლი არ გასულა.

სამწუხაროდ, ასეთივე მსგავსება იყო მეორე ტაიმებს შორის, ოღონდ, იმ განსხვავებით, რომ „ბორის პაიჭაძეზე“ უგოლო მეორე ტაიმისგან განსხვავებით, „ქემალ სტაფაზე“ ერთბაშად ოთხჯერ შეირხა ბადე.

მეორე ტაიმი საქართველოს ნაკრების მცველთა შეცდომებით და ჩვენს კარში ორი გაშვებული ბურთით დაიწყო.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელის, ოთარ გაბელიას განმარტებით, ასეთი უილბლო დასაწყისის მთავარი მიზეზი ის გახლდათ, რომ ნაკრების მცველი, რევაზ ქემოკლიძე დაიმტვრა და ამან სათამაშო სქემა არია. აღსანიშნავია ისიც, რომ ქემოკლიძე კარგად უმკლავდებოდა ალბანელთა ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო ფორვარდს, „ბოლონიაში“ მოთამაშე იგლი ტარეს.

თბილისში გამართულ პრესკონფერენციაზე მერაბ ჟორდანიას ჰკითხეს — ქემოკლიძე რომ არ დამტვრეულიყო, გუნდი თუ შეძლებდა სასურველი შედეგის მიღწევასო. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა განმარტა — არ მინდა მხოლოდ ამ ფაქტს დავაბრალო წაგება, მაგრამ დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი, სხვა მიზეზებთან ერთად, უდავოდ ქემოკლიძის ტრავმაც გახლდათო.



### რატომ დაიღალნენ ქართველი ფეხბურთელები?

საქართველოს ნაკრები შეტევაზე კი გადავიდა, მაგრამ სამწუხაროდ, ამ შეტევებს ქაოსური ხასიათი ჰქონდა და მიუხედავად იმისა, რომ ქართველებმა ერთი ბურთი გაქვითეს, ჩანდა, რომ ალბანელთა დაცვა მეტ გოლს აღარ გაუშვებდა.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელს, **ოთარ გაბელიას** მოვუსმინოთ:

*„ამ მომენტისთვის საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები დაიღალნენ. მიზეზს ვერც მე ავხსნი. ნაკრების ვერც ერთი მწვრთნელი ვერ იზრუნებს ფეხბურთელების ფიზიკური სიძლიერის ამაღლებაზე, ეს თავად ფეხბურთელების საქმეა. სეზონი ახალი დაწყებულია, ყველა წამყვან გუნდებში თამაშობს, ყველამ გაიარა კარგი მოსამზადებელი ეტაპი..“*

და აქ ისევ გვახსენდება ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონზე, საქართველოს ნაკრების მიერ ალბანეთთან ნათამაშევი ულიმღამო მეორე ტაიმი, რომელიც მაშინ ასე აიხსნა — სამბურთიანი უპირატესობის გამო ჩვენმა ფეხბურთელებმა ძალები შეინახესო. ხომ არ ჰგავდა ალბანეთთან ნათამაშევი მეორე ტაიმები ერთმანეთს სწორედ იმით, რომ საქართველოს ნაკრებმა ორივეჯერ ფიზიკური დაღლილობის გამო ვერ ითამაშა შეხვედრის ეს მონაკვეთი?

ამ ფაქტის შესახებ **მერაბ ჟორდანიასაც** ვთხოვეთ აზრის გამოთქმა:

*„მე მომეჩვენა, რომ ალბანეთში მეორე ტაიმში ფეხბურთელები დაიღალნენ. ტირანაში მთელი დღის განმავლობაში წვიმდა, მოედანი დამძიმებული იყო და ასეთ ფონზე უფრო აშკარად გამოჩნდა ფეხბურთელთა ფიზიკური მოუმზადებლობა“.*

... ასეთ დროს რა გასაკვირია, რომ საქართველოს ნაკრებმა თავად გაუშვა ბურთი საკუთარ კარში. თამაში ალბანელებმა მოიგეს 3:1.

### რა მოხდა სათადარიგოთა სკამზე?

„ქემალ სტაფაზე“ მატჩი ქართველ და არა მარტო ქართველ გულშემატკივარს კიდევ ერთი არასასიამოვნო ფაქტით დაამახსოვრდება — საქართველოს ნაკრების სათადარიგოთა სკამზე დიდი გაწევ-გამოწევა შეიქნა. მას შემდეგ, რაც მერაბ ჟორდანიამ შეცვლების ლიმიტი ამოწურა, „ტვენტეს“ ფეხბურთელმა, გოგა გახოკიძემ ჯერ იქ მდგომ წყლის ბოთლს ფეხი ამოარტყა, რითაც გუნდის ხელმძღვანელთა გულისწყრომა გამოიწვია, მერე კი ჟორდანიასთან სიტყვიერი შელაპარაკებისას გასაშველებლად მივარდნილ გუნდის ტექნიკური პერსონალის ერთ-ერთ წევრს უთავაზა სილა. ეს მომენტი საკმაოდ ახლოდან აჩვენა ტელევიზიამ. მსაჯმა გახოკიძეს წითელი ბარათი უჩვენა და გასახდელისკენ მიაბრძანა. თუმცა, მატჩის შემდეგაც გაგრძელდა გასახდელში საქმის გარჩევა.

ინციდენტის მიზეზის გასარკვევად თავად გოგა გახოკიძეს დავუკავშირდით, რომელმაც არ ისურვა ამ თემაზე საუბარი, — ჯერ მაგათ თქვან რა მოხდა და მერე მე ვიტყვიო...

**მერაბ ჟორდანიამ** თბილისში ჩამოსვლისთანავე პრესკონფერენცია გამართა, სადაც თავისი პოზიცია დააფიქსირა ამ ინციდენტთან დაკავშირებით:

*„ამ ამბავს მეტად თავისებური ინტერპრეტირება მიეცა პრესაში. ბევრს აინტერესებს დეტალების დაკონკრეტება, არადა, ყველაზე მთავარია ის, რომ ფეხბურთელმა უღირსი საქციელი ჩაიდინა, რომელიც შეურაცხყოფს არა მარტო ჩვენს ნაკრებს, არამედ გულშემატკივარსაც. ვიტყვი იმას, რომ საქართველოს ნაკრებში მუშაობისას ფეხბურთელებთან არაერთხელ მქონია საუბარი იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს ეროვნული ნაკრების მაისურით მოედანზე გამოსვლა. მეგონა, რომ ყველამ კარგად გააცნობიერა თავისი მოქალაქეობრივი პოზიცია, ყველამ კარგად გაიგო, თუ რა მისია აკისრია ნაკრებში გამოძახებით, ეს უდიდესი პატივი და ამასთანავე, უდიდესი მოვალეობაა. ჩვენმა ფეხბურთელებმა სამწუხაროდ, ეს ვერ გაიცნობიერეს. იმასაც ვიტყვი, რომ ასეთი ცნობიერების გამო არის ის, რომ საქართველოს ნაკრებმა ვერ მოახერხა მიზნის მიღწევა“.*

### გვჭირდება თუ არა ჟორა — ქართული ფეხბურთის ტრანსფორმირებული „სულიკო“?

სანამ საქართველოს ნაკრები ალბანეთში დიდი ბატალიებით ირთობდა თავს, ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი და „უფროსი ძმა“ ასევე მნიშვნელოვან მატჩში ჯგუფის ლიდერს, შვეიცარიის ნაკრებს იღებდა.

ამ მატჩში რუსთა ეროვნული გუნდი ახალმა მწვრთნელმა, გიორგი, იგივე ჟორა იარცევმა გამოიყვანა.

სანაკრებო დებიუტი თუ ასე წარმატებული იქნებოდა, თანაც იმ გუნდთან, რომელმაც მეტად კარგი თამაში აჩვენა გულშემატკივარს, არავინ მოელოდა. მით უფრო, რომ პირველი გოლი სწორედ შვეიცარიელებმა გაიტანეს. პირველი გოლი რომ გაგვეტანა, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდაო, — ხშირად გაგვიგონია ქართველი მწვრთნელებისგან წაგებული თამაშის შემდეგ. აქ კი ჟორამ ისე დამოძღვრა პირველგოლგაშვებული რუსეთი, რომ უკეთესს ვერ ინატრებდა კაცი.

ოთხი საპასუხო გოლი და თანაც, სამი იმ ფეხბურთელისგან, კერძოდ, ბულიკინისგან, რომელსაც არც კი ენდობოდა რუსთა ეროვნული ნაკრების წინა მწვრთნელი ვალერი გაზაევი, მიანიშნებს იმას, რომ ახალ სისხლს — ახალ ფეხბურთელებს ჩვენც თამამად უნდა ვენდოთ.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა შუშაკმა განაცხადა საქართველოს ნაკრებსა და თბილისის „დინამოში“ ერთდროულად მუშაობას ვერ ვახერხებო, რუსულ პრესაში ატყდა ერთი ამბავი — ქართველები მიხვდნენ ერთდროულად ორ სკამზე ჯდომა არ შეიძლებაო, მერე თავადაც გაუშვეს ვალერი გაზაევი, ცსკა-სა და რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი. ქვეყნის სინდისი და ნამუსი კი ჟორას ჩააბარეს, თანაც მაშინ, როცა სამუნდიალოდ იაპონიის ნაკრების მწვრთნელმა ფილიპ ტრუსიემ შემოთვალა — ახლა კატარში ვმუშაობ, მაგრამ თუკი დამიძახებთ, მოსკოვში სიამოვნებით ჩამოვალო.

პასუხი ასეთი იყო: ჩვენს საქმეს ჩვენი ჟორა მიხედავსო. მიხედა კიდეც... არადა, რუსულ ფეხბურთსაც, ქართულის მსგავსად, ალბანური სინდრომი სჭირს...

ეს ამბავი იმიტომ გავიხსენეთ, რომ ჩვენც შეგვეძლო ჩვენი ჟორა — ქართული ფეხბურთის ტრანსფორმირებული „სულიკო“ მოგვეძია და ის მცირე იმედი, რომლის შესახებაც ბევრს საუბრობდნენ ჟორდანია და მისი გუნდი, რეალობად გვექცია, თუნდაც პროფესიონალი მწვრთნელის ხელით. ამისთვის მხოლოდ ორი თამაშის მოგება იყო საჭირო. ერთი ალბანეთში, მეორე კი მოსკოვში... ყველაზე მთავარი ეს მატჩი გახლდათ — ჩვენს ჟორას იმათი ჟორა უნდა დაემარცხებინა საკუთარ ბუნაგში.

### როგორ უნდა მოვიგოთ შესარჩევი ტურნირი...

ნებისმიერი შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვაო, — ხშირად გაგვიგონია ფეხბურთელებისგან. ამისთვის კი პირველ რიგში, საჭიროა ყოველი მატჩისთვის კონკრეტული ამოცანის დასახვა და ამით წარმატების მიღწევა.

ხშირად ვყოფილვარ მომსწრე, როგორი შემართებითა და გულისხმიერებით ამზადებს თბილისის „დინამოს“ ხორვატი მწვრთნელი, ივო შუშაკი თამაშისთვის, არა აქვს მნიშვნელობა ვინაა მეტოქე — წნორის „მილანი“ თუ ზაგრების „დინამო“. ბუნებრივია, ასეთი დამოკიდებულება — წარმატებაზე არა გლობალური ფიქრი, არამედ კონკრეტულ ამოცანაზე მუშაობა არის გამარჯვებების ერთ-ერთი მთავარი პირობა.

ალბანეთის თამაშის შემდეგ შოტლანდიაში, „რეინჯერსის“ ფეხბურთელს, **ზურა ხიზანიშვილს** შევეხმიანეთ. განვლილი შესარჩევი ციკლის შეფასება ვთხოვეთ. ზურამ ასეთი რამ განაცხადა, — ამ ციკლისას ღმერთი ისეთ საჩუქრებს გვიძღვნიდა, გამოყენება რომ უნდოდაო, თავისი პოზიციის გასამაგრებლად კი ასეთი მაგალითები მოიყვანა:

*„ორი წაგების შემდეგ შვეიცარიასთან ფრე რომ ვითამაშეთ თბილისში, მაშინაც კი გამოჩნდა თეორიული შანსი ფინალურ ეტაპზე გასვლისა, რუსეთის ნაკრებთან მოგების შემდეგ ეს შანსი კიდევ უფრო გაიზარდა, ირლანდიაში წავაგეთ და შანსი ისევ დაგვრჩა, შემდეგ ალბანეთთან გავიმარჯვეთ თბილისში, ამან ხომ მთლად რეალობად აქცია მომდევნო ეტაპზე ჩვენი გასვლა, მაგრამ ასეთი დიდი შედეგი მხოლოდ ენთუზიაზმისა და შემართების ხარჯზე არ მიიღწევა. თუ გინდა, რომ წარმატებას მიაღწიო, მწვრთნელს უნდა ენდო, მწვრთნელს, რომელსაც თამამად ჩავაბარებთ რამდენიმე ციკლით ჩვენს ეროვნულ გუნდს. ამბობენ, მწვრთნელმა არ გაგვიმართლა, ერთი წლის განმავლობაში ვერაფერი გააკეთაო, არადა ეს ერთი წელი ფეხბურთში მიზერული დროა, მით უმეტეს, სანაკრებო წარმატებების მისაღწევად“.*

### შტილიკე, საკი, ანტიჩი... ანუ გამოსავალი უცხოელი მწვრთნელი

ახლა გამოსავალი უცხოელი სპეციალისტია. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ერიც და ბერიც. ეს არის ის ერთ-ერთი შემთხვევა, როცა ფეხბურთის ფედერაცია და ქართველი გულშემატკივარიც ერთ აზრზე დგანან. სწორედ ამაზე არის აქცენტი გადატანილი ქართული ფეხბურთის მამების მხრიდან. თუმცა, კონკრეტული სახელები დღემდე გასაიდუმლოებულია. კულუარებში კი სახელდებიან ისეთი აღიარებული სპეციალისტები, როგორებიც არიან შტილიკე, საკი, ანტიჩი...

მერაბ ჟორდანია აცხადებს, კონკრეტულ სახელს ქართული საზოგადოება წლის ბოლოსთვის შეიტყობსო.

ვნახოთ, ვისზე გაკეთდება არჩევანი, ან იქნება თუ არა საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ისეთი აღიარებული სპეციალისტი, როგორიც კულუარებში ნახსენები პიროვნებები არიან.

ნათქვამია — აღდგომა და ხვალეო...

*დასკვნითი ტურის წინ ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევ ჯგუფში სატურნირო მდგომარეობა ასეთია:*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **შვეიცარია** | 7 | 3 | 3 | 1 | 13-11 | 12 |
| **რუსეთი** | 7 | 3 | 2 | 2 | 16-11 | 11 |
| **ირლანდია** | 7 | 3 | 2 | 2 | 10-9 | 11 |
| **ალბანეთი** | 8 | 2 | 2 | 4 | 11-15 | 8 |
| **საქართველო** | 7 | 2 | 1 | 4 | 7-11 | 7 |

# კლოდ სორელმა შემადგენლობა დაასახელა



სულ მალე ავსტრალიაში სტარტს აიღებს მსოფლიო თასის გათამაშების ფინალური ეტაპი რაგბიში, სადაც ქართველი ბორჯღალოსნები იასპარეზებენ.

საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ფრანგმა სპეციალისტმა კლოდ სორელმა ოცდაათკაციანი შემადგენლობიდან დაასახელა ის 27 სპორტსმენი, რომლებიც ავსტრალიაში საქართველოს ნაკრების ღირსებას დაიცავენ:

მორკინალები: ავთანდილ კოპალიანი, ალეკო მარგველაშვილი, სოსო ნიკოლაენკო, დავით დადუნაშვილი, ავქსენტი გიორგაძე, გოდერძი შველიძე, ზურაბ მჭედლიშვილი, ვიქტორ დიდებულიძე, ვანო ნადირაძე, გრიგოლ ლაბაძე, გრეგუარ იაშვილი, გიორგი ჩხაიძე, დავით ბოლღაშვილი, გიორგი წიკლაური, ილია ზედგენიძე.

უკანა ხაზი: ბესიკ ხამაშურიძე, მალხაზ ურჯუკაშვილი, ირაკლი მაჩხანელი, არჩილ ქავთარაშვილი, თედო ზიბზიბაძე, ირაკლი გიორგაძე, ვასილ კაცაძე, გოჩა ხონელიძე, პავლე ჯიმშელაძე, ირაკლი აბუსერიძე, ირაკლი მოდებაძე, მერაბ კვირიკაშვილი.

ავსტრალიაში წამსვლელთა შორის სამწუხაროდ, არ იქნება ბოლო დროის ქართული რაგბის სიმბოლო, საფრანგეთის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის „მონფერანის“ მორაგბე ლევან ცაბაძე, რომელმაც მხარის ოპერაცია გაიკეთა და ამ შეჯიბრისთვის მომჯობინება ვერ მოასწრო.

# ლაბაძე პირველია

კიევში დასრულდა „ჩელენჯერის“ სერიის საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში, რომლის საპრიზო ფონდი 50 ათასი დოლარი გახლდათ.

წარმატებით იასპარეზა ქართველმა ჩოგბურთელმა ირაკლი ლაბაძემ, რომელმაც ფინალში გასვლა შეძლო, სადაც მისი მეტოქე ჩეხი პეტერ კლარელტი იყო.

ფინალური ორთაბრძოლა ქართველმა სპორტსმენმა საკმაოდ დამაჯერებლად მოიგო ორ სეტში — 6:1, 6:2 და კიევის საერთაშორისო ტურნირის მთავარ პრიზს დაეუფლა.

***გვერდი მოამზადა გიგა ხორსელმა***

CMYK

## №36 (362) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 561 მკითხველი გამოეხმაურა. 12 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 190-მა ქალმა და 359-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელია მამაკაცის ყველაზე აუცილებელი და მნიშვნელოვანი აქსესუარი?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, ამ აქსესუართაგან მამაკაცისათვის ყველაზე აუცილებელი და მნიშვნელოვანი ცხვირსახოცია, რესპონდენტთა 28%-მა შეაფასა იგი მაქსიმალური — 9 ქულით. 6,24 საშუალო ქულით „ცხვირსახოცი“ პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზეა „ქამარი“. მკითხველთა 16% თვლის მას ყველაზე აუცილებელ აქსესუარად. „საათი“ მესამე ადგილზეა, საშუალო ქულაა 6,12.

მიუხედავად იმისა, რომ „საფულე“ რეიტინგში მეოთხე ადგილზეა, იგი მაქსიმალურ ქულათა სიმრავლით გამოირჩევა და ამ ნიშნით მეორე ადგილზეა — რესპონდენტთა 22%-მა მიაკუთვნა მას 9 ქულა. ჩვენი მკითხველების აზრით, სანთებელა, ავტოკალამი და მზის სათვალე არცთუ ისე მნიშვნელოვან აქსესუარებს განეკუთვნებიან. მათ შორის „ავტოკალამი“ ისეთი გამონაკლისია, რომელმაც ვერც ერთი მკითხველისაგან ვერ დაიმსახურა მაქსიმალური ქულა. სულ ბოლო ადგილზე კი 2,66 საშუალო ქულით მზის სათვალეა.

საინტერესოა, რას ფიქრობენ მამაკაცის აქსესუარებზე ქალები. მათთან მნიშვნელოვან აქსესუართა პირველი სამეული ასე გამოიყურება: 1. ცხვირსახოცი; 2. ქამარი; 3. საფულე.

მამაკაცები კი თვლიან, რომ მათთვის ყველაზე აუცილებელი საფულეა, ცხვირსახოცსა და ქამარს კი ისინი თითქმის ერთნაირ მნიშვნელობას ანიჭებენ.




საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა. ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი თბილისელი 51 წლის **ელენე მარძარაშვილია**. მან, საპრიზო ვარიანტისაგან განსხვავებით, „ავტოკალამს“ ორის ნაცვლად, სამი ქულა (მეშვიდე ადგილი) მიაკუთვნა, ხოლო „სანთებელას“ სამის ნაცვლად — ორი (მერვე ადგილი).

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 17 სექტემბერს, 17 საათზე.

**როგორ ხდება ყველაზე მიახლოებული ვარიანტის გამოვლენა.**

**პირველ რიგში, მიახლოებულად ითვლება ის ვარიანტი, სადაც განსხვავება ბოლო ადგილებზე გასულ გრაფებშია (მაგ. თუ ადგილები აქვთ შეცვლილი 1 და 2 ქულას (IX–VIII ადგილებს), თუ ასეთი ბარათი არ აღმოჩნდება, მოგების შემდეგი პრეტენდენტია ბარათი, სადაც ადგილები აქვთ შეცვლილი 2-სა და 3 ქულას (VIII–VII ადგილებს), შემდეგ — 3-სა და 4 ქულას (VII–VI ადგილებს), 4-სა და 5-ს (VI–V ადგილებს) და ა. შ. 8-9-მდე (II–I ადგილებამდე). თუ არ არსებობს ასეთი ბარათები (სადაც განსხვავება გვერდიგვერდ მდებარე გრაფებს შორისაა), შემდეგ ხდება გადამოწმება ერთის გამოტოვებით. მაგალითად 1 და 3 (IX და VII ადგილები), 2 და 4 (VIII და VI ადგილები) და ასე შემდეგ. საგულისხმოა, რომ მიახლოებულის გამოვლენა იწყება ბოლო ადგილებიდან.**

## №37 (363) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

# 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის რეიტინგსა* და **მკითხველის პრემიაში**

**№37 (363) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 17 სექტემბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 18 სექტემბრის 13 საათამდე.**

© თბილისი

საპრიზო-გამოკითხვა რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ ამოჭრათ ისინი, შეავსოთ და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათებით.

თემა №37 (363) —
ქალის აქსესუარები
**თქვენი აზრით, რომელია ქალის ყველაზე აუცილებელი და მნიშვნელოვანი აქსესუარი** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

**№37(363) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | აქსესუარი | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ქოლგა | |
| 2 | საფულე | |
| 3 | ქამარი | |
| 4 | ცხვირსახოცი | |
| 5 | ავტოკალამი | |
| 6 | მობილური ტელეფონი | |
| 7 | მზის სათვალე | |
| 8 | ჩანთა | |
| 9 | საათი | |

### მკითხველის რეიტინგი

**რომელი ქართული საინფორმაციო ტელეგადაცემები მოგწონთ ყველაზე მეტად?**
*(დაასახელეთ რიგითობის მიხედვით)*

1. ______
2. ______
3. ______

### მკითხველის პრემია

**დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი**

✓ ______

თქვენი სახელი, გვარი ______
ქალაქი (რაიონი) ______
ასაკი ______ ტელეფონი ______

ყურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, „მკითხველის რეიტინგსა“ და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.

**ყურადღება! „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!**

## მკითხველის რეიტინგის შედეგები

### რომელი პოლიტიკური პარტია იმსახურებს თქვენს კეთილგანწყობას ყველაზე მეტად?

| | | |
|---|---|---|
| 1. | ლეიბორისტული პარტია | 32,3% |
| 2. | ნაციონალური მოძრაობა | 19,4% |
| 3. | ბურჯანაძე-დემოკრატები | 16,4% |
| 4. | ახალი მემარჯვენეები | 6,4% |
| 5. | მრეწველები | 6,2% |
| 6. | აღორძინების კავშირი | 2,6% |
| 7. | ბლოკი „ერთობა“ | 1,1% |
| 8. | ბლოკი „ახალი საქართველოსთვის“ | 0,9% |

ივლისის თვეში კი რეიტინგი ასე გამოიყურებოდა:

| | | |
|---|---|---|
| 1. | ლეიბორისტული პარტია | 29,3% |
| 2. | ნაციონალური მოძრაობა | 20,2% |
| 3. | ახალი მემარჯვენეები | 7,2% |
| 4. | მრეწველები | 4,8% |
| 5–6. | აღორძინების კავშირი | 4,4% |
| 5–6. | გაერთ. დემოკრატები | 4,4% |
| 7. | ედპ | 1,1% |
| 8. | სმკ | 0,8% |

იმ რესპონდენტთა რიცხვი, რომლებიც არც ერთი პარტიის მიმართ არ არიან კეთილგანწყობილნი, დღეს 10,1-ით შემოიფარგლა. ივლისში კი 13,6-მა განაცხადა, რომ არც ერთ პარტიას არ მისცემს ხმას. დღეს არჩევანის გაკეთება 0,7-ს გაუჭირდა. ივლისში კი — 2,2-ს. როგორც ვხედავთ, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, მართალია ნელი ტემპით, მაგრამ ამომრჩევლები მაინც კონკრეტდებიან.

***მკითხველის რეიტინგში 504-მა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა.***

## • ფოტოპალიტრა • ფოტოანტიკვარი ©

*გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.*

რას ლაარქმევდით?

______
______
______
______

თქვენი სახელი, გვარი ______
ქალაქი (რაიონი) ______




დავით მირცხულავა და ანატოლი ჩუბაისი

„ფოტოანტიკვარში“ პოლიტიკოსების „ცვენა“ იყო. მინიშნებამ — „მთავრობებს ვიცვლი... უშიშო უშიშოდ ვრჩები“ — მინისტრებისა და პოლიტიკოსების კვალზე დააყენა რესპონდენტები. ვალერი ხაბურძანია, ვაჟა ლორთქიფანიძე, ელდარ შენგელაია, რომან გოცირიძე, აკაკი ასათიანი, ალეკო კარტოზია, ვახტანგ რჩეულიშვილი, ზვიად ძიძიგური და თქვენ წარმოიდგინეთ, რუსუდან ბერიძეც კი დაასახელეს ჩვენმა მკითხველებმა. რესპონდენტთა 45% კი ნამდვილად არ შემცდარა, ამ პატარა ბიჭუნაში „მამაკაცთა შორის ყველაზე სიმპათიური“ და „ქართული პოლიტიკის ჯენტლმენი“ — **ირაკლი ბათიაშვილი** რომ ამოიცნო (ეს ტიტულები ირაკლი ბათიაშვილს სწორედ „პალიტრის“ მკითხველმა მიანიჭა).





ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი



ირაკლი ბათიაშვილი, ხუთი წლის

## ფოტოგანწყობა



— თქვენც ასე იწვალეთ კბილების ამოსვლისას?

# ლიზ ტეილორის შემოსავლის წყარო...



ვინ იფიქრებდა, რომ მილიონერი ელიზაბეტ ტეილორი ვინმეს ქორწილში ან წვეულებაზე დასწრებაში ერთობ სოლიდურ თანხას — 100.000 დოლარს იღებს.



ამ რამდენიმე წლის წინ, ზუსტად ამდენი მოსთხოვა ლიზიმ ბარბრა სტრეიზანდს, ქორწილში ხელისმომკიდედ რომ გაჰყოლოდა. ბარბრა, რა თქმა უნდა, დათანხმდა. ბოლოს და ბოლოს, იმ 3 მილიონთან შედარებით, რომელიც ვარსკვლავმა დახარჯა მეტად პომპეზური საქორწილო ცერემონიის მოწყობასა და 350-კაციან ბანკეტში, ლიზის გასამრჯელო ზღვაში წვეთია.

ბარბრამ ლიზის სთხოვა, იმ 100 ათასი დოლარის ამბავი არავის უთხრაო. ტეილორმა რამდენიმე წელი კი მოახერხა საიდუმლოს შენახვა, მაგრამ ახლა რატომღაც ჟურნალისტებს გაუმხილა. შესაძლოა, მათაც გამოართვა ფული სიმართლის თქმაში, თანაც დასძინა, — ბარბრას მოცემული ფული შიდსით დაავადებულთა მკურნალობას მოხმარდაო...

**დიალოგი გამოცდაზე:**



— იცი?
— ვიცი!
— რა იცი?
— საგანი!
— რომელ საგანს აბარებ?
— რომელსაც ვაბარებ!
— მაინც რომელს?
— თქვენ... შარზე ხართ?!

**18/IX**
**უკანასკნელი მეოთხედი**
**მაგნიტური დღეა**
**19/IX. 18-დან 20 საათამდე**

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები





**თარაზულად:** 1. კურორტი მარტვილის რაიონში; 4. ქალბატონი იტალიურად; 6. „სათვალიანი" გველი; 7. ვირტუოზი ქართველი მევიოლინე — ... ისაკაძე; 8. შტატი დასავლეთ ბრაზილიაში — მატუ-...; 9. ის, რაც აუცილებლად სჭირდება ექვმიტანილს. 10. ლურჯი ფერის ბუნებრივი საღებავი; 13. ღვინის საცავი; 16. ბანქოს თამაში; 18. ბუნებრივი სამკურნალო პირობების მქონე ადგილი; 19. გაუტკივარება ოპერაციის დროს; 20. ცვილისებრი ნივთიერება, რომელიც წარმოიქმნება კაშალოტის საჭმლის მომნელებელ ტრაქტში და გამოიყენება პარფიუმერიაში; 22. სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში; 23. ძრავის ასახდელი საფარი; 25. ჩეხეთის დედაქალაქი; 27. პოპოვის გამოგონება (რუსების ვერსიით); 28. ქართულად — მზიურა, კულმუხო, ლათინურად — ...; 29. სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი სიმბოლო; 30. მსოფლიოს ყველაზე წყალუხვი მდინარე; 31. ქართველი პრომეთე.

**შვეულად:** 1. პარკებსა და ბაღებში ბუჩქებს შორის ძნელად გასაგნები გზის მონაკვეთი; 2. ბიოლოგიის ნაწილი, რომელიც სწავლობს ორგანიზმებისა და მათი გარემოს ურთიერთდამოკიდებულებას; 3. ჩუკოტკის ყველაზე ცნობილი გუბერნატორი; 4. მხალეული მცენარე; 5. პატარა პლანეტა, რომლის დაჯახებასაც ვარაუდობენ დედამიწასთან; 11. 3-4-წლიანი ცხენების შეჯიბრი; 12. მეფეს — ქიში, დედოფალს — ... ; 14. წვრილად დაჭრილი, რძეში ან წყალში მოხარშული თხელი ცომის ნაჭრები; 15. აშშ-ის კოსმოსური ხომალდი, რომელმაც მთვარეზე ასტრონავტები გადასხა; 16. კომში; 17. იანის ანტიპოდი ჩინურ ფილოსოფიაში; 21. ავსტრიელი მსახიობი და რეჟისორი, ფილმები: „მეფისტო", „პოლკოვნიკი რედლი" — კლაუს მარია ...; 22. ფრანგი ჰუმანისტი მწერლის, რაბლეს ნაწარმოების გმირი; 24. იგივეა, რაც დიელექტრიკი; 25. ორგანოს გახვრეტა სამკაულის სატარებლად; 26. მკურნალობის ჩვეულებრივი, არაჰომეოპათიური მეთოდების სახელწოდება.

შეადგინა რამაზ ალანიამ



# დეპარდიე თავის ცხვირს უფრო ენდობა



საფრანგეთი ღვინის ქვეყანაა, უფრო — შამპანურის... ფრანგი მსახიობები — შესანიშნავი მამულების პატრონები და ღვინის დიდი დამფასებლები...

მაგრამ ყველაზე ცნობილი ცნობილი ფრანგებიდან, მაინც დეპარდიე გახლავთ — ვარსკვლავთა შორის საუკეთესო მეღვინე.



ახლა ორი სხვაც დავასახელოთ, — პიერ რიშარი და ჟან ლუი ტრენტინიანი, ერთმანეთის მეგობრები და მეტოქენი... სამივეს რაც აერთიანებს, ის არის, რომ როგორც იტყვიან, ცალ ყურში უშვებენ პროფესიონალ დეგუსტატორთა შეფასებებს, მათ უფრო კარგად იციან, რა შეფასების ღირსია მათი მოწეული და დაწურული ღვინო... კინოვარსკვლავები სხვა მხრივ არ ჭირვეულობენ — კი ბატონო, ფასი როგორიც გინდათ, ისეთი დაადეთო...

ამ სამეულს ახლახან კრისტოფერ ლამბერტიც შეემატა და უფროსი მეგობრებისგან კეთილგანწყობაც დაიმსახურა.

ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

(37) **უფასო განცხადების ქვითარი**

განცხადების ტექსტი ____________________

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№37 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 18 სექტემბრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

*„კვირის პალიტრის" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში — მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.*

***„კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი**

**სარედაქციო კოლეგია**

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: **რედაქცია:** 33-39-54
**რეკლამა, ფაქსი:** 33-50-32; 98-74-44

palitra@access.sanet.ge
www.opentext.ge/kvirispalitra

**სარეგისტრაციო ნომერი 1518©**
**„კვირის პალიტრა" გამოდის ორშაბათობით**

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".

შავი ყვითელი ლურჯი წითელი